ნოდარ ბასილაძე

ჰუმანიზმის პედაგოგიკა

გამომცემლობა "ალიონი"

ბათუმი - 2007

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია ავტორის მიერ უკანასკნელ წლებში დაწერილი წერილები და სტატიები, რომელთა თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. ამიტომ იგი უთუოდ გახდება მკითხველთა ფართო წრის ინტერესის საგანი. მისი გაცნობა, უპირველეს ყოვლისა, სასარგებლო იქნება მშობლებისა და განათლების დარგის მუშაკთათვის, ასევე მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის.

რედაქტორი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **შოთა ზოიძე**

რეცენზენტები:
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ციალა მეგრელაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თინა შიოშვილი**

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნოდარ ბარამიძე**

© გამომცემლობა "ალიონი"
ISBN 99928-43-81-0

ეუძღვნი
ჩემი მშობლების ნათელ ხსოვნას

ავტორისაგან

წინამდებარე წიგნში შესულია ჩვენ მიერ უკანასკნელ წლებში დაწერილი ზოგიერთი საკვალიფიკაციო ნაშრომი და სხვადასხვა დროს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები და სტატიები. მართალია, ისინი დიდი ხნის წინ დაიწერა და გამოქვეყნდა, მაგრამ მათ, ჩვენი აზრით, მაინც არ დაუკარგავთ ცხოველმყოფელი ინტერესი და მკითხველზე ზემოქმედების ძალა. ამიტომაც, მცირედი ცვლილებებით, ხელახლა გთავაზობთ. ყველა წერილს მოსდევს დაწერის ან გამოქვეყნების თარიღი, რაც დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს გაიგოს მათი შექმნის დრო და გარემო. ზოგიერთ მაგვანში შეინიშნება ერთი და იგივე აზრის განმეორება, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ისინი სხვადასხვა დროს არის დაწერილი და მათ საფუძვლიანად გადამუშავებას თავი ავარიდეთ. გადავშალეთ მხოლოდ ზოგიერთი მოძველებული შესედულება და კრებულს სადღეისო მიმართულება ნიეეცით. ეს არის და ეს. დანარჩენ ყველაფერს მკითხველს თავდაპირველი სახით ეთავაზობთ. ამასთან, წერილები არ დაგეილაგებია არც ქრონოლოგიურად და არც თემატიკურად. წიგნში ჯერ საუბარია მოსწავლეთა აღზრდაზე, შემდეგ ბავშვთა ოჯახურ აღზრდასა და ბოლოს ცალკეული პიროვნებებისა და პოლიტიკის საკითხებზე.

თითოეული წერილი წარმოადგენს დასრულებულ დამოუკიდებელ ერთეულს და მათ მეცნიერული ნაშრომის პრეტენზია არ გააჩნიათ. ისინი ძირითადად სასკოლო და საოჯახო აღზრდის საკითხებს ეძღვნება. წიგნში საუბარია არა მარტო იმაზე, თუ რა უნდა ვასწავლოთ ბავშვს, არამედ იმაზეც, თუ როგორ ვასწავლოთ.

კრებულში წარმოდგენილი სტატიების უმრავლესობას ასაზრდოებს სიკეთე, ჰუმანიზმი, ადამიანის მსურვალე სიყვარული და პატივისცემა, მისი პიროვნების აღიარება და დაფასება. ამიტომაც წიგნს „ჰუმანიზმის პედაგოგიკა“ ვუწოდეთ.

ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემიხადმი მიძღვნილ შრომებში, ადამიანის სიყვარულთან ერთად, საუბარია ასევე ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარულზე, რადგან ამის გარეშე, ჩვენი ღრმა რწმენით, ადამიანის სიყვარული შეუძლებელია. „იმაზე, თუ როგორ ეპყრობა პატარა ბავშვი ჩიტებს, ყვავილებს, ხეებს, დამოკიდებულია მისი ზნეობრიობა, მისი ურთიერთობა ადამიანებთან“ (ვ. სუხომლინსკი).

ის პრობლემები, რომლებიც წამოჭრილია აღნიშნულ კრებულში, დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვისაც აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ, მას შემდეგ, რაც ამ კრებულში მოთავსებული წერილების უმრავლესობა დაიწერა, საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, წარსულს ჩაბარდა ყოფილი საბჭოთა კავშირი და საქართველო დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას,. მაგრამ ზნეობის თვალსაზრისით თითქმის არაფერი შეცვლილა, პირიქით, მისი დეფიციტი კიდეე უფრო იგრძნობა.

წიგნი ძირითადად განკუთვნილია აღმზრდელ-მასწავლებლების, მშობლებისა და სტუდენტებისათვის, უფრო მეტად კი იმათთვის, ვისაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს აღზრდის ხელოვნებაზე და ახლა იწყებს პედაგოგიკის ანბანის შესწავლას, მაგრამ მასში ნებისმიერი მკითხველი იპოვის მისთვის საჭირო მასალას. წიგნი გამოადგება ასევე ყველა იმას, ვინც მომავალი თაობის ბედითა და ჩვენი ქვეყნის წინსვლა-განვითარებით არის დაინტერესებული.

ნაშრომი, ცხადია, დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან, მაგრამ თუ მკითხველი მისი წაკითხვისას ნაწილობრივ მაინც იგრძნობს იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც მას აკისრია მოზარდი თაობის აღზრდაში, მაშინ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამაოდ არ აგვიღია კალამი ხელში.

მასწავლებელი

მასწავლებელი — ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.
ი. ნონეშვილი

ერთი ძირძველი სიტყვა გვაქვს ქართველებს, აღნიშნავს აკაკი წერეთელი. ეს სიტყვაა მოძღვარი. ქართველი კაცი ოდითგანვე მოძღვარს უწოდებდა არა მარტო სასულიერო პირს, არამედ იმ პირსაც, ვინც ბავშვებს ასწავლიდა და ზრდიდა.

დღეს ამ პირს ლამაზი ქართული სიტყვა მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი ჰქვია.

მასწავლებელი! რაოდენ ძვირფასი და ახლობელია ეს სიტყვა ყოველი ჩვენგანისათვის! რაოდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი მასში! ვის არ ახსოვს თავისი პირველი მასწავლებელი, მისი ნასწავლები ანი და ბანი.

მასწავლებელი რომ არ ყოფილიყო, მზეც არ იქნებოდა ალბათ და ვარსკვლავებიც შეწყვეტდნენ ციმციმს, სიბნელე და უმეცრება დაისადგურებდა ირგვლივ.

მასწავლებელი რომ არ ყოფილიყო, სიყვარული და მეგობრობაც არ იქნებოდა ალბათ. მხოლოდ ღვარძლი და მტრობა გამეფდებოდა ყველგან.

მასწავლებელი რომ არ ყოფილიყო, ახალი თაობა ვერ შეიძენდა კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნას, გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს, ვერ მოახერხებდა საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობას, ვერ შეეჭიდებოდა დროსა და სივრცეს.

მასწავლებელი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა შოპენის, მოცარტის, ბეთჰოვენის, გლინკას, ჩაიკოვსკის, შოსტაკოვიჩისა და სხვათა შესანიშნაები სიმფონიები, პახმუტოვას საუცხოო სიმღერები, ვერ დაიწერებოდა ვიქტორ დოლიძის „ჭუთო და კოტე“, ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“, ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ ლაღიძის, გიორგი ცაბაძის, ვაჟა აზარაშვილისა და სხვა გამოჩენილი ქართველი (და არა მარტო ქართველი) კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებები.

მასწავლებელი რომ არ ყოფილიყო, ვერ შეიქმნებოდა კაცობრიობის გონის უმაღლესი ქმნილებანი — მსოფლიოს შვიდი საოცრება, ვერ დაიწერებოდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", დანტეს „ღვთაებრივი კომედია", ჰომეროსისა და შექსპირის საქვეყნოდ ცნობილი ტრაგედიები, პეტეფის, პუშკინის, ლერმონტოვის, ვაჟას, ილიას, აკაკის, გალაკტიონის გულში ჩამწვდომი ლირიკული ლექსები. ეს კარგად იცოდა თითოეულმა მათგანმა. ამიტომ ისინი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მასწავლებელს უმადლოდნენ, რადგან მხოლოდ მასწავლებლის დახმარებითა და ხელშეწყობით იქცნენ მოწინავე და საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებად. მათი შინაგანი, ბუნებრივი ნიჭი მხოლოდ წინაპირობა, ნოყიერი ნიადაგი იყო, რომელიც საჭიროებდა მასწავლებლის ჩარევასა და საოანადოდ დამუშავებას, თორემ ეს ნიჭი ჩანასახშივე ჩაკვდებოდა და გაქრებოდა. ამიტომაც ამბობენ — ნიჭს წახალისება უნდაო.

მასწავლებლის სახელთანაა დაკავშირებული ყოველივე ის, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია მატერიალური თუ სულიერი კულტურის სფეროში. რომ არა მისი თავგანწირული შრომა და ძალისხმევა, პროფესიისა და საქმის უსაზღვრო სიყვარული, ჩვენი ცხოვრება ფერადოვნებას დაკარგავდა და უფრო დამძიმდებოდა.

ღრმა მადლიერების გრძნობაა გამოხატული პოეტ გიორგი წერეთლის მიერ მასწავლებლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში:

„რადგან, ოსტატო, მრუდე ხისგან ძელი გამთალე,
თვალს თუ დაგაკლდეს, მე ვიქნები შენი სათვალე,
მუხლს თუ დაგაკლდეს, შენს ყავარჯენს მეც მიმათვალე".

ერთი სიტყვით, მასწავლებლის გარეშე ჩვენს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. ყველა ჩვენგანი მასწავლებლიდან მოვდივართ, რამეთუ ყველაფერი მისით იწყება და მთავრდება. ამიტომაც იყო, რომ დიდი ხნის წინათ, როცა ერთმა სახელმწიფომ მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ომი მოიგო, მისმა მეთაურმა მადლობა გადაუხადა არა მსედართმთავრებს და ჯარისკაცებს, არამედ

მასწავლებლებს, აღმზრდელებს.

იყო მასწავლებელი, დიდი ხელოვნებაა. კარგი მასწავლებელი რომ იყო, ამისათვის არც დიდი ცოდნა ყმარა, არც გამოცდილება – სული უნდა გქონდეს მასწავლებლისა, მასწავლებლად უნდა იყო დაბადებული. „მხოლოდ ნამდვილმა ადამიანობამ, მაღალმა მოქალაქეობრიობამ უნდა მოგანიჭოთ ეს უფლება“ (ვ. სუხომლინსკი)

თუ შენს პროფესიაზე უსიმოდ შეყვარებული არა ხარ, არ გიყვარს ბავშვები, არდადეგებზე თუ სკოლა არ გენატრება, შენი მოსწავლეები თუ არ გესიზმრება, ვერ იქნები კარგი მასწავლებელი.

ჩვენი სასიქადულო მწერლის ნოდარ დუმბაძის აზრით, „მასწავლებლობა უდიდესი საიდუმლოს გამხელას უნდა ჰგავდეს. მოძღვარი შეგირდისათვის მისანი უნდა იყოს, მისანი, რომელიც მას ბუნების საიდუმლოს ანდობს.

აქედან გამომდინარე, როგორც მინიმუმი, ოთხ საიდუმლოს მაინც უნდა ფლობდეს მასწავლებელი:

1. უზღვროდ უყვარდეს ბავშვები.

2. უსაზღვროდ უყვარდეს საგანი, რომელსაც ასწავლის.

3. ჰქონდეს უნარი – ეს სიყვარული სხვასაც შეჰყაროს, როგორც სენი უკურნებელი.

4. იყოს უაღრესად თანამედროვე, ჰქონდეს ცოდვამადლის ანუ სამართლის გაჩენისა და მოთმინების დიდი უნარი.

სხვანაირად ყველა მცდელობა იმისა, რომ იყო მოძღვარი, ფუჭია, ყალბი და უშედეგო“

ერის მომავალი მასწავლებლის ხელშია. ვამბობ ამ სიტყვებს და ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა „ჯიოკონდა“ მახსენდება, რომელშიც მწერალი ამბობს: „დავსეირნობდი. ვიღაც ღარიბი მასწავლებელი ქალი დავინახეთ. დაქანცული, გაცრეცილ ტანსაცმელში ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა, უსათუოდ სახლისაკენ.

– ვინაა? – დამეკითხა ქალი.

– მასწავლებელი.

– საწყალი!

– როგორ თუ საწყალი. ის არის ბედნიერი: მის

ხელშია ყოველ ჩვენგანის იმედი. პატარა ბავშვები არიან ხელოვნების, მეცნიერების, ბედნიერების და თავისუფლების მჭედელნი“.

დიახ, ერის მომავალი მასწავლებლის ხელშია, ვინაიდან ქვეყნის აწმყოცა და მომავალიც იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი თაობა იზრდება დღეს, რა სულიერი საგზლითა და ფიზიკური მხნეობით აღჭურვილ ახალგაზრდობას გაუშვებს სკოლა ცხოვრების ძნელ გზაზე.

„მასწავლებელი! ადვილად ითქმის! – ამბობს ა. ფადეევის რომან „ახალგაზრდა გვარდიის“ ერთ-ერთი პერსონაჟი მატვეი შულგა. – ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყოველი ბავშვი სწავლობს, მასწავლებელი პირველი კაცია! ჩვენი ბავშვების, ჩვენი ხალხის მომავალი მასწავლებლის ხელთ არის, მის ოქროს გულშია ჩაჭარხული. დავინახავთ თუ არა მას ქუჩაში, მისდამი უღრმესი პატივისცემის ნიშნად ორმოცდაათ მეტრზე უნდა ვუხდიდეთ ქუდს“.

ამავე აზრს ავითარებს პოეტი მორის ფოცხიშვილი ლექსში – „მასწავლებელი მოდის“. იგი წერს:

„თენდება დილა საიადონო,
ბოლო ეღება მწუხრსა და ლოდინს...
ქუდი მოიხადეთ, ჩემო ბატონო.
მასწავლებელი მოდის!
მოდის საქართველო ამაყი, ბრძენი,
რწმენის ცისარტყელა ჩანგივით ეღერს:
თოვლივით თეთრი, ნათელი, წრფელი
მასწავლებელი წინამძღვრობს ერს!
არ უძებნია სიმშვიდის ჩერო,
მზის ნაბიჯებით ლეგენდებს წერს...
ჩაჰბერე საყვირს, ბატონო ჩემო,
მასწავლებელი წინამძღვრობს ერს!“

სრული ჭეშმარიტებაა! ეს სიტყვები კარგად უნდა გაიცნობიეროს და გაითავისოს თითოეულმა ჩვენგანმა (მხედველობაში მყავს პედაგოგები) და ყველა იმან, ვისაც მასწავლებელზე ზრუნვა და მისდამი პატივისცემა ევალება.

1993 წლის ოქტომბერი

პროცენტომანია და მასწავლებლის ავტორიტეტი

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მიმდინარე წლის 7 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა პროფესორ ჰ. ცქვიტარიას მეტად საჭირო და დროული წერილი — „პროტექციონიზმი და ლიბერალიზმი ცოდნის მტერია“. მასში სავსებით სამართლიანად არის აღნიშნული, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ფეხი მოიკიდა ლიბერალიზმმა, რაც ძირს უთხრის სწავლა-აღზრდის რთულ პროცესს და კიდევ უფრო ართულებს მას. ავტორი ყურდრებას ამახვილებს ასევე იმ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებაზე, რომ სკოლაში სწავლებისა და აღზრდის ცენტრალური ფიგურაა მასწავლებელი. იგი ამ პროცესის სული და გულია. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის პირად მაგალითს, მის მორალურ სახეს, რადგან „არავითარ წესდებებსა და პროგრამებს, დაწესებულებათა არავითარ ხელოვნურ ორგანიზმს, რა მოხერხებულადაც უნდა იყოს იგი მოფიქრებული, არ შეუძლია პიროვნების შეცვლა აღზრდაში“ (კ. დ. უშინსკი). მაშასადამე, უცოდინარი, უტაქტო და უზნეო მასწავლებელი სრულყოფილ მოქალაქეს ვერ აღზრდის. მაგრამ, სამწუხაროდ, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდაში სასურველ შედეგს ვერ აღწევენ ის მასწავლებლებიც კი, რომლებიც მოწოდებით პედაგოგები არიან. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ ბოლო წლებში მასწავლებლის ავტორიტეტი საგრძნობლად შეილახა. რა თქმა უნდა, ამასაც თავისი მიზეზები აქვს. ამ წერილში სწორედ ზოგიერთ მათგანზე გვინდა გაეამახვილოთ ყურადღება.

ძალზე გადატვირთულია ჩვენი სასწავლო გეგმები და პროგრამები, განსაკუთრებით მათემატიკის, ლიტერატურის, ისტორიისა და სხვა საგნების. ცუდად შედგენილია ზოგიერთი ჩვენი სახელმძღვანელოც.

გარკვეული სიძნელეები წარმოშვა ასევე საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლამ. ეს, კერძოდ, თავს იჩენს კლასების დაკომპლექტებაში. ყოველი სკოლა დაინტერესებულია, რომ არ შემცირდეს კლასებისა

და პედაგოგთა რაოდენობა. ამის შიშით ზოგჯერ, სკოლის დირექტორის დავალებით, მასწავლებელს სხვა სკოლიდან გადმოჰყავს რომელიმე ზარმაცი მოსწავლე და აღუთქვამს, რომ აუცილებლად დაამთავრებინებს სკოლას. ამიტომაც მასწავლებელს ავალებენ ასწავლოს ყველას, ყოველნაირი შესაძლებლობისა და ყოფაქცევის ბავშვს, ასწავლოს ჩქაროსნული ტემპით, გაკვეთილზე და დაგაკვეთილების შემდეგაც. მაგრამ აქვს კი ამდენი დრო მასწავლებელს? იგი ხომ გაკვეთილების გარდა სხვა უამრავ საქმესაც უნდა გასწვდეს? ვინ მოთვლის, რამდენი ორგანიზაციული თუ სხვა დავალების შესრულება უხდება პედაგოგს. „მოსწავლეებზე ვამბობთ, გადატვირთული არიანო, — აღნიშნავდა ამას წინათ გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ (1974 წ., № 44), — და ეს უფრო მასწავლებელზე ითქმის. მასწავლებელს დრო აღარ რჩება არც იმისათვის, რომ თავისი პროფესიული დონის ამაღლებაზე იზრუნოს, და არც იმისათვის, რომ არ მოწყდეს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას. ჩვენი მასწავლებელი-თეატრში წასასვლელადაც კი ძნელად მოიცლის“.

სოფლად მომუშავე მასწავლებელს, გარდა თავისი უშუალო მოვალეობისა, სხვა უამრავი საქმეც აქვს. მან უნდა მიხედოს თავის ბაღ-ბოსტანს, ყანა-ბაღჩას, შინაურ ცხოველებსა თუ ფრინველებს. სოფლელ კაცს საქმეს რა გამოულევს! მაგრამ ამას არავინ ითვალისწინებს და ამ ბოლო დროს სოფლის მასწავლებლებს თამბაქოს, ჩაისა თუ სხვა გეგმების შესრულებასაც ავალებენ. ორი კურდღლის მდევარი კი, კარგად მოგეხსენებათ, ვერც ერთს ვერ დაიჭერს.

ზოგიერთი სოფლის დაწყებით სკოლაში მასწავლებლები მუშაობენ ორ, ზოგჯერ კი სამ კლასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მასწავლებელი, რაგინდ დახელოვნებულიც იყოს, სრულყოფილად ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუნდაც სამივე კლასში ათი მოსწავლე ჰყავდეს. ასევე მასწავლებლებს (განსაკუთრებით ქალაქად) დიდ სიძნელეებს უქმნის მრავალრიცხოვანი კლასები. მაგალითად, რა ქნას ასტრონომიის, ზოგადი ბიოლოგიის, სამართლისმცოდნეობისა და

ზოგიერთი სხვა საგნის მასწავლებელმა, რომელსაც კვირაში მხოლოდ ერთი გაკვეთილი აქვს, ხოლო კლასში ორმოცი მოსწავლე ჰყავს? მეოთხედის მანძილზე იგი ალბათ თითოჯერ თუ შეძლებს ყოველი მოსწავლის გამოძახებას, ერთი ნიშნით კი მეოთხედურ შეფასებას ვერ მისცემ მოსწავლეს. ამიტომ მასწავლებელი იძულებული ხდება „შეაკეთოს" ჟურნალი, სხვანაირად რომ ვთქვათ, საკუთარი ხელით ჩაუწეროს ამა თუ იმ მოსწავლეს დადებითი ნიშანი და ჩაიდინოს სიყალბე. ამიტომაც გაუმართლებლად მიგვაჩნია მასწავლებლის ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მუშაობა და ერთ კლასში ოცდახუთ მოსწავლეზე მეტის გაერთიანება.

„ერთხელ უარყოფილი პროცენტომანია, სამწუხაროდ, ისევ შემოვიდა სკოლაში და მას, როგორც წინათ, ახლაც მაენებლობის მეტი არა მოაქვს რა", — აღნიშნავს პედაგოგი ვ. მენაბდე თავის წიგნში „აღზრდისა და სწავლების ზოგიერთი საკითხი". სწავლება და აღზრდა ისე რთულია, რომ მაღალი მაჩვენებლის მოპოვება არც ისე ადვილია. ამიტომ მასწავლებელმა გამოსავალი დაუმსახურებელი სამიანის წერაში იპოვა და თავი „ასპროცენტიანი მოსწრების მასწავლებლად" გამოაცხადა. ასეთ მასწავლებელს ყველგან მოწინავეთა რიგებში ასახელებენ, სკოლის დირექტორი კი სხვებს მოუწოდებს, მიბაძონ მას, ნამდვილად მოწინავე მასწავლებელს კი, რომელიც, როგორც იტყვიან, დღე და ღამეს ასწორებს მოსწავლეებზე ფიქრსა და ზრუნვაში, მაგრამ დაუმსახურებლად ნიშანს არავის უწერს, სუსტად მომუშავე მასწავლებელთა რიგებში იხსენიებენ.

მასწავლებლის ავტორიტეტი საგრძნობლად დასცა აგრეთვე ამ ბოლო დროს გავრცელებულმა რეპეტიტორობამ. ჩვენი მოსწავლეები უკვე მეათე კლასიდან იწყებენ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მზადებას. დილით ისინი სკოლაში მიდიან, საღამოს კი რეპეტიტორებთან, ან დაამთავრებენ თუ არა საშუალო სკოლას, იმავე წელს მოსამზადებელ კურსებზე იწყებენ სწავლას. ზოგიერთი მათგანი ღამის სკოლაშიც კი გადადის, რათა უფრო მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეს. თავისთავად ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ ისინი ისე არ სწავ-

ლობენ, როგორც საჭიროა. ფიქრობენ, რა საჭიროა სწავლა, თავის შეწუხება, დაამთავრებენ სკოლას და შემდეგ მოემზადებიან. ამ იმედით შეპყრობილნი გაკვეთილზე ერთობიან, მასწავლებელს არ უსმენენ და მეოთხედის განმავლობაში ორიანებს იღებენ, ხოლო მეოთხედის ბოლოს ერთ-ორ გაკვეთილს თვალს გადააცლებენ და დადებითი მეოთხედური ნიშანიც გარანტირებული აქვთ. ასე გადადიან ისინი კლასიდან კლასში, ხოლო როცა სკოლის დამოავრებაზე მიდგება საქმე, ასეთ მოსწავლეებს თავიდან იშორებენ, მაგრამ მათ ადგილს სხვები იჭერენ. ყოველივე ეს უდიდეს ზიანს აყენებს მათ უკან მდგომ მოსწავლეთა მრავალრიცხოვან არმიას, სცემს მასწავლებლის ავტორიტეტს და კიდევ უფრო აქვეითებს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას.

გაუმართლებლად მიგვაჩნია ასევე მასწავლებლის მკაცრად გაკრიტიკება, „ლაფში ამოსვრა" ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ეს ხომ ცეცხლზე ნავთის დასხმას ნიშნავს. თუ ასე გავაკრიტიკებთ, სამარცხვინო ბოძზე გავაკრავთ პედაგოგს, იგი სკოლაში აღარ უნდა გავაჩეროთ, რადგან ამ გაზეთს მისი მოსწავლეებიც კითხულობენ და ე.წ. გაკრიტიკებული მასწავლებლის ავტორიტეტი კიდევ უფრო ილახება.

მასწავლებელი გაქილიკებულია აგრეთვე ზოგიერთ წიგნში, კინოფილმსა თუ სპექტაკლში. ყველა ჩვენგანის საყვარელი მწერლის ხოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და „მე ვხედავ მზეს" მოსწავლეები დასცინიან, აბუჩად იგდებენ ქიმიისა და სამხედრო მომზადების მასწავლებელს. ეს ფაქტები მწერალს, რა თქმა უნდა, ცხოვრებიდან აქვს აღებული, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი შეუგნებელი მოსწავლე ამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ცდილობს, მიბაძოს ზურიკელა ვაშალომიძეს და მის თანაკლასელებს, რის შედეგადაც მასწავლებელი და მოსწავლე კიდევ ერთი ნაბიჯით შორდებიან ერთმანეთს. ამიტომ მასწავლებლის ავტორიტეტისათვის უნდა ზრუნავდნენ როგორც განათლების ორგანოები, ისე მთელი საზოგადოებრიობა.

1975 წლის იანვარი

ვიდრე გვიან არაა

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მიმდინარე წლის 1 აგვისტოს ნომერში მოთავსებულია ცნობილი პედაგოგისა და სკოლათმცოდნის ვ. წულუკიძის საყურადღებო სტატია – „უკიდურესობიდან... უკიდურესობამდე“, რომელიც ეხება თანამედროვე სკოლის წინაშე არსებულ მთელ რიგ საჭირბოროტო პრობლემებს. ეს პრობლემები იმდენად შემაშფოთებელია, რომ მე, როგორც პედაგოგს, დუმილის უფლება არა მაქვს, მით უმეტეს მაშინ, როცა გაზეთი გვიწევს საპაექროდ.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დღეს სკოლის წინაშე მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი, რამაც მოითხოვა ბევრი რამის გადაფასება, მაგრამ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში (და არა მარტო ამ საქმეში) ნაჩქარევ და დაუსაბუთებელ რეფორმებს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. საქმე ის არის, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ გამოსცა მორიგი ინსტრუქცია „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწაელეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს კლასიდან კლასში ისეთი მოსწავლეების გადაყვანასაც კი, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი შეფასება ექნებათ არა უმეტეს სამი საგნისა. „საქმე უფრო შორს წაეიდა, – აღნიშნავს სტატიის ავტორი, – საშუალო განათლების ატესტატი ეძლევა იმ „საშუალო სკოლადამთავრებულსაც“, რომელსაც ერთ, ორ და სამ საგანშიც კი აქვს არადამაკმაყოფილებელი შეფასება“.

ამაზე უფრო ეფექტურ საშუალებას სასწავლო პროცესის მოშლისათვის კაცი ვერ მოიგონებდა. მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც პედაგოგად ვმუშაობ და სახალხო განაილების სისტემაში ასეთი უპრეცენდენტო შემთხვევა არ მახსოვს არც ჩვენში და არც უცხოეთში. მაშ, რა გამოდის, ბავშვი ისწავლის თუ არ ისწავლის საგანს, ჰაინც ერთნაირად გადავა კლასიდან კლასში, დაამთავრებს სკოლას და მიიღებს „სიმწიფის“ ატესტატს, მაგრამ იქნება კი იგი „მომწიფებული“ ჩვენი დღევანდელი ბობოქარი ცხოვრებისათვის? არა მგონია. გა-

მოჩენილი კლასიკოსი პედაგოგები ი.ა. კომენსკი, ა. დისტერვეგი, კ. დ. უშინსკი, ი. გოგებაშვილი, ვ. სუხომლინსკი და სხვები გადაჭრით ილაშქრებდნენ ყოველგვარი სიზარმაცის, უვიცობისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ. ისინი თვლიდნენ, რომ სწავლა იგივე შრომაა და მას სერიოზული დამოკიდებულება სჭირდება.

ადამიანის ცხოვრებისათვის მომზადება ძირითადად სკოლაში ხდება. ჩვენ კი ბავშვს სკოლის მერხიდან ვუნერგავთ იმ აზრს, რომ შეიძლება არ იმუშაო, არ ისწავლო, თავი არ შეიწუხო და მაინც გადახვალ კლასიდან კლასში, მიიღებ სანატრელ ატესტატს და უმაღლესისაკენ გზა ხსნილი გექნება (ინსტრუქცია ამ უკანასკნელის უფლებასაც ანიჭებს). ზოგიერთების აზრით, ეს კეთდება სასკოლო განათლებისა და აღზრდის ჰუმანიზაციის მიზნით, რაც, ზემოთ აღნიშნული სტატიის ავტორის სამართლიანი შენიშნვით, ჰუმანიზაციის ცნების გაყალბებაა და მეტი არაფერი. თუ ადამიანი გიყვარს და მის მომავალზე ფიქრობ, კიდევაც უნდა მოსთხოვო მას და არ უნდა მიუშვა თავის ნებაზე, არ უნდა შეუქმნა ილუზია, რომ ცხოვრება ია-ყარდებითაა მოყენილი. ბავშვმა ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე უნდა შეიგრძნოს, რომ ცხოვრება ჭიდილია, ბრძოლაა და ამ ბრძოლაში იმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც მცოდნე, ნაცადი, ნაწრთობი და გამობრძმედილია. თუ ბავშვი პატარაობიდან არ შეეჩვია წინააღმდეგობათა დაძლევას, დაბრკოლებათა გადალახვას, მისგან კაცური კაცი არ დადგება.

როცა ზემოთ აღნიშნულ ინსტრუქციას ეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს იგი იმ პირების მიერ იყოს შედგენილი, რომელთაც არასოდეს უმუშავიათ სკოლაში ან არ იცნობენ ბავშვის ფსიქოლოგიას, ვერ ერკვევიან სასწავლო-არმზრდელობით მუშაობაში. აბა, სცადონ ამ ინსტრუქციის ავტორებმა სკოლაში მუშაობა და იხელმძღვანელონ მათ მიერვე შედგენილი ინსტრუქციით და ნახავენ როგორი შედეგი ექნებათ. მასწავლებელი ვერაფერს გახდება ისეთ ბავშვთან, რომელმაც გადაწყვიტა მისი საგანი არ ისწავლოს. თუ ამ ინსტრუქციამ დიდხანს იარსება (რაშიც ეჭვი გვეპარება),

მაშინ ზოგიერთი მოსწავლე ისე დაამთავრებს საშუალო სკოლას, რომ ელემენტარული წარმოდგენა არ ექნება მათემატიკაზე, ფიზიკაზე, ქიმიაზე, ლიტერატურაზე და ა.შ., ყველა იმ საგანზე, რომელთა შესწავლაზეც უარს იტყვის.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ღონისძიებანი ტარდება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის, ახალი ინსტრუქციის თანახმად კი ახალგაზრდას ვეუბნებით, ნუ გეშინია, შენ რომ მშობლიური ენა, ლიტერატურა და ისტორია არ ისწავლო, სკოლას მაინც დაამთავრებ და უმაღლესი სასწავლებლისაკენაც გზა ხსნილი გექნებაო. ამაზე მეტი უგუნურობა რა შეიძლება იყოს ისეთ სათუთ საქმეში, როგორიცაა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

კიდევ უფრო უსერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს ეს ინსტრუქცია არაქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს. იქ ალბათ მოსწავლეთა უმრავლესობა უარს იტყვის აღნიშნული საგნის შესწავლაზე.

ბავშვი ღღევანდელობით ცხოვრობს, როგორც იტყვიან, ღღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. ამიტომ თავის შეწუხებას ამჯობინებს იოლი გზით სიარულს. ფიქრობს, რა საჭიროა სწავლა, თავის შეწუხება, სულერთია, სკოლას მაინც დავამთავრებ და მომავალში რაღაც იქნებაო. მომავალში კი ბავშვმა უნდა იაროს რეპეტიტორებთან, კარგად უნდა იმეცადინოს, რომ უმაღლეს სასწავლებელში შევიდეს, მაგრამ იმეცადინებს კი? არა მგონია. იგი სკოლაში, მოსწავლეობის დროს არ მეცადინეობდა, როცა მასწავლებლის გამოძახებას ელოდა და ნუთუ ახლა იმეცადინებს, როცა „სიმწიფის ატესტატი“ უკვე ხელში აქვს?

სავსებით ვეთანხმები სტატიის ავტორს ასევე ოქროს ან ვერცხლის მედალოსნის უპირატესობის პრობლემის მისეულ ინტერპრეტაციაში. მედალოსანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას რაღაც უპირატესობა. წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთი მოსწავლე თავს არ შეიწუხებს მედლისათვის. მედლის უპირატესობა კი არ უნდა გავაუქმოთ, არამედ ყვე-

ლა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ მეედალს იღებდეს მხოლოდ ის, ვინც მისი ღირსია.

გაუმართლებლად მიგვაჩნია დროებით უმუშევარ პედაგოგთა შორის კონკურსის მოწყობა განათლების განყოფილებებში. ეს ხომ უმაღლესი სასწავლებლისადმი უნდობლობაა. რაო, ვითომ იმ კომისიაში უფრო კომპეტენტური წევრებია, ვიდრე უმაღლესი სასწავლებლის სახელმწიფო გამოცდების კომისიაში? აქაც იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორც მედალთან. თუ ზოგიერთი სტუდენტი დაუმსახურებლად იღებს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომს (ცოდეა გამხელილი სჯობია, ასეთ შემთხვევებსაც აქვს ადგილი უმაღლესი სკოლის პრაქტიკაში), ამას უნდა ვებრძოლოთ და არა დიპლომიან პედაგოგებს გამოცდები ვუტაროთ.

დღეს ქართველებს (და არა მარტო ქართველებს) გვჭირდება მუხლჩაუხრელი შრომა, გარჯა, ცოდნა და გამოცდილება. გვჭირდება არა მარტო ეკონომიკის, არამედ ზნეობრივი გაჯანსაღებისათვისაც. ამის გარეშე ყოველგვარ გარდაქმნასა და წინსვლაზე ფიქრიც კი სედმეტია. ამიტომ, ვიდრე გვიან არ არის, საქმეს დროზე უნდა მივხედოთ, თორემ კიდევ უფრო მოგვიმრავლდებიან უქნარები, მცონარები, სხვისი მოიმედენი, რომლებიც ისედაც არ აკლია ჩვენს ქვეყანას.

1989 წლის აგვისტო

სკოლის უპირველესი საზრუნავი

> ...პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობების აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა.
>
> *ი. გოგებაშვილი*

როგორც ვიცით, აღზრდას საფუძველი ეყრება ოჯახში, მაგრამ ამ საქმეში გადამწყვეტი როლი მაინც სკოლას ენიჭება. სკოლამ უნდა აღზარდოს და ჩამოიყალი-

ბოს არა უბრალო ადამიანი, არამედ ჭეშმარიტი ადამიანური თვისებებით შემკული მოქალაქე, ერისა და ქვეყნისათვის თავდადებული პიროვნება, რაც ზნეობრივი აღზრდის ამოცანაა.

აღზრდა, საერთოდ, და უფრო მეტად, ზნეობრივი აღზრდა, რთული იყო ყველა დროსა და ქვეყანაში, მაგრამ იგი კიდევ უფრო გართულდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, როცა მოსწავლის განკარგულებაშია უამრავი ინფორმაციის წყარო. ამიტომ აღზრდა საკრძნობლად ჩამორჩა სწავლებას, რის გამოც მოგვიმრავლდნენ ეგრეთ წოდებული განათლებული უზრდელები, რომლებიც გაცილებით საშიშნი არიან, ვიდრე გაუნათლებლები. ცივილიზაციამ, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებამ, უკანასკნელ წლებში შექმნილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა, ქართველი კაცი სულ უფრო და უფრო მიაჯაჭვა საკუთარ კერას, გაუჩინა ათასი საფიქრალ-საზრუნავი და ზოგიერთმა ჩვენგანმა ყოველივე ყა ქველმოქმედება, სათნოება, სხვისი ჭირის თანაზიარობა, ყოველივე ის, რაც ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს. მაგრამ ეს მარტო ცივილიზაციის ბრალი როდია. მთავარი მიზეზი მაინც აღზრდაში დაშვებულ შეცდომებში უნდა ვეძიოთ.

დიდი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი წერდა: ადამიანი არის ყველაზე უფრო თვინიერი, ყველაზე უფრო ღვთაებრივი არსება, თუ იგი „მოშინაურებულია" ჭეშმარიტი აღზრდით; და თუ ის არ აღუზრდიათ ან ყალბი აღიზარდა მიიღო, მაშინ ის არის ყველაზე უფრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც დედამიწა წარრმოშობსო.

პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებლის ეს სიტყვები ნათლად დადასტურდა დღევანდელი ჩვენი ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში.

ცუდი აღზრდის ბრალია ის, რომ ზოგიერთი ზრდადასრულებული ადამიანი ყველაფრისადმი გულგრილი და ინდიფერენტულია, არ ძალუძს მიანიჭოს სსვას სიხარული, გაუთბოს გული და ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბო-სილამაზე განაცდევინოს. ეს იმიტომ, რომ თავის დროზე მას ასეთი თვისებები არ ჩაუნერგეს არც ოჯახ-

ში და არც სკოლაში.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გულკეთილად აღიზრდება ნებისმიერი ბავშვი, თუ ამ საქმეს აღრეული ასაკიდანვე შევუდგებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ბავშვი მის თვალწინ აწვალებს ცხოველებს, ბუდეს უნგრევს ან ხოცავს ფრინველებს, რის შედეგადაც მას უმუშავდება ცოცხალი არსებისადმი შეუბრალებლობის გრძნობა, რამაც, განსაზღვრულ ასაკში, შეიძლება თავი იჩინოს ადამიანებთან დამოკიდებულებაშიც. მასწავლებელთა ერთი ნაწილი კი ივიწყებს აღმზრდელობითი სწავლების პრინციპს და კმაყოფილდება მხოლოდ მოსწავლეთათვის იმ მეცნიერებათა საფუძვლების გადაცემით, რასაც ისინი ასწავლიან, ხოლო რაც შეეხება აღზრდას, ეს მათ მეორეხარისხოვან ან, უკიდურეს შემთხვევაში, კლასის ხელმძღვანელის საქმედ მიაჩნიათ. ასე ხდება იმიტომ, რომ სასწავლო მუშაობაში მიღწეული შედეგების შემოწმება ადვილია. ამ მიზნით არის შემუშავებული ცოდნის შემოწმებისა და შეფასების ხუთბალიანი სისტემა, აღმზრდელობით მუშაობაში კი მიღწეული წარმატებების შემოწმებისა და შეფასების ასეთი მწყობრი სისტემა ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. აღმზრდელმა ხშირად არც კი იცის, რა შედეგი გამოიღო მის მიერ ჩატარებულმა აღმზრდელობითმა ღონისძიებამ, რას მიაღწია მან. აღმზრდელობითი მუშაობის საერთო შედეგი თავს იჩენს მოსწავლეთა ქცევაში, მოქმედებაში, სიტყვა-პასუხში, ადამიანებთან ურთიერთობაში, შრომისადმი დამოკიდებულებაში და ა. შ. ეს დიდ დროსა და დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობას მოითხოვს, რაც, სამწუხაროდ, ყველას როდი გააჩნია.

ყოველივე ამის გამო თანამედროვე საზოგადოებაში მოგვიმრავლდნენ მლიქნელები, ბიუროკრატები, მექრთამეები, ყოყოჩა, ქედმაღალი, თავის თავზე ზედმეტი წარმოდგენის მქონე ახალგაზრდები. სწორედ ასეთების შესახებ წერდა თავის დროზე ვლადიმერ მაიაკოვსკი:

„...ბევრი, ო, ბევრი,
ოხერ-მუდრეგი
დადის მიწაზე

ამ ჩვენს გარშემო;
გზებზე დაძრწიან
როგორც ძაღლები,
არყის მსმელები,
ყალბისმქნელები,
ჭორის მთქმელები
და ღვთის გლახები,
ქრთამის ამღებნი
და მლიქვნელები,
დადიან ყინჩად,
მხნედ და ამაყად,
ზოგჯერ ჩინით და
მკერდის ნიშნებით...
ჩვენ მათ ოდესმე
მაგრად დავნაყავთ, –
წავშლით, ჩვენ მათგან
არ წავიშლებით!"

ასეთები სშირად გამომწვევად, თავხედურად იქცევიან და არაფრად დაგიდეევენ ზნეობრივ ნორმებსა და კანონებს.

თუ არა თავხედი, სხვა აბა რა უნდა უწოდო ისეთ კაცს, რომელიც არაფრად აგდებს ადამიანებს, თითქოს ვერც გამჩნევს და უბოდიშოდ რიგში შენ წინ დგება. ასეთ კაცს შენიშვნას თუ მისცემ, შეიძლება ეროი მაგრად შემოგიკურთხოს და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მოგაყენოს, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ ამისათვის პასუხს არავინ მოსთხოვს და ისიც იმას აკეთებს, რაც მოესურვება. იქვე შეიძლება იდგეს ინტელიგენტი კაცი, კოხტად ჩაცმულ-დახურული, თითქოს კულტურული, თავაზიანი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, „ენას მუცელში იგდებს" და ლაჩრულად გარბის „პრძოლის ველიდან". სანამ ადამიანებს ჯერ კიდევ შერჩენიათ წყეული ფსიქოლოგია – „ეს მე არ მეხება", „ეს ჩემი საქმე არ არის" და ა.შ. ქვეყნის წინსვლა-განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ადამიანისადმი მხარდაჭერა, მისი პიროვნების პატივისცემა, საჭიროების შემთხვევაში მისთვის თავდადებაც კი, უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის შეგზური ცხოვრე-

ბაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფრის მაქნისი ვიქნებით ქვეყნისათვის, ხალხისათვის — ვერც ვერავის გავიტანთ და არც არავინ გაგვიტანს. „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი, გზა ცხოვრებისა“, — ბრძანებს დიდი ილია. ვისაც ეს არ ესმის, ის ზნეობრივად უვიცი და საზოგადოებისათვის ზედმეტი ბარგია.

„ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „ჰე“ ხშირია და „ჩვენ“ — იშვიათი!“ — გვმოძღვრავს ბრძენი ილია.

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ილიასეული მორალის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი: ვისაც ადამიანის სიკეთე სურს, იგი დაუნდობლად უნდა ებრძოდეს უსამართლობას, ბოროტებას, ადამიანებში ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერებებს, რამეთუ „ჭეშმარიტი კაცობა არქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა“. ზოგიერთები კი თავს იმით ინუგეშებენ, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, ცოდვა არ აწევთ კისერზე. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნებისათვის საკმარისი არ არის. ადამიანი, რომელიც არაფერს აშავებს, მაგრამ არც სასიკეთო საქმეს აკეთებს და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით ამოიწურება, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება. ნამდვილი ზნეობრიობა მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაშია.

ყოველი ჩვენგანის კაცური კაცობა იმ დღიდან იწყება, როცა სხვათა ჭირისა და ლხინის მოზიარე ვხდებით, როცა სხვისი უბედურება ჩვენს პირად უბედურებად იქცევა და თავს ბედნიერად ვგრძნობთ, როცა ჩვენს ახლობელს თუ შორეულს მხარში ამოვუდგებით და ჭირ-ვარამს შევუმსუბუქებთ.

რა შესანიშნავად გამოხატა ეს იდეა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ: „ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, — წერდა იგი, — იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი

ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე"...

არა აქვს მნიშვნელობა, რა დარგის სპეციალისტი გამოვა ჩვენი აღსაზრდელი — ექიმი თუ ინჟინერი, პედაგოგი თუ ავრონომი, მხატვარი თუ მუსიკოსი, მთავარია, იყოს სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, რომელიც არ დაიშურებს არა მარტო ძალას, არამედ, თუ საჭირო დარჩა, სიცოცხლესაც კი, რათა დედამიწაზე მოისპოს სოციალური უსამართლობა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, გულგრილობა და ძალმომრეობა.

ჩვენი საზოგადოება ძალზე ბევრს აკეთებს იმისათვის, რათა ჩვენს პატარებს ბედნიერი ბავშვობა ჰქონდეთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბავშვი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდეს, მარტო საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის იბრძოდეს. მან კარგად უნდა იცოდეს, რომ ადამიანს დაბადებიდანვე, უფლებებთან ერთად, მოვალეობებიც თან დაჰყვება. ესაა მოვალეობა თავისი მშობლების, ახლობლების, ერისა და ქვეყნის წინაშე. იგი უნდა იყოს სხვათა მწუხარებისა და დარდის მოზიარე, სხვათათვის სიხარულისა და ბედნიერების მიმნიჭებელი. „შენ ცხოვრობ ადამიანთა შორის, შვილო ჩემო. უბედურებაა, თუ ფიქრობ, რომ ყველანი შენი მოვალენი არიან, შენ კი არავის წინაშე ვალში არა ხარ", — ასე მოძღვრავდა ჩვენი დროის დიდი უკრაინელი პედაგოგი ვასილ სუხომლინსკი თავის აღსაზრდელებს.

ამბობენ, იულიუს კეისარს სპეციალური მრჩეველი ჰყავდა, რომლის მოვალეობა მხოლოდ ის იყო, რომ ქვეყნის მბრძანებლისათვის დღეში სამჯერ შეეხსენებინა: „კეისარო, შენ მოკვდავი ხარ".

როგორც ყველა დროში, ახლაც საჭიროა ზოგიერთისათვის ამის შეხსენება. შეგხვდება ქუჩაში და სალამსაც არ მოგცემს, ან თუ გაიმეტა, მოწყალებასავით გად-

მოგიგდებს. ასეთი კაცი, თუ შენგან რაიმე სარგებელს არ მოელის, წყალში რომ იხრჩობოდე და შეეძლოს შენი გადარჩენა, ხელსაც არ გამოგიწვდის, უფროსის წინაშე კი მუხლებზე ხოხვას იწყებს, ოღონდ როგორმე მისი გული მოიგოს, რითიმე ასიამოვნოს. რა იქნებოდა ქვეყანა, ასეთი ქამელეონების ამარა რომ ყოფილიყო? ალბათ კაცობრიობა დიდი ხანია გადაშენდებოდა. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, არიან კეთილი ადამიანებიც, რომლებიც მზად არიან მოყვასისათვის თავი დადონ, მოძმეს საკუთარი სიცოცხლე უწილადონ. ამის ნათელი მაგალითია ის ენთუზიაზმი, ის სოლიდარობა, რაც ჰუმანიზმის მწვავე დეფიციტის პერიოდში ადამიანებმა გამოიჩინეს ჩერნობილში, სომხეთსა თუ საქართველოში დატრიალებული არაერთი უბედურების დროს.

ადამიანურ ურთიერთობათა რთულ სამყაროში ბავშვის შეყვანა, მისი გარკვევა ცხოვრების საიდუმლოებათა ლაბირინთებში ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი და, ამავე დროს, ურთულესი ამოცანაა. ბავშვმა ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე უნდა შეიგრძნოს, რომ გარემომცველ სამყაროში ყველაზე ძვირფასი კაპიტალია ადამიანი და მას ყველგან და ყოველთვის გვერდში ამოდგომა და მხარდაჭერა სჭირდება. მომავალი ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვზრდით, არ იქნება სრულყოფილი და სრულქმნილი, თუ მისი გული სიკეთით სავსე და ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობით არ არის გაჭთბარი, თუ მის ყოველ მოქმედებაში არ გამოსჭვივის სიკეთისადმი ლტოლვა, მისწრაფება, რომ თავისი არსებობით ბედნიერება და სიკეთე მოუტანოს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, სამშობლოს, საზოგადოებას. „ბავშვი შეიძლება იყოს დისციპლინიანი, გულმოდგინე, წესიერი, შრომისმოყვარე, მაგრამ თუ მისი გული ამხანაგების მწუხარებას, შეშფოთებას ან საზრუნავს არ ეხმაურება, თუ იგი მზად არ არის თავისი კეთილდღეობა შესწიროს სხვა ადამიანს, სამშობლოს, – მთელი მისი ღირსება გროშადაც არ ღირს“, – გვასწავლის ვ. სუხომლინსკი.

ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს ისეთი გული უნდა ჰქონდეს, რომ უმალ შეძლოს მეორე ადამიანის

წუხილისა და დარდის გაგება, ჭირ-ვარამის თვალებში ამოკითხვა. იგი მუდამ მზად უნდა იყოს, დახმარების ხელი გაუწოდოს დავრდომილსა და გაჭირვებულს, გული გაუთბოს დადარდიანებულ და დამწუხრებულ ადამიანს, რომელსაც, როგორც ჰაერი, ისე სჭირდება სხვისი თანაგრძნობა და გამხნევება.

მოსწავლეთა სულის გაფაქიზების, მათში ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობების გაღვივების მიზნით ხშირად უნდა მოვიშველიოთ ცოცხალი სიტყვა. საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ პატარები კონკრეტული სახეებით აზროვნებენ. ამიტომ საუბარი უნდა წარვმართოთ მათთვის ნაცნობ თემაზე, სკოლის, სოფლის, ქალაქის ცხოვრებიდან აღებული მაგალითების მოშველიებით. ხელიდან არ უნდა გავუშვათ არც ერთი ხელსაყრელი შემთხვევა, რომელიც შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მოსწავლეებში ჰუმანური გრძნობების გამომუშავებისათვის.

შეედივარ მეორე კლასში, იგონებს ვასილ სუხომლინსკი, და ეხედავ, მოსწავლე, რომელსაც ბებია გარდაეცვალა, წინა მერხზე ზის და თვალებში შემომცქერის.

— შენ ხომ ბებია გარდაგეცვალა, რატომ მოხვედი დღეს სკოლაში? — ეეუბნები ბავშვს. იგი კი მპასუხობს:

— მამამ მითხრა, რომ შენ ამისათვის გაკვეთილები არ უნდა გააცდინოო.

ოჰ, როგორ დამწყვიტა გული ამ სიტყვებმა, — განაგრძობს პედაგოგი. — მამა შთააგონებს ბავშვს: დიდი ამბავი, ბებია გარდაიცვალა. ამისათვის გაკვეთილები რატომ უნდა გააცდინოო.

ატარებდა პედაგოგი გაკვეთილს და სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაერწმუნებინა არა მარტო ის მოსწავლე, არამედ მთელი კლასი, რომ ადამიანი ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი არსებაა, რომ მას ყველგან და ყოველთვის დაფასება და პატივისცემა სჭირდება.

დაირეკა გაკვეთილის დამთავრების მაუწყებელი ზარი და პედაგოგი მიმართავს პატარებს:

— ბავშვებო, ჩვენ ახლა წავალთ.

— სად, პატივცემულო მასწავლებელო? — კითხულო-

ბენ გაოცებული აღსაზრდელები.

— საჭირალში.

და აი, პედაგოგი, კლასის ხელმძღვანელთან ერთად, წაუძღვა ბავშვებს წინ. მივიდნენ, თანაგრძნობა გამოუცხადეს გარდაცვლილის ახლობლებს, მიცვალებულის შვილიშვილი იქვე დატოვეს და თვითონ სკოლაში დაბრუნდნენ, გაკვეთილები განაგრძეს. არაფერი დაშავებულა იმით, რომ იმ დღეს მეორეკლასელები შინ ცოტათი გვიან დაბრუნდნენ. სამაგიეროდ მათ ისწავლეს გულისხმიერება, ადამიანის სიყვარული, დაფასება და პატივისცემა.

ასე თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევიყვანოთ ჩვენი აღსაზრდელები მოვალეობის ლაბირინთებში და საფუძველი ჩავუყაროთ მათ გულებში იმ წმინდა გრძნობას, რასაც საშობლოსა და ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული ჰქვია.

1990 წლის დეკემბერი

ცოდნა რომ რწმენად ვაქციოთ

ბავშვი რომ აქტიური იყოს და ცხოვრებაში სიკეთეს ნერგავდეს, მას უნდა გააჩნდეს გარკვეული ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება. მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც. ყოველგვარი ცოდნა მისი შესრულების, პრაქტიკაში გამოყენების გარანტიას როდი იძლევა. „ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა, — აღნიშნავდა დიდი რუსი მწერალი და პედაგოგი ლევ ტოლსტოი, — როცა იგი მოპოვებულია გონების დაძაბვით და არა მეხსიერების წყალობით". „არის აზრები, რომლებიც წვალებით უნდა შიბო. სწორედ ეს აზრები არის ყველაზე ღირებული", — ფვასწავლის ცნობილი პოლონელი პედაგოგი იანუშ კორჩაკი. ეს ბრძნული შეგონება უნდა გაიხადოს ყოველმა მოსწავლემ თავისი მოქმედების კრედოდ, რათა არ შეეშვიოს ზეპირობას, უაზრო ზეთხვას, არამედ იფიქროს, იაზროვნოს, იმსჯელოს, გაერკვეს მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში. ასე შეეჩვევა იგი სწავლებასთან დაკავშირებული სიძნელეების დაძ-

ლეგას და განუმტკიცდება საკუთარი ძალების რწმენა.

დაზეპირებული ცოდნა არ არის ნამდვილი ცოდნა: მოსწავლემ ძალზე კარგად იცის, რომ გაკვეთილზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ მაინც ჩურჩულებს; იცის, უფროსებისადმი პატივისცემაა საჭირო, მაგრამ მაინც უხეშობს; იცის, მოხუცებულს ადგილი უნდა დაუთმოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაგრამ ამას არ აკეთებს და ა.შ. ეს იმიტომ, რომ ცოდნა მას არ შესისხლხორცებია, არ გადაქცევია რწმენად. ცოდნა გადადის აქტიურ მოქმედებაში მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეგნებულად შეთვისებული, ღრმად გააზრებული და რწმენად ქცეულია. რწმენა კი შეგნების უმაღლესი საფეხურია. ამიტომ ცოდნისა და რწმენის გაიგივება არ შეიძლება. ყოველი რწმენა ცოდნაა, მაგრამ ყოველი ცოდნა რწმენა არ არის. „რწმენა და ცოდნა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად, — წერდა გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ნ. დობროლიუბოვი, — როცა მან შეაღწია ადამიანში, შეერწყა მის გრძნობასა და ნებისყოფას, არსებობს მასში შეუგნებლად, როცა იგი სრულიადაც არ ფიქრობს მასზე“.

აქ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში მოხდა. ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, რომელიც ბაბტისტური სექტის წევრი აღმოჩნდა, შეკითხვაზე — როგორ მოხდა, რომ ის მარქსისტულ ფილოსოფიას, ათეიზმს ხუთებზე აბარებდა და ამავე დროს სექტის წევრი იყო — უპასუხა: სემინარებსა და მეცადინეობებზე მეკითხებოდნენ, თუ რას ამბობდნენ ამა თუ იმ საკითხზე მარქსიზმის კლასიკოსები, მაგრამ არასოდეს დაინტერესებულან, რას ვფიქრობდი პირადად მე ამ საკითხებზე. ნიშანს ვიღებდი ცოდნისათვის და არა რწმენისათვისო.

მეტად საინტერესო და ყურადსაღები ფაქტია, რომელიც ყოველმა აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს.

ყოველგვარი საქმიანობა ნაყოფიერი იქნება, თუ იგი ემყარება რწმენას, ხოლო ღრმა რწმენა ადამიანს მაშინ უჩაღიბდება, როცა მან იცის, რომ იგი არის ჭეშმარიტი. ასეთი რწმენა ხელს უწყობს პიროვნების ისეთი თვისე-

ბების განვითარებას, როგორიცაა: აქტიურობა და ინიციატიცა, დამოუკიდებლობა და შეუპოვრობა.

რწმენის გარეშე ადამიანები არიან ინერტულნი, უნებისყოფონი, უბრალო შემსრულებელ-ავტომატები, არასაიმედონი როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე პირად ურთიერთობაში. რწმენა კი ადამიანს ხდის ინიციატივიანს, შემოქმედს, შეუპოვარს ბრძოლაში ყოველივე იმის დასაძლევად, რაც ხელს უშლის მიზნის მიღწევაში.

ადამიანებში რწმენის შემუშავება მათში კაცურკაცობის ფორმირების საწინდარია. თუ ცოდნა რწმენადაა ქცეული, მისი უარყოფა ძნელია, მას ვერსად გაექცევი. კაციბრიობის მოწინავე ადამიანები თავს სწირავდნენ მშვენიერი იდეალისათვის, ღრმად დარწმუნებულნი მათი განხორციელების შესაძლებლობაში. ამის ნათელი მაგალითია ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეის, ზოია კოსმოდემიანსკაიას და სხვათა საქციელი. საკმარისი იყო ჯორდანო ბრუნოს ეთქვა, დედამიწა არ ბრუნავსო, ან ზოია კოსმოდემიანსკაიას დაეკმაყოფილებინა ფაშისტების თხოვნა — გაეცა ამხანაგები და ისინი სიცოცხლეს შეინარჩუნებდნენ, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, რადგან ღრმად სწამდათ ის, რისთვისაც იბრძოდნენ.

აი, რას წერს პოეტი გიორგი გიგაური ლექსში „რწმენა“:

„— უარყავიო! — ურჩევდნენ ურჩად, —
რომ დედამიწა ბრუნავს მარადჟამს,
ჯორდანო ბრუნო უძლეველ ბურჯად
დგას სანუკვარი აზრის დარაჯად.
— ნამდვილად ბრუნავს, — ამბობს და ღელავს,
— კვლავაც იბრუნებს, ნუ მედავებით!..
მერმე შესწირა სიცოცხლე რწმენას
და დაიმკვიდრა მზე უკვდავების“.

რწმენისადმი ერთგულების საუკეთესო მაგალითია ქეთევან დედოფლის ცხოვრება. შაჰ-აბასს ცდა არ დაუკლია თავის რჯულზე მისი მოქცევისათვის. თუ იგი გამაჰმადიანდებოდა, შაჰი მას ცოლად შეირთავდა და ოქრო-ვერცხლით აავსებდა, უარის შემთხვევაში კი ტანჯვა-წამებით სული ამოხდებოდა. მიუხედავად ამისა,

სარწმუნოების შეცვლას ქეთევანმა წამებით სიკვდილი ამჯობინა, რითაც თავისი რწმენისადმი შესაშური ერთგულება, სიმტკიცე და თავდადება გვიჩვენა.

ბავშვის ზნეობრივი აღზრდა, მისი ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბება ხორციელდება ცხოვრების პროცესში, აღზრდისა და სწავლების ორგანიზებულად და მიზანმიმართულად წარმართვის პირობებში, ეს იქნება ოჯახი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება თუ სკოლა. განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ სკოლის როლი. ცოდნის სისტემატიურად გამოყენება შრომა-საქმიანობაში, სწავლების მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან ცოდნის რწმენად გადაქცევის საუკეთესო საშუალებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი ცოდნა ჩაკედება ან გაფერმკრთალდება, ფორმალური გახდება. ამიტომ პედაგოგებმა სისტემატიურად უნდა იზრუნონ იმისათვის, რათა ბავშვთა კოლექტივების ცხოვრებასა და საქმიანობაში შექმნან ისეთი რეალური დამოკიდებულება, რომელიც ყოველ ბავშვს, მოზარდს, ჭაბუკსა თუ ქალიშვილს ჩააყენებდა გარკვეულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, სტიმულს მისცემდა მათ აქტიურ საქმიანობას საზოგადოების საკეთილდღეოდ, ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებისა და წესების დაცვას. მოსწავლეთა სასკოლო და სკოლისგარეშე ცხოვრების მთელმა რეჟიმმა უნდა შექმნას პირობები ცოდნის რწმენად და შემდგომში მათ შესაფერის ქცევად გარდაქმნისათვის. ამ საქმეში საჭიროა სკოლის ყველა მასწავლებლის დარაზმულობა, მიუხედავად იმისა, თუ რა საგანს ასწავლიან ისინი. არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი სასწავლო საგანი, რომელსაც დამოკიდებულება არ ჰქონდეს ამ საკითხთან. სწავლების პროცესში მოსწავლეებმა უნდა შეიცნონ მეცნიერების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მათ უნდა ისწავლონ თავიანთი ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. მთავარია, რომ მოსწავლეებს გავუღვივოთ ზნეობრივი სრულყოფის შინაგანი მოთხოვნილება. მაგრამ, ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ მათი მიმართულება განისაზღვრება ასევე ცხოვრების პირობებითა და ადა-

მიანთა ურთიერთობის მთელი სისტემით. დ.ი. პისარევის მოხდენილი გამოთქმით, რწმენა არ შეიძლება ვისესხოთ კეთილი მეზობლებისაგან ან შევიძინოთ მახლობელ საბაყლოში. რწმენას ვერც იყიდი და ვერც გაყიდი. იგი შენი სულია. ადამიანს რწმენის გარეშე არსებობა არ შეუძლია, ისევე როგორც უჰაეროდ და უსულოდ. როცა იგი რწმენას კარგავს, ნაადრევად კვდება. ამიტომ მოზარდი თაობის აღზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რწმენის ჩამოყალიბებას.

რწმენამ თავისი გამოხატულება უნდა პოვოს მოზარდის ქცევაში. მოქმედებაში, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა-საქმიანობაში, ქვეყნისა და ხალხისადმი ერთგულებაში. თუ პიროვნება უბრალოდ იზიარებს ამა თუ იმ იდეას და არ იბრძვის ცხოვრებაში მისი განხორციელებისათვის, მაშინ მისი რწმენა პასიური იქნება. ცოტა როდია ისეთი ადამიანი, რომელიც მხოლოდ სიტყვით ქადაგებს მაღალ იდეურ რწმენას, საქმით კი შორს დგას მისგან.

ნამდვილი რწმენა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ არა მარტო გესმოდეს და იცოდე, არამედ იბრძოდე ცხოვრებაში მისი გატარებისათვის, უკან არ დაიხიო სიძნელეთა წინაშე. თითოეულმა ჩვენგანმა ობიექტურად უნდა შეაფასოს საზოგადოებრივი ვითარება და იმოქმედოს ისე, როგორც ამას საკუთარი სინდისი უკარნახებს.

მოვიყვან ასეთ მაგალითს. საღამო იყო. ერთ-ერთი საქალაქო ავტობუსით სამუშაოდან შინ ვბრუნდებოდი. ავტობუსი მგზავრებით იყო სავსე და, ისედაც ცხელ ამინდში, სუნთქვა ჭირდა. ერთმა ქალიშვილმა ავტობუსის სახურავზე მოთავსებული სარკმელი შეაღო, მაგრამ მის უკან მდგომმა ვაჟმა უთხრა: — დახურე, გაოფლიანებული ვარ და გავცივდებიო.

ეს ისეთი კატეგორიული ტონით იყო ნათქვამი, რომ ქალიშვილმა ბრძანება მაშინვე შეასრულა და ყველაფერი თითქოს ამით დამთავრდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ავტობუსში მგზავრების რიცხვმა იკლო, ვაჟი „დამნაშაევესთან“ მიიჭრა და ლანძღვა დაუწყო. ქალიშვილს უმალ ცრემლები წასკდა და დაიძახა:

— ხალხო, ვინაა ეს, რა უნდა ჩემგან, რა დავუშავე?!

ირგვლივ სიჩუმე გამეფდა. ვერავინ ბედაუდა ხმის ამოღებას. ვერ მოვითმინე და ვაჟს მივმართე: „როგორ არ გრცხვენია, ვაჟკაცი ჩანხარ და უმწეო ქალიშვილს კი შეურაცხყოფას აყენებ-მეთქი“.

— მერე, შენი რა საქმეა, შენ ვინ გეკითხება! — დამიღრიალა ჩვენმა „გმირმა“.

ჩემდა საბედნიეროდ, ავტობუსში აღმოჩნდა ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, ჩემი ახლო ნაცნობი და მან მხარი დამიჭირა. „როგორ თუ ჩვენი საქმე არ არის, — მიმართა მან ვაჟს, — შენ ცოტა ჭკვიანად იყავი, თორემ ჩაგაგდებთ ძირს“.

ამის შემდეგ ერთმა ხანდაზმულმა ქალმა ისეთი დღე აყარა იმ ვაჟს, რომ იგი ავტობუსის პირველსავე გაჩერებაზე ჩაეიდა, თუმცა, როგორც შემდეგ გავიგე, იქ არ ცხოვრობდა.

ალბათ სულ სხვაგვარად წარიმართებოდა მოვლენის მსვლელობა, მეც რომ გავჩუმებულიყავი ან ის სკოლის დირექტორი არ წამომშველებოდა.

სამწუხაროდ, ხშირად ასეთ დროს ხმას არავინ იღებს და დამნაშავეც თავს არხეინად გრძნობს, რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს. ამიტომაცაა, რომ ხშირად დღისით-მზისით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩხუბის, აყალ-მაყალისა და ლანძღვა-გინების მოწმე ვხდებით, რაც ზოგჯერ მკვლელობითაც კი მთავრდება.

ამ მიმართულებით მოსწავლეებთან მუშაობის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს აგრეთვე ის ფაქტი, რომ საკმარისი არ არის, ადამიანი მარტო თვითონ იყოს წესიერი, შრომისმოყვარე; ამასთან ერთად, იგი უნდა იყოს აქტიური ყოველგვარი უყაირათობის, დაუდევრობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზნეობრივი აღზრდის ამოცანა მარტო ბოროტების წინააღმდეგ იმუნიტეტის შემუშავება კი არ არის, არამედ მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის თვისებების აღზრდაცაა. ეს კარგად ესმოდა ვასილ სუხომლინსკის. ყველაზე დიდ მანკიერებად ადამიანში მას გულგრილობა მიაჩნდა. „საცა გულგრილობაა, იქ არ არის ნამდვილი პიროვნება“, — აღნიშნავდა დიდი პედაგოგი და მოუწოდებდა მასწავლებლებს აღეზარდათ თავიანთი მოსწავლეები

უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ მოქალაქეებად. „ჩემს საყვარელ მოსწავლეებად მიმაჩნია არა გამაღონი და უსიტყვონი, რომლებიც მზად არიან ყველაფერს დაეთანხმონ და ყველაფერი შეასრულონ, — წერდა იგი, — არამედ ენინიანები, ნებისყოფიანები, მოუსვენრები, ზოგჯერ ოინბაზები და ცელქები, მაგრამ ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ მეამბოხენი“...

ამ სულისკვეთებით ზრდიდა სუხომლინსკი არა მარტო თავის მოსწავლეებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ შვილებს. სხვა მრავალ ფაქტთან ერთად, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი წერილი ვაჟიშვილისადმი, რომელმაც აცნობა მამას, რომ კოლმეურნეობაში ათ ტონამდე ვაშლი ღორებს შეაჭამეს, ხოლო სამი ჰექტარი პომიდორი მოუკრეფავი დარჩა და თავმჯდომარემ, კვალის დასაფარავად, ნაკვეთი ტრაქტორებით გადაახვნევინაო: „შენ მწერ: „როცა დილით ის ნაკვეთი გადასნული დავინახე, გული კინაღამ მკერდიდან ამომიეარდა“... მერე რა? რა მოუვიდა შენს გულს? დაგიმშვიდდა, როგორც ჩანს, და ახლა წყნარად გიცემს?.. ცუდია. ძალზე ცუდი... საკუთარ თავში სინდისის ხმა თუ ჩაახშე — ეს ძალზე სახიფათოა. თუკი ერთ რომელიმე უსამართლობას წაუყრუებ, მალე აღარაფერს მიაქცევ ყურადღებას...

ადამიანი რწმენის გარეშე ჩვარი, არარაობაა. რაკი დარწმუნებული ხარ, რომ შენ თვალწინ ბოროტება ხდება, — დაე, შენი გული ყვიროდეს ამაზე. იბრძოლე ბოროტების წინააღმდეგ, იბრძოლე ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის“.

ადამიანი, რომელიც არაფერს აშავებს, მაგრამ არც სასიკეთო საქმეს აკეთებს და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით ამოიწურება, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება. ნამდვილი ზნეობრიობა მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაშია. ჯერ კიდევ ჭაბუკი აკაკი წერეთელი წერდა, რომ ადამიანი, რომელიც მხოლოდ თავისი თავისათვის ზრუნავს, ბევრად არ განირჩევა პირუტყვისაგან. მისი კაცური კაცობა იმ დღიდან იწყება, როცა იგი სხვათა ჭირისა და ლხინის მოზიარე ხდება.

ეს აზრი კარგად აქვს გამოხატული ილია ჭავჭავაძეს მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ლუარსაბი ევედრება ღმერთს შვილი მისცეს: „წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისთვის მე არ მამიპარავს, – რაზედ ვარისხებ ღმერთსა?“ – კითხულობს იგი. დიდი ილია კი ღმერთის პირით პასუხობს: „მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია, – ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ესლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?“ შენ მხოლოდ საკუთარ კუჭზე ზრუნავდი. „ყველა – ყველა და ამაღამ ეახშმად რა გვაქვს?“ – ეს იყო შენი მთავარი საზრუნავი და სადარდებელიო, მიანიშნა თავისი პასუხით ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბს.

ზოგჯერ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რწმენა, მაგრამ იგი არ დაემთხვეს მის ყოფაქცევას. ეს ხდება მაშინ, როცა მას არ ყოფნის ნებისყოფა, არ შესწევს უნარი – მოიქცეს მისთვის ცნობილი ზნეობრივი ნორმების შესაბამისად. მაგალითად, მოზარდი, რომელიც ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ ტყუილის თქმა დაუშვებელია, მაინც ცრუობს, რათა გაექცეს სასჯელს; მოსწავლე, რომელმაც კარგად იცის სწავლის ფასი, მაინც ზარმაცობს და ა.შ.

რწმენას შეიძლება ჰქონდეს სიმტკიცის სხვადასხვა ხარისხი. ორჭოფობას, მერყეობას რწმენაში ზოგჯერ დანაშაულობამდე მივყავართ. ეს კარგად არის ნაჩვენები გ. შედინსკის წიგნში „პატიოსნება“. რიგიან ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა დარწმუნებული იყო, რომ ძარცვა ცუდი საქციელია, მაგრამ ეს რწმენა მასში მერყეობდა, მის ძვალ-რბილში არ იყო გამჯდარი. როცა მას სთხოვეს, პირდაპირ არ მიეღო მონაწილეობა გაქურდვაში, მხოლოდ გუშაგად დამდგარიყო, მან ამაში რაიმე დიდი დანაშაული ვერ დაინახა და აჰყვა ცდუნებას, რამაც დანაშაულამდე მიიყვანა. იგი ნანობს თავის საქციელს, მაგრამ ახლა, როგორც იტყვიან, გვიანღაა თითზე კბენანი. მისი ზნეობრივი საძირკველი თავიდანვე მტკიცე რომ ყოფილიყო, იგი ასე იოლად არ გახდებოდა

დამნაშავეთა თანამონაწილე. სამწუხაროდ, ამ ლიტერატურულ გმირს ცოტა როდი ჰყავს ცხოვრებისეული პროტოტიპი. ამიტომაც, ზნეობრივი გრძნობების აღზრდასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცის აღზრდას.

რაა საჭირო იმისათვის, რომ მოსწავლეებს გამოეუმუშაოთ რწმენის შესაბამისი ქცევა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა? ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათი ვარჯიში აღნიშნული მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს მათში ზნეობრივი ქცევის ჩვევებისა და ჩვეულებების ჩამოყალიბებას. ამასთან, ვარჯიში არ უნდა იყოს მექანიკური. ზნეობრივ აღზრდაში უნდა ვერიდოთ როგორც ინტელექტუალიზმისაკენ გადახრას, ისე მეორე უკიდურესობას — მექანიკურ წვრთნას. როგორც ერთს, ისე მეორეს შეუძლია მიგვიყვანოს სიტყვისა და საქმის ერთიანობის დარღვევამდე.

ადამიანის მორალური სახისა და რწმენის შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვდიოდეთ რწმენის შინაარსიდან, იქიდან, თუ საით არის იგი მიმართული — ბოროტებისა თუ სიკეთის დამკვიდრებისაკენ. თუ პიროვნების რწმენას ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის, მაშინ თვით პიროვნებაც უზნეო გამოდის, რადგან მას შეგნებულად მოაქვს ზიანი საზოგადოებისათვის. ნაცისტებიც მოქმედებდნენ რწმენით, მაგრამ საკითხავია, რას წარმოადგენდა ეს რწმენა. იგი გადმოცემულია ფაშისტების მეთაურის ჰიტლერის ერთ-ერთ უამონათქვამში, საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისთანავე რომ განაცხადა: „ჩვენი ძალა მოქნილობასა და სისასტიკეშია. ჩინგიზ-ხანმა სრულიად გულდაშვიდებით გაჟლიტა მილიონობით ბავშვი და ქალი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისტორია მასში, უწინარეს ყოვლისა, მაინც სახელმწიფოს დიდ დამფუძნებელს ხედავს. არც მე მენაღვლება, რას იტყვის ჩემზე ევროპის დაჩაჩანაკებული ცივილიზაცია. მე გავეცი ბრძანება და დავხვრეტ ყველას, ვინც ერთ სიტყვას დაძრავს საწინააღმდეგოდ. ამ ომის მიზანია არა გარკვეულ საზღვრამდე მისვლა, არამედ მოწინააღმდეგის ფიზიკური მოსპობა“

ასეთი რწმენით მოქმედებდნენ ნაცისტები, რამაც კა-

ცობრიობა ლამის კატასტროფამდე მიიყვანა.

აღსრდა პროცესია, მოძრაობაა, მაგრამ მოძრაობა ყოველთვის პროგრესული არაა. ერთ შემთხვევაში იგი აღმავალი გზით მიდის, მეორეში კი — დაღმავალით. ქცევის ის მხარე, რასაც „პიროვნების პოზიცია", „აქტიურობა", „დამოკიდებულება", „მიმართება" ეწოდება, ქცევის მოტივით განისაზღვრება. ხშირად ერთი და იგივე ქცევა სხვადასხვა ფსიქოლოგიური ბუნებისაა, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოტივით სრულდება იგი. ამიტომ საჭიროა, პირველ ყოვლისა, გაირკვეს მოსწავლის ქცევის მოტივი. მაგალითად, მოსწავლემ მასწავლებელს აცნობა, რომ თენგიზი საშინაო დავალებას თამაზისაგან იწერს. სიკეთეა თუ არა მისი მოქმედება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია მანამ, სანამ არ გაირკვევა მოსწავლის მიერ ჩადენილი ქცევის მოტივი. ერთია, თუ მან მასწავლებელს აცნობა ამხანაგის უწესო მოქმედების შესახებ მისთვის ზიანის მიყენების მიზნით და მეორე, თუ იგი ჩადენილია ამხანაგის გამოსწორების მოტივით და ა.შ.

აღნიშნული მიმართულებით მოსწავლეებთან მუშაობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე იმას, რომ ბავშვი ამა თუ იმ საქმეს აკეთებდეს ყოველგვარი სარგებლიანობის, გამორჩენის გარეშე, მაშინაც კი, როცა იგი დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს ვერც ამ საქციელის ჩადენის მომენტში და ვერც შემდგომში.

აი, რას მოგვითხრობს ჟურნალისტი ნარგიზა მგელაძე თავის წიგნში „ათასი მოწმე": „ჩვენი რაზმის პიონერებს სამამულო ომის ვეტერანებზე შეფობა გვაქვს აღებული, — წერს რედაქციას მეექვსეკლასელი მოსწავლე, — მე და ჯაბა მეზობლები ვართ და ისინიც, ვისაც ჩვენ შეფობას ვუწევთ, ერთ უბანში ცხოვრობენ.

ერთხელ მივდიოდართ მე და ჯაბა მათთან და ვხედავთ, ერთ კაცს რაღაც უცნაური ჯოხი უჭირავს ხელში, რომელიც ტკაცანით იხსნება. ჯერ ამ ჯოხს მივაქციე ყურადღება, მერე კაცს შევხედე და მიეხვდი, რომ უსინათლო იყო და ქუჩის მეორე მხარეს უნდოდა გადასვლა. მე ჯაბას ვანიშნე: გადავიყვანოთ-მეთქი.

— მოგცლია ერთი შენ. ჩვენ რა, ყველა ბრმის შეფი კი არა ვართ. რა დაეალებაც გვაქვს, ხომ ვასრულებთ, ჰოდა, საკმარისია. ვინ შეგვხედავს, ეს ბრმა ხომ არ მოვა რაზმის შეკრებაზე და ხომ არ იტყვის — მადლობა თქვენს პიონერებს, ქუჩაზე გადამიყვანესო?

მე მოვცილდი ჯაბას, ბრმას დავეწიე და ქუჩის მეორე მხარეს გადავიყვანე, იმ სანაყინემდეც მიეიყვანე, სადაც მიდიოდა.

განა ნაშდვილი თემურელი იმისთვის ირჯება, რომ მადლობა გამოუცხადონ და ისიც რაზმის შეკრებაზე! განა უმწეო ადამიანს რომ დაეხმარო, ეს აუცილებლად სადმე უნდა ჩაწერო?"

აი, როგორ მსჯელობს მეექვსეკლასელი ბავშვი. ყველა რომ ასე ფიქრობდეს და იქცეოდეს, მაშინ ნაკლები ადგილი ექნება ცხოვრებაში იმ ნეგატიურ მოვლენებს, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხედებით.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიცოცხლე აქტიურობაა. ამიტომ მოზარდს, რომელშიც სიცოცხლე დიდი ძალით ჩქეფს, არ შეუძლია უმოძრაოდ დარჩეს და ცხოვრების რომელიმე გზას არ დაადგეს. მაგრამ ის გზები, რომელთაც იგი თავისთავად, დამოუკიდებლად ირჩევს და მიჰყვება, ყოველთვის მწვერვალებისაკენ არ მიდის, ყოველთვის მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის არაა. ამიტომ აღმზრდელმა მოზარდს ისეთი გზები უნდა დაუსახოს, რომლებიც მასში მაღალზნეობრივი თვისებების გამომუშავებას უზრუნველყოფენ.

1987 წლის ოქტომბერი

ფორმალიზმი მეთოდური მუშაობის მტერია

სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, მეცნიერებისა და განათლების სწრაფმა განვითარებამ გაზარდა სასწავლო დისციპლინების მოცულობა და შინაარსი. ამიტომ თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა თვალდათვალ იზრდება,

უკვე საკმარისი არ არის მოსწავლეთა აღჭურვა გარკვეული რაოდენობის თეორიული ცოდნით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მათში ამ ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის უნარის გამომუშავება და მეცნიერული ინფორმაციის მოზღვავებულ ნაკადში ორიენტირება. ამისათვის კი აუცილებელია სწავლების მოთხოვნები შეეუსაბამოთ ცხოვრების მოთხოვნებს, რათა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა შეძლოს თავის თავზე დამოუკიდებლად მუშაობა და ცხოვრებაში საკუთარი გზის გაგნება. ეს კი მოითხოვს საგაკვეთილო პროცესის ახლებურად, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას, სწავლების ხერხებისა და მეთოდების უფრო რაციონალურად გამოყენებას, რათა გაკვეთილზე შეექმნათ პრობლემური სიტუაცია, ვაიძულოთ მოსწავლე დაფიქრდეს, გამოთქვას საკუთარი აზრი, იმსჯელოს, იაზროვნოს, გაერკვეს მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებში.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ იგი სისტემატურად იმუშავებს თავის თავზე, ყოველდღიურად აიმაღლებს მეცნიერულ-თეორიული ცოდნის დონეს, იზრუნებს სწავლა-აღზრდის ხერხებისა და მეთოდების დაუფლებისათვის. სამწუხაროდ, ყველა მასწავლებელი როდი წარმართავს სწავლებას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. განათლების განყოფილებათა მეთოდური კაბინეტებისა და სკოლების ხელმძღვანელები სერიოზულად უნდა მოეკიდონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მაგრამ ხშირად დახელოვნების კურსებზე გზავნიან ერთსა და იმავე პედაგოგს, კერძოდ, იმას, ვისაც ნაკლები დატვირთვა აქვს სკოლაში და მისი შემცვლელის გამონახვა ადვილია, ან იმას, ვისაც სხვადასხვა მიზეზის გამო ხელს აძლევს ქალაქში ყოფნა.

გასულ წელს აჭარის განათლების სამინისტრომ და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა შეისწავლ0ეს თავიანთი სამოქმედო ზონების მასწავლებელთა კვალიფიკაციის მდგომარეობა და აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი ხუთი და უფრო მეტი წლის განმავლობაში ზოგიერთი სკოლის მასწავლებელთა საკმაოდ დიდ ნაწილს

არ გაუვლია კურსები. მაგალითად, ქ. ბათუმის № 27 რუსულ საშუალო სკოლაში კურსებგაუვლელი აღმოჩნდა 12 მასწავლებელი, № 1 სკოლაში – 9, № 6 სკოლაში – 6 და ა.შ. ასე იმიტომ ხდება, რომ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი არ ზრუნავს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მათ არც კი იციან რიდის, სად და რა კურსები გაიარა მათმა პედაგოგმა, არ გააჩნიათ კურსებგაუვლელ მასწავლებელთა სია და ა.შ.

შემოწმებამ ცხადყო, რომ აჭარის ასსრ სკოლებში წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა, მაგრამ მაინც შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი. კერძოდ, ზოგიერთ სკოლაში საგნობრივ მეთოდგაერთიანებებს ხელმძღვანელობენ ნაკლები გამოცდილებისა და სტაჟის მქონე მასწავლებლები, რის გამოც მეთოდური მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მეთოდგაერთიანებების ხელმძღვანელები, ხშირ შემთხვევაში, ვიხასწარ არ ამოწმებენ სხდომებზე განსახილველ მოხსენებებს. ამიტომ მოხსენებათა დიდი ნაწილი ზოგადი და არაფრისმთქმელია. მათში არ არის სკოლის ცხოვრებიდან, საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან აღებული კონკრეტული მაგალითები. ზოგიერთი მეთოდგაერთიანების გეგმა არ ითვალისწინებს თვით მათი საშუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცებას, არ ინახავენ სხდომებზე განხილულ ყველა მოხსენებას და სხვ. ბევრგან საგნობრივი მეთოდგაერთიანებების გეგმებში ითვალისწინებენ მხოლოდ მოხსენებების მომზადებასა და ღია გაკვეთილების ჩატარებას, რაც შეეხება ინსტრუქციულ-მეთოდური ხასიათის წერილების, მითითებების, წერის ნორმებისა და სახეობების, წრეობრივი მუშაობის, დამატებითი ბილეთების, ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განხილვას, იშვიათად ან სრულებით არ შეაქვთ გეგმებში.

ცალკეული საგნობრივი მეთოდგაერთიანებები ასევე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ „პედაგოგიურ კითხვაზე" გასაგზავნი მოხსენებების განხილვა-რეცენზირებას. სწორედ ამიტომაა, რომ, არც თუ ისე იშვიათად, საოლქო პედაგოგიურ კითხვაზე გზავნიან პედაგოგიური

ჟურნალ-გაზეთებიდან გადაწერილ, მოვალეობის მოსდის მიზნით შესრულებულ მოხსენებებს. მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს ქედის რაიონიდან „პედაგოგიურ კითხვაზე“ წარმოადგინეს 50-მდე მოხსენება, მაგრამ მათგან რეცენზენტებმა მხოლოდ 13 მოიწონეს, მაშინ როცა ქალაქ ბათუმის № 1 და № 2 სკოლებიდან ყოველწლიურად 10-12 მოხსენება იკითხება. წელს მარტო ხელოს რაიონის ქედლების რვაწლიანი სკოლიდან 5 მოხსენება იქნა წაკითხული.

საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა ერთი ნაწილი ნაკლებად ეხმარება მასწავლებლებს თემატიკური და თვითგანათლების გეგმების შედგენაში. ამიტომაცაა, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ვერ ადგენს თავის თავზე მუშაობის სრულყოფილ გეგმას. ზოგიერთი პედაგოგი დასამუშავებელ საკითხებს არ ალაგებს ცალკეული განყოფილების მიხედვით, ან ერთმანეთში ურევს მეთოდიკისა და თეორიის საკითხებს. ზოგიერთს კი თვითგანათლების გეგმაში შეტანილი აქვს კლასიკოსი პედაგოგებისა და მწერლების დიდტანიანი ნაშრომები, რომელთა დამუშავება არა თუ მითითებულ ვადებში, არამედ მთელი სასწავო წლის განმავლობაშიც კი შეუძლებელია.

ზოგიერთი მასწავლებელი თავის თავზე მუშაობის გეგმას კი ადგენს, მაგრამ შემდეგ შიგ არ იხედება. ეს იმის ბრალია, რომ სკოლის დირექცია არ აწესებს კონტროლს გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე. აბა რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამას წინათ ქ. ბათუმის № 9 და № 16 საშუალო სკოლების მასწავლებელთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო თვითგანათლების გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე რეფერატების, მოკლე ჩანაწერების ან თეზისების წარმოდგენა.

ზოგიერთ სკოლაში არ არის მეთოდური კუთხე, საერთოდ ყურადრება არ ეთმობა მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას და იგი მხოლოდ მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და ღია გაკვეთილებით ამოიწურება.

ყველა ეს ნაკლოვანება იმის შედეგიცაა, რომ განა-

თლების განყოფილებათა მეთოდური კაბინეტის მეთოდისტები ხშირად საინსპექტორო ან ახვა საქმეებით არიან დაკავებულნი და თავიანთი უშუალო მოვალეობის შესასრულებლად დრო აღარ რჩებათ, ცალკეული სკოლების ხელმძღვანელები კი სუსტად ან სრულებით არ იცნობენ სკოლაში მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის დებულებას და არასწორად აკომპლექტებენ მეთოდგაერთიანებებს.

მეთოდური მუშაობის სწორად წარმართვას სკოლაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მასწავლებელთა დახელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა და მოითხოვს სახალხო განათლების ყველა დაწესებულების მუშაკთა შეუნებელ ყურადღებასა და ერთობლივ შეთანხმებულ მოქმედებას.

1979 წლის აპრილი

თვითაღზრდის როლი პიროვნების განვითარებაში

დიდი სიბრძნეა კაცისა,
ცნობა თავისის თავისა.
ი. ჭავჭავაძე

ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება უფროსი თაობის ზემოქმედებითა და იმ სოციალური იდეალების მიხედვით ხდება, რომელიც გაბატონებულია საზოგადოებაში. ეს ზემოქმედება ძირითადად აღზრდის გზით მიმდინარეობს, მაგრამ თუ ბავშვი მხოლოდ აღზრდის ობიექტია და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს მასში, ე.ი. მხოლოდ გარეგან გავლენას განიცდის და მექანიკურად ითვისებს მიწოდებულს, ასეთ შემთხვევაში აღზრდა განიცდება მის მიერ იძულებად და იგი თავის მნიშვნელობას კარგავს. მართალია, ამ დროს ბავშვი იძენს ცოდნას, ვითარდება მისი ნებისყოფა და ბევრი სხვა თვისება, მაგრამ ყოველივე ეს ფორმალური ხასიათისაა, რადგანაც აღზრდის პროცესში იგი არ მონაწილეობს. ნამდვილ აღზრდასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს

საქმე, როცა მასში თვით აღსაზრდელიცაა ჩართული, რასაც იგი თავისი აქტიურობით გამოხატავს. ამ შემთხვევაში ბავშვი აღზრდის მარტო ობიექტი კი არ არის, არამედ იგი თავისი განვითარების აქტიური შემოქმედი, სუბიექტიცაა. თუ მოსწავლე სათანადოდ არ არის განწყობილი მიწოდებული ინფორმაციის შეთვისებისადმი, თუ მას სწავლის ინტერესი, სურვილი და მოთხოვნილება არ გააჩნია, მაშინ აღზრდის პროცესი პასიური იქნება და აღზრდა როდორც სოციალური მოვლენა, მნიშვნელობას კარგავს. აღზრდა იმ თვისებების შეთვისებაა, რომელსაც ბავშვი გარესამყაროდან უფროსების ხელმძღვანელობით იძენს. მაგრამ ნამდვილი აღზრდა თვითაღზრდის გარეშე არ არსრბობს.

თვითაღზრდა საზოგადოების გარდაქმნის, მისი სოციალური და კულტურული ფორმირების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა. მის სიძლიერეზე დიდადაა დამოკიდებული თითოეული ჩვენგანის წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. კაცობრიობის თითქმის ყველა გამოჩენილმა მოაზროვნემ მხოლოდ და მხოლოდ თვითაღზრდითა და თვითგანათლებით მიაღწია სრულქმნილების იმ დონეს, რომელზეც შესაძლებელი გახდა ეპოქალურ მოვლენათა მსვლელობის განჭვრეტა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების დადგენა.

ვასილ სუხომლინსკის აზრით, „თვითაღზრდა საკუთარი თავის შეცნობით იწყება“. იგი რთული, ხანგძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, ადამიანის შეგნებული მისწრაფებაა – გახდეს სრულყოფილი, საკუთარ თავში გამოიმუშაოს საზოგადოებრივად ღირებული თვისებები, დაძლიოს ნაკლოვანებები შეგნებაში, ქცევასა და მოქმედებაში. ამისათვის მან თავის თავს უნდა შესედოს სხვისი თვალით, კარგად უნდა შეიცნოს საკუთარი თავი და შეეცადოს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაც მას გააჩნია.

„გამოჩენილი ინდოელი მწერალი და პედაგოგი რაბინდრანათ თაგორი წერდა: „...თუ ბავშვს სურს, გახდეს ადამიანი, მაშინ მან პატარაობიდანვე უნდა აღზარდოს საკუთარ თავში ადამიანი, თორემ იგი მთელი სიცო-

ცხლის მანძილზე ბავშვადვე დარჩება“.

ანტიკური ხანის დიდ მოაზროვნეს სოკრატეს ადამიანის ერთ-ერთ ძირითად ღირსებად საკუთარი თავის შეცნობა, თვითგანსაზღვრის უნარი მიაჩნდა. ის ხშირად იშველიებდა გამოთქმას: „შეიცან თავი შენი“.

აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩართულია აღსაზრდელი საკუთარი თავის აღზრდაში. ამიტომაც ამბობდა სუხომლინსკი: არავის არ შეუძლია აღზარდოს ის ადამიანი, რომელიც თვითონ არ ზრდის საკუთარ თავსო. აქედან გამომდინარე, აღზრდა წინ უსწრებს თვითაღზრდას და წარმოადგენს მის აუცილებელ წინაპირობას. ამიტომ თვითაღზრდა აღზრდის გარეშე არ არსებობს, სამაგიეროდ აღზრდა მას აჭაარს თვისებრივად ახალ საფეხურზე. სწორედ ამაშია მათი ურთიერთკავშირი და დიალექტიკური ერთიანობა.

თვითაღზრდის დიდ ძალას ყოველთვის აღიარებდნენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები. გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები – ჟან-ჟაკ რუსო, ა. ჩეხოვი, მ. გორკი, ლ. ტოლსტოი, ჩ. დარვინი, ი. მიჩურინი, კ. ციოლკოვსკი, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა და სხვები – მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდნენ თვითაღზრდას, თვითგანათლებას, საკუთარი თავის სრულყოფას. სწორედ საკუთარ თავზე განუწყვეტელი და დაუღალავი შრომით შეძლო მაქსიმ გორკიმ გამხდარიყო ცნობილი მწერალი. ამიტომაც იყო, რომ იგი ყველა თავის წარმატებას წიგნს უმადლოდა. იგივე შეიძლება ითქვას ჩარლზ დარვინზე: „ყველაფერი, რაც კი ძვირფასია ჩემში, – წერდა იგი, მივიღე მხოლოდ და მხოლოდ თვითგანათლებით“.

ცნობილი ქართველი პოეტი, აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი ერთ-ერთ ლექსში დასძენს:

„მიყვარდა კითხვა...
წიგნს ვსახავდი
მე თვალისჩინად,
მიყვარდა კითხვა
და ამ კითხვამ
გადამარჩინა“.

მეცნიერული ექსპერიმენტებით დადასტურებულია, რომ ადამიანს საკუთარი თავის სრულყოფის ამოუწურავი შესაძლებლობანი გააჩნია. მაგალითად, დემოსთენე, მიუხედავად თანდაყოლილი ენაბლუობისა, უდიდესი ორატორი გახდა. ფიზიკურად სუსტი ყმაწვილი — ალექსანდრე სუვოროვი თავისთავზე გამუდმებული მუშაობის შედეგად ამტანი მეომარი დადგა. 70 წლის ასაკში მან შეძლო თავისი არმიის ალპებზე გადაყვანა ყინვასა და ქარბუქში. ამას იგი, ცხადია, ვერ შეძლებდა ენერგიული ვარჯიშისა და ფიზიკური შრომის გარეშე, ალექსეი მარესიევი კი ვერ მოახერხებდა ფეხების დაკარგვის შემდეგ მწყობრში დაბრუნებას და საბრძოლო თვითმფრინავით ისევ მტრის რისხვად ქცევას. თუმცა, რაღა შორს მივდივართ. განა უფრო მეტის გაკეთება არ შეძლო 60 წელს მიტანებულმა ქართველმა სპორტსმენმა, მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით მოგზაურმა ჯუმბერ ლეჟავამ? მისი სიცოცხლე ხომ, ექიმების თქმით, ბეწვზე ეკიდა.

თვითაღზრდის პროცესში არსებითია პიროვნების მიერ ისეთი თვისებების შემუშავება, როგორიცაა: თავდაჭერილობა, თვითდისციპლინა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცე და სხვა.

მეცნიერული კვლევით დადასტურებულია, რომ თვითაღზრდა, როგორც საკუთარი თავის სრულყოფისაკენ მიმართული მოქმედება, სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარია. სკოლამდელი ასაკის ბავშვის დამახასიათებელი თვისებაა მიმბაძველობა. მიმბაძველობით შეძენილი ესა თუ ის თვისება მიმდინარეობს თვითაღზრდის გარეშე, ვინაიდან იგი წარმოადგენს დანახულის შეუგნებელ განმეორებას. ბავშვის ზრდასთან ერთად, მიმბაძველობა მცირდება და შესაბამისად იზრდება თვითაღზრდა, მაგრამ უმცროს სასკოლო ასაკში მისი როლი მაინც უმნიშვნელოა. ამ ასაკის ბავშვს არ ძალუძს, კონტროლი გაუწიოს საკუთარ ქცევას და მოქმედებას. იგი ვერ ამყარებს კავშირს ქცევას, საკუთარ ღირსებასა და მის უკმარისობას შორის, შეგნებული არა აქვს ამა თუ

იმ საკუთარი თვისების უვარგისობა. მართალია, უმცროს სასკოლო ასაკში მოზარდი იღებს ინფორმაციას მშობლებისა და მასწავლებლებისაგან საკუთარი პიროვნების შესახებ, მაგრამ იგი მას შეგნებულად ვერ აანალიზებს, საგნობრივად ვერ განიცდის. გარდამავალ ასაკში კი პიროვნებას უჩნდება უფრო მეტი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, მაგრამ მისი ქცევა მაინც სიტუაციურია.

სულ სხვა მდგომარეობაა უფროს სასკოლო ასაკში. ამ დროს პიროვნებას უჩნდება საკუთარი შეხედულებები, იდეალები და თავს იჩენს თვითაღზრდის პროცესის შეგნებული მართვა. ამ ასაკის მოსწავლე უკვე თავს ვალდებულად თვლის, იმოქმედოს საკუთარი სურვილით, სხვისი მითითებების გარეშე, მოსთხოვოს საკუთარ თავს ზნეობრივი ნორმების დაცვა. ამასთან, მას ძალუძს თვითვე შეფასოს თავისი მოქმედება საზოგადოებრივი ღირებულების მიხედვით. ხედავს რა წინააღმდეგობას საკუთარ ქცევასა და მისდამი წაყენებულ მოთხოვნას შორის, ცდილობს ამ წინააღმდეგობის დაძლევას, მაგრამ მისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობია; მან ჯერ კიდევ არ იცის „ეამი რას ითხოვს", რას მოითხოვს მისგან საზოგადოება. თუმცა ამის ცოდნაც არ არის საკმარისი. ბევრმა მოსწავლემ კარგად იცის, რასაც მისგან მოითხოვენ, მაგრამ არ ასრულებს, რადგან დარწმუნებული არ არის ამ მოთხოვნის შესრულების აუცილებლობაში და ნაკლებად ცდილობს შექმნილი სიტუაციის შეცვლას, ნაკლებად მიმართავს თვითაღზრდას. მეორე მიზეზი ამისა შეიძლება იყოს ის, რომ ცოდნა, რომელიც მოსწავლეს გააჩნია, არაა მყარი, მის მიერ შეგნებულად და გააზრებულად შეთვისებული, რწმენად ქცეული. ცოდნა გადადის თვითაღზრდაში მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეგნებულად შეთვისებული, ღრმად გააზრებული და რწმენად ქცეულია. რწმენა კი შეგნების უმაღლესი საფეხურია.

თვითაღზრდა მოითხოვს არა მარტო საზოგადოებრივი ნორმების ცოდნას, არამედ ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცესაც. ბევრი ადამიანის სიტყვისა და საქმის გათიშულობის მიზეზი სწორედ მტკიცე ნებისყო-

ფის უქონლობაა, რომლის გარეშეც თვითაღზრდა არ არსებობს. შეუპოვარი შრომით, ნებისყოფის დაძაბვით შეიძლება მივაღწიოთ იმას, რასაც სხვები ვერ აღწევენ. ასეთ ადამიანებს საქმე უკეთ გამოსდით, ვიდრე „გენიალურ ზარმაცებს". სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მსოფლიოში სახელგანოქმულ გამომგონებელ ედისონს, როცა ამბობდა: გენიოსობა ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი შრომაა და ხუთი პროცენტი ნიჭიო. თავისი ელექტრონათურის ძაფისათვის შესაფერისი მასალის შესარჩევად ედისონმა, თანაშემწეებთან ერთად, 6 ათასამდე ცდა ჩაატარა და ორასამდე უბის წიგნაკი შეავსო. ამიტომ მას ყველა საფუძველი ჰქონდა ეთქვა: „გენიოსობა — ესაა 1 პროცენტი აღმაფრენა და 99 პროცენტი ოფლის დენა".

ნებისყოფის აღზრდის მთავარი გზაა გარკვეული მიზნის დასახვა და მისი განხორციელებისათვის საკუთარ თავთან შეუპოვარი ბრძოლა. ე. ი. იმისათვის, რომ ვეწეოდეთ თვითაღზრდას, უნდა ვაჯობოთ საკუთარ თავს, დაეძლიოთ სიზარმაცე და საკუთარი თავისადმი უნდობლობა. წარმატების საწინდარია რწმენა. თვითაღზრდა სწორედ შეუპოვრობისა და საკუთარი ძალების გამოსაცდელად გადადგმული პირველი ნაბიჯიდან იწყება.

თვითაღზრდაში დიდ როლს ასრულებს ინტერესი. იგი წარმოშობს ადამიანში თავის თავზე ინტენსიური მუშაობის აუცილებლობას. ინტერესთა უქონლობა ან მათი სიღარიბე ჭაბუკისა და ქალიშვილის ცხოვრებას უფერულსა და უშინაარსოს ხდის და ხელს უშლის მათი პიროვნების სრულფასოვან განვითარებას.

რაც უფრო აღზრდილი და შეგნებულია ადამიანი, მით უფრო ზრდის საკუთარ თავს, მით უფრო მეტ კონტროლს უწევს საკუთარ ქცევასა და მოქმედებას. თვითაღზრდის პროცესში კი პიროვნებას უყალიბდება საკუთარი ქცევისა და მოქმედების თვითშეფასების უნარი და ასე თანდათანობით ვითარდება იგი, მიდის საზოგადოებრივი და მორალური მოთხოვნების შეგნებამდე. ასეთი ადამიანი ყოველთვის ზნეობრივად იქცევა, მაშინაც კი, როცა მას არავინ უთვალთვალებს. ამასთან,

დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს ვერც ამ საქციელის ჩადენის მომენტში და ვერც შემდგომში.

თვითაღზრდაში დიდ როლს ასრულებს ის კოლექტივი, ის გარემო, რომელშიც პიროვნებას უხდება ცხოვრება. თუ მოსწავლეს სურს, კოლექტივში დადებით პიროვნებად იყოს მიჩნეული და პატივისცემით სარგებლობდეს კოლექტივის წევრთა შორის, მაშინ იგი ცდილობს იმ თვისებების შეძენას, რომლებიც კოლექტივის მოწონებას იმსახურებს და მიმართავს თვითაღზრდას, პირადი ცხოვრების საზოგადოებრივ ცხოვრებასთან შეხამებას. მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ძმისადმი მიწერილ წერილში ანტონ ჩეხოვი წერდა: „იმ გარემოს დონის შესაბამისად რომ აღიზარდო, რომელშიც მოხვდი, ...საჭიროა დღე და ღამე განუწყვეტელი შრომა, გამუდმებით კითხვა, საფუძვლიანი სწავლა, ნებისყოფა... ამ დროს ძვირფასია ყოველი საათი“.

თვითაღზრდის საუკეთესო გზაა საკუთარ თავზე მუშაობის გეგმის (პროგრამის) შედგენა. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ამ გეგმის შედგენაში. მაგრამ საკუთარი საქმიანობისა და საკუთარი პიროვნების დაგეგმვას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ დასახული მიზანი უთუოდ შესრულდება. საამისოდ საჭიროა თვითკონტროლი, საკუთარი თავის სხვისი თვალით დანახვა. უამისოდ თვითაღზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მასწავლებელმა, კლასის ხელმძღვანელმა შეიძლება გააცნოს მოსწავლეებს თვითაღზრდის პროგრამა, რომელიც სიჭაბუკეში თავისთვის შეიდგინა ლევ ტოლსტოიმ.

აი, ამ გეგმის ზოგიერთი პუნქტი:

1. რაც აუცილებლად გასაკეთებელია, გააკეთე ყველაფრის მიუხედავად;

2. რასაც გააკეთებ, გააკეთე კარგად;

3. თუ რაიმე დაგავიწყდეს, ნუ ჩაიხედავ წიგნში, ეცადე, თვითონ მოიგონო;

4. აიძულე გონება, მუდამ მოქმედებდეს მთელი ძალით... ცხოვრებაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დავძლიო სიზარმაცე, გაღიზიანება და უხასიათობა“.

თვითაღზრდისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია გა-

მუდმივული სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისაკენ, ინტელექტუალური დონის ამაღლებისაკენ, როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომისადმი მყარი ჩვევებისა და სიყვარულის გამომუშავებისაკენ. თვითაღზრდა შეუძლებელია საკუთარ მოქმედებასა და ქცევაზე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბების გარეშე. ნიკოლოზ ოსტროვსკი წერდა: „თვითაღზრდისათვის, უწინარეს ყოველისა, უნდა მოუწოდო საკუთარ თავს, იყო მკაცრი და მიუკერძოებელი, საჭიროა ნათლად, ზუსტად, საკუთარი თავმოყვარეობისა და საკუთარი თავის სიყვარულის გარკვეული წილის დაუნდობლად გამოარკვიო შენი ნაკლოვანებანი და ერთხელ და სამუდამოდ... გადაწყვიტო: შევებრძოლები თუ არა ამ ნაკლოვანებებს... კაპიკია იმათი ფასი, ვინც ვერ მოიშლის ცუდ ჩვევებს“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თვითაღზრდა დამოკიდებულია პიროვნების ნებისყოფაზე, მის შეგნებასა და რწმენაზე, მის წარმოდგენაზე ცხოვრების აზრისა და ადამიანის დანიშნულების შესახებ. მოსწავლე შეიძლება გრძნობდეს საკუთარ ნაკლს, მაგრამ თუ მას მაღალი იდეალების რწმენა არა აქვს, თუ მის ცნობიერებაში არ განმტკიცებულა სიკეთისა და სილამაზის რწმენა, იგი ვერ გამონახავს საკუთარი ნაკლის გამოსწორების გზებს.

დაბოლოს, თვითაღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლებისა და მასწავლებლების პირად მაგალითს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აღსაზრდელზე უარყოფითად ისე არაფერი მოქმედებს, როგორც უფროსების მლიქვნელობა, სიცრუე, ორპირობა, სიზარმაცე. ამიტომ ეს მახინჯი თვისებები საბოლოოდ უნდა განიდევნოს ყოველი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებიდან და ყოველი ოჯახიდან. ეს არის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა არა მარტო მიზანდი თაობის თვითაღზრდისა და თვითგანათლების აუცილებელი პირობაა, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების საფუძველიც.

1987 წლის დეკემბერი

ვენდოთ, მაბრამ შევამოწმოთ!

მიმავალი თაობის აღზრდაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ მიდგომას. ბავშვებთან დამოკიდებულებაში აღმზრდელი უნდა ითვალისწინებდეს მათ ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. აღმზრდელობით მუშაობაში მარცხი და წარუმატებლობა, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეულია იმით, რომ პედაგოგი ცუდად იცნობს თავის აღსაზრდელებს, არ შესწევს უნარი, სამყაროს უცქიროს მათი თვალებით და ცდილობს ყველა მათგანის გათანაბრებას. ამიტომ „როგორც ექიმი იკვლევს უამრავ ფაქტორს, რომლებზეც დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობა, ასევე პედაგოგმა უნდა გამოიკვლიოს ბავშვის სულიერი სამყარო". მაგრამ ეს არც ისე ადვილია, რადგან ყოველ ბავშვს, საერთო ადამიანურ თვისებებთან ერთად, გააჩნია რაღაც მისეული, მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებანი, რაც მის შესწავლას ართულებს. „ყოველ ადამიანს, როგორც მიწის წიაღიდან ამოღებულ ალმასს, – წერდა ვ. სუხომლინსკი, – ათასი წახნაგი აქვს. აღზრდა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებულად და გონივრულად მივუდგეთ თითოეულ წახნაგს, ვიპოვოთ ის წახნაგი, რომელიც ადამიანურმა ტალანტმა უნდა გააბრწყინოს".

ბავშვები ვერ იტანენ ისეთ მიმართვას, როგორიცაა: „გააკეთე ისე, როგორც გეუბნებიან". აღმზრდელის ყოველ მოქმედებაში უნდა მჟღავნდებოდეს ბავშვისადმი ნდობა, მისი პიროვნების პატივისცემა, ვინაიდან „იქ, სადაც არ არის ადამიანისადმი, მისი კეთილი საწყისისადმი რწმენა, ნებისმიერი პედაგოგიური სისტემა გაცამტვერდება" (ვ. სუხომლინსკი). ამიტომ აღმზრდელი ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს უნდა უცქერდეს არა მარტო დღევანდელი თვალით, არამედ მომავლის, მათი გამოსწორების თვალითაც. ასეთი მიდგომა აღსაზრდელისადმი საჭიროა არა მარტო პედაგოგიური ეფექტურობისათვის, არამედ ეს ზნეობრივი აღზრდის ზოგადსაკაცობრიო იდეებიდანაც გამომდინარეობს, რაც პიროვნების პატივისცემას, მისდამი გულისხმიერებასა და დაფასებას

გულისხმობს.

ბავშვისადმი უნდობლობა, მისი ყოველი მოქმედების საეჭვოდ მიჩნევა წყვეტს ნამდვილ პედაგოგიურ კავშირს აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის. ამ დროს ბავშვი გულახდილი არ არის აღმზრდელის წინაშე. ზოგჯერ კი ტყუის და ამ გზით ცდილობს თავისი ცუდი საქციელის დაფარვას. იშვიათი როდია ასეთი შემთხვევა: მასწავლებელი შენიშნავს მოსწავლის არაკეთილსინდისიერ მოქმედებას და ხშირად ლაპარაკობს მის ცუდ საქციელ'ხე. ასეთი მიდგომა ყოველად გაუმართლებელია, რადგან ის ბავშვები, რომელთაც წამდაუწუმ ახსენებენ წარსულ „ცოდვებს" და არც დღევანდელ ნაკლოვანებებს ივიწყებენ, ეჩქვეიან თავიანთ მდგომარეობას, კარგავენ საკუთარი თავისადმი რწმენას, გამოსწორების იმედს და საბოლოოდ ძნელად აღსაზრდელები ხდებიან. მაგრამ როგორი ძნელი აღსაზრდელიც უნდა იყოს ბავშვი, მასში მაინც შეინიშნება რაღაც დადებითი თვისება. აღმზრდელის ოსტატობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დროზე გამოავლინოს ბავშვში ეს თვისება, ხელი ჩასჭიდოს მას და განავითაროს იგი. სწორედ ამ მეთოდს იყენებდა თავის მუშაობაში ანტონ მაკარენკო. მის პრაქტიკა'ში მრავლად შეხვდებით ისეთ მაგალითს, როცა, ერთი შეხედვით, ყოველად უდისციპლინო და „ხელიდან წასული" ბავშვი აღმზრდელის გულისხმიერი, ტაქტიანი და უნარიანი მიდგომით გამოსწორებულა და, საბოლოოდ, მისგან სასახელო მოქალაქე დამდგარა. ამას ახერხებდა გამოცდილი პედაგოგი ბავშვისადმი ნდობით, მისი პიროვნების პატივისცემით. იგი განუწყვეტლივ ეძიებდა და კიდეეაც პოულობდა თითოეულ ძნელად აღსაზრდელში კაცურკაცობის საწყისებს და შემდგომ ავითარებდა მათ. ამ გზით შეძლო მან სიმონ კარაბანოვის (კალაბალინის) გამოსწორება, რომელიც ცნობილი იყო როგორც პროფესიონალი ქურდი, რეციდივისტი. ერთ დღეს იგი სიმონს იბარებს თავის კაბინეტში, მინდობილობას აძლევს და ავალებს ფინგანყოფილებიდან 500 მანეთის მიღებას. კარაბანოვმა ეს დავალება პირნათლად შეასრულა. მაკარენკომ ფული გამოართვა და, ზედ არც კი დაუხედავს, ისე შეაგდო მა-

გიდის უჯრაში. მეორეჯერ მაკარენკომ მას უფრო დიდი თანხის მოტანა დაავალა. სიმონმა ეს დავალებაც პირნათლად შეასრულა და როცა პედაგოგმა კვლავ დაუთვლელად შეინახა ფული, სიმონი გაბრაზდა და დაიღრიალა:

„— თქვენ დამცინით! შეუძლებელია, რომ ასე მეხდებოდეთ! შეუძლებელია! გესმით? თქვენ განზრახ მიდიოდით რისკზე, განზრახ, მე ხომ ვიცი“...

მაგრამ იგი მალე დარწმუნდა, რომ ანტონ სიმონის ძე მას ნამდვილად ენდობოდა.

„— გზაზე მიეჭროდი და თან ეფიქრობდი: ნეტავ ღმერთი იყოს ქვეყანაზე-მეთქი. ნეტავი ღმერთი გამოგზავნიდეს ვინმეს, ტყიდან გამოიჭრებოდეს და დამეხმებოდეს-მეთქი... დაე, ათიც იყოს, თუნდა მეტიც... არ ვიცი. ვესროდი, კბილებით დავკბენდი, ძალლივით დავგლეჯდი, ვიდრე მიმკლავდნენ“, — მიმართავს იგი ანტონ სიმონის ძეს.

მოზარდს რომ გარდაქმნის, გამოსწორების სურვილი აღეუძრათ, ჯერ ითვითონ ჩვენ უნდა გარდაეიქმნათ, უნდა შეეცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება მისდამი და მიეუდგეთ მას „ოპტიმისტური ჰიპოთეზით“, გამოსწორების რწმენით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი აღმზრდელობითი მუშაობა ფუჭი და უნაყოფო იქნება. „ყველაზე კეთილშობილური ზნეობრივი ჭეშმარიტება მოსწავლისათვის ცარიელ სიტყვებად დარჩება, — წერს სუხომლინსკი, — თუ მას არ ასულდგმულებს აღმზრდელის ნათელი გრძნობა და ცნობისმოყვარე გონება“.

პედაგოგიური მუშაობის პირველ წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა შემომთავაზა ხელმძღვანელობა გამეწია მეშვიდე კლასისათვის. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან ჩემთვის ჯერ კიდევ არც ერთი კლასი არ იყო ცნობილი. როგორც შემდეგ გავიგე, მხოლოდ ეს კლასი იყო „ვაკანტური“ და ამ ვაკანსიის მიზეზი აღმოჩნდა რ. ჟ., რომელიც ცნობილი იყო მთელ სკოლაში როგორც უდისციპლინო, უხეში და ზარმაცი მოსწავლე.

„შენგან არაფერი გამოვა“, „შენგან კაცი არ დადგება“, — ეუბნებოდნენ მასწავლებლები რ. ჟ-ს.

მალე დავრწმუნდი, რომ კლასში ყველა საქმის მოთავე და ორგანიზატორი რ. ჟ. იყო, თუმცა არავითარი საზოგადოებრივი დავალება არ ჰქონდა. მეორე მეოთხედში კლასის საერთო კრებაზე იგი მამასახლისად ავირჩიეთ. კრების შემდეგ რ. ჟ. დავიტოვე და ვესაუბრე მამასახლისის უფლება-მოვალეობაზე. საუბრისას შიგადაშიგ შეკვაბარე, რომ ამიერიდან იგი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს სხვებისათვის.

ასეთმა ნდობამ იგი ცოტაოი წაახალისა – უკლო წესრიგის დარღვევას და გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანებას.

ერთ დღეს რ. ჟ-ს ვთხოვე კლასის საორგანიზაციო კუთხის გაფორმება (მას ცოტა ხატვა ეხერხებოდა). ეს თხოვნა მან პირნათლად შეასრულა, რისთვისაც სათანადო შექება დაიმსახურა. ამან კიდევ უფრო წაახალისა იგი. მისი გამოსწორების შესახებ ვისაუბრე კლასის საერთო კრებაზე. ამაზე აღინიშნა ასევე სასკოლო კედლის გაზეთში და სხვა. მესამე მეოთხედში რ. ჟ. კომკავშირის რიგებშიც მივიღეთ, რომლის შემდეგაც კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად კიდევ უფრო გავაძლიერე მასთან მუშაობა. ყურადღების გარეშე არ ვტოვებდი უდისციპლინობის უმნიშვნელო შემთხვევებსაც კი, ვახალისებდი და სტიმულს ვაძლევდი შემდგომი წინსვლისათვის.

სწორი ინდივიდუალური მიდგომით, პედაგოგიურ კოლექტივთან და კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად, შესაძლებელი გახდა რ. ჟ-ს გამოსწორება. მან დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ ბათუმის სამხატვრო სასწავლებელი, ბოლოს – სამხატვრო აკადემია თბილისში და შესანიშნავი მოქალაქე დადგა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის გამოცხადება ბავშვის ნებაზე მიშვებას, მისი ყოველი სიტყვის უკრიტიკოდ მიღებას როდი ნიშნავს: ბავშვის უნდა ბევრი ოდეს. მაგრამ ამასთან, უნდა ვამოწმებდეთ მის ყოველ მოქმედებას, ყოველ სიტყვას, დაკვირვებით ვიხილებოდეთ მოზარდის სულში, რათა გავიგოთ, ამართლებს თუ არა იგი ამ ნდობას.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი ზედმეტ ნდობას

უცხადებს თავის პირმშოს – ყველაფერს უჯერებს, ყველაფერში ენდობა და არ ჰგონია, თუ მისი შვილი ტყუილს იტყვის.

აი, ამის მაგალითი: სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებელმა გაკვეთილის საპასუხოდ გამოიძახა ზარმაცი მოსწავლე, რომელიც მანამდე რამოდენიმეჯერ იყო გამოძახებული და არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ჰქონდა მიღებული. ბავშვმა ამჯერადაც ორიანი მიიღო, შინ კი მშობლებს განუცხადა – ყველაფერი ვუპასუხე, მაგრამ მასწავლებელმა მაინც ორიანი დამიწერაო.

მამამ ბავშვის ნათქვამი „გულთან მიიტანა", მოეფერა „უკანონოდ დაჩაგრულ" შვილს და ანუგეშა: ხვალ სკოლაში მოვალ და ნახავ, რა დღეს დავაყრი შენს მასწავლებელსო.

მეორე დღეს მამა მართლაც გამოცხადდა სკოლაში და შვილის დაცვა დაიწყო. მან არ მოუსმინა მასწავლებლებს და მუქარითა და ლანძღვა-გინებით შეუშაცხყოფა მიაყენა ჰთელ პედაგოგიურ კოლექტივს. მომდევნო დღეს კი ბავშვი სიამაყით უამბობდა თანაკლასელებს: გუშინ მამაჩემმა შავი დღე აყარა მასწავლებლებსო.

რა თქმა უნდა, მშობლის ასეთი მოქმედება ყოვლად გაუმართლებელია. აქედან ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი მშობელი თავის შვილს ყველაფერში ენდობა, მასწავლებლის ნდობა და პატივისცემა კი არ გააჩნია.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ა. მაკარენკოს შეგონება: ენდე, მაგრამ შეამოწმე.

1990 წლის აგვისტო

გავუფრთხილდეთ წიგნს – ცოდნის წყაროს

წიგნი!.. რა ძვირფასი და ახლობელია იგი თითოეული ჩვენგანისათვის. ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც არ დამტკბარიყოს მისი სიკეთით.წარმოიდგინეთ, რა უშინაარსო და უსიხარულო იქნებოდა ჩვენი ცხოვცხოვრება, წიგნი რომ არ ყოფილიყო. წიგნებშია თავმო-

ყრილი ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც კაცობრიობას საუკუნეთა მანძილზე შეუძენია და დაუგროვებია. „წიგნი, — წერდა ა. გერცენი, — ერთი თაობის მიერ მეორე თაობისათვის დატოვებული სულიერი ანდერძია, მომაკვდავი მოხუცის რჩევაა ჭაბუკისადმი, ცხოვრებას რომ იწყებს; ბრძანებაა, რასაც დასასვენებლად მიმავალი გუშაგი მის შემცვლელ გუშაგს გადასცემს". ციცერონი უწიგნო ხალხს უსულო სხეულს ადარებდა. მაქსიმ გორკი კი წიგნს ადამიანის ყველაზე დიდ მეგობრად თვლიდა და იგი მიაჩნდა ყველაზე დიდ სასწაულად ყველა სასწაულთა შორის, რაც ადამიანს თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია. კითხვაზე, თუ როგორ მიაღწია უსწავლელმა კაცმა ესოდენ დიდ წარმატებებს, მაქსიმ გორკი პასუხობდა: „ყოველივე კარგი, რაც ჩემშია, წიგნმა მომცა". ამიტომაც მოუწოდებდა იგი ყველას: „გიყვარდეთ წიგნი, ის შეგიმსუბუქებთ ცხოვრებას, მეგობრულად დაგეხმარებათ გაერკვეთ აზრების, გრძნობების, მოვლენების ჭრელსა და ბობოქარ გროვაში. გასწავლით ადამიანისა და საკუთარი თავის პატივისცემას; ის ფრთებს ასხამს გულსა და გონებას ქვეყნიერების, ადამიანის სიყვარულით".

შექსპირი ამბობდა, ჩემთვის წიგნები სამეფო გვირგვინზე ძვირფასიაო.

წიგნის გარეშე არ არსებობს ცოდნა, ცოდნა კი ძალაა, უთქვამს ბრძენკაცს, ისეთი ძალა, რომელსაც „წინ ვერაფერი დაუდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე" (ი. ჭავჭავაძე).

„წიგნები იძლევიან საშუალებას, ვისაუბროთ ყველა საუკუნის გამოცდილ ადამიანებთან, გავიგოთ მათი აზრები. წიგნები იმისთანა სიმდიდრეა, რომელთაც ვერაფითარი სიმდიდრე ვერ შეედრება... იგი საუნჯეა უძვირფასესი ყოველისა საქონელისა", — წერდა ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ყიფშიძე.

მხოლოდ წიგნს უნდა უმადლოდეს კაცობრიობა, რომ დღეს ჩვენამდე მოღწეულია ჩვენი სახელოვანი წინაპრების ცოდნა და გამოცდილება, მხოლოდ წიგნითა და შრომით მიაღწია ადამიანმა სრულქმნილების იმ სა-

ფეხურს, რომელზეც მან შეძლო „ჯადოსნური ძალით შეექმნა რაფაელის ნახატები, ითრეალდსენის ქანდაკებანი, პაგანინის მუსიკა“.

განათლებული ადამიანები ჩ. დარვინი, ა. ჰეგელი, ჩ. დიკენსი, ჟან-ჟაკ რუსო, მ. გორკი, ი. მიჩურინი, ჰ. ინგოროყვა, შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი და სხვები წიგნის სიყვარულმა და მასზე დამოუკიდებელმა მუშაობამ აქციეს სახელგანთქმულ ადამიანებად. საქვეყნოდ ცნობილ ამერიკელ გამომგონებელ ა. ედისონს ხშირად გენიოსს უწოდებდნენ, ის კი გაიძახოდა: რის გენიოსი, რა გენიოსი, გენიოსობა 95 პროცენტი შრომაა და 5 პროცენტი ნიჭიო. როცა ამ სიტყვებს ამბობდა, დიდ მეცნიერს, უპირველეს ყოვლისა, წიგნზე დაუღალავი შრომა და ნებისყოფა ჰქონდა მხედველობაში.

წიგნი არა მარტო ცოდნასა და განათლებას აძლევს ადამიანს, არამედ აკეთილშობილებს, ზნეობრივად და სულიერად აფაქიზებს მას. სენ ჯონ ჰერშელს, როცა 1833 წელს იტონში საჯარო ბიბლიოთეკას ხსნიდა, უთქვამს: „მიაჩვიეთ ადამიანი კითხვას, მიეცით საშუალება, დაიკმაყოფილოს ეს მისწრაფება და თქვენ მას გააბედნიერებთ, თქვენ მას შეიყვანთ ბრძენკაცთა და მახვილგონიერთა საზოგადოებაში, მისი მეგობრები გახდებიან ყველაზე ფაქიზი, სუფთა და მამაცი ადამიანები, რომლებიც კაცობრიობის ყველა დროის ისტორიას ალამაზებდნენ. თქვენ მას ყველა ეროვნების მოქალაქედ და ყველა ეპოქის თანამედროვედ გადააქცევთ“.

წიგნს დიდი ძალა ჰქონდა ყველა დროსა და ეპოქაში, მაგრამ მისი როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა დღეს — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში. კომუნიკაციის სხვა საშუალებანი, როგორიც არის კინო, თეატრი, რადიო, ტელევიზორი, დროთა განმავლობაში გარდაიქმნება, კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება მასებისათვის, კიდევ უფრო აზიარებს ხალხს ხელოვნების ჯადოქრობას, მაგრამ ვერც ერთი მათგანი თავისი სიღრმითა და ხანგძლივობით ვერ შეედრება წიგნს, რაგინდ შინაარსიანი და მიმზიდველიც უნდა იყოს იგი. არც ერთს არ შეუძლია დაგვაჯილდოდოვოს გრძნობებისა და შემეცნების ისეთი მრავალფე-

როგორც, როგორც — წიგნს. წიგნი არის და მომავალშიც დარჩება ცოდნის, განათლების დაუშრეტელ პირველწყაროდ.

წიგნის სიყვარული ყოველი ჭეშმარიტი ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. ჩვენში ალბათ ძნელია მოიძებნოს ოჯახი, რომელსაც არ ჰქონდეს პატარა ბიბლიოთეკა. მისი შექმნა და კითხვა ყოველი ჩვენგანის უპირველესი მოთხოვნილებაა. ამას გარდა, ქალაქად და სოფლად, ფაბრიკებსა და ქარხნებში, წარმოება-დაწესებულებებში შექმნილია ბიბლიოთეკების ფართო ქსელი, რის მეოხებითაც წიგნი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

საქართველოში ძველთაგანვე გასათხოვარ ქალებს, მზითევთან ერთად, წიგნსაც ატანდნენ, რაც ქართველი კაცის წიგნისადმი უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემაზე მეტყველებს.

დიახ, ქართველ კაცს ოდითგანვე უყვარდა წიგნი და თვალისჩინივითაც უფრთხილდებოდა მას. საქართველოს ისტორია დასტურია იმისა, რომ ქართველი კაცი ომისა თუ აკმედობის ჟამს, ტყვეობაშიც კი, ყველაფერს თმობდა, წიგნს კი ვერ ელეოდა, რამეთუ იგი იყო მისი ნუგეში და იმედი.

ეს აზრი კარგად გამოხატა გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა:

„წიგნს შევსწირე ყველაფერი,
გამიჩინა გულს იარა,
მთხოვე, რაც გსურს,
მთხოვე, რაც გსურს,
პერანგს მოგცემ,
წიგნს კი არა“.

ამიტომაც იყო, რომ პოეტი მთელი თავისი დღე და მოსწრება წიგნებსა და ჟურნალებს აგროვებდა. იგი თითოეულ წიგნს შეიღლივით უვლიდა, ელოლიავებოდა და სხვებსაც, განსაკუთრებით მოზარდებს, მოუწოდებდა გაფრთხილებოდნენ წიგნს — ცოდნის ამ ჩაუქრობელ ჩირაღდანს. სადაც უნდა ყოფილიყო, იგი ყველგან წიგნს ეძებდა, ახალი იქნებოდა თუ ძველი, რომ შეეძინა და საკუთარი ბიბლიოთეკა გაემდიდრებინა. ასე შექმნა მან უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგ საჩუქრად

გადასცა სახელმწიფოს.

ამ კარგსა და სასასელო ტრადიციას შენარჩუნება და გაღრმავება სჭირდება, რაც ჩვენში მოსწავლე ახალგაზრდობის სისხლორცეული საქმეა. ამიტომაც მოსწავლეებში წიგნის სიყვარულის აღზრდა სკოლის უპირველესი ამოცანაა.

მართალია, ბავშვი წიგნის სიყვარულს სკოლაში შესვლამდე, ოჯახში იძენს, მაგრამ ამ სიყვარულის განმტკიცება ძირითადად მაინც სკოლაში ხდება. ყოველი პედაგოგის ვალია, მთელი არსებით შეაყვაროს მოსწავლეებს წიგნი, ასწავლოს მისი ყადრი და ფასი, ისე, რომ თითოეულ მაოგანს მთელი ცხოერების მანძილზე საგზლად გაჰყვეს წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარული და მისდამი სათუთი, მზრუნველი დამოკიდებულება. ამ მიზნით წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული საბავშვო ნაწარმოებების ხმამაღალი კითხვა, საუბრები, შეხვედრები მწერლებთან, ექსკურსიები წიგნის ბაზატაში, სტამბაში და სხვ. სასკოლო ბიბლიოთეკარმა უნდა იზრუნოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრებაზე, უნდა მოაწყოს წიგნების სანიმუშო გამოფენა, კლასის ხელმძღვანელებმა კი თავიანთ კლასებში თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოაკრან რეკომენდებული წიგნების სია.

ნორჩ მკითხველებში წიგნის სიყვარულის გასაღვივებლად შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე გამოჩენილ ადამიანთა გამონათქმები წიგნის სიკეთის შესახებ. ამ საქმეში ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს სახელოვანი ქართველი მეცნიერის ნიკოლოზ მუსხელიშვილის შთამაგონებელი სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა მოსწავლეებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს: „ყოველი თქვენთაგანი ოცნებობს, გახდეს გმირი, სახელი გაუთქვას ქვეყანას, სარგებლობა მოუტანოს ჩვენს დიად სამშობლოს. ეს კარგი ოცნებაა, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ამ ოცნების განხორციელებას ბავშვობიდანვე, სკოლის მერხზე, წიგნის კითხვისას უნდა ჩაეყაროს საფუძველი. მეცნიერებმა, სწავლულმა ადამიანებმა შექმნეს კოსმოსური ხომალდები, საოცარი მანქანები და მექანიზმები, რომლებიც ელვის სისწრაფით აწარმოებენ

ურთულეს მათემატიკურ გამოთვლებს და ერთი ენიდან მეორეზე თარგმნიან.

როგორ გგონიათ, რით დაიწყეს ამ გონიერი მანქანების შემქმნელებმა? მერწმუნეთ, „დედა ენიდა“ და გამრავლების ტაბულით, ფიზიკის ელემენტარული კანონებითა და გეომეტრიული თეორემებით, იმით, რასაც თქვენ სკოლაში გასწავლიან, ჩემო ნორჩო მეგობრებო! თქვენ ცხოვრობთ უდიდეს მიღწევათა ეპოქაში. თქვენი ბავშვობა არა ჰგავს თქვენს მამა-პაპაია ბავშვობას. თქვენ ხარი მომავალი კოსმონავტები, ექიმები, პედაგოგები, აგრონომები, ინჟინრები, მხატვრები, მეცნიერები. მომავალი თქვენ გეკუთვნით... მაშ, უფრო გაბედულად აიღეთ ხელში წიგნი“.

მოსწავლისათვის ყველაზე ერთგული მეგობარი და თანამგზავრია სასკოლო სახელმძღვანელო. ამიტომ ყველაზე მეტი გაფრთხილება მას სჭირდება, განსაკუთრებით ახლა, როცა სასკოლო სახელმძღვანელოები ყოველწლიურად არ გამოდის.

ჩვენი მოსწავლეების უმრავლესობა თვალისჩინივით უფრთხილდება წიგნს, როგორც ძვირფას საუნჯეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით წიგნისადმი, ამ ოქრის ფონდისადმი, უდიერი დამოკიდებულების ფაქტებს. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი მოსწავლე არ უფრთხილდება სასკოლო ნივთებს, განსაკუთრებით კი წიგნს, აფუჭებს, აზიანებს მას, მასწავლებელთა ერთი ნაწილი კი ამ მდგომარეობას ურიგდება. ასეთ შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა მოსწავლეებთან დინჯი, აღმზრდელობითი საუბარი.

ერთხელ გაკვეთილზე შევნიშნე, რომ ერთ-ერთი მოსწავლე წიგნში რაღაცას ხაზავდა. მე მას ვუთხარი: სასწავლო წელი ეს-ესაა დაიწყო და შენი წიგნი კი რასა ჰგავს, ალბათ წლის ბოლომდე არ მიგყვება-მეთქი. მან მიპასუხა: ეს სახმარი წიგნია, პატივცემულო მასწავლებელო, შინ კი ახალი წიგნი მაქვსო. ასეც რომ არ იყოს, რაღაც 15 კაპიკი ღირს და, თუ არ გამიძლებს, სხვას ვიყიდიო. ამ მოსწავლეს მთელი კლასის გასაგონად ავუხსენი, თუ რამდენი კაცის შრომა, ძალა და ენერგია იხარჯება ამა თუ იმ წიგნის გამოშვებაზე. სასკოლო

წიგნის გამოცემა გაცილებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მისი სარეალიზაციო ფასია. ეს იმიტომ, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს მისი შეძენა. ამაში კიდევ ერთხელ მეღავნდება ჩვენი ერისა და ქვეყნის ზრუნვა მომავალი თაობისათვის, — დავამთავრე ჩემი საუბარი.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელთან ერთად, წავიყვანე ექსკურსიაზე ჯერ სტამბაში, შემდეგ კი გამომცემლობაში, სადაც მოსწავლეებმა საკუთარი თვალით ნახეს, რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული წიგნის დაბადება. ამის შემდეგ ის მოსწავლე წიგნს სანიმუშოდ უვლიდა.

ზოგჯერ მოსწავლეები გამოცდების დამთავრების შემდეგ წიგნებსა და რვეულებს სანაგვე ყუთებში ყრიან. მათ რომ იცოდნენ, რა დიდი შრომაა დახარჯული წიგნის შესაქმნელად, ალბათ ამას არ ჩაიდენენ. ამიტომ ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა ვასწავლოთ შრომის პროდუქტებისადმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სათუთი მოპყრობა, სხვისი ნაშრომ-ნაღვაწის დაფასება.

მარტო მოსწავლეები რომ არ უფრთხილდებოდნენ წიგნებსა და სასწავლო ნივთებს, ამას კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ უფროსებიც უდიერად ეპყრობიან წიგნებს. განსაკუთრებით ეს ითქმის სტუდენტებზე. ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც პედაგოგიურ ფაკულტეტს ამთავრებს და ეს-ესაა მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს უნდა ბეუდგეს, ერთი წამითაც არ დაფიქრდება, ისე ამოხევს წიგნიდან ფურცლებს და გამოცდაზე გასულ ამხანაგს შეუგზავნის. ამის შემდეგ, ადვილი მისახვედრია, როგორი აღმზრდელი დადგება მისგან. ალბათ ასეთი ვაი-მკითხველების მიერაა დაგლეჯილი ჩვენს ბიბლიოთეკებში ბევრი წიგნი თუ ჟურნალ-გაზეთი. ამაში ბრალი ნაწილობრივ ბიბლიოთეკის მუშაკებსაც მიუძღვით, რადგან ისინი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მკითხველთა მიერ წიგნისა და ჟურნალ-გაზეთებისადმი უდიერი დამოკიდებულების შემთხვევებს, არ ავლენენ ასეთ ფაქტებს და დამნაშავეებს არ სჯიან. სასურველია, ასეთ მკითხველთა სურათები ან გვარები თვალსაჩინო ადგილას გამოვაკრათ და მათ საეროოდ ავუკრძალოთ ბიბ-

ლიოთეკიო სარგებლობა.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეებში წიგნისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სათუთი დამოკიდებულების აღზრდას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ ჩვენს მუშაობას ამ მიმართულებით სისტემატიური ხასიათი ექნება და იგი მკიდროდ დაუკავშირდება მთელ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, როგორც მისი განუყრელი შემადგენელი ნაწილი.

აქვე მინდა მკითხველს შევთავაზო წიგნით სარგებლობის გარკვეული წესები და მოთხოვნები:

1. წიგნებს უნდა დავატარებდეთ ჩანთით, რათა არ დაგვივარდეს და არ დაგვესვაროს;

2. ბიბლიოთეკიდან დიდი ხნით სარგებლობისათვის გამოტანილ წიგნს ყდაზე უნდა გადავაკრათ სუფთა ქაღალდი;

3. ბიბლიოთეკის, ასევე ნათხოვარ წიგნში არ შეიძლება ფანქრით ან პასტით გახასვა, ფურცლის ჩაკეცვა და ა.შ.;

4. არ შეიძლება წიგნის დატოვება მზის სინათლეზე. ასევე არ შეიძლება წიგნის კითხვისას სანიშნის ნაცვლად ფანქრის ან პასტის ჩადება.

ეს წერილი გვინდა დავამთავროთ მეოცე საუკუნის გამოჩენილი რუსი მწერლის მიხეილ შოლოხოვის სიტყვებით: „გიყვარდეთ წიგნი სულით და გულით! ის არა მარტო თქვენი საუკეთესო მეგობარია, არამედ ბოლომდე ერთგული თანამგზავრიც!“

1991 წლის აპრილი

ნუ ვიუხეშებთ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

როგორც ცნობილია, ყოველი ეპოქისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის დაავადებანი, რომელთა თავიდან აცილება მედიცინის მუშაკთა უპირველესი ამოცანაა. მაგალითად, შუა საუკუნეებში ადამიანებს მუსრს ავლებდა შავი ჭირი და კეთრი, მოგვიანებით მას მოჰყვა პარტახტიანი ტიფი, სურავანდი, მეოცე საუკუნემ

კი წარმოშვა ნეეროზი, შიდსი და ა.შ. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, უკანასკნელი 70 წლის მანძილზე ნეეროზის სხვადასხვა დაავადებების შემთხვევებმა 24-ჯერ იმატა. სპეციალისტთა აზრით, ყოველივე ამის მიზეზია ცხოვრების დაჩქარებული ტემპი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. იშვიათად შეხვდებით დღეს კაცს, დროის უკმარისობას რომ არ უჩიოდეს. ჩვენ გამუდმებით სადღაც მივიჩქარით, ერთდროულად ათას საქმეს ვეჭიდებით და, როცა საამისოდ დრო აღარ გვყოფნის, ვნერვიულობთ, ეღიზიანდებით. სწორედ ჩვენს დროში გაჩნდა ათასგვარი ნეეროზი. დილით გვეშინია, სამსახურში არ დაგაგვიანოთ და უფროსის საყვედური არ დავიმსახუროთ. ამიტომ კიდევ უფრო ეღიზიანდებით, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი იგვიანებს; გამოცხადდები სამსახურში და იქ ვიღაც კიდევ უფრო აგიშლის ისედაც აწეწილ ნერვებს. საღამოს ბრუნდები შინ დაღლილ-დაქანცული და ისმენ მეუღლის საყვედურებს, ხან სამართლიანსა და ხან უსამართლოს.

სამსახურეობრივ კონფლიქტებს, ოჯახურ კოლიზიებს ემატება დიდი ქალაქების ხმაური, ტელევიზიით, ვიდეოფილმებით, კომპიუტერით მეტისმეტი გატაცება და კიდევ, ვინ იცის, რა.

ნეეროზი შეიძლება გამოიწვიოს რაიმე დაავადებამ, რომელიც საერთოდ ნერვულ სისტემას ასუსტებს: ხანგძლივმა უარყოფითმა ემოციებმა, ცუდმა საყოფაცხოვრებო პირობებმა, მოუწყობელმა პირადმა ცხოვრებამ, სისტემატიურმა გადაღლილობამ და სხვა.

მოზარდებში ნეეროზის გამომწვევ მიზეზთა შორის სპეციალისტები ასახელებენ ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობის განუხრელ ზრდას. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ადამიანისათვის საეალდებულო ცოდნის მოცულობა ყოველ 10-15 წელიწადში ორმაგდება, რაც იწვევს სწავლების პერიოდის გახანგძლივებას და სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადატვირთვას.

ჩვენს რესპუბლიკაში ზოგიერთი სახელმძღვანელოს მოცულობა უკანასკნელ ოც წელიწადში თითქმის ორ-

ჯერ გაიზარდა. ფიზიოლოგთა მტკიცებით, 14-15 წლის მოზარდის სასწავლო დატვირთვა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 6-6,5 საათს, სინამდვილეში კი ბევრით მოსწავლეებს დღეში 10-12 საათს უხდებათ მუშაობა, ესე იგი, გაცილებით მეტ ხანს, ვიდრე ზოგიერთ უფროს ადამიანს.

ინფორმაციის ნაკადი სულ უფრო და უფრო იზრდება. ყოველივე ამის ათვისებას კი ბევრი ჩვენგანი ცდილობს ძილის ხარჯზე, რასაც ქრონიკული ძილის უკმარისობა მოსდევს. და თუ ეს სისტემატიურად მეორდება, იწყება ნერვული სისტემის გამოფიტვა და ნევროზი.

დღევანდელი ბავშვები ფიზიკურად და გონებრივად უფრო განვითარებული არიან, ვიდრე მათი მამები და პაპები იყვნენ ამავე ასაკში. ამაზე დღეს არავინ დაობს, მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეუმცირებია ნევროზით დაავადებული და ახლომხედველი ახალგაზრდების რიცხვი. პირიქით, მათი რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება. ამასთან, ავადმყოფობის შემთხვევები უფრო ხშირია მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლებში, ასევე იმ სკოლებში, სადაც საგნების ნაწილი უცხოურ ენებზე ისწავლება ან სწავლება მთლიანად უცხოურ ენაზე მიმდინარეობს.

გადამდებ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად ადამიანებს პატარაობიდანვე უკეთებენ აცრებს, მაგრამ ამ მიმართებით თითქმის არაფერი კეთდება ნევროზის პროფილაქტიკისათვის. მართალია, მედიცინის მუშაკები მკურნალობენ ასეთ ავადმყოფებს, მაგრამ ისინი ებრძვიან შედეგს და არა მის გამომწვევ მიზეზებს. აქ საჭიროა მთელი საზოგადოების, ყოველივე ჩვენგანის, განსაკუთრებით კი პედაგოგების, ერთსულოვანი, შეთანხმებული მოქმედება და მუშაობა.

ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ადამიანის ცხოვრება მიდიოდეს რაიმე აღლვების, კონფლიქტის, გაღიზიანებისა და განერვიულების გარეშე. არა, ეს შეუძლებელია. ადამიანები ძალაუნებურად ღიზიანდებიან თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროსაც, მაგრამ ამას, საბედნიეროდ, ზიანი არ მოაქვს. მაგალითად, პედაგოგი ღელავს საჩვენებელი გაკვეთი-

ლის წინ, ქირურგი — ოპერაციის დაწყების წინ, მსახიობი — სცენაზე გასვლის წინ, სპორტსმენი — შეჯიბრების დაწყების წინ და ა.შ. ასეთი მღელვარება ბუნებრივი და გასაგებია, მაგრამ სულ სხვაა უხეშობა, ჯინკლაობა, უსაფუძვლო ლანძღვა-გინება, რაც, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს გახშირდა და რასაც ხშირად მოსდევს ნერვების აშლილობა და სტენოკარდია, ბოლოს კი — მიოკარდიის ინფარქტი.

ცხადია, ყოველი უხეშობა ინფარქტით არ მთავრდება, მაგრამ სუსტი ნებისყოფისა და ჯანმრთელობის ადამიანისათვის იგი შეიძლება სიკვდილის მიზეზად იქცეს. ამიტომ საჭიროა, გავუფრთხილდეთ როგორც საკუთარ, ისე სხვის ნერვებს.

უხეშობა, უტაქტობა და ავყიაობა უკულტურობის ძირითადი ნიშანია. კულტურულმა კაცმა უნდა შეძლოს ყოველგვარ ვითარებაში თავისი თავის ხელში აყვანა, საკუთარი გრძნობების მოთოკვა და წონასწორობის შენარჩუნება. მაგრამ ამის თქმა ადვილია, შესრულება კი ძნელი.

ნერვული სისტემის მოშლილობის თავიდან აცილების წინააღმდეგ ბრძოლა ბავშვის დაბადებიდანვე უნდა დავიწყოთ. პატარები უნდა დავიცვათ იმ განცდებისაგან, რაც ტრავმას აყენებს მათ ფსიქიკას (შშობლების ჩხუბი, საშიში ამბების მოყოლა, ანალოგიური სასიათის ვიდეოფილმების სისტემატიური ნახვა და ა.შ.), მაგრამ, როგორც დიდი უკრაინელი პედაგოგი ვასილ სუხომლინსკი გვასწავლის, მოზარდებისათვის ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების დაფარვა და ყველაფრის ვარდისფერებში წარმოსახვაც არ ვარგა. ბავშვი არ უნდა მივაჩვიოთ იმ აზრს, რომ ამქვეყნად ყველაფერი იოლია, რომ ეს წუთისოფელი გაშლილი სუფრაა. პატარამ კარგად უნდა იცოდეს, რომ სიხარულთან, განცხრომით ცხოვრებასთან ერთად, ადამიანის მუდმივი თანამგზავრია მწუხარება, ტანჯვა-წვალება, თორემ ხელთ შეგვრჩება სათუთი, ოთახის ყვავილივით აზიზად და ლოლიაობით გაზრდილი პიროვნება, პირველსავე სიძნელის წინაშე რომ წაიბორძიკებს და, თუ ხელი არ შეაშველე, ვინ იცის, რა საშინელ უბედურებას დაატეხს საკუთარ თავ-

საც და ახლობლებსაც. ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ადამიანების პატივისცემის გრძნობა, განვუვითაროთ ნებისყოფა, ვასწავლოთ მუდმივი ემოციებისაგან თავის შეკავება, თავის დაჭერა, საკუთარ თავში ემოციური ავვეთქების ჩაქრობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე აღზრდის სისტემა ხშირად სწორედ ამ უკანასკნელ მოთხოვნებამდეა დაყვანილი: „იყავი თავშეკავებული", „შეგეძლოს თავის დაჭერა", „ამას მოითხოვს ზრდილობა და ინტელიგენტობა". ასეთ მიმართვებს ხშირად გაიგონებთ სკოლაშიც და ოჯახშიც, მაგრამ გამუდმებული „თვითდამუხრუჭება" და განმუხტავი ემოციები, თავის მხრივ, ფიზიოლოგიური რეგულატორული მექანიზმის რღვევას იწვევს და დაავადებას წარმოშობს. ცნობილი მყრინავი — კონსტრუქტორი მარინა პოპოვიჩი იგონებს, რომ ერთხელ ჰაერში თვითმფრინავმა მართვა დაკარგა და ვარდნა დაიწყო, რამაც ეკიპაჟის წევრთა პანიკა გამოიწვია. მათი დამშვიდების მიზნით, მარინამ გახსნა ხელჩანთა, ამოიღო სარკე, პომადა და ტუჩების შეღებვა დაიწყო. მანქანა რაღაც სასწაულით გადარჩა. ძირს დაშვებული მარინა თავს ბედნიერად გრძნობდა — ხუმრობდა, იცინოდა, ღამით კი, როცა უკვე ეძინა, დაეწყო ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ნერვული მოშლილობა. აი, ასე ძვირი დაუჯდა ემოციებისაგან განმუხტვა მარინა პოპოვიჩს.

დაგროვილი ემოციის დაოკება, შეკავება ძალზე ძნელია. ამას ახერხებენ მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ადამიანები. გამოცდილმა გამომძიებლებმა იციან, რომ მკვლელი ვერ მოისვენებს, ვერ გაუძლებს სინდისის ქენჯნას, ვიდრე არ მივა იქ, სადაც მკვლელობა ჩაიდინა. ამიტომ იქვე ჩაუსაფრდებიან ხოლმე და დამნაშავეს ამხელენ. აღსარება, საიდუმლო ცოდვების აღიარება და მონანიება, სხვა არაფერია, თუ არა დაუძლეველი სურვილი, რომ განიმუხტოს, გული მოიოხოს ცოდვილმა.

ა. ჩეხოვს, რომელმაც მშვენივრად იცოდა ემოციის კანონები, აქვს შესანიშნავი მოთხრობა „სვედა". მოთხრობის ლაიტმოტივი ასეთია: მოხუც მეეტლეს ერთადერთი ეაჟიშვილი ჰყავდა და ისიც მოუკვდა. განუხომელია მისი მწუხარება. მას სურს, ვისმეს გაუზიაროს თა-

ვისი დარდი და გული გადააყოლოს, მაგრამ ამაოდ. მოხუცისა და მისი დარდისათვის არავის სცალია. რაკი ადამიანებში ვერ პოვა თანაგრძნობა, უბედური მოხუცი იძულებული გახდა, თავის ცხენს გასაუბრებოდა და მისთვის გაეზიარებინა მწუხარება. საღამოს იგი ცხენს აჭმევს და გულს გადაუშლის. როგორც კი სხვას გაანდო თავისი დარდი, თუნდაც ცხოველს, მოხუცს მაშინვე გულზე მოეშვა. რა მოხდა? დაგროვილი ენერგიისაგან, ემოციისაგან განიმუხტა. ამიტომ არასოდეს არ უნდა შევაწყვეტინოთ ლაპარაკი აღელვებულ ადამიანს, ბოლომდე უნდა ვაცალოთ გულის გადმოშლა, გულის მოოხება, თორემ მოთმინებიდან გამოვა, ხმას აუწევს და რაც არ უნდა ვეცადოთ, სულეროია, დაგროვილ ბოღმას მაინც გადმოანთხევს.

ემოციების თავიდან აშორების საუკეთესო საშუალებაა რაიმე მიზნის დასახვა და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა. საინტერესო, მიმზიდველი შრომა-საქმიანობა ამაღლებს გუნება-განწყობილებასა და სიხარულს, ხალისს მატებს ცხოვრებას.

ემოციებისაგან განმუხტვას ასევე ხელს უწყობს მუსიკა, ცირკი, საინტერესო წიგნი, ნადირობა, ბუნებაში გასეირნება, მაგრამ, ფიზიოლოგთა აზრით, ეერც ერთი მათგანი ისე საიმედოდ ვერ განტვირთავს ადამიანს დაგროვილი უარყოფითი ემოციებისაგან, როგორც ცრემლები. ადამიანებს ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ესმოდათ და ყველაზე უკეთეს წამლად მძიმე მწუხარებაში ცრემლები მიაჩნდათ. ამიტომ, თუ გვინდა განვიმუხტოთ უარყოფითი ემოციებისაგან, მწუხარების ჟროს მწარედ უნდა ვიტიროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მწუხარება, რაც არ გადმოღვრილა ცრემლების სახით, სხვა ორგანოებს აატირებს. ვინც „გულში ტირის", ის გაცილებით მეტად იტანჯება, ვიდრე ის, ვინც ცრემლებად იღვრება.

დაბოლოს, მთავარი ის კი არაა, რომ თავი დავიცვათ დაძაბულობისა და უსიამოვნებისაგან, არამედ ის, რომ ბავშვობიდანვე აღვსარდოთ ადამიანში მათი დაძლევის უნარი. ამასთან, თითოეულ აღსაზრდელს პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ადამიანების სიყვარული

და პატიოსანმა, რათა კაცი კაცის ნამდვილი წამალი იყოს. მაშინ ცხოვრება კიდევ უფრო საინტერესო და სახალისო გახდება და ნაკლები ადგილი ექნება ადამიანთა მიერ ნერვების ტყუილუბრალოდ აშლას.

1989 წლის მაისი

სიტყვა წამალიცაა და საწამლავიც

> თუ არ ვაქციეთ სიტყვა წამლებად,
> სიკეთემ ტვირთი თუ არ ასწია,
> მაშინ ცხოვრება არის წამება,
> სიცოცხლეს მაშინ ჩალის ფასი აქვს.
> *ნოდარ ჯალალონია*

სიტყვა! ხან მახვილივით ბასრი, ხან კი პეპელასავით ნაზი. ხავერდოვანი. რამდენი ფერადოვნება, რაოდენი სურნელება, როგორი სიღრმე და სიბრძნე აქვს ჩვენს ენას, ჩვენს სიტყვას. ი. გოგებაშვილის აზრით, ძნელია მოიძებნოს მსოფლიოში მეორე ისეთი ენა, რომელშიც იმდენი საალერსო სიტყვები იყოს, როგორც ქართულშია: „შენი ჭირიმე", „შენ გენაცვალე", „შენ გეთაყვანე", „თავ შემოგევლე", „წამლად დაგედე" და მრავალი სხვა.

რატომ სრულად არ ვიყენებთ ასეთ საუნჯეს, რატომ არ უნდა ჰქონდეთ „სავერდოვანი ენა" ჩვენს ადამიანებს! ტკბილი, ალერსიანი სიტყვა ხომ საოცარი და უებარი წამალია, ისეთი წამალი, რომელსაც ვერც ერთ აფთიაქში ვერ იპოვით. იგი მალამოდ ედება ადამიანის სულს, აუმჯობესებს მის გუნება-განწყობილებას, ახალისებს, ტანჯვას უმსუბუქებს, იმედსა და სიხარულს გვრის კაცს. ბავშვობაში გამიგონია და ახლაც მესმის — ექიმის სიტყვაც წამალიაო. მართლაც, კარგი, ავტორიტეტული ექიმის სიტყვა უფრო აჯანსაღებს ადამიანს, ვიდრე მის მიერ გამოწერილი წამალი.

ამ რამდენიმე წლის წინ ალერგიამ შემომიტია. რაც უნდა მეჭამა, ყველაფერი ალერგიით იწყებოდა და ალერგიითვე მთავრდებოდა. ვიღაცამ ბარათაშვილის ქუჩაზე

არსებულ სპეკპოლიკლინიკაში მკურნალობა მირჩია. მეც ავდექი და მის მოთავარ ექიმს, ქალბატონ ნუნუ პერტიას ვეწვიე. მე მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ იმდენი კარგი ჰსმენოდა მის შესახებ, რომ, სიმართლე გითხრათ, უფრო მის გასაცნობად მივედი, ვიდრე სამკურნალოდ. მართლაც, პირველმა შთაბეჭდილებამ მოლოდინს გადააჭარბა. ისე გულთბილად მიმიღო და დამარიგა, თითქოს ჰისი ძველი ნაცნობი და ძალზე ახლობელი ვიყავი.

ქალბატონ ნუნუ პერტიას ასეთი დამოკიდებულება პაციენტისადმი სულაც არ გამკვირვებია, რადგან, როგორც გითხარით, მას, ასე თუ ისე, დაუსწრებლად ვიცნობდი, უფრო ალერგოლოგ შორენა შონიას უდიდესმა გულისხმიერებამ, ყურადღებამ და ადამიანურმა სითბომ გამაკვირვა. თვეზე მეტ ხანს ვმკურნალობდი მასთან და ერთხელაც არ მინახავს იგი აღელვებული, ნერვებაშლილი და ზოგიერთებიით გაწიწმატებული. რაც; უფრო ახლოს ვეცნობოდი აჰ ახალგაზრდა ქალს, მით უფრო მაოცებდა მისი გულისხმიერება და თავაზიანობა. „ადამიანში ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს: სახეც და ტანსაცმელიც, სულიცა და აზრიც“, – ამბობდა ანტონ ჩეხოვი. ეს სიტყვები ზუსტად ზედგამოჭრილია შორენა შონიაზე. მოგვიანებით გავიგე, რომ იგი ცნობილი ჟურნალისტისა და კრიტიკოსის აკაკი შონიას ქალიშვილი იყო და ერთხელ კიდეც დავრწმუნდი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების პირად მაგალითსა და ოჯახურ გარემოს მოზარდებში ჭეშმარიტი ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებაში.

რა კარგი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, ყველა რომ ასეთი იყოს! მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ბევრი ჩვენგანი არ აფასებს სიტყვის ძალასა და მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვივიწყებთ იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ სიტყვა, წამალთან ერთად, საწამლავიცაა. ‘ხოგჯერ დაუფიქრებლად წამოვისვრით მას და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ უხეშმა, როყიო სიტყვამ შეიძლება კაცი დაჭრას ისე, რომ ნაჭრილობეკი დიდხანს არ შეუხორცდეს. გაკიხსენოთ სულხან-საბას „ენით დაკოდილი“ – ცულით დაკოდილი თავი გამიმრთელდა და

ენით დაკოდილი არაო. ან კიდევ: „ჯოხი ხორცს ურტყამს, სიტყვა კი ძვლებამდე აღწევს“.

ამბობენ, ენას ძვალი არა აქვსო. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ, რაც პირზე მოგვადგება, ყველაფერი ვთქვათ, ყველაფერი გადმოვანთხიოთ. ადამიანს კბილები იმიტომ აქვს პირში, რომ ზოგჯერ ენას კბილი უნდა დააჭიროს და არ მისცეს მას ზედმეტი მოძრაობის საშუალება.

დღევანდელი დაძაბული ცხოვრება მრავალი პრობლემის წინაშე გვაყენებს, მაგრამ ეს იმის უფლებას როდი გვაძლევს, რომ ადამიანობა დავკარგოთ და დავივიწყოთ ჩვენი სამყაროს ყველაზე ძვირფასი არსება — ადამიანი. სამწუხაროდ, ხშირად მაღალ ინსტანციებში, კულტურულ და ფრიად პატივსაცემ ორგანიზაციებშიც კი არად დაგიდევენ ადამიანს, ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ მისი თავმოყვარეობის შელახვა. შეურაცხგყოფენ მაღაზიაში, ტრანსპორტში, ფოსტაში, ბიბლიოთეკაში, საწარმო-დაწესებულებებში; ყველა ცხვირჩამოშვებული და კოპებშეკრული გელაპარაკება, გამადლის თავისი მოვალეობის შესრულებას, იმ საქმის გაკეთებას, რისთვისაცაა მოწოდებული და რაშიც მას სახელმწიფო ხელფასს აძლევს. „სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად ულირს, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ — მომძესათვის ისიც არ ემეტება“.

ზოგჯერ რომელიმე დაწესებულებაში რომ შეხვალთ, პირადი მდივნის ბარიერს თუ გასცდით, კაბინეტში დაგხვდებათ პირქუში უფროსი, ქაღალდებში თავჩარგული. დგახართ და უცდით, როდის გამოერკვევა ფიქრებიდან, ის კი განაგრძობს ქაღალდებში ქექვას. ბოლოს თავს წამოსწევს და მოგმართავს ტრაფარეტული სიტყვით: — გისმენთ!.. თქვენს საწუხარს კი გულთან არ მიიტანს.

თუ ადამიანის სიკეთე გვსურს, უნდა დავამყაროთ მასთან ნამდვილი მეგობრული, კეთილი, ძმური ურთიერთობა და ამოვძირკვოთ შურლი, სიავე, შური და ეგოიზმი. ეს საჭიროა არა მარტო სოციალური თვალსაზრისით, არამედ ამის საჭიროება ფიზიოლოგიური მხარითაცაა განპირობებული.

ავი, უკმეხი გესლიანი, დამამცირებელი სიტყვა შეურაცხყოფს ადამიანს, მძიმე დაღს ასვამს მის სულსა და გულს. მეცნიერული გამოკვლევებითა და პრაქტიკული გამოცდილებით დადასტურებულია, რომ თავხედური სიტყვის დროს სისხლძარღვები ისე ვიწროვდება, რომ შეიძლება ორგანიზმში სისხლის მოძრაობა შეწყდეს და გამოიწვიოს ანაზდეული სიკვდილი.

ცხადია, ყოველი უხეშობა შეურაცხყოფილი ადამიანის სიკვდილს არ იწვევს, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის ადამიანისათვის იგი შეიძლება სიკვდილის მიზეზად იქცეს. ამიტომ საჭიროა, გავუფრთხილდეთ როგორც საკუთარ, ისე სხვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ეს ყველა ჩვენგანის ვალია.

უხეშობა, უტაქტობა და ავყიაობა უკულტურობის ძირითადი ნიშანია. ზოგჯერ უსამართლო მოქმედებამ, მოულოდნელად მიყენებულმა შეურაცხყოფამ შეიძლება დინჯი ადამიანიც გამოიყვანოს მოთმინებიდან და ისეთი მოქმედება ჩაადენინოს, რაც მისი ბუნებიდან არ გამომდინარეობს, მისთვის არაა დამახასიათებელი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის მოქმედებას მაინც ვერ გავამართლებთ, რამეთუ კულტურულმა ადამიანმა უნდა შეძლოს ყოველგვარ ვითარებაში საკუთარი გრძნობების მოთოკვა და წონასწორობის შენარჩუნება.

ერთხელ საქალაქო ტრანსპორტში ასეთი ამბის მომსწრე გავხდი. ავტობუსს მსუბუქმა ავტომანქანამ მოსახვევში (გზაჯვარედინზე) საავარიო სიტუაცია შეუქმნა და მძღოლმა, ავარიის თავიდან აცილების მიზნით, მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა. ავტობუსში წინ ერთი შუახანს მიტანებული მამაკაცი იდგა, რომელსაც ხელი ზედა სახელურზე ჰქონდა მოკიდებული. მანქანის მკვეთრი შეჩერების შედეგად სახელური გამოვარდა და მგზავრმა იგი საკუთარი ხელით თავზე მიირტყა. ამან, ერთი შეხედვით, კულტურული კაცი ისე გამოიყვანა წონასწორობიდან, რომ მძღოლის მისამართით ავტობუსში ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა. როცა მძღოლი, რომელსაც ფაქტობრივად არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, შეეკამათა, მგზავრმა იმ რკინის სახელურს წამოავლო ხელი და მძღოლისათვის თავში უნდა ჩაერ-

ტყა. ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა მაინ ორთაბრძოლა, აღელვებული მგზავრისათვის რკინის სახელური ხელიდან რომ არ გამომეგლიჯა და არ დამეწყინარებინა.

უხეში კაცისაგან, რომელსაც არაფრად უღირს ლაფში ამოსვაროს სრულიად უდანაშაულო ადამიანი, ხშირად გაიგონებთ ხოლმე — „გული ამოვირეცხეო". ასეთი კაცი არაფრად აგდებს იმას, რომ მან გული იჯერა და თავისი „გულის ნარეცხით" სხვა „დასვარა", სხვებს ნერვები აუშალა, შეურაცხყო და დაამცირა.

უხეშობასა და უტაქტობას განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს მაშინ, როცა იგი ხელმძღვანელი მუშაკისაგან მომდინარეობს, რომელიც თავდაჭერილობისა და კარგი ტონის მაჩვენებელი უნდა იყოს ხელქვეითებისათვის. ისევე როგორც ოჯახში შვილები მშობელს, წარმოების ხელმძღვანელსაც ბაძავენ მისი თანამშრომლები. ამიტომ ხელმძღვანელის ასეთი ქცევა უარყოფითად მოქმედებს წარმოების პროცესში ადამიანთა ურთიერთობაზე და, აქედან გამომდინარე, საწარმოო მაჩვენებლებზეც. მეცნიერული გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ როცა ადამიანი ნერვებაშლილია, მაშინ მისი შრომის ნაყოფიერება გაცილებით დაბალია. ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა საწარმო-დაწესებულებებში, შრომითს კოლექტივებში ადამიანებს შორის ნორმალური ურთიერთდამოკიდებულება სუფევდეს.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი ამას ანგარიშს არ უწევს და წამდაუწუმ იშველიებს უხეშობის ამ ნაცად „იარაღს". როცა ასეთი ხელმძღვანელი თანამდებობით მასზე უფროსს ხვდება, ამ უკანასკნელმა როგორადაც უნდა შეურაცხყოს, იგი მაინც ინარჩუნებს წონასწორობას და მის წინაშე „მუხლებზე ხოხვას" იწყებს. ასეთი ხელმძღვანელი კოლექტივის წევრთა სიყვარულსა და პატივისცემას ვერ დაიმსახურებს.

ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის უხეშობა ნიღაბია, რომლის იქით მისი დაბალი ინტელექტუალური დონე, უვიცობა იმალება: უხეშ ხელმძღვანელს რჩევა-დარიგებისა და ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის არავინ მიმართავს, უფრო სწორად, ვერავინ გაუბედავს

და მის უვიცობასაც ვერავინ გაიგებს. მაგრამ ასეთი ნიღაბი მას დიდხანს ვერ დაიფარავს და მისი ნამდვილი სახე, აღრე თუ გვიან, მაინც გამოჩნდება.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ადამიანური თვისებები აკლიათ იმათაც, ვისაც თავისი ცხოვრების მოწოდებად მოქმედალი თაობის აღზრდა – პედაგოგობა გაუხდია. „მხეცო", „ნადირო", „ტყეში გაზრდილო", „დებილო" და სხვა ამისთანა სიტყვებით „ამკობს" ზოგიერთი ვაი-მასწავლებელი თავის აღსაზრდელებს. ამიტომაც ამბობდა დიდი გოეთე: „იმათ, ვისთანაც ვსწავლობთ, სამართლიანად ვუწოდებთ ჩვენს მასწავლებლებს, მაგრამ ყველა როდი იმსახურებს ამ სახელს, ვინც კი გვასწავლის"

ცხოვრება ისე როდია მოწყობილი (ბით უმეტეს დღეს), რომ კაცი ყოველთვის კარგ ხასიათზე იყოს, მაგრამ ჭეშმარიტ ადამიანს და, უწინარეს ყოვლისა, პედაგოგს უნდა შეეძლოს თავისი ცუდი გუნება-განწყობილების დაფარვა, ნერვების მოთოკვა და თავისი უხასიათობა, ნერვებაშლილობა სხვაზე არ უნდა მოიოხოს.

ზოგიერთი მასწავლებელი უხვშია არა მარტო თავის მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში, არამედ მათ მშობლებთან ურთიერთობაშიც და ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ამაში ვერაფერს ხედავს პედაგოგიურად მიუღებელს, დასაგმობს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ასეთ მასწავლებლებთან შეხვედრას ზოგიერთი მშობელი გაურბის და სკოლას სათოფეზეც არ ეკარება.

წერილი გაგვიგრძელდა. მაგრამ ბევრი რამ მაინც უთქმელი დაგვრჩა. ამასთან, კონკრეტული პირების დასახელებას შეგნებულად ავარიდეთ თავი, რადგან გვინდოდა ზოგადში ყველას საკუთარი თავი დაენახა და არ ეთქვა – ეს მე არ მეხებაო.

მოდით, ამ წერილში აღძრულ საკითხებს ყველამ ჩავუფიქრდეთ და შიგ ვეძებოთ არა სხვა ვინმე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავი, და თუ ვიპოვეთ, თავის თავს მაინც გავუმხილოთ სიმართლე და სათანადო დასკვნებიც გამოვიტანოთ.

1993 წლის აპრილი

სიტყვა – კაცობის ნიშანი

მართალს ვიტყვი, შევიქმნები
ტყუილისა მოამბე რად...
დ. გურამიშვილი

უხსოვარი დროიდან, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა რელიგია და არ იყო შემუშავებული სამართლებრივი ნორმები, ადამიანებმა შემოიღეს ქცევის გარკვეული წესები, ნორმები და კანონები, რომლებიც არეგულირებდნენ საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას. მათ მორალურ, ანუ ზნეობრივ ნორმებს უწოდებენ.

ზნეობრივ ნორმებთან ერთად, ადამიანებისმიერ ქვეყანაში არსებობს სამართლებრივი ნორმები, რომელთა დარღვევისათვის ადამიანები კანონით ისჯებიან. მათგან განსხვავებით, ზნეობრივი ნორმები ერთგვარი დაუწერელი კანონია, რომელსაც ადამიანები ნებაყოფლობით ასრულებენ და მათი დაუცველობისათვის საზოგადოება არავითარ სასჯელს არ ითვალისწინებს. უბრალოდ, უზნეო კაცს, ე.ი. ისეთს, ვინც არ იცავს ზნეობრივ ნორმებსა და წესებს, ჩვეულებრივ კიცხავენ და, უკიდურეს შემთხვევაში, მასთან ურთიერთობას წყვეტენ. ეს არის და ეს. სხვა სასჯელი უზნეო კაცისათვის არ არსებობს. ამით გათამამებული ზოგიერთი შეუგნებელი, უზნეო და უბირი კაცი არად აგდებს საზოგადოების მიერ თავისი არსებობის მანძილზე შეშუშავებულ და ტრადიციად ქცეულ ზნეობრივ ნორმებს, ადამიანებთან ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, რაც ძვირად უჯდება ქვეყანას, ერს.

ჩვენი საზოგადოების განვითარების უკანასკნელი 70 წლის მანძილზე ადამიანთა ურთიერთობაში ბევრი რამ შეიცვალა და გაუკუღმართდა, მაგრამ ყველაზე მეტად დაირღვა თანაფარდობა სიტყვასა და საქმეს შორის, რამაც გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური კრიზისი.

ადრე სიტყვა კაცობის, ადამიანობის ტოლფასი იყო. ნამღვილი, ჭეშმარიტი ადამიანი ტყუილს როგორ იკა-

დრებდა. მართალი, პატიოსანი სიტყვა სიცოცხლეზე ძვირად ფასობდა. ყოველივე ეს თავის გამოხატულებას პოულობდა დიდსა თუ მცირე საქმეში. ამიტომაც უთქვამს ქართველ კაცს: საქმემან შენმან გამოგაჩინოსო.

თუ გვინდა ხალხში სიტყვის კაცის სახელი დავიმკვიდროთ, ყოველ ნაოქვამს, დანაპირებს ბოლომდე უნდა ვუეროგულოთ. ადამიანი მანამდე ცოცხლობს, სანამ თავისი სიტყვის ერთგულია. კაცი, რომელიც არ ფიქრობს დანაპირების შესრულებას, არამზადა, არაკაცია.

არ არსებობს დიდი და პატარა დაპირება, იგი ყველა ერთია და არ უნდა არსებობდეს დაპირება, რომელიც არ შესრულდება. ჩვენი სიცოცხლე გაუფასურდება, თუ მას არ ახლავს სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

მაგრამ ვაი, რომ ეს ყველას არ ესმის ან არ უნდა გაიგოს. რამდენი კაცია ჩვენს შორის, რომელსაც ტყუილის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ამას წინათ, როცა ერთ ხელოსანს ტყუილისათვის ვუსაყვედურე, ირონიულად ჩაიღიმა და მითხრა: ხელოსანმა ტყუილი არ თქვას, სად გაგიგონიაო. ჩემი ღრმა რწმენით, აქ პროფესია არაფერ შუაშია. რა პროფესიასაც არ უნდა ემსახურებოდეს კაცი, თავისი სიტყვის ერთგული უნდა იყოს ბოლომდე. ლევ ტოლსტოი წერდა: „ადამიანმა... ყველაზე უმნიშვნელო საქმის კეთების დროსაც კი არ უნდა მისცეს თავს უფლება, რომ მოიტყუოს. ის კი არ არის მთავარი, რომ სიცრუეს შეიძლება დიდი და პატარა ბოროტება მოჰყვეს, არამედ ის უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ მავანმა და მავანმა თავისი თავი არასოდეს შეურაცხყოს ტყუილის თქმით“.

რა სასიამოვნოა, როცა შენზე იტყვიან — სიტყვის კაცია, სიტყვის პატრონია; თუ დაგპირდა, აუცილებლად შეგისრულებს დანაპირებს, თუ არ შეუძლია, პირდაპირ გეტყვისო. მაშ, თუ სიტყვა მიეცი, შეასრულე კიდეც. გახსოვდეს, ადრე თუ გვიან, პასუხს აგებ დანაპირებზე.

ადამიანებზე ყოველთვის მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ რას ლაპარაკობენ ისინი, არამედ იმის მიხედვით, თუ რას აკეთებენ. თუ სიტყვა საქმით არ არის განმტკიცებული, ამ სიტყვის პატრონი წყვეტს იმ ძაფს, რომელიც მას ადამიანების გულებთან აკავშირებს. ასე-

თი კაცი მატყუარა, ცრუ და ორპირია, რომელსაც, ადრე თუ გვიან, ხალხი ზურგს შეაქცევს და თავის რიგებიდან მოიკვეთს.

რომელ ჩვენგანს არ ახსოვს, თუ როგორი დაპირებებით კვებავდნენ ხალხს კომუნისტი ფუნქციონერები, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები. ისინი ტრიბუნიდან, როგორც იტყვიან, ოქროს კოშკებს აგებდნენ, ხალხს კომუნიზმის აშენებას პპირდებოდნენ, მათი საქმენი კი სულ სხვას ღაღადებდნენ. მათთან მისულ მთხოვნელს ეუბნებოდნენ, თქვენ თხოვნას გავითვალისწინებთ, პასუხს უახლოეს დღეებში გაცნობებთ ან დაგირეკავთო. გადიოდა დრო, ადამიანი პასუხს ელოდებოდა, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი", დაპირება დაპირებად რჩებოდა და მის შესრულებაზე არავინ ფიქრობდა. ამიტომაც იყო, რომ ხალხმა ზურგი შეაქცია მათ, ასეთივე ბედი ეწევა ჩვენს დრეკანდელ მთავრობასაც, რომელიც ხალხის ნდობას ბოროტად იყენებს და მხოლოდ დაპირებებით კვებავს მათ.

ცრუ და ორპირი ადამიანები ყველა დროსა და ეპოქაში იყვნენ. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში ეს მავნე სენი დაგმო დიდმა რუსთაველმა და თამამად განაცხადა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა". ამიტომაც იგი გმობს „კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა". მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთები დღესაც საკმაოზე მეტი გვყვანან. ტყუილმა ისე გაიდგა ფეხი ჩვენს საზოგადოებაში, რომ მართალი სიტყვისაც არ გვჯერა. ადამიანებმა დაკარგეს ერთმანეთისადმი სიყვარული, ნდობა და პატივისცემა, რამეთუ მთელი 70 წლის მანძილზე ტყუოდა ყველა — ცეკას გენერალური მდივნიდან დაწყებული, რიგითი მუშაკით დამთავრებული.

თუმცა, ყველაფერს დროს ნუ დავაბრალებთ. ადამიანს თუ შინაგანი კულტურა, სინდისი აქვს, ის არასოდეს არ იცრუებს, მაშინაც კი, როცა მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ამის მაგალითები უამრავი იცის ისტორიამ.

ამ ორი ათეული წლის წინათ ერთ-ერთი ჩემი მეგობრის მამამ მიამბო თავისი ამხანაგის შესახებ, რომე-

ლიც ჩემი ახლობელი იყო. – იცი, მაგი რა კაცი იყო? – მითხრა მან. – ყოველად პატიოსანი და სამართლიანი. მან არ იცოდა, რა იყო ტყუილი და კაცის ღალატი. ერთხელ, ჩვენს ახალგაზრდობაში, მე და მაგან ბაზარში თუთუნი ვიყიდეთ და შემდეგ სპეკულაციურ ფასებში ვყიდდით, მაგრამ იმავე დღეს მილიციამ დაგვიჭირა და ციხეში ამოგვაყოფინეს თავი. ახლობლებისა და ნაცნობების მეშვეობით გამომძიებელი მოვისყიდეთ და ამ უკანასკნელმა გვირჩია, სასამართლოზე გვეთქვა, არაფისგან არ გვიყიდია, საკუთარ საკარმიდამოზე მოყვანილ თამბაქოს ვყიდდითო. მაგრამ ჩემმა ამხანაგმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – ტყუილი როგორ ვთქვა, როცა ბაზარზე ვიყიდეთო. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ამაოდ. სასამართლოზე ყველაფერი „დაფრქვა“ და ორი წელი მოგვისაჯეს. ჩვენდა საბედნიეროდ, მალე საქართველოში მენშევიკური ხელისუფლება დამყარდა და ახალმა მთავრობამ ციხიდან გამოგვიშვა.

– ახლა რომ ჩვენს საქციელს ეუკვირდები, ნათლად ვრწმუნდები, ის კაცი მართალი იყო. პატიოსანმა კაცმა ტყუილი არ უნდა იკადროს, თორემ იგი ჩვეულად ეჭცევა და შემდეგ ვერ მოიშლის. ეს კი ხალხში სახელს გაუტეხს და მის ნათქვამს არავინ დაიჯერებს. ხომ გაგიგონია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო. ალბათ ისიც გექნება გაგონილი, როგორ დაეწვა ცრუ კაცს სახლი.

ასე დაასრულა თავისი შეგონება ჩემი მეგობრის მამამ და მეც და თავის შვილსაც სწორი გზით სიარული გვირჩია.

ნათქვამია, ყველა ერთი ჯოხით არ გაირეკებაო. ჩვენ არც ისე ცოტა გვყავს სიტყვისა და საქმის კაცი. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ცხოვრება უფერული და უღიმღამო იქნებოდა, მაგრამ ისე პატარა ერი ვართ, რომ ის ერთეულებიც ადვილად შესამჩნევი ხდებიან. აი, რა უნდა დაიმახსოვროს ყოველმა ჩვენგანმა.

სიტყვისა და დაპირების ჟამი წავიდა. ახლა საქმის დროა, უღალატო ნამუსიანი საქმისა, როცა ყველამ თავისი საკეთებელი უნდა აკეთოს და ამით შეეწიოს საყვარელ სამშობლოს.

ჩვენ, მართლაც, „ობოლი ერი“ ვართ და ყველაზე

მეტად ალბათ საკუთარი თავის იმედი უნდა გექონდეს. ცივილიზებულ ქვეყნებს ხომ მხოლოდ ძლიერი და ღონიერი ქვეყანა სჭირდებათ პარტნიორად.

დიახ, ჩვენ დღეს გვჭირდება მუხლჩაუხრელი შრომა, გარჯა, ცოდნა და გამოცდილება, ჭეშმარიტი სიტყვისკაცობა, მამულიშვილობა; გვჭირდება არა მარტო ეკონომიკის, არამედ ზნეობრივი გაჯანსაღებისათვისაც. მაღალი ზნეობა ერის სიმდიდრეა და ვინც ამ სიმდიდრეს არ უფრთხილდება, იგი თავისი ქვეყნის წინსვლას აფერხებს. ეს ყველამ კარგად უნდა შეიგნოს, დიდმაც და პატარამაც, ერმაც და ბერმაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარ წინსვლასა და განვითარებაზე ფიქრიც ზედმეტი იქნება.

1992 წლის აგვისტო

რა ენა ფახდეს...

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.
მ. მაჭავარიანი

ცოცხალ არსებათა შორის ადამიანი ყველაზე რთული და ამასთან, ყველაზე სრულყოფილი არსებაა. იგი, როგორც ბიოლოგიური მოვლენა, ცხოველთა სამეფოს სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავდება როგორც გარეგნობით, ისე შეგნებით, აზროვნების მაღალი დონით, მეტყველებითა და სხვა ნიშნებით. მის პიროვნებად, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდ როლს ასრულებს მემკვიდრეობა.

ახალშობილი ბავშვი, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული, არ არის დაუწერელი, სუფთა დაფა (ტაბულა რასა). მას დაბადებიდანვე თან დაჰყვება ადამიანად გახდომის გარკვეული მონაცემები, მათ შორის, მეტყველების ნიჭი, რომელიც შემდეგში ენად გარდაიქმნება იმის

მიხედვით, რომელ ენობრივ კოლექტივშიც გაიზრდება იგი. მაგალითად, თუ ახალშობილი ქართველი ბავშვი იტალიაში მოხვდება და იქ გაიზრდება, მისი მშობლიური ენა იტალიური იქნება და არა ქართული, მაგრამ იტალიური ენა მისთვის ვერ იქცევა ისეთად, როგორიც იქნება ქართული, ვინაიდან მისი საარტიკულაციო აპარატი სხვაა, ვიდრე იტალიელისა. გარდა ამისა, იგი, როგორც ქართველის შვილი, დაბადებამდე დაპროგრამებულია მხოლოდ ქართულის შესასწავლად.სწორედ ამას გულისხმობდა დიდი რუსი პედაგოგი უშინსკი, როცა წერდა: „...თუ ის ენა, რომელზეც იწყებს ლაპარაკს ბავშვი, ეწინააღმდეგება მის თანდაყოლილ ეროვნულ ხასიათს, მაშინ ეს ენა ვერასდროს ვერ მოახდენს ისეთ ძლიერ გავლენას მის სულიერ განვითარებაზე, როგორსაც მოახდენდა მისი მშობლიური ენა“. ამიტომ მშობლიური ენა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, და ეს ერთი ბავშვისათვის უნდა იყოს ის ენა, რომელზეც მისი მშობლები ლაპარაკობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი აზროვნება სრულყოფილად ვერ განვითარდება. ასევე აუცილებელია, რომ ბავშვმა სასკოლო განათლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე მიიღოს. ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ბავშვი, რომელიც სასკოლო განათლებას უცხოურ ენაზე მიიღებს, სრულყოფილად ვერ განვითარდება, მისი ბუნებრივი ნიჭი ისე არ გაიშლება და გაიფურჩქნება, როგორც ეს მშობლიურ ენაზე სწავლების დროს მოხდებოდა. ეს კარგად ჰქონდა შენიშნული იაკობ გოგებაშვილს. იგი წერდა: „ვინც ზედმიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჯეროვანს სიღრმეს აზრისა და გრძნობისას და იქნება მეტნაკლებად ფუქსავატი არსება, თუნდაც რომ მთელი დუჟინი უცხო ენები იცოდეს“. და კიდევ: დედაენას მოკლებული მოსწავლე, „თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ შესანიშნავი ნიჭის პატრონი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი შეიქმნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა უბრალო ნიჭი, მტკნარს სიტუტუცეზედ ჩამოხტება. ეს ხდება იმიტომ, რომ ეროვნული აგებულება ყოველს კაცს ძლიერ მტკიცედ აქვს შესისხლხორცებული და ამ აგე-

ბუბულების შეცვლა ითხოვს უცხო ბუნების და ცხოვრების მეტად დიდის ხნის გავლენასა“.

ი. გოგებაშვილის აზრით, ასეთი ბავშვი, მოგვიანებით რაგინდ საფუძვლიანად შეისწავლოს მშობლიური ენა, თავისი ერისათვის უცხო არსებად იქცევა; იგი ვერასოდეს გაუგებს თავის ხალხს და ხალხი მას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი ექსპერიმენტი ჩაუტარებიათ: იაპონელი ბავშვების ერთ ნაწილს პირველდაწყებითი და საშუალო განათლება მიაღებინეს ინგლისურ ენაზე, სოლო მეორე ნაწილს — მშობლიურ იაპონურ ენაზე. შედეგი კი ასეთი იყო: იმ ბავშვებმა, რომლებმაც მშობლიურ ენაზე მიიღეს განათლება, გაცილებით უკეთ განავითარეს თავიანთი ნიჭი და უკეთესი სპეციალისტებიც დადგნენ, ვიდრე ისინი, ვინც არამშობლიურ ენაზე მიიღო განათლება. ამასთან, რაც მთავარია, მათ ინგლისური ენაც უკეთ შეისწავლეს.

აქედან გამომდინარე, ბავშვის სწავლება არამშობლიურ ენაზე მისი ბუნების საწინააღმდეგო მოქმედებაა, რაც დიდ ზიანს აყენებს მის არა მარტო გონებრივ განვითარებას, არამედ ზნეობრივ სრულყოფასაც.

ენა არის ეროვნულობის ძირითადი ნიშანი, ერის სულიერი ცხოვრების მატიანე, ის მთავარი ძარღვი, რითაც ადამიანი თავის ერს უკავშირდება. იგი თავის ერთან კავშირს მამინ წყვეტს, როცა მის ენას ივიწყებს. სწორედ აქედან იწყება მისი ეროვნული გადაგვარება. ამიტომ იყო, რომ ენას დიდმა იაკობმა „ეროვნების ბურჯი“ უწოდა.

ეროვნული სული, ეროვნული ხასიათი და ფსიქიკა ყველაზე მეტად მჟღავნდება დედაენაში. უდედაენოდ არ არსებობს ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული კულტურა, ეროვნული აზროვნება და თვითშეგნება.

ენა ჩვენი სულის ლამპარი, ჩვენი გონების ჩირაღდანი და ყოველგვარი ცოდნის საფუძველთა საფუძველია. ცნობილი ქართველი მწერლის რევაზ ჯაფარიძის სამართლიანი მტკიცებით, მშობლიურ ენაზე გაზრდილი ბავშვისათვის ბულბული მის ენაზე გალობს, მერცხალი მის ენაზე ჭიკჭიკებს, მამალი მის მშობლიურ ენაზე იძახის „ყიყლიყოს“ (რუსისათვის იგი „კუკარეკუს“ იძა-

ხის), ტყე მის ენაზე შრიალებს და მდინარეც მის ენაზე ბუტბუტებს.

ამ რამდენიმე წლის წინ ფრანგმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩვილი ბავშვიც კი უკეთ წოვს ძუძუს, როცა მას მშობლიური ენა და მუსიკა ესმის. ასე დიდია დედაენისა და მშობლიური ჰანგების როლი პიროვნების ფორმირებაში.

ერისათვის დედაენა მარტო კომუნიკაციის,. ადამიანთა ურთიერთობის საშუალება როდია. ენაშია ხალხის ხსოვნა, მისი ისტორია, მისი აწმყოცა და მომავალიც. დედაენის დაკარგვა ერის გადაშენებას, მის სიკვდილს ნიშნავს.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ერის დაცემა მაშინ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს. ეს კარგად ესმოდა ყველას, ვისაც ჩვენი მოსპობა და გადაგვარება სურდა. ამიტომ იწყეს ეროვნული ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის განკუთვნილი საათების თანდათანობით შემცირება და ბოლოს თითქმის ნულამდე დაიყვანეს. ამით სურდათ მცირერიცხოვან ერებში ეროვნული სულის, ეროვნული სიამაყის გრძნობის გაქრობა და ერთიანი, მძლავრი „საბჭოთა ერის“ შექმნა.

ლევ ტოლსტოი „ანა კარენინაში“ წერს, თუ როგორ განიხილავდა მოსკოვის უმაღლესი ინტელიგენცია პოლონეთის გარუსების საკითხს. რუსული შოვინიზმის მსგავსი ქმედება ყოველთვის აშკარა იყო საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. იგი დაიწყო მე-19 საუკუნის მიჯნაზე და საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა. მე-19 საუკუნეში მოქმედებდა იანოვსკატკოვის კომპლექსური პროგრამა ქართული ენის სრული მოსპობისათვის, ქართული სკოლების გაუქმებისა და რუსულ სწავლებაზე გადასვლისათვის, ეკლესიებში რუსულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებისათვის.

კ. ვ. იანოვსკი საქართველოს 1878 წელს მოეელინა. ამ წელს იგი დაინიშნა კავკასიაში სახალხო განათლების მზრუნველად. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ სასწავლებლებიდან სრულიად განდევნა ქართული ენა. 90-იანი წლებიდან კი იგი უფრო მზაკვრული გეგმის განხორციელებას შეუდგა. კაცი, რომელიც ქართვე-

ლი ხალხის დაუძინებელი მტერი იყო, მეგრელთა „ინტერესების დამცველად“ მოგვეელინა. მან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი დაიქირავა და რუსულზე დაყრდნობით მეგრული „ანბანი“ შეაქმნევინა. ნათქვამია, ციხე შიგნიდან გატყდებაო და, შემდეგ შინაც გამოგვიჩნდა დამპყრობლის მსახური და ლაქია. 1899 წელს მასწავლებელმა თადა აშორდიამ, ასევე რუსულზე დაყრდნობით, კვლავ შექმნა მეგრული ანბანი – „დედა-ნინა“. ამ აშკარად ანტიქართულ აქციას ის შედეგი მოყვა, რომ მეგრელებმა თადა აშორდია სიკვდილის პირას მიიყვანეს და სამუდამოდ ამოაგდებინეს გულიდან იანოვსკის „განმანათლებლური იდეებისათვის“ ერთგულებისა და მსახურების გრძნობა.

1902 წელს იანოვსკი გარდაიცვალა. პეტერბურგის პედაგოგიურმა საზოგადოებამ ყოფილი მისი წევრის პატივსაცემად კრება გამართა, სადაც აღინიშნა მისი „დიდი დამსახურება“. კრებაზე ვინმე ველიკანოვს უთქვამს: „კავკასიაში თოთხმეტ წელიწადს ვცხოვრობდი. ამ თოთხმეტ წელიწადს ისე შევისწავლე კავკასია, როგორც ჩემი ხუთი თითი. ყოველი მხარე დავიარე, არაფერი არ დამრჩენია უნახავი და უნდა გაუწყოთ, რომ კავკასიელები არ ივიწყებენ თავიანთ ენას... მაგრამ ყველაზე საამწუხარო ის არის, რომ ქართველები ცდილობენ (დღემდის მაინც ცდილობდნენ) მთელის კავკასიის გაქართველებას! წარმოიდგინეთ, ქართველებს უნდათ, რომ ქართული ლაპარაკი იყოს, ქართულად სწირავდნენ სამეგრელოსა და გურიაში“.

აი, ამ ვინმე ველიკანოვის ნაცოდვილარში აშკარად ჩანს ის „დანაშაული“, რაც ქართველ ხალხს მიუძღოდა დამპყრობელთა წინაშე.

რაღა შორს მივდივართ, განა ახლახან არ იყო, ვიღაც ‘ხეიმალს გული შესტკიოდა იმის გამო, რომ თურმე ქართველებად ვწერთ არა მარტო იმათ, ვისი მშობლიური ენაც ქართულია, არამედ მეგრელებსა და სვანებსაც, ვისაც თავიანთი მშობლიური ენა გააჩნიათ.

ერის ეროვნული ენერგიისა და სულის შერყევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა შერეული ქორწინე-

ბა, რასაც ფართო პროპაგანდას უწევს თანამედროვე რუსი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ცვეტოვების, რასპუტინების, ასტაფიევებისა და სხვათა სახით. საქართველოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ (და ეს ასევა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც), ასეთ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები სკოლამდელ ასაკში ძირითადად რუსულ ენას ეუფლებიან, ქართულ ენაზე კი მეტყველებას ძლივს ახერხებენ. ეს იმიტომ, რომ დედა, რომელიც ყველაზე დიდი აღმზრდელია, მათ რუსულად ელაპარაკება და არც სურს, რომ მისმა შვილებმა ქართული ისწავლონ. შემდეგ, როცა ბავშვები წამოიზრდებიან, მშობლებს ისინი, როგორც წესი, რუსულ სკოლაში შეჰყავთ და ასე მთელი ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში ახალგაზრდები ფიქრობენ, აზროვნებენ და მეტყველებენ რუსულად. თავიანთ ერთან ასეთებს მხოლოდ გვარი და სახელი თუ აკავშირებთ, თორემ სხვა მხრივ ისინი „რუსები" არიან. ცხადია, ჭეშმარიტ რუსებად ვერ იქცევიან, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ქართული ეროვნული სული შერყეული აქვთ და სადღაც ორი-სამი თაობის შემდეგ მთლიანად გადაჯიშდებიან.

ანალოგიურ შემთხვევებთან გვაქვს საქმე მაშინაც, როცა დედ-მამით ქართველი ბავშვი მშობლებს რუსულ სკოლაში შეჰყავთ. ამ საქმეში ბრალი მიუძღვით განათლების დარგის მესვეურებსაც, რადგან იმის შიშით, ნაციონალობა არ დაგვწამონო, წარამარა რუსულ სკოლებს ხსნიან. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს პატარა ქალაქ ბათუმში 11 რუსულ სკოლაა, რომელთა კონტინგენტის თითქმის მესამედი ქართველი ბავშვებია. კიდევ მეტი, თბილისის № 56 რუსულ საშუალო სკოლაში, როგორც აღნიშნა ამას წინათ მწერალმა გურამ პეტრიაშვილმა, თავის წერილში „ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ", 800 მოსწავლიდან 600 ქართველი ყოფილა. და ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოში მიღებულია „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა". ერისათვის ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს.

ვინმემ ისე არ გაგვიგოს, თითქოს ჩვენ რუსული ენის დაუფლების წინააღმდეგი ვიყოთ. მაგრამ ერთია ამა თუ იმ ენის შესწავლა და მეორე – ამ ენაზე აღ-

ზრდა-განათლების მიღება. სამწუხაროდ, ეს არ ესმით ან არ უნდათ გაიგონ იმ ქართველმა მშობლებმა, რომლებსაც შვილები რუსულ სკოლებში შეჰყავთ.

არ შეიძლება ხელაღებით იმის მტკიცება, რომ ვისაც რუსულ სკოლაში შეჰყავს შვილი, არ უყვარს საქართველო, მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც „ვეფხისტყაოსანს“ ბატკნის ტყავი ურჩევნიათ, „კარაკულს“ რომ ეძახიან (ვ. ბოჭორიშვილი).

ჭეშმარიტ ქართველს, მამულიშვილს, თავისი ერის ისტორიაში კარგად ჩახედულს არ სჭირდება დედაენის მნიშვნელობის მტკიცება. მან კარგად იცის, რომ წინაპრები ქალიშვილებს მზითვად ატანდნენ „ვეფხისტყაოსანს“ და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ამ საგანძურს, რადგან იცოდნენ – „რა ენა წასდეს, ერიც დაეცეს“. მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც დედისაგან ქართული ნანა არ მოუსმენია და ქართულ სკოლაში არ უვლია? ცხადია, ასეთებისათვის ჩვენი ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები, ქართველი ერის სასიქადულო მწერლები – შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და სხვები – ბევრს არაფერს ნიშნავს.

განა შეიძლება, ამაყობდე შენი ქვეყნის ლამაზი მთაბარით, თავს დებდე ქართველობაზე, პატრიოტობაზე და ზედმიწევნით არ იცოდე შენი მშობლიური ენა და ლიტერატურა, არ სწავლობდე შენი ქვეყნისა და ერის ისტორიას, არ იცოდე „ვისი გორისა ხარ?“. „ლენინგრადში ერთმა ფრიად პატივცემულმა ქართველმა მითხრა, – წერს პროფესორი ვ. ბოჭორიშვილი: – „აი, მე ქართული კარგად არ ვიცი, მაგრამ ამით არაფერი დამიკარგავს“. გული მეტკინა ამის გამგონეს და ვუპასუხე: „შენი ჭირიმე, შენ არ იცი, რა დაჰკარგე, რადგან ის საგანძური არა გქონია და დაკარგვაც ამიტომ არ გიგრძვნია-მეთქი“. ერთმა ჩვენმა უახლოესმა ადამიანმა, ნიჭით აღსავსემ, ნამდვილად ლიტერატურული ტალანტის მქონემ, რომელმაც ქართული შედარებით კარგად იცის, რუსული სკოლა დაამთავრა. თითქოს არაფერი დაშავებულა. ქართულიც იცის და რუსული ხომ ‘ხედმიწევნით. კიდევ ორი ენა შეისწავლა მას აქეთ – ინგლისური და ფრანგული თუ გერმანული, მაგრამ შეხედეთ, რა დაკარგა:

ადამიანს, რომელიც საოცრად ერკვევა შექსპირისა და ჰემინგუეის ნაწარმოებებში, რუსთაველი ვერ გაუგია! ერთხელ შემომჩიელა კიდეც: რატომ არ არის „ევფხისტყაოსნის“ თარგმანი თანამედროვე ენაზეო. გესმით, ნიჭით აღსავსე და მსატვრული გემოვნებით დაჯილდოებული ქართველი ადამიანი ითხოვს რუსთაველის „ქართულად“ გადმოთარგმნას... მაშ, როგორ არ შეეიცოდით იგი“.

ვინ არის დამნაშავე? ვის მიუძღვის ბრალი იმაში, რომ ქართველი კაცი ქართულს ვერ გებულობს? ცხადია, მის მშობლებს, ვინც იგი რუსულ სკოლაში მიაბარა. თუ ქართულ სკოლაში ქართველებმაც აღარ იარეს, ვინ იქნება ჩვენი მოდგმა, ჩვენი ეამგები და ჭირის მოზიარე? არავინ და დადგება დრო, როცა ქართველობა აღიგვება პირისაგან მიწისა. ეს კარგად უნდა შეიგნოს თითოეულმა ჩვენგანმა, ყველა იმან, ვისთვისაც ძვირფასია ერისა და ქვეყნის მომავალი.

აქედან გამომდინარე, ყოველი ქართველის უპირველესი მოვალეობაა, სრულყოფილად იცოდეს თავისი მშობლიური ენა, რაც სრულებითაც არ ეწინააღმდეგება სხვა ენების შესწავლას, პირიქით, ხელს უწყობს მათ საფუძვლიანად დაუფლებას. კაცი იმით ფასდება, თუ რაოდენ ღრმად და ძირფესვიანად იცის თავისი მშობლიური ენა და ლიტერატურა, თავისი ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია.

ზოგიერთების აზრით, ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა სავალდებულოა მხოლოდ იმათთვის, ვინც ფილოლოგიურზე შესასვლელად ემზადება, მომავალი მათემატიკოსების, ფიზიკოსების, ბიოლოგების, ინჟინრების, ექიმების, აგრონომებისათვის კი ეს აუცილებელი არაა.

ასეთებს ავიწყდებათ, რომ მშობლიურ ნიადაგს მოკლებული ადამიანი ვერასოდეს ვერ იქცევა სანიმუშო სპეციალისტად. მას არასოდეს არ შეაწუხებს ერის სატკივარი. სწორედ ასეთმა „ღრმა“ სპეციალისტებმა მიიყვანეს დაღუპვის კარამდის ჩვენი ქვეყანა — მისი ეკონომიკა, ეკოლოგია, სულიერი თუ ზნეობრივი ცხოვრება. მოზარდს მხოლოდ მშობლიური ენა და ლიტერატურა

უეითარებს იმ მეცხრე გრძნობას, რომელიც ესოდენ აუ-ცილებელია ყოველი ჭეშმარიტი ადამიანისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავას-კვნათ: „რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვ-ნობის ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭი-როა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყველად მი-ვუბათ რუსული ენა და სხვა ენები. მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჯეროვანის სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზედ და მიაღწევს სამშვიდობო სადგურსა“.

1990 წლის მარტი

ო, ენავ ჩემო, ქართულო!

დედაენა!.. რა ძვირფასი და ახლობელია ეს ერთი სიტყვა ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის, რამდენი რამაა ჩაქსოვილი მასში! წარმოვოქვამთ ამ სიტყვას და თვალწინ დაგვიდგება ჩვენი ისტორიული წარსული, რო-ცა საუკუნეების მანძილზე „თვალს გვიხვევდნენ“, „ენას გვლეჯდნენ“, ვვარბევდნენ და გვაწიოკებდნენ, მაგრამ მაინც გადავრჩით, არ აღვიგავეთ პირისაგან მიწისა, ღვთის წყალობით, მაინც ირწეოდა აკვნები ჩვენს ოჯა-ხებში.

დღეს ჩვენი მრავალჭირგამოვლილი ქართული ენა მსოფლიოს სამი ათასამდე ენას შორის ერთ-ერთი უნი-კალური, სწორუპოვარი და ქართველთა ხელიხელსაგო-გმანებელი ენაა. მაგრამ „ქართული მარტო ენაა? ქარ-თული ქართველთ რწმენაა“, — ამბობს პოეტი მუხრან მაჭავარიანი. ქართული ენის ბადალი ძნელად თუ მოი-ძებნება მსოფლიოს ენათა შორის. ტყუილა როდი ამ-ბობდა გრიგოლ რობაქიძე: „ვერც ერთი ენა, ევროპული, ვერ გაუტოლდება „ელლიპსში“ ქართულს: ვერც ფრან-გული, ვერც გერმანული, ვერც რუსული. მხოლოდ ლა-თინური თუ შეედრება, ხოლო გატოლებაშიაც უკანას-კნელი პირველობას ქართულს დაუთმობს“. ამიტომაც უწოდა ალბათ ქართულ ენას პოეტმა ლადო ასათიანმა „ხმათა ხაევრდების და ღმერთების ენა“.

ამ ენაზე დავიწყეთ პირველად ტიტინი, ამ ენაზე გვიმღეროდა დედა „ნანას ტკბილად“, ამ ენაზე ვისწავლეთ ანი-ბანი და „გავიხსენით გონება“, ვისწავლეთ ქართული სიტყვის ხიბლი. შემდეგ სკოლაში შევისწავლეთ შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონისა და სხვათა გულში ჩამწვდომი ლექსები, „შემოვიარეთ“ მთელი მსოფლიო, გავეცანით მის საოცრებებს: წყალუხე მდინარეებს და ზათქიან ჩანჩქერებს, ტბებს, ზღვებსა და ოკეანეებს, წიაღისეულ სიმდიდრეებს, რუსეთის თვალუწვდენელ ველმინდვრებს, უსიერ ტყეებსა და ტრამალებს.

ქართული ენის შემდეგ დავეუფლე რუსულ და გერმანულ ენებს, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა ჩემი გონების არე და დამარწმუნა მშობლიური ქართული ენის უპირატესობაში სხვა ენებთან შედარებით. ამიტომაც ამბობდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი: ძალიან ბევრი უცხო ენა უნდა შეისწავლო, რომ ქართული ენის ფასი და სიდიადე გაიგოო.

ყოველი ერი უფრთხილდება და იცავს თავის ენას, რადგან „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“ (ი. ჭავჭავაძე). ენის დაკარგვა ერის გაქრობას ნიშნავს. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, — გვმოძღვრავს პოეტი გრიგოლ ორბელიანი. „ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს შექმნაც, ენისა კი — არასოდეს. მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც“, — ამბობს კ. დ. უშინსკი.

აბა, ახლა ცნობილ დაღესტანელ პოეტ რასულ გამზათოვს მოვუსმინოთ:

„დაე, ჰკურნავდეს ადამის მოდგმას
ღმერთს რა ენებიც გაუჩენია,
თუ ჩემი ენა ხვალ უნდა მოკვდეს,
მე რომ დღეს მოვკვდე, ის მირჩევნია.
ენაა ჩემთვის წმინდა ემბაზი,
ჩემი სიცოცხლე და ჩემი ღმერთი,
თუმცა არ გრგვინავს ასამბლეაზე,
მაინც ყველაზე დიდია ჩემთვის“

რაღა შორს მივდიოთ. განა დიდების ჰიმნი არ უმღერა მშობლიურ ენას პოეტმა ირაკლი აბაშიძემ? გავიხსენოთ რამდენიმე სტრიქონი ამ ლექსიდან:

„ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ!
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ ჩვენო სუნთქვის დიდო ალამო,
შენ ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთან“.

დიახ, ენა არ არის დასათმობი. სხვა ყველაფერს შეიძლება შეელიოს კაცი, მშობლიურ ენას კი იგი ვერასოდეს ვერ შეელევა. ენა საფიცარი და სათაყვანოა ყველა ერისა და ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის. ქართველი კაცი მას დედაენას უწოდებს, რამეთუ იგი დედასავით ნაზი, სათუთი და საალერსოა. მას ისეთივე მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, როგორც დედას. ენას ყოველთვის უნდა „სულის შებერვა, ცეცხლზე შემდგარ რძესავით“ (ნ. დუმბაძე). „ეროვნულ ენას საიდანაც ქარი მოუბერავს, იქიდან უნდა ჩამოეფარო, — წერს მწერალი ოტია იოსელიანი, — რომ ცივი ნიავი არ მიეკაროს, არ გაგრილდეს, უემური არ შეეყაროს... ენას დედაშვილივით ერთგულება უნდა. როცა გძინავს, მაშინაც აკვნის ტარზე უნდა ვედოს ხელი და უნანავებდე, რომ არ აგიტირდეს და დედა არ გეტიროს“. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი ესმის ეს შეგონება. ზოგიერთები, წერით თუ ზეპირ მეტყველებაში, ხშირად „ეპოტინებიან“ უცხო სიტყვებს, რომელთა გამოყენება აუცილებლობით არაა გამოწვეული, რადგან ასეთი ან მათი შემცველი სიტყვები ქართულ ენაშიაც მოგვეპოვება. „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით, — წერდა აკადემიკოსი ნიკო მარი. — ა'ხრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რომ არა თუ ქართველმა საესებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას...

ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.

მაგრამ ენა, რაგინდ კარგი და მდიდარი იყოს, თუ მას პატრონი არ გამოუჩნდა, შეიძლება მოკვდეს და გაქრეს. ეს კარგად იცოდნენ მე-19 საუკუნის დიდმა ქარ-

თეელმა განმანათლებლებმა – ილიამ, აკაკიმ, იაკობმა, ვაჟამ და სხვებმა. ამიტომაც დაიცვეს მათ ქართული ენა გადაშენებისაგან. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს მოხდა იმ დროს, როცა მეფის რუსეთის მოხელეთა და ჩინოვნიკთა ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგად ქართულ ენას მოსპობა და გადაგვარება ელოდა. სამწუხაროდ, ამ პროცესს ზოგიერთი ქართველიც კი გარდუვალად მიიჩნევდა. მაგალითად, ამას ამტკიცებდა ცარიზმის მოხელე გიორგი მუხრანბატონი, რომელსაც საკადრისი პასუხი გასცეს ზემოთ ჩამოთვლილმა და სხვა ქართველმა სამოციანელებმა.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ყოფილ საბჭოთა კავშირშიც. კომუნისტების მიერ შემუშავებულმა კონცეფციამ, რომლის მიხედვითაც კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ერები უნდა შერწყმოდნენ ერთმანეთს, შეიქმნებოდა ერთი ენა და ენობრივი ბარიერების პრობლემა საერთოდ მოიხსნებოდა – მცირერიცხოვან ერებს განადგურების აშკარა საფრთხე შეუქმნა და მძიმე საგონებელში ჩააგდო ისინი. მათ კარგად ესმოდათ კ. დ. უშინსკის სიტყვების აზრი, რომ "სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც... წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი, მაგრამ წაართვით ხალხს ენა და ის ვერასდროს ვეღარ შექმნის მას".

კ. დ. უშინსკის ამ სიტყვების ჭეშმარიტება საგნობრივად დაადასტურა ჩვენმა ცხოვრებამ. სამოცდაათი წლის მანძილზე სსრ კავშირის ეთნიკური რუკიდან გაქრა ათობით ერი და ეთნიკური ჯგუფი. ამის ძირითადი მიზეზი იყო დედაენის დაკარგვა და რუსული ენის გათავისება, გამშობლიურება.

ამავე მიზანს ისახავდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებსა და დაბებში რუსული სკოლების სიუხვე. შორს რომ არ წავიდეთ, ნათქვამის საილუსტრაციოდ მარტო ჩვენი პატარა ქალაქის მაგალითიც კმარა. ქალაქ ბათუმში 1990-1991 სასწავლო წელს რუსული სკოლების 7457 მოსწავლიდან 2105, ანუ დაახლოებით 28,2 პროცენტი, ქართველი იყო. ეს ციფრი საკმაოდ დიდია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თვით რუს

მოსწავლეთა რიცხვი 2625-ს არ აღემატებოდა. კიდევ მეტი, თბილისის № 56 რუსული საშუალო სკოლაში 1989-1990 სასწავლო წელს რვაასი მოსწავლიდან ექვსასი ქართველი ყოფილა. ყურადსაღებია ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობამდე ბათუმში 27 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან 11 რუსული იყო. არ ვიცი, ვინ, როდის და რა მოტივით ხელმძღვანელობდა, როცა ამ პატარა ქალაქში ამდენ რუსულ სკოლას ხსნიდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს სკოლები თავიდანვე ქართველებისათვის იყო გათვალისწინებული. მათში მოსწავლე ქართველ ბავშვებს ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ქართულ ენასა და საქართველოს წარსულზე, ქართული კულტურისა და ქართული მწერლების სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

უდავოდ არ არსებობს ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული კულტურა, ეროვნული აზროვნება და თვითშეგნება. ენაშია ხალხის ხსოვნა, მისი ისტორია, მისი აწმყოცა და მომავალიც. მაგრამ ვაი, რომ მას ვერ ვუელით და ვერ ვპატრონობთ ისე, როგორც ეკადრება.

ენა ცოცხალი ორგანიზმია და იგი, ცხადია, უცელელი ვერ იქნება. მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, „იგი გამუდმებით განიცდის დუღილსა და ცვლილებას". ამა თუ იმ ენაში შემავალი სიტყვები ხშირად იცვლის ფუნქციებს, შინაარსს, ელფერსაც კი. ენაში წარმოიქმნება ახალი სიტყვები, ტერმინები, ზოგიერთი სიტყვა კი დროთა განმავლობაში მივიწყებას ეძლევა და ბოლოს, ისე, როგორც ცოცხალი არსება, კვდება. ამ ცვლილებისა და გარდაქმნის მიზეზი ხშირად სხვა ენებთან მჭიდრო კონტაქტია. ასეთი კონტაქტი სასარგებლოა ნებისმიერი ენისათვის, რადგან ეს პროცესი ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. სწორედ ამ პროცესში ხდება ერთი ენის მიერ მეორისაგან ახალი სიტყვების, ახალი გამოთქმებისა თუ წყობის შეძენა. არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი ენა, რომელსაც მეტნაკლებად არ განეცადოს სხვა ენების გავლენა. ამის გარეშე იგი ვერ განვითარდება. ასე გამდიდრდა და გამრავალფეროვანდა ქართული ენაც. ზოგიერთი უცხოური სიტყვა ქართულმა ენამ ისე გაიშინაგანა და შეი-

სისხლხორცა, რომ მათი უცხოურობა ბევრს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც. ასე, მაგალითად, არაბული წარმოშობისაა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ადათი, ამანათი, ალბათ, ბარაქა, თუთა, იჯარა, ღალატი, ღარიბი, შარბათი, ჯაბანი, ჯალაბი და სხვა; სპარსული — ავარა, აუზი, თამბაქო, თუნგი, ფანჯარა, ქუჩა; ბერძნული — ავტონომია, ამნისტია, აეროდრომი, ეკლესია, მელანი, მიკრობი, მონასტერი, სინდისი; ფრანგული — ავანსი, ავანგარდი, ავიაცია, ავტომობილი, ბალადა, ბენზინი, ველოსიპედი, ლიგა, ლიტრი, პალტო; თურქული — ოჯახი, ქურქი, ჩაქუჩი და მრავალი სხვა. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ენებს შორის ასეთი კავშირ-ურთიერთობა, ასეთი „აღებ-მიცემობა" მაშინ არის გამართლებული, როცა მსესხებელ ენას თავის ლექსიკურ ფონდში სანაცვლო სიტყვა არ გააჩნია და უცხო სიტყვისა და გამოთქმის ხმარება აუცილებლობითაა გამოწვეული. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენს ენაში ფართოდ მოიკიდა ფეხი უცხო სიტყვებმა და გამოთქმებმა. უკანასკნელ ხანებში ასევე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ბილწსიტყვაობა, რამაც, საუბედურად, პრესასა და მხატვრულ ლიტერატურაშიც შეაღწია, ხოლო თავისუფალ პრესაში გაბატონებული ადგილი დაიკავა. ასე ღანაგვიანდა და დაბინძურდა ჩვენი ენა. ამ საქმეში „სამაგალითონი" არიან ჩვენი პარლამენტარები.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში უამრავი გაზეთი და ჟურნალი გამოდის. მათში, ვისაც რა უნდა და როგორ უნდა, ისე წერს. ყოველივე ამას მოჰყვა უცხოური სიტყვების მოზღვავება. სამწუხაროდ, მათ ქართულ ენაში ცარიელი ადგილი კი არ დაიკავეს, არამედ შესატყვისი ქართული სიტყვები განდევნეს და მათი ადგილი დაისაკუთრეს. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რადიო და სატელევიზიო გადაცემებსა თუ ზეპირ მეტყველებაში ხშირად გაისმის უცხო სიტყვები: ალიანსი, რაც კავშირს, გაერთიანებას ნიშნავს, ბარტერი — გაცვლა-გამოცვლა, ბრიფინგი — თათბირი, ბროკერი (მაკლერი) — შუამავალი, დისკრეტიზაცია — ვისიმე ან რისიმე ღირსების შე-

ლახვა, ეიფორია – აღგზნებული, მხიარული განწყობილება, კომპრომისი – დათმობა, კონფიდენციალური – საიდუმლო, კონფრონტაცია – ურთიერთდაპირისპირება, ლეგიტიმური – კანონიერი, ნომინაცია – დასახელება, ნონსენსი – უაზრობა, ობსტრუქცია – სხდომის ან ვისიმე გამოსვლის ჩაშლა, ოდიოზური – საძულველი, ოფისი – უწყება, პანაცეა – უებარი საშუალება, პიარი – საზოგადოებრივი აზრი, ტოტალური – ყოვლისმომცველი, საყოველთაო და ა.შ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მკითხველთა 90 პროცენტს ამ სიტყვების მნიშვნელობა არ ესმის. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ მალე უცხო სიტყვათა ლექსიკონის მოუმარჯვებლად ვერც სტატიის დედააზრსა და ვერც საუბრის შინაარსს ვერ გავიგებთ.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ჩვენგანი ამ სიტყვებს ხმარობს ყოველგვარი საჭიროების გარეშე, თავის მოსაწონებლად, დახეთ, რა განათლებული ვარო. ერთ-ერთ პოპულარულ გაზეთში ვკითხულობთ: „იყო *ტოტალური* მცდელობა, რომ ილია *ოდიოზურ* პიროვნებად გამოეცხადებინათ“ (კურსივი ჩვენია – ნ. ბ.). ავტორს რომ ამ წინადადებაში სიტყვა „ტოტალურის“ ნაცვლად „საყოველთაო“ ეხმარა, ხოლო „ოდიოზურის“ ნაცვლად – „საძულველი“, მაშინ მკითხველისათვის ყველაფერი გასაგები იქნებოდა და უცხო სიტყვათა ლექსიკონის მოშველიება არ დაგვჭირდებოდა. ასეთებს უნდა შევახსენოთ იმავე ილიას სიტყვები: „ენა საღეთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“

ცხადია, ჩვენ ყველა უცხოური სიტყვის გამოყენების წინააღმდეგი კი არა ვართ, არამედ მხოლოდ ისეთებისა, რომელთა ხმარება აუცილებლობით არაა ნაკარნახევი.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ქართულ ენაში ფართოდ მოიკიდა ფეხი რუსულმა სიტყვებმა და გამოთქმებმა. დღეს შესაბამისი ქართული სიტყვების ნაცვლად ყოველად უბოდიშოდ იხმარება ასობნიაკი, აჩკი, ბასეინი, ბოჭკა, ბულავკა, დავაი, დაუე, ვაფშე, ვეჩნათ, ვიპუსკი, ზაპრავკა, ზრასტი, იტოგში, კაროჩე, კრაოტი, კრიშკა, ლაფატკა, ლევი, მაროუნი, მეშოკი, ნაგლი, ნიჩია, პადაჩა, პავაროტი, პაზორი, პაპკა, პაკრიშკა, პაუა-

ლუსტა, პერერიეი, პესოკი, პრაეზდნოი, პრიეეტ, რუჩკა, საპოუნიკი, სეტკა, სმენა, სოკი, სოჩიკი, სპიჩკა, სტოლი, სუმკა, ტაბურეტკა, უბორკა, შკაფი, ჩოთქი და მრავალი სხვა. აი, რას წერს არგენტინაში დაბადებული და გაზრდილი ქართველი – მარიამ ჭეიშვილი, რომელსაც ქართული ენა მშობლებისაგან შეუსწავლია: „ერთი რამ არ მომწონს: ზოგიერთი ქართველი საუბარში ბევრ რუსულ სიტყვას ურევს. მე რუსული სულ არ ვიცი და ხშირად ვერ ვიგებ, რას ამბობენ. ქართულს არ სჭირდება სხვა ენის მოშველიება. ამას ნამდვილად არ ვეტყვი მამაჩემს. ვიცი, ძალიან ეწყინება“.

დიახ, ასე ძალიან საწყენად გვაქვს საქმე და, თუ ამას დროზე არ მივხედეთ, შემდეგ, როგორც იტყვიან, გვიან იქნება თითზე კბენანი.

ეს წერილი მინდა დავასრულო დიდი მემედ-ბეგ აბაშიძის სიტყვებით: „...ჩვენი ერის მთლიანობის გამომხატველი ენა განიცდის სხვადასხვა უაზრო და უცხო სიტყვათა შემოსევის ხიფათს... თუ ამის საწინააღმდეგო რაიმე ზომა არ მივიღეთ, ჩვენი ენა თანდათანობით დაემსგავსება ალჟირელთა ენას, რომელიც ლათინურის, იტალიურის, ფრანგულის, ესპანურის და მათი მშობლიური ენის ნარევია...

თუ ჩვენც ალჟირელებივით გულგრილნი ვიქნებით და ჩვენი სიტყვიერების საზღვრების ღიად დატოვებით, საშუალებას მივცემთ განუხრელად შემოიპაროს და შემოიჭრას უცხო სიტყვები ჩვენს სიტყვიერებაში, დიახ, ასე თუ იქნება, ალჟირელების ბედის საზღვარზე შევაგდებთ ჩვენს ოდესღაც მდიდარს და შინაარსიან მეტყველებას“.

გასული საუკუნის 20-იან წლებში წარმოთქმული ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია და საპროგრამო მოწოდებად გაისმის. მაშ, ყური ვუგდოთ ამ ბრძენკაცის სიტყვებს და ყველა ღონე ვიხმაროთ „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენის“ სიწმინდის დასაცავად.

2003 წლის დეკემბერი

ჰუმანიზმის აღზრდა

1. ჰუმანიზმის ცნება, მისი წარმოშობა და განვითარება

სიტყვა „ჰუმანიზმი“ წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან humanus, რაც ადამიანურს ნიშნავს. მასში იგულისხმება ადამიანის მხურვალე სიყვარული, მისდამი გულისხმიერება, ყურადღება, თანაგრძნობა, მისი ჭირვარამის გაზიარება.

ჭეშმარიტ ჰუმანიზმს ასულდგმულებს არა მარტო ადამიანის სიყვარული და მისი პიროვნების პატივისცემა, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მისთვის თავდადებაც კი.

ჰუმანიზმის გაგებაში მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ ჰუმანიზმი გულისხმობს ნებისმიერი ადამიანის სიყვარულს, განურჩევლად იმისა, თუ რას წარმოადგენს იგი; მეორე ჯგუფის აზრით, ჰუმანიზმი მხოლოდ პატიოსანი, მშრომელი, საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნების სიყვარულს ნიშნავს; მეცნიერთა მესამე ჯგუფი კი თვლის, რომ ჰუმანიზმი არის არა მარტო ადამიანების, არამედ ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარული (ჰუმანიზმის ფართო გაგება).

ჰუმანიზმის იდეები ახალი არ არის. ეს იდეა პირველად ჩაისახა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ჩვენამდე მოღწეული უძველესი დროის ქმნილებები – ბილინები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ეპიტაფიები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა – ამის უტყუარი დასტურია.

ჰუმანიზმის იდეებით პირველად გამოვიდნენ ანტიკური ხანის მოაზროვნეები: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, კვინტილიანე, სენეკა და სხვები, მაგრამ ჰუმანიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მხოლოდ აღორძინების ეპოქაში (XIV-XVI სს.) მიაღწია. ამიტომაც ამ იდეის წარმოშობას ჩვეულებრივ აღორძინების ეპოქას უკავშირებენ.

შუა საუკუნეებში ჰუმანიზმის ფროშით გამოვიდნენ ვერჯერიო, ვეჯო, პიკოლომინი, ვიტორინო და ფელტრე (იტალია), ფრანსუა რაბლე, მიშელ მონტენი (საფრანგეთი), ერაზმ როტერდამელი (გერმანია), მოგვიანებით დანტე, ბოკაჩო, პეტრარკა, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი და სხვები. მათ პირველ ადგილზე დააყენეს ადამიანის კულტი და აქტიური ბრძოლა ეამოუცხადეს მოძველებულ, დრომოჭმულ შეხედულებას ადამიანზე, როგორც ცოდვის მატარებელზე. დღის წესრიგში დაისვა ჰარმონიულად განვითარებული, სიცოცხლით სავსე, აქტიური ადამიანის აღზრდის იდეა, რომელსაც უფლება აქვს და გააჩნია უნარი დატკბეს ამქვეყნიური ცხოვრებით. ნაშრომში „საუბარი ადამიანის ღირსების შესახებ“ მირანდოლა სამყაროს შემოქმედის სახელით მიმართავს ადამს: „მე შენ გსეამ სამყაროს ცენტრში, რათა იქიდან დაინახო ყველაფერი, რაც ქვეყნად არსებობს“.

ჰუმანისტი პედაგოგები მკაცრად ილაშქრებდნენ სქოლასტიკური სწავლებისა და მოსწავლეთა დასჯის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ ბავშვებისადმი ყურადღებიან, გულისხმიერ დამოკიდებულებას, მათი ბუნებრივი ნიჭის გამოვლენასა და მის შემდგომ განვითარებას. ამის ნათელი მაგალითია იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგის *ვიტორინო და ფელტრეს* (1373-1446) მოღვაწეობა, რომელმაც გახსნა სკოლა და „სიხარულის სახლი“ უწოდა. სკოლა მდებარეობდა ბუნების წიაღში, უმშვენიერეს სასახლეში, სადაც, შუა საუკუნეების სკოლებისაგან განსხვავებით, კარგი სინათლე და ჰაერი იყო. მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში წარიმართებოდა ჰუმანისტური პრინციპების საფუძველზე. ვიტორინო ცდილობდა სკოლა გადაექცია ბავშვებისათვის მშობლიურ სახლად, სწავლება კი გაეხადა მისაწვდომი და ხალისიანი. სწავლების პროცესში ფართოდ გამოიყენებოდა თვალსაჩინოება და ექსკურსიები ბუნებაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თამაშსა და მოსწავლეთა აქტიურობის, დამოუკიდებლობის განვითარებას.

ბავშვებში ჰუმანური გრძნობების აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ასევე მოგვიანებით თომას მორი,

რობერტ ოუენი, კომენსკი, რუსო, პესტალოცი, ლ. ტოლსტოი, ი. გოგებაშვილი და სხვები. გამოჩენილმა უკრაინელმა პედაგოგმა ვასილ სუხომლინსკიმ კი ჰუმანიზმი ახალ სიმაღლეზე აიყვანა. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთელ სისტემას იგი საფუძვლად უდებდა ჰუმანიზმს, ადამიანის მხურვალე სიყვარულს.

უძველეს საქართველოში არსებული აღზრდის მაღალი დონე და ჰუმანიზმი კარგად ჩანს ასევე ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. აკადემიკოსების შალვა ნუცუბიძისა და დავით ლორთქიფანიძის აზრით, ქართულმა ჰუმანიზმმა რამდენიმე საუკუნით დაასწრო ევროპულ ჰუმანიზმს. ამის ნათელი დადასტურებაა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეების იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და სხვათა შრომები.

ჰუმანიზმი ქართული ფოლკლორის ძირითადი ნიშანია. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ ზღაპარი „ამირანი". მასში გადმოცემულია ადამიანთა კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლის — ამირანის საგმირო საქმეები. ამირანმა, პრომეთეს მსგავსად, ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ხალხს მოუტანა, რაც ჭეშმარიტი ჰუმანიზმის გამოხატულებაა.

XII საუკუნის ქართული ჰუმანიზმის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი". ჰუმანიზმის ამ სწორუპოვარ ძეგლში რუსთაველი გვიჩვენებს ადამიანებისადმი ახლებურ დამოკიდებულებას. პოემაში დაგმობილია ადამიანთა მიმართ ყოველგვარი თვითნებობა, უსულგულობა, ბოროტება, სიცრუე და ორპირობა. „ეგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა", — ამბობს რუსთაველი. ან კიდევ: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა" და ა.შ.

2. ჰუმანიზმის აღზრდის გზები და საშუალებანი

როგორც ნებისნიერ აღზრდას, ჰუმანიზმის აღზრდასაც საფუძველი ოჯახში ეყრება. ბავშვმა ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე უნდა შეიგრძნოს, რომ გარემომცველ სამყაროში ყველაზე ძვირფასი კაპიტალია

ადამიანი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის ყურადღება და დაფასება სჭირდება.

ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვსრდით სრულყოფილი და სრულქმნილი არ იქნება, თუ მისი გული სიკეთით სავსე და ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობით არ არის გამთბარი, თუ მის ყოველ მოქმედებაში არ გამოსჭვივის ადამიანის სიყვარული, მისი აღიარება და დაფასება. „ბავშვი შეიძლება იყოს დისციპლინიანი, გულმოდგინე, წესიერი, შრომისმოყვარე, მაგრამ თუ მისი გული ამხანაგების მწუხარებას, შეშფოთებას ან საზრუნავს არ ეხმაურება, თუ იგი მზად არ არის თავისი კეთილდღეობა შესწიროს სხვა ადამიანს, სამშობლოს, — მთელი მისი ღირსება გროშადაც არ ღირს“, — გვასწავლის ვასილ სუხომლინსკი.

ცნობილია, რომ ისეთი ბავშვისაგან, რომელსაც არ გააჩნია მუსიკის, მხატვრობის ან პოეტობის თანდაყოლილი ნიჭი, შეუძლებელია დიდი მუსიკოსის, მხატვრის ან პოეტის აღზრდა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გულკეთილად აღიზრდება ნებისმიერი ბავშვი, თუ მის აღზრდას დროზე შევუდგებით. აღზრდას კი საფუძველი ოჯახში ეყრება. ბავშვის პირველი გზამკლევი, მისი ზნეობრივი აღზრდის პირველი კერა ოჯახია, რადგან დროის უმეტეს ნაწილს იგი ოჯახში, მშობლებთან ატარებს.

ჰუმანიზმის გრძნობა ბავშვს პირველად უნდა გაუჩნდეს თავისი ოჯახის წევრების, ახლობლების, განსაკუთრებით კი, დედის მიმართ, ვინაიდან „ადამიანობას ვერ აღვზრდით, თუ გულში ახლობელი, ძვირფასი ადამიანის სიყვარულმა არ დაიბუდა“ (ვ. სუხომლინსკი).

დედის სიყვარული ბავშვმა უნდა გამოხატოს მისდამი ზრუნვაში, რამეთუ იგი სხვის უნაზეს განცდებს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა თვითონ აკეთებს რაიმეს ადამიანთა ბედნიერების, სიხარულისა და სულიერი სიმშვიდისათვის. „დაე, ცხრა წლის ბავშვმა ღამე უძილოდ გაატაროს ავადმყოფი დედის თუ მამის ლოგინთან, დაე, სხვისმა ტკივილმა აღანთოს მისი გულის ყოველი კუნჭული“, — დასძენს სუხომლინსკი. ამით იგი ისწავლის ადამიანებისადმი ყურადღებასა და პატივისცემას.

ბავშვი პატარაობიდანვე უნდა შეეაჩვიოთ მშობლებისადმი დამჯერებლობას, პატივისცემას, სხვებისადმი ანგარიშის გაწევას. საამისოდ კარგი პირობები იქმნება მრავალშვილიან ოჯახში, სადაც ბავშვი ეალდებულია ანგარიში გაუწიოს და-ძმებს, ხოლო იმ ოჯახში, სადაც ერთი შვილი იზრდება, ბავშვი ხშირად ეგოისტი გამოდის. ამის მიზეზი, მეტწილად, მშობლების გადაჭარბებულ, გრძნობამორეულ სიყვარულში უნდა ვეძიოთ. ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვისათვის, როგორც სუხომლინსკი გვასწავლის, ცხოვრების პრინციპად იქცევა დევიზი: „ჩემთვის ნებადართულია ყველაფერი, არავისთან არაფერი საქმე არა მაქვს, მთავარია ჩემი სურვილი". ასე ხდება იგი საკუთარი სურვილების მონა, შემდეგ კი — „სულით ხორცამდე ეგოისტი", დესპოტი, რომელსაც არავინ და არაფერი ახსოვს, გარდა საკუთარი თავისა. ასეთ ვაი-შვილს ჰგონია, რომ დედა და მამა მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ, და თუ თვითონ ვინმეს წინაშე ვალშია, ვერ წარმოუდგენია.

ასე რომ არ მოხდეს, ბავშვს პატარაობიდანვე უნდა გავუღვიეოთ კეთილი გრძნობები — სხვისი სამსახურის შინაგანი მოთხოვნილება, სხვათა სიკეთისათვის ზრუნვა; უნდა განვუვითაროთ სხვის თვალებში ურვის, შეშფოთების, წყენის, მარტოობის ამოკითხვის უნარი.

ამ თვისებების ჩანერგვა ბავშვებში შეიძლება დავიწყოთ შინაურ ცხოველებთან დაახლოებითა და მათზე ზრუნვით. ამაში გადამწყვეტი როლი დედამ უნდა ითამაშოს, რადგან დედა ბავშვისათვის ყველაზე ძვირფასი და სათნო არსებაა, მის სიტყვასა და მაგალითს დიდი ძალა აქვს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა ბავშვებს პატარაობიდანვე ჩაუნერგოთ სიკეთის გრძნობა, ვასწავლოთ როგორც ადამიანების, ისე ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და ყველა სხვა ცოცხალი არსების სიბრალული, რამეთუ „მადლი სიბრალულისა დედაა ყველა სხვა მადლისა" (ი. ჭავჭავაძე). ხე, ბალახი, ყვავილი, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ფრინველების ჭიკჭიკი, ფუტკრების ზუზუნი, კალიების ჭრიჭინი — ყოველივე ეს უნდა აღიბეჭდოს ბავშვის სულში, რათა იგი გაიზარ-

ლოს კეთილი და მისი გული უსაზღვროდ იყოს გადაშლილი ადამიანთა წინაშე. ეს კი ხანგრძლივი და რთული საქმეა. „ინჟინერი შეიძლება გახდე 5 წელიწადში, — წერს სუხომლინსკი, — ადამიანობის სწავლას კი მთელი სიცოცხლე სჭირდება“. რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ, უბრალო ცელქობად არ უდა მივიჩნიოთ ბავშვობის ასაკში ცოცხალი არსების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა, თორემ, ზოგიერთების აზრით, ეს წვრილმანი შემდგომში შეიძლება უარყოფით ჩვევებში გადაიზარდოს და მსხვილმანად იქცეს.

სამწუხაროდ, ყველა მშობელი როდი ითვალისწინებს ამას. ზოგიერთი მათგანი არაფრად აგდებს იმას, რომ ბავშვი მის თვალწინ აწვალებს ცხოველებს, ბუდეს უნგრევს ან ხოცავს ფრინველებს. ხალხური სიბრძნე კი გვასწავლის: „შენმა შვილმა რომ ჭია მოკლას, დასაჯე, რადგან აქედან იწყება კაცის კვლა“. პედაგოგიურ განათლებას მოკლებული მშობელი კი ყოველივე ამას ბავშვის შეუგნებლობითა და ცელქობით ხსნის, გაიზრდება და ყველაფერს მიხვდებაო, ფიქრობს იგი და ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ამ გზით ბავშვს უმუშავდება შეუბრალებლობა ცხოველებისა და ფრინველების მიმართ, რამაც შემდგომში შეიძლება თავი იჩინოს ადამიანებთან დამოკიდებულებაშიც.

„მაგონდება ასეთი შემთხვევა, — წერს აკადემიკოსი ა. ო. პინტი წიგნში „თქვენთვის მშობლებო“, — ორი მეორეკლასელი ბიჭი ეზოში კატის კნუტს აწვალებდა. ერთი ბიჭი ძეხვის ნაჭრით ხიბლავდა და იზიდავდა მას, მაგრამ, როგორც კი კატის კნუტი გაქცევას დააპირებდა, მეორე ბიჭი მას კუდით იჭერდა. გაწვალებული და შეშინებული პატარა ცხოველი კნაოდა, ცახცახებდა, ცდილობდა ეკბინა მათთვის, ბიჭები კი იცინოდნენ. იქვე, შორიახლოს, მათი დედები საუბრობდნენ.

ბოლოს რომელიღაც გამელელი აღშფოთდა:

— რატომ არ შეაწყვეტინებთ თქვენ შვილებს ამ უკულმართ თამაშს, ვისთვის ზრდით ულმობელ, უგულო ადამიანებს?

— მათ ხომ ჯერ არაფერი ესმით! უბრალოდ ერთო-

ბიან... — უპასუხა ერთ-ერთმა დედამ".

აი, ასეთია, უმრავლეს შემთხვევაში, პედაგოგიურად გაუნათლებელ მშობელთა პასუხი შვილების სადისტურ საქციელზე.

ამ თემაზე თავის მოსაზრებას გამოთქვამს ასევე ცნობილი ხელოვანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგეი ობრაზცოვი. იგი წერს: „იმისათვის, რომ გავზარდოთ კეთილი, ნამდვილად კეთილი ადამიანი, უნდა ვასწავლოთ მას სიბრალული... თუ ერთი წლის ბავშვი კატის კნუტს კუდზე ექაჩება და კისკისებს, დედა კი იქვე დგას და იღიმება, აღზრდა დაწყებულია — საზიზღარი აღზრდა".

ზოგიერთი მშობელი ბავშვებს არა თუ უშლის კატის, ძაღლის, ხბოს ან სხვა რომელიმე შინაური ცხოველისა თუ ფრინველის წამებას, არამედ თვითონაც აქეზებს მათ ასეთი საქციელისაკენ.

აი, რას მოგვითხრობს ჟურნალისტი ნარგიზა მგელაძე თავის წიგნში „არ შეიძლება განზე იდგე": „პატარები ვიყავით, როცა მე და ჩემ ძმას მეზობელმა ჩიტი გვაჩუქა... ეს საჩუქარი არა მარტო ჩვენთვის, მთელი ჩვენი თანატოლებისათვის დიდ ამბად იქცა... დილიდან საღამომდე მოდიოდნენ მნახველები. ჩვენც დიდი ამბით გამოგვექონდა გალია სახლიდან და ხუთი-ათი წუთით უფლებას ვაძლევდით ამხანაგებს დამტკბარიყვნენ ჩიტის მშვენებით.

იმ დღეებში ერთმა მეზობლის ბიჭმა, როგორც დედა ამბობდა, „უსნეო საქციელი" ჩაიდინა. როცა ბებიამისს ჭიდან ჩაფით წყალი მოჰქონდა, მხარზე შედგმული ჩაფი ქვით ჩაუმსხვრია, მოხუცი ქალი სულ ერთიანად გაიწუწა და აკაკდ გახდა. ამ საქციელის გამო ჩვენ აგვეკრძალა ამ ბიჭის ეზოში შემოშვება.

ბოროტმა ბიჭმა შურისძიების ორიგინალური ხერხი მოიგონა. ეზოში შემოიპარა, გალიის კარი გააღო და საწყალ ჩიტს ქვით თავი გაუჭიჭყა...

როცა დედა სამსახურიდან დაბრუნდა და ყოველივე გაიგო, მაშინვე ბიჭის დედასთან გადავიდა და პასუხი მოსთხოვა: — ძოგცლიათ ერთი თქვენ, — მიიღო პასუხი, — მაგასაც რა, კაცი ხომ არ მოუკლავს, გავუშვებ ხვალ

ტყეში, ჩიტების მეტს რას დაიჭერს“.

ამგვარ დედებს არ სურთ იცოდნენ, რომ სწორედ ასეთი ბავშვებისაგან „ინეკებიან“ ცინიკოსები, მძარცველები და კაცისმკვლელები, შემდეგ კი უკვირთ, საიდან გამოჰყვა მათ შვილს ასეთი თვისებები.

ოჯახთან ერთად, მოსწავლეთა ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო პირობები არსებობს სკოლაში. „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამასა და მისი რეალიზაციის გეგმაში“ ნათქვამია: „ახალ საზოგადოებრივ დემულებათა გაცნობიერება-განმტკიცება, ადამიანური ღირსების შეცნობა და დაცვა, ჭეშმარიტი მოქალაქის, მამულიშვილის აღზრდა, კაცთმოყვარეობის, მიმტევებლობის, ქველმოქმედების ჩანერგვა... – ყველაფერი ეს სასწავლო დაწესებულებათა, უპირველეს ყოვლისა კი – სკოლის, საზრუნავია“. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭება *საგაკვეთილო პროცესს.* სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებიდან ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელია მშობლიური ენის გაკვეთილები. დაწყებით კლასებში ქართული ენის სახელმძღვანელოში შეტანილია მრავალი ლექსი თუ მოთხრობა, რომლებიც ემსახურებიან მოზარდებში კეთილი გრძნობების გაღვივებას. ავიღოთ პატარა მოთხრობა „კეთილი ძმა“. მისი შინაარსი ასეთია: გლეხმა, რომელიც ბაღში მწიფე მსხალს კრეფდა, იქვე ჩაცუცქული პატარა სანდრო შენიშნა და ერთი დიდი მსხალი მისცა. ბიჭმა მისი ჩაკბეჩა დააპირა, მაგრამ მაშინვე ავადმყოფი და გაახსენდა და შინისაკენ მოკურცხლა.

– დედილო, კეკეს მსხალი ეჭმევა? – ჰკითხა სანდრომ დედას.

– როგორ არა, შვილო, – უთხრა დედამ.

სანდრო მაშინვე ავადმყოფი დის ლოგინთან გაჩნდა, მსხალი მისცა და „სიამოვნებით უცქერდა, როცა ავადმყოფი პირს იტკბარუნებდა გემრიელი მსხლით“.

ამ პატარა მოთხრობის ძირითადი თემა, როგორც ეს სათაურიდანაც ჩანს, არის სანდროს გულკეთილობა. მისი უბრალო წაკითხვაც კი საკმარისია, რომ ბავშვებმა მიბაძონ სანდროს.

ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, მომავალ ოაობაზე

ზრუნვაა გამოხატული ი. გოგებაშვილის მოთხრობაში „ბერი-კაცი და ნამყენი“. მასში ავტორი გვარიგებს, რომ კაცმა დღედაღამ უნდა იშრომოს, სიკეთე უნდა თესოს ერისათვის, ქვეყნისათვის და არა მხოლოდ საკუთარი თავისათვის. მოთხრობის პერსონაჟი, მოხუცებული კაცი ყმაწვილის შეკითხვაზე — ტყუილა რას წვალობ, შენ ხომ შაგის ნაყოფს ვერ მოესწრებიო — პასუხობს: „ვიცი, რომ ვერ მოვესწრები, მაგრამ სხვები მოესწრებიან, გაიხარებენ, მომიგონებენ და ცხონებას შემომითვლიან. ფუტკარიც კი მარტო თავისთვის არ შრომობს და ადამიანმა როგორ არ უნდა იზრუნოს თავის მოყვასისათვის“.

ამავე მიზანს ემსახურება ვაჟა-ფშაველას ლექსი „ქორი და წიწილა“. რაოდენი ჰუმანიზმი და ადამიანური გრძნობებია ჩაქსოვილი ამ ლექსში. ბავშვის გული სიბრალულითა და თანაგრძნობით ივსება კრუხის ქვითინზე, ქათმების მთელი მოდგმის გლოვასა და ზარზე.

ამ მიმართულებით მოსწავლეებთან მუშაობისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ ბავშვი სიკეთეს სჩადიოდეს ყოველგვარი გამორჩენისა და ჯილდოს გარეშე, მაშინაც კი, როცა მას არავინ უთვალთვალებს და დარწმუნებულია, რომ მის სასიკეთო საქმეს ვერავინ გაიგებს. „თუ სიკეთეს მიზეზი აქვს, — წერს ლევ ტოლსტოი, — ის უკვე აღარ არის სიკეთე, თუ ამ სიკეთეს აქვს შედეგი — ჯილდო, ესეც არ არის სიკეთე. ასე რომ, სიკეთე მიზეზ-შედეგთა ჯაჭვის გარეშეა“.

ამავე თემას ეძღვნება გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „ქეთილი გული“, რომელიც III კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოშია შეტანილი. მოთხრობის ლაიტმოტივი ასეთია: ღილით სკოლაში მიმავალი თამაზი ცეცხლმოკიდებული სახლიდან პატარა გოგონას გამოიყვანს და სკოლისაკენ მოკურცხლავს. მშობლებმა ბევრი ეძებეს მაოი შვილის გადამრჩენი, მაგრამ ვერსად იპოვეს. „ან როგორ იპოვიდნენ?! — წერს ავტორი, — თამაზი უკვე კლასში იჯდა და გულმოდგინედ უსმენდა მასწავლებელს“.

მშობლიური ენის გარდა, მოსწავლეებში ჰუმანური გრძნობების ჩანერგვის მიზნით წარმატებით შეიძლება

იქნას გამოყენებული ბუნებისმცოდნეობისა და ზოოლოგიის გაკეთილები. ამ საგნების სწავლებისას ბავშვები ეცნობიან, თუ როგორ უვლიან და მზრუნველობით ეპყრობიან ადამიანები ჩვენი ქვეყნის ფლორასა და ფაუნას. ყოველივე ამის შემდეგ მათაც უჩნდებათ ცოცხალი არსებისადმი სათუთი დამოკიდებულების გრძნობა.

გარდა საგაკვეთილო პროცესისა, ჰუმანიზმის აღზრდაში დიდ როლს ასრულებს *კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა*. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ საინტერესო, ემოციური საუბრები. საუბრისას უნდა მოვიშველიოთ ბავშვებისათვის ნაცნობი, სკოლის, სოფლის ან ქალაქის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითები. ხელიდან არ უნდა გავუშვათ არც ერთი შემთხვევა, რომელიც შეიძლება გამოგვადგეს მოსწავლეებში ჰუმანური გრძნობების აღზრდისათვის. ბავშვებს უნდა მოვუთხროთ დონ-კიხოტის, ამქვეყნად ყველაზე უანგარო ადამიანის, მუდამ სხვის საქმეს გადაყოლილი კაცის შესახებ, რომელიც, გერცენის სიტყვებით რომ ვთქვათ, ათასჯერ მეტი რაინდია, ვიდრე ვიღაც მელუქნე, რომელსაც ფულის მეტი არაფერი ენაღვლება. ასევე უნდა მოვუთხროთ გამორჩენილი პოლონელი ექიმის, მწერლისა და პედაგოგის, ეარშავის ობოლ ბავშვთა აღმზრდელის იანუშ კორჩაკის შესახებ. ფაშისტებმა მისი აღსაზრდელები ტრებლინკის ღუმელების „გასახურებლად“ გასწირეს, კორჩაკს კი შესთავაზეს სიცოცხლე ან ბავშვებთან ერთად სიკვდილი, რაზედაც მან უპასუხა: „ცდებით, მე სინდისით არ ვვაჭრობ. ყველა როდია არამზადა“ და ვაჟკაცურად შეეგება სიკვდილს – ნებაყოფლობით შევიდა გაზის კამერაში ყველაზე პატარა აღსაზრდელით ხელში.

ამავე თემაზე საუბრისას ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ჩვენი თანამემამულე, ცნობილი მეცნიერი იოსებ ჟორდანია, რომელმაც თავისი მაშველი რგოლი უცნობ, უბილეთო გოგონას დაუთმო და თავისი ლამაზი სიცოცხლე ატლანტის ოკეანეში დაასრულა.

ასეთი მაგალითები საკმაოა, საჭიროა მხოლოდ მათი მოხერხებულად გამოყენება.

ჰუმანიზმის აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ასევე

შეხვედრები გამოჩენილ ადანიანებთან, ექსკურსიები, დილა-საღამოები და სხვა. მაგრამ ამ საქმეში გადამწყვეტი როლი მაინც აღმზრდელთა პირად მაგალითს ენიჭება. თუ სკოლაში ადგილი აქვს მასწავლებელთა შორის ჩხუბს, აყალ-მაყალს, ლანძღვა-გინებას, იქ ჰუმანიზმის აღზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია. არავის არ შეუძლია სხვას ჩაუნერგოს ის თვისებები, რაც მას არ გააჩნია.

ყოველ ჩვენგანს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ყველაფერი ბავშვობაში იწყება, რომ „ბავში სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“ (ი. ჭავჭავაძე), რა თვისებებსაც ჩაეყრება საფუძველი მის გრძნობა-გონებაში, ის თვისებები გაღვივდება და განვითარდება მასში. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რათა ჩვენს „მომავლის ყვავილებში“ სიკეთის ნერგმა იხაროს.

1999 წლის მაისი

ეკოლოგიური აღზრდა

ტერმინი „ეკოლოგია“ წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან „ეკოს“ – სახლი და „ლოგოს“ – მოძღვრება. იგი პირველად გამოიყენა ცნობილმა გერმანელმა ბიოლოგმა, პროფესორმა ერნსტ ჰეკელმა 1866 წელს. მანვე მოგვცა ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების, განსაზღვრება. მისი აზრით, ეკოლოგია არის მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. მეორე გერმანელი მეცნიერის ოდუმის განმარტებით, ეკოლოგია არის მეცნიერება ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ.

მე-19 საუკუნის შუახანებამდე დედამიწის მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, რადგან ასეთი მეცნიერება ჯერ კიდევ არ არსებობდა. ადამიანებს ბუნების შესაძლებლობანი ამოუწურავი ეგონათ. ამიტომ არავინ ფიქრობდა ბუნებრივი სიმდიდრის ეკონომიურად გამოყენებაზე; წარმოების ყველა ნარჩენი დაუფიქრებლად იყრებოდა გარემოში და

აბინძურებდა მდინარეებსა და წყალსატევებს. XX საუკუნეში ცხოვრების დაჩქარებულმა ტემპმა გამოიწვია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმაფლობა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ბუნებისადმი ადამიანის მომხმარებლური დამოკიდებულება და შეიქმნა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საშიშროება. კაცობრიობა მწვავე ეკოლოგიური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ეკოლოგიურმა პრობლემებმა თავი იჩინა ატმოსფეროს ზედა ფენების გაბინძურებაში, ნიადაგების გამოფიტვასა და ეროზიაში, მტკნარი, სასმელად ვარგისი წყლების დეფიციტში და ა.შ. ყოველივე ამან დღის წესრიგში დააყენა მომავალი თაობის ეკოლოგიური აღზრდის აუცილებლობის საკითხი. XX საუკუნის ოციან წლებში ჩამოყალიბდა ეკოლოგიის ისეთი დარგები, როგორიცაა მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგია, ხოლო ამავე საუკუნის 70-იან წლებში — ადამიანის, ანუ სოციალური ეკოლოგია, რომელიც შეისწავლის ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების და ბუნების დაცვის პრობლემებს.

ადამიანის ეკოლოგია ფართო დიაპაზონის, მრავალგანშტოებიანი მეცნიერებაა და მოიცავს ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, გეოგრაფიულ, პედაგოგიურ, კოსმოსურ და სხვა ასპექტებს. ამჟამად დღის წესრიგში დგას ყველა მეცნიერების ეკოლოგიის საკითხი, რადგან ეკოლოგიური კულტურა თანამედროვე ადამიანის საერთო კულტურის ნაწილად უნდა იქცეს.

1972 წლის ივნისში ქალაქ სტოკჰოლმში ჩატარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კონფერენცია, რომელმაც მიიღო დეკლარაცია-მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი. ამ მიმართვაში ყურადღება იყო გამახვილებული გარემოს გაბინძურებასა და ბუნებრივი რესურსების თანდათანობით კლებაზე.

აღნიშნულ კონფერენციაზე 5 ივნისი გამოცხადდა გარემოს დაცვის მსოფლიო დღედ. იგი მიზნად ისახავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ბუნების დაცვის მოთხოვნით ერთ-ერთი პირველი გამოვიდა უკრაინელი პედაგო-

გი ვასილ სუხომლინსკი. მან გაბედულად განაცხადა, რომ „ბუნებრივი ფასეულობანი ამოუწურავი და უსასრულო არ არის“. ამიტომ საჭიროა ბუნებისადმი ადამიანის სათუთი და მზრუნველი დამოკიდებულება. ეს კი ეკოლოგიური აღზრდის გარეშე შეუძლებელია.

საქართველოში ამ საკითხზე პირველად ხმა აიმაღლა მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ. 70-იან წლებში იგი წერდა: „ცაცობრიობა უკვე იმკის თავისი დაუდევრობის შედეგს“. ნათქვამის დასასაბუთებლად იგი აღნიშნავს: „მსოფლიოში უკვე ბევრი ტბაა, სადაც ადამიანის დაუდევრობამ მთლიანად ჩაკლა სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანწყალი. ამის გულსაკლავი და თვალსაჩინო მაგალითია დიდი ტბები კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ტბები ისე დაანაგვიანა წარმოებათა ნარჩენებმა, რომ სიცოცხლე მათში მთლიანად მოისპო“.

მაგრამ გურამ ფანჯიკიძეს მარტო შორეული ზღვებისა და ტბების ბედი როდი აწუხებდა. წერილში „ბათუმს ქათქათას“ იგი წერს: „ჩვენდა სამწუხაროდ, ...შავი ზღვა მსოფლიოში ეკოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე დაბინძურებული ზღვაა. მის ეკოსისტემას კატასტროფის აშკარა საფრთხე ემუქრება“

ამას იგი ამ ათიოდე წლის წინ წერდა. მას შემდეგ ქალაქ ბათუმსა და შავიზღვისპირა ბევრ ქალაქში ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობამ შეწყვიტა მუშაობა, მაგრამ პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება.შექმნილი ვითარებიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა მხოლოდ მოზარდი თაობის ეკოლოგიური აღზრდაა. იგი მიზნად ისახავს საზოგადოების თითოეულ წევრს, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობას, ჩაუნერგოს ბუნებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების გრძნობა, გამოუმუშავოს მისი დაცვისა და გაჯანსაღების უნარ-ჩვევები.

მოსწავლეთა ეკოლოგიურ აღზრდას საფუძველი ეყრება ოჯახში, დედის უშუალო ხელმძღვანელობით და ოჯახის უფროს წევრთა პირადი მაგალითით. შემდეგ ეს საქმე წარმატებით უნდა გაგრძელდეს საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა მაინც სკოლამ უნდა

თქვას. ამ მიზნით მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ გამოჩენილი კლასიკოსი პედაგოგებისა და მწერლების შეხედულებანი ბუნების უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. მაგალითად, კ. დ. უშინსკი წერდა: „დაე, მიწოდეთ ბარბაროსი პედაგოგიკაში, მაგრამ ჩემი ცხოვრების შთაბეჭდილებიდან მე მივიღე ღრმა რწმენა, რომ მშვენიერ ლანდშაფტს ახალგაზრდა სულის განვითარებაზე ისეთი დიდი აღმზრდელობითი გავლენის მოხდენა შეუძლია, რომელსაც ძნელად თუ შეედრება პედაგოგის გავლენა“.

ადამიანებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება აისახება ნებისმიერ სასკოლო დისციპლინაში. თითქმის არ არსებობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არც ერთი საგანი, რომელთანაც არ იყოს დაკავშირებული ეკოლოგიური აღზრდის პრობლემები. ყოველ მათგანს თავისებური წვლილი შეაქვს მოსწავლეთა ეკოლოგიურ აღზრდაში, მაგრამ ამ მხრივ საბუნებისმეტყველო საგნებს მაინც ვერც ერთი ვერ შეედრება. ამიტომაც წერდა იაკობ გოგებაშვილი: „დაწინაურებულს განათლებულს ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის პედნიერებისას. ამის გამო იქ ბუნების შესწავლას დიდს ადგილს უთმობენ ბავშვების განვითარებაში როგორც ოჯახები, ისე სკოლები“.

V კლასში ბუნებისმცოდნეობის კურსის სწავლება საუკეთესო საშუალებას იძლევა მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდა-განათლებისათვის. მაგალითად, თემა „ჰაერის“ შესწავლისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ჰაერის მნიშვნელობაზე ცოცხალი ორგანიზმებისათვის, გაჭუჭყიანების მიზეზებსა და გაწმენდის მეთოდებზე. ასევე მოსწავლეთა ყურადღება უნდა მივაპყროთ ტყის უდიდეს როლზე ჟანგბადის წარმოქმნაში, რაც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმებისათვის. ამიტომ ტყე მოითხოვს ადამიანებისაგან მეტ ზრუნვასა და გაფრთხილებას. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი მონაცემებით, ყოველ წუთს მთელს მსოფლიოში დაახლოებით ფეხბურთის სტადიონის სიდიდის ტყე იჩეხება. ყო-

ველიეე ეს დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, რაც მოსწავლეებს კარგად უნდა გავაცნობიერებინოთ.

თემა „წყლის“ სწავლებისას მოსწავლეებს უნდა ვესაუბროთ მდინარეების, ტბებისა და ზღვების დაბინძურების თავიდან აცილების გზებსა და საშუალებებზე. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, რომ ყოველგვარი წყალსატევის დაბინძურება ბუნების დაცვის შესახებ არსებული კანონის დარღვევაა.

თემის „ნიადაგი“ სწავლებისას მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ნიადაგის გამოყენების, მისი დაშლის, გამოფიტვის, ეროზიის და სხვა საკითხებზე, ხოლო ზოოლოგიის სწავლებისას – ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობაზე, მათდამი მზრუნველ დამოკიდებულებასა და ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე.

VII კლასში ფიზიკის გაკვეთილზე თემის „დიფუზია“ შესწავლისას მოსწავლეები უნდა გავარკვიოთ ჰაერის, წყლის, ნიადაგების, მცენარეების დაბინძურების მიზეზებსა და ადამიანის სიცოცხლისუნარიანობისათვის ატმოსფეროს სისუფთავის მნიშვნელობაში. ბავშვებს უნდა ავუხსნათ, რომ სოფლის მეურნეობაში ქიმიკატების გაძლიერებულმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მათი მოხვედრა ბოსტნეულში, ხილში, ბალახში, აქედან რძეში და ა.შ., რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ზრდა-განვითარებაზე, მის სიცოცხლისუნარიანობაზე, შთამომავლობაზე, მემკვიდრეობაზე. ქიმიკატები დღეს ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა, რომელიც ემუქრება ყოველი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს. მაგალითად, ყუბანში მოწეულ ბრინჯის მოსავალში სახელმწიფომ მიიღო მილიარდი მანეთის მოგება, მაგრამ მისი მაღალი მოსავლის მოწევისათვის ქიმიკატების გამოყენებამ ამავე სახელმწიფოს მისცა აზოვის ზღვაზე არსებულ თევზის მეურნეობაში 2 მილიარდი მანეთის დანაკლისი.

მოსწავლეთა ეკოლოგიურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს ასევე მშობლიური ენა და ლიტერატურა. მარტო ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების „შელის ნუკრის ნა-

ამბობისა“ და „ხმელი წიფელის“ შესწავლა რად ღირს!

დაბოლოს, ეკოლოგიურ აღზრდაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ექსკურსია-ლაშქრობები, სასწავლო კონფერენციები, შეხვედრები ბუნების ქომაგებთან და სხვა. ბავშვებს უნდა გავაცნოთ ამ საქმეში დიდი უკრაინელი პედაგოგის ვასილ სუხომლინსკისა და სხვათა მდიდარი გამოცდილება.

საამისოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასევე როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში ზოგადი ეკოლოგიის სწავლების შემოღება და ეკოლოგიური ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების გახსნა.

გვჯერა, ადამიანები დარწმუნდებიან, რომ დედამიწაზე სიცოცხლის გახანგრძლივებისა და ჩვენი ფლორისა და ფაუნის გაჯანსაღების მიზნით საჭიროა ჰაერის, ნიადაგებისა და წყლის გაწმენდა-დასუფთავება და მათი დაბინძურების თავიდან აცილება.

1999 წლის იანვარი

ჩვენი მოსაზრებანი კადრების მომზადების საკითხზე

ბოლო დროს ჩვენს საზოგადოებაში ბევრი მნიშვნელოვანი და სასიხარულო გარდაქმნა მოხდა, ბევრს მომავალშიც ველით და შეიძლება დღეს არც ღირდეს ამ თემაზე მკითხველთა ყურადღების შეჩერება, მაგრამ როცა საქმე კადრების მომზადებას ეხება, ამ დროს, როგორც იტყვიან, პირში წყლის ჩაგუბება და გაჩუმება არ ეგების. დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს მაღალგანათლებული, კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება. დღეისათვის კი მათ ვერ ვამზადებთ. დაბალი პროფესიონალიზმი, არაკომპეტენტურობა და დილეტანტიზმი სულ უფრო და უფრო იღებს ეროვნული უბედურების სახეს. დღეს ჩვენში არავის უკვირს უმეცარი ინჟინერი, აგრონომი თუ ექიმი, უწიგნური ფილოლოგი თუ ჟურნალისტი. ყველაზე სავალალო ის

არის, რომ დიპლომიანებს ცოდნის ეს დეფიციტი სულაც არ აღუძრავს არასრულფასოვნების გრძნობას. პირიქით, ზოგიერთებს თავიც კი მოაქვთ თაეიანთი დიპლომებითა და განათლებით. ბევრი მათგანი გავლენიანი პირების მხარდაჭერითა და ხელშეწყობით მაღალ პოსტებსაც იკავებენ. ამიტომ ამ მოვლენის მიზეზთა დადგენა და გაანალიზება აქტუალურ, სადღეისო ამოცანად უნდა ჩაითვალოს. ცხადია, ჩვენ ყველა მათგანზე ყურადღებას ვერ გავამახვილებთ. ეს ერთი კაცის შესაძლებლობას აღემატება. ამიტომ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმ ძირითადი მიზეზების ჩამოთვლით, რომლებიც, ჩვენი აზრით, უარყოფით დაღს ასვამენ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელმაც ჩვენს უმაღლეს სკოლას საძირკველი გამოაცალა, — ესაა საშუალო განათლების საეალდებულოდ გამოცხადება. ძალდატანება დამღუპველია ყოველგვარ საქმეში, მეტადრე სწავლების პროცესში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში იძულებითი სწავლება ყოელად გაუმართლებლად მიგვაჩნია და ისიც საქართველოში, სადაც სწავლისაკენ ასეთი დაუოკებელი სწრაფვაა. თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, სწავლისაკენ კი არა, სიმწიფის ატესტატისა და დიპლომას მიღებისაკენ. ჯერ იყო და საშუალო განათლების ატესტატის მიცემა დავიწყეთ ყველა მოსწავლისათვის, ვინც კი ფეხს შემოდგამდა სკოლაში. იშვიათ მოვლენად იქცა მოსწავლის კლასში დატოვება და სკოლიდან გარიცხვა იმის შიშით, რომ სულ არ წავიდეს სკოლიდან და განთესილად არ ჩაგვეთვალოსო.

ჩვენი განათლების სისტემის უსისტემობამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დაამკვიდრა განუკითხაობა და ქაოსი. მოსწავლეებს სურთ, დაესწრებიან გაკვეთილებს, არ სურთ და — არ დაესწრებიან. სურთ, პირში მიახლიან მასწავლებელს, არ გვინდიხარ, წადი, მოგვშორდიო, და მიზანსაც აღწევენ. ასე უსწავლელ-უზრუნველად, თავის შეუწუხებლად ამთავრებენ ჩვენი შვილები სკოლას. ამიტომაც მათ ხეირიანად არც ერთი საგანი არ იციან. შემდგომ ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა

მაქინაციით უმაღლეს სასწავლებელშიც ხვდება. ასეთებს მხოლოდ დიპლომი უნდათ და არა ცოდნა. ასეთები კი საკმაოზე მეტნი არიან. სწორედ ისინი ქმნიან არასასურველ ამინდს, რომელიც სულისშემხუთველად მოქმედებს ჭეშმარიტ პედაგოგზე, აზარმაცებს და სულს უმახინჯებს ბევრ სწავლამოწყურვებულ ახალგაზრდას.

ადამიანები განსხვავებული ბუნებრივი მონაცემებით იბადებიან. ბავშვთა დაახლოებით ხუთი პროცენტი გონებასუსტია. ისინი, მასწავლებლის დიდი მონდომების მიუხედავად, ვერასგზით ვერ ახერხებენ პროგრამული მასალის დამაკმაყოფილებლად ათვისებას. ასეთები რომ ერთსა და იმავე კლასში 2-3-ჯერ დარჩებიან, მიხვდებიან, რომ ეს სკოლა მათი ნიჭის შესაფერისი არაა და სხვა გზას დაადგებიან, სხვა საქმეს გამონახავენ – გახდებიან დალაქები, დურგლები, კალატოზები, მწყემსები, მხვნელ-მთესველები და ა.შ., რაც ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

დღეს ცხოვრებამ თავად წამოჭრა საყალდებულო საშუალო განათლების კანონის გაუქმების აუცილებლობა და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს საზოგადოებას.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც უშუალოდ მოქმედებს კადრების მომზადებაზე, – ესაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მაგრამ უკეთესი მდგომარეობა არც უმაღლეს სასწავლებლებშია. ცუდი მდგომარეობაა ასევე სტუდენტთა სპეციალური ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეში. ამიტომ მრავალი დისციპლინის შესასწავლად სტუდენტებს მხოლოდ ლექციებზე ჩაწერილი კონსპექტები რჩებათ. ბევრ მათგანს კი ასეთი კონსპექტიც არ გააჩნია.

დაბალ დონეზეა ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე დაპროგრამებული სწავლება. იშვიათია ისეთი კომპიუტერიზებული კაბინეტი, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა ექნება ულექციოდ, კომპიუტერთან დიალოგის საფუძველზე მიიღოს გარკვეული ცოდნა. თუ საზღვარგარეთის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანას აეი-

ღებთ, როგორიცაა: იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და სხვები, იქ სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან არა მარტო სპეციალური ლიტერატურით, არამედ სათანადო ტექნიკურ-დიდაქტიკური საშუალებებითაც. ჰოდა, განა შეიძლება სახელმძღვანელოებითა და სკოლისგარეშე ლიტერატურით ასეთი უზრუნველყოფის პირობებში რაიმე პროფესიონალიზმზე ლაპარაკი?!

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი ფორმა სკოლაში რომ გაკვეთილია და უმაღლეს სასწავლებელში – ლექცია-სემინარული მუშაობა, ეს უძველესი დროიდანაა ცნობილი, მაგრამ ვაი, რომ ეს ბევრ ჩვენს სტუდენტს ჯერ კიდევ კარგად არა აქვს შეგნებული, და არა მარტო სტუდენტებს, უმაღლესი სკოლის ბევრ ხელმძღვანელ მუშაკსაც. შარშან პრესასა და ტელევიზიაში ერთი ამბავი ატყდა ლექცია-სემინარებზე თავისუფალი დასწრების შემოღების შესახებ. აქაოდა, ასეთი წესი არის დასავლეთის ქვეყნების ბევრ უმაღლეს სასწავლებელში და ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთო. ამ იდეის მომხრენი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ ის, რაც ერთი ქვეყნისათვის მისაღები და სასარგებლოა, მეორე ქვეყნისათვის შეიძლება მიუღებელი და უსარგებლო, უფრო მეტიც, საზიანო იყოს. სწავლების პროცესში სიახლე მაშინ არის გამართლებული, თუ იგი ხელს უწყობს სწალა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას, ლექციებზე თავისუფალი დასწრების შემთხვევაში კი საწინააღმდეგო მდგომარეობასთან უფრო გვექნება საქმე.

მართალია, ლექციებზე თავისუფალი დასწრების წესი ჩვენს უნივერსიტეტში არ განხორციელებულა, მაგრამ თბილისის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის „გამოცდილებამ" ამაში საკმაო „სამსახური" გაგვიწია. მას შემდეგ ზოგიერთ სტუდენტს მხოლოდ ჩათვლებისა და გამოცდების დროს თუ შეხვდები, თორემ ისე სათოფეზე არ გაგეკარება, რასაც ლექცია-სემინარების გაცდენისათვის ჯარიმის დაწესებამაც ვერ უშველა.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება დიდად არის დამოკიდე-

ბული უმაღლესი სკოლის კონტინგენტის ობიექტურად შერჩევაზე. აქამდე უმაღლეს სასწავლებელ'ში აბიტურიენტი სამი გზით ხვდებოდა: მისაღები საკონკურსო გამოცდებით, მოსამზადებელი განყოფილებიდან, ე. წ. ნული ჯგუფიდან და გასაუბრების შედეგად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სამივე გზა დღეს გაუკუღმართებულია. მომავალი სასწავლო წლიდან ჩვენი რესპუბლიკის ახალი პარლამენტი გვპირდება, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის ერთადერთი გზა იქნება მხოლოდ მისაღებ გამოცდებზე გამომჟღავნებული ცოდნა, რომ ყოველგვარი ლიმიტები და შეღავათები მოისპობა.

ბატონ ვახტანგ წულუკიძეს (იხ. მისი სტატია „უმაღლესის ნახევარფაბრიკატები", გაზ. „აჭარა", 22 ნოემბერი, 1990 წ.) დასაშვებად მიაჩნია მაღალმთიანი სოფლების ახალგაზრდებისათვის გარკვეული ადგილების გამოყოფა და ამ ადგილებზე კონკურსის მოწყობა იქიდანვე მოვლენილ აბიტურიენტებს შორის.

ჩვენი აზრით, ასეთი დათმობაც არ იქნება გამართლებული. მსგავსი წესი ადრეც იყო ლიმიტების სახით, მაგრამ რაიონებში იმ ლიმიტებს ხშირად სუსტ აბიტურიენტებს აძლევდნენ, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე იჭრებოდნენ და ლიმიტები აუთვისებელი რჩებოდა, ხოლო ვინც ირიცხებოდა, მაინცდამაინც არც ის იკლავდა თავს სწავლით. ამიტომ, ჩვენი აზრით, ყოველგვარი შეღავათები უნდა გაუქმდეს ყველას მიმართ, განურჩევლად იმისა, რომელი რაიონის წარმომადგენელია და ვისი შვილია აბიტურიენტი.

დღეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ბევრ უმაღლეს სასწავლებელ'ში კვლავ ვხვდებით პრივილეგირებულ აბიტურიენტთა გამორჩევის პრაქტიკას, მათთვის უკანონო დახმარებას, ნიშნების ხელოვნურად აწევას და სხვ.

მისაღები გამოცდების მანკიერება მნიშვნელოვნადაა განპირობებული გამოცდების მეთოდიკითა და მისი ორგანიზაციით. ამიტომ ახლა ბევრს ლაპარაკობენ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წესების დახვეწა-სრულყოფაზე. განსაკუთრებით ეს ეხება ქარ-

თული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი გარდაქმნა უშედეგო იქნება, თუ თვითონ ჩვენ არ გარდავიქმნებით.

უკანონოდ ჩარიცხული სტუდენტები სრულებითაც არ გრძნობენ თავს შეურაცხყოფილად და უმწეოდ. პირიქით, თავი ამაყადაც უჭირავთ, რადგან მათ გამუდმებით მფარველობენ პროტექტორები და ხშირად სასურველ მიზანსაც აღწევენ. წინათ პროტექციით ნიშნის მიღება საძრახისად ითვლებოდა და სტუდენტი ყოველთვის ცდილობდა მის დაფარვას, ახლა კი ზოგიერთი მათგანი საჯაროდ ტრაბახობს, დასცინის ბეჯით თანაკურსელს – შენ თავს აკლავ წიგნებს, მე კი წიგნი არც გადამიშლია და შენ'ხე უკეთესი ნიშნები მაქვსო. ზოგიერთი ისე იღებს სასურველ ნიშანს, რომ გამოცდებზეც კი არ გადის. ამრიგად, გავლენიანი მფარველების ყოლა სტ'ედენტს უფრო პრესტიჟულად მიაჩნია, ვიდრე ბეჯითი და კეთილსინდისიერი მეცადინეობით მიღებული ნიშანი. კიდევ უფრო გულსატკენია ის, რომ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა დიდ ნაწილს საჩოთიროდ არ მიაჩნია პროტექციით ნიშნის დაწერა. ზოგიერთ მათგანს კიდევაც უხარია, რომ ასეთ სამსახურს გაუწევს ვინმეს, რადგან, საჭიროების შემთხვევაში, თვითონაც გამოიყენებს მათ. ამით იგი სულაც არ უწევს ანგარიშს იმას, რომ ანგარებითი მოქმედება უზნეო საქციელია. არიან ისეთებიც, რომლებიც პროტექციით ნიშნის დაწერას უზნეობად მიიჩნევენ, მაგრამ გამბედაობა და პრინციპულობა არ ჰყოფნით, პროტექტორები უარით გაისტუმრონ.

სწავლისადმი, ცოდნის მიღებისადმი სტუდენტთა გარკვეული ნაწილის გულგრილი დამოკიდებულება იმითაცაა განპირობებული, რომ სამუშაოზე სპეციალისტების მიღების დროს არავითარი ყურადღება არ ექცევა სპეციალისტის კვალიფიკაციის დონეს, არ მოწმდება მისი ცოდნა და ამით არ განისაზღვრება მისი თანამდებობა და ხელფასი. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული ყველა ახალგაზრდა არ არის დაინტერესებული მიიღოს სათანადო ცოდნა და სრულფასოვანი სპეციალისტი დადგეს. ამას ემატება

უმაღლეს სასწავლებლებში დამკვიდრებული სტუდენტთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების მანკიერი პრაქტიკა. ჩვეულებრივ, გამოცდა ტარდება მასალის ზეპირი გადმოცემით. ამიტომ სტუდენტის პასუხის არავითარი კვალი არ რჩება, ვერავინ გაიგებს, რა ნიშანზე იცოდა სტუდენტმა საგანი. ნებისმიერ ჩვენგანს გაუჭირდება ისეთი მაგალითის გახსენება, როცა ლიბერალიზმისა და დაუმსახურებელი ნიშნის დაწერის გამო დასჯილიყოს რომელიმე ლექტორი, მკაცრი და ობიექტური გამომცდელები კი ხშირად ქცეულან შევიწროებისა და უსამართლოდ დევნის ობიექტად. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტუდენტის მიერ გამოცდის ჩაბარება კომისიაზე. ეს არა მარტო მომთხოვნელობასა და სტუდენტთა პასუხისმგებლობას აამაღლებს, არამედ პროფესორ-მასწავლებლებსაც დაიცავს პროტექტორთა შეტევისაგან.

სასტიკად უნდა დაიგმოს ის მცდარი აზრი, რომლის მიხედვით სტუდენტს, რომელმაც სახელმწიფო გამოცდებამდე მიაღწია, აუცილებლად უნდა მიეცეს უმაღლესის დამთავრების დიპლომი: თუ იგი სუსტი იყო, აქამდე რატომ მოიყვანეთო, — ასეთია ხელმძღვანელი მუშაკების აზრი. ჩვენი ღრმა რწმენით კი, მომთხოვნელობის შესუსტება, თუნდაც სახელმწიფო გამოცდებზე, ყოელად გაუმართლებელია. ამით ჩვენ სტუდენტის მიმართ ჰუმანიზმს კი არ ვიჩენთ, არამედ დათვურ სამსახურს ვუწევთ. ცხოვრება ია-ვარდებით მოფენილი როდია. როგორც კი ასეთი სტუდენტი რაიმე წინააღმდეგობას წააწყდება, მაშინვე ფარხმალს დაყრის და არ შეეცდება ამ წინააღმდეგობის გადალახვას. სტუდენტს პირველი კურსიდან უნდა ვაგრძნობინოთ, რომ სწავლა, მეცნიერების დაუფლება დიდ გულმოდგინებას, ნებისყოფასა და თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს დასახულ მიზანს, ვინც კარგად იცის სწავლის ფასიცა და მისი შეძენის გზებიც.

ახლა, როცა აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ნანატრი ოცნება — საქართველო დაადგა ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გზას, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი რესპუბლიკა მხოლოდ მაშინ იქნება

ნამდვილად თავისუფალი, თუ მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე წინამძღოლობას ზნეობრივად სრულყოფილი, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული, უანგარო ადამიანები ითავებენ. დღეისათვის კი, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მიურ მომზადებული კადრების პროფესიონალიზმის დონე საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელი საქართველოს მომავალს. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი განათლების მთელი სისტემა რესპუბლიკის ახალი პარლამენტის მუდმივი ზრუნვის საგანი გახდება.

1991 წლის ივლისი

ყველაზე ძვირფასი, მაგრამ დაუფასებელი

სიცოცხლე სიზმარია,
ვერც შეიტყობ, ისე გაივლის.
ბ. ბელინსკი

რა არის ყველაზე ხანგძლივი და ყველაზე ხანმოკლე, ყველაზე ჩქარი და ყველაზე ნელი, ყველაზე უგულებელყოფილი და ყველაზე დასანანი, ურომლისოდაც არაფერი კეთდება, რომელიც ნთქავს ყოველივეს, რაც პატარაა და აცოცხლებს, რაც დიდია?

ამ კითხვაზე გამოჩენილი ფრანგი განმათლებელი ვოლტერი ასე პასუხობს: — ეს არის დრო. არაფერია მასზე ხანგძლივი, რადგან ის მარადისობის საზომია და არაფერია მასზე ხანმოკლე, რადგან ის არ გვყოფნის ჩვენი მიზნების განხორციელებისთვის; არაფერია მასზე ნელი მისთვის, ვინც ელოდება და მასზე სწრაფი — ვინც ერთობა. ყველა უგულებელყოფს მას და ამავე დროს გამოთქვამს სინანულს მის დაკარგვაზე. არაფერი კეთდება უმისოდ. იგი გვავიწყებს ყოველივეს, რაც ჩვენი მომავალი თაობისათვის გამოუსადეგარია და დიდ და სასახელო ამბებს მარად უკვდავყოფს.

გამოანგარიშებულია, რომ ადამიანი თავისი სიცო-

ცხლის საშუალო ხანგრძლივობის მეოთხედს, დაახლოებით 16-17 წელს სწავლას ანდომებს, ამდენივეს — ძილს, სრულფასოვანი შრომისათვის კი 30-35 წელი ვერჩება. და ეს დრო თითოეულმა ჩვენგანმა შინაარსიანად უნდა გამოიყენოს, რათა შემდგომ, როგორც დიდი რუსი მწერალი ნ. ოსტროვსკი წერდა, არ ვგრძნობდეთ მწვავე ტკივილს უმიზნოდ გატარებული წლებისათვის და სირცხვილი არ გეწვავდეს წვრილმანი წარსულისათვის.

ცხოვრება წიგნია, რომელსაც ყოველი ჩვენგანი თვითონ წერს. ამასთან, ყველას თავისებური, მისეული, სხვებისაგან განსხვავებული ხელწერა აქვს. ეს დამოკიდებულია საქმის ცოდნაზე, სიყვარულსა და ნებისყოფაზე. ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაკლია უნებისყოფობა და დროის შეუფასებლობა. „რა მეჩქარება, ცხოვრება წინ არის", — ფიქრობს ზოგიერთი მაოგანი და ანგარიშს არ უწევს იმას, რომ ეს დრო საკნის ბუშტივით გაქრება და ვეღარასოდეს დაიბრუნებს მას. აი, რას წერს ჯარიდან პოეტი მირზა გელოვანი თავის დას რუსუდანს: „ასლა ვნანობ ყველა დაკარგულ საათზე, ყველა დაუწერელ სტრიქონზე, რომელთაც ვეღარაფერი დააბრუნებს და რომელთაც ჩემი „მოუცლელობით" ვერ ვიჭერდი. არხეინად გატარებულ დღეებს ცოდნიათ დიდი დარდი შემდეგში".

ყოველი უქმად დაკარგული წუთი დაკარგული ცოდნაა, რომლის ანაზღაურება მით უფრო ძნელია, რაც უფრო დიდია დაკარგული დრო. ამასთან, უსაქმოდ გატარებული ყოველი წუთი სამარცხვინო ლაქად რჩება ადამიანის ცხოვრებაში. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ყოველი წუთი ნაყოფიერად გამოიყენოს და უფრო მეტი კმაყოფილება იგრძნოს, ვიდრე ამ წუთის დაკარგვა მიანიჭებს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, ბ. ბელინსკის სიტყვები, რომ სიცოცხლე სიზმარია, ვერც შეიტყობ, ისე გაივლის.

სამწუხაროდ, ხშირად ვხედებით ახალგაზრდას (და არა მარტო ახალგაზრდას), რომელიც, წუთებს კი არა, საათებსა და დღეებს ატარებს უნაყოფო ლაზღანდარო-

ბაში. ეს არის ახალგაზრდული წინდაუხედაობის მიზეზი, რომლის წინააღმდეგ გადაჭრით ბრძოლაა საჭირო. ახალგაზრდებს უნდა ვასწავლოთ დროის ფასი და მისი მიზნობრივად, შინაარსიანად გამოყენება. ამიტომაც არიგებს ვასილ სუხომლინსკი საკუთარ შვილსა და, მასთან ერთად, მის თანატოლებს: „უბრალო რამეზე დრო არ დაკარგო. მსედველობაში მაქვს ყბედობა, ლაქლაქი, დროის უბრალოდ ფლანგვა. ზოგჯერ ასეც ხდება: დაჯდება რამდენიმე კაცი ოთახში და, როგორც უკრაინულად ამბობენ, იწყებენ „სარეველას გამრაველებას". გადის ერთი საათი, ორი საათი, მაგრამ ამ საუბარს არავითარი შედეგი არ მოაქვს, რადგან მასში არ წარმოთქმულა არც ერთი ჭკვიანური აზრი, დრო კი უქმად დაიკარგა. ამხანაგებთან საუბარიც საკუთარი სულიერი სიმდიდრის წყაროდ უნდა აქციო".

იგივე აზრია გატარებული გამოჩენილი ინგლისელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩესტერფილდის (სტენჰოპის) შვილისადმი გაგზავნილ წერილში: „ყველაზე მეტად ის მინდა იცოდე, – წერს იგი შვილს, – რაც ძალიან ცოტამ იცის. კერძოდ, თუ რაოდენ დაუფასებელი განძია დრო და რაოდენ საჭიროა იგი ჭკვიანურად მოიხმარო. ეს ჭეშმარიტება ბევრმა უწყის, მაგრამ მცირედს თუ ძალუძს თავისი ცხოვრება მას შეუფეროს...

გახსოვდეს, თუ არ დაეშურები იმ ცოდნის საძირკველის ჩაყრას, შენ რომ თვრამეტ წლამდე უნდა შეიძინო, მთელი შენი სიცოცხლე ამ ცოდნას ვეღარ დაეუფლები. ცოდნა ის თავშესაფარია, სიბერის წლებში რომ გამოგვადგება და აუცილებლად გვჭირდება. თუ ხე სიყმაწვილეშივე არ დავრგეთ, სიბერეში მზისგან შესაფარებლად ჩრდილი აღარ გვექნება...

ბევრს სიზარმაცე აკარგვინებს დროს... შენს ასაკში არაფის არა აქვს უფლება სიზარმაცის აყოლისა. ჩემი საქმე სხვაა, რამეთუ მე ჩემი გავაკეთე და ახლა შემიძლია ჩემს თავს ამის ნება მივცე. შენ კი ახლა გამოდიხარ სარბიელზე და საქმიანი, ბეჯითი და დაუღალავი უნდა იყო... სახვალიოდ თავის დღეში არ გადადო ის საქმე, რისი გაკეთებაც დღეს შეგიძლია".

გამოჩენილი ფრანგი მწერლის სენტ-ეკზიუპერის აზ-

რით, ყოველ ადამიანს შეუძლია გააკეთოს არჩევანი ცხოველებსა და ნამდვილ ადამიანობას შორის იმის მიხედვით, თუ რას მიანიჭებს იგი უპირატესობას — სულიერ სიწმინდეს თუ სხეულის სიამოვნებას.

ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, რომ ადამიანი მხოლოდ სიამოვნებისათვის არ არის გაჩენილი და ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს სიამოვნების მომენტი. ის, ვინც ცხოვრებას მხოლოდ დროსტარებაში ხედავს, ფაქტობრივად ადამიანი არ არის. სხეული კი არა, გონება და სული უნდა გავიხადოთ ზრუნვისა და ყურადღების საგნად. სულიერი, ზნეობრივი სიწმინდე არის ადამიანისათვის მთავარი და არა ხორციელი განცხრომა. ამას კი სჭირდება მუხლჩაუხრელი შრომა, გარჯა, წიგნზე თავაუღებელი მუშაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ბევრი ახალგაზრდა გაურბის წიგნს, ცოდნას, როგორც ეპიდემიურ დაავადებას. ცხადია, ასეთ ახალგაზრდას „თავზესაყარად" აქვს დრო და მან არ იცის, როგორ „მოკლას" იგი. თავისუფალი დრო კი, პირდაპირი მნიშვნელობით, არსებობს მხოლოდ უსაქმო, სულიერად ღარიბი ახალგაზრდისათვის. იმ დროს, რომელსაც ახალგაზრდები წიგნსა და ჟურნალ-გაზეთებს უნდა უთმობდნენ და თავიანთ გონებრივ პორიზონტს იმაღლებდნენ, უმოწყალოდ ფლანგავენ, დრო კი მიქრის უკანმოუხედავად და მას ვეღარასოდეს დაიბრუნებ. „დრო ფული არ არის, რომ შემნახველ სალაროში შეიტანო, ან ნიეთი, ლომბარდში რომ დააგირაო და მერე, როცა გინდა, გამოიტანო და მოიხმარო", — წერს მწერალი გივი ჯოხაძე. ნოდარ დუმბაძის სიტყვებით კი, „დრო ისეთი ავტომობილია, რომელსაც „ზადნი ხოდი" არა აქვს". ეს კარგად უნდა იცოდეს ყველა ახალგაზრდამ, თორემ შემდეგ გვიან იქნება „თითზე კბენანი". ამიტომაც ავრთხილებდა ერთ-ერთ ახალგაზრდას ცნობილი რომაელი ფილოსოფოსი მარკუს ავრელიუსი: „შენ უნდა შეიგნო, რომ განსა-ზღვრულია დრო შენი ცხოვრებისა, და თუ შენ არ ისარგებლე ამ დროით შენი განათლებისათვის, ის გაქრება შენსავით და არ დაბრუნდება არასოდეს".

აკადემიკოსმა ოტო შმიდტმა თოთხმეტი წლის ასაკ-

ში შეადგინა თავისი შემდგომი ცხოვრების დაწვრილებითი გეგმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი განხორციელებისათვის საჭირო იყო 900 წელი. შემდეგ მან პროგრამა შეამცირა, მაგრამ იმასაც 500 წელი სჭირდებოდა. კიდევ შეამცირა იგი და საბოლოოდ დროის ბიუჯეტი 150 წლამდე დაიყვანა. შმიდტმა განსაზღვრა თავისი ცხოვრების ყოველი დღე, ყოველი საათი, ყოველი წუთი და დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიებით, თავდადებული შრომით კიდევაც განახორციელა თავისი 150-წლიანი პროგრამა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ იგი 65 წლისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა.

როცა დროის ნაყოფიერად მოხმარებაზე ვსაუბრობთ, გამუდმებით სწავლასა და შრომას როდი ვგულისხმობთ. საჭიროა გართობაც, დასვენებაც, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობამ პირველ ადგილზე გართობა და დასვენება კი არ უნდა დააყენოს, არამედ სწავლა, შრომა, რადგან იგი არის როგორც სიხარულის, ისე დღეგრძელობის წყარო. არც ერთ ზარმაცს ამქვეყნად არ მიუღწევია ბანგძლივი ასაკისათვის. უფალი დიდხანს აცოცხლებს მხოლოდ ჭეშმარიტად შრომისმოყვარე და დამაშვრალ ადამიანს.

აბა, ახლა გადავხედოთ დღევანდელ ვითარებას. ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველა ასე თუ ისე რაღაცით იყო დაკავებული, დღეს კი ბევრი ახალგაზრდა ქუჩაქუჩა დაეხეტება უსაქმოდ ან სადმე ხის ძირში ჩაცუცქული არიან და ტყუილ-მართალს უყვებიან ერთმანეთს, შინ კი გვიან ღამემდე პორნოგრაფიული ფილმების ნახვით იქცევენ თავს, რაც, უზნეობის გარდა, არაფერს მატებს ოითოეულ მათგანს.

ამ თემაზე მინდა მკითხველს შევთავაზო პოეტ ნ. ზაბოლოცკის შესანიშნავი ლექსი:

„სულს სიზარმაცის ნებას ნუ მისცემ –
ხავსს ჩაეჭიდოს, ან წყალი ნაყოს...
ვალდებული სარ – სულსაც უბიძგო,
რომ ნეტარება შრომაში ნახოს.
სულს ნუ მიაჩვევ ძილსა და თვლემას,
როცა იღვიძებს ვარსკვლავი ცისკრის;
ხელი ჩააყლე უქნარას ხელად,

რამეთუ გახლავთ აღვირის ღირსი...
თუ დააჩქიე ჯანცხრომას, პიკნიკს
და საზრუნავი მოუსპე ასე,
შენს უკანასკნელ პერანგსაც იგი
სულ უბოდიშოდ დაგახევს ტანზე“.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დრო ოქროზე ძვირად ფასობს და მას ჭკვიანურად და გონივრულად გამოყენება სჭირდება, რადგან „ადამიანის სიცოცხლე რკინასა ჰგავს, საქმეში მოიხმარ, ილევა, არ მოიხმარ და, ჟანგი სჭამს“ (კატონ უფროსი).

2001 წლის იელისი

ბავშვთა ოჯახური აღზრდის ზოგადი საფუძვლები

აღზრდა საკუთარი შეცდომების სულ უფრო მეტ შეგნებასა
და გამოსწორებაში მდგომარეობს.
ლ. ტოლსტოი

მოზარდი თაობის ჯეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბება ძირითადად სკოლაში მიმდინარეობს, რაშიც, სკოლასთან ერთად, დიდ როლს ოჯახი ასრულებს, რადგან ეს უკანასკნელი ბავშვის აღზრდის პირველადი კერაა. აქ ხდება ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბება და გაადამიანება. თანამედროვე ცხოვრება, დღევანდელობა, მოითხოვს მშობლის აქტიურ მონაწილეობას ბავშვის აღზრდაში, რადგან მოსწავლის ქცევა სკოლაში დიდად არის დამოკიდებული ოჯახურ აღზრდაზე. სწორი აღზრდა ოჯახში ბავშვის დისციპლინისა და კარგი სწავლის საწინდარია. სამწუსაროდ, ყველა მშობელს როდი აქვს ეს შეგნებული. ზოგიერთი მათგანი შვილის აღზრდა-განათლებას მხოლოდ სკოლას ანდობს და მის ცუდ საქციელსაც სკოლას აბრალებს. ზოგი მშობელი კი აცხადებს – ბავშვი ჩემია და როგორც მინდა, ისე აღვზრდიო. ასეთ მშობელს უნდა შევაგნებინოთ, რომ ბავშვის აღზრდას დიდი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრი-

ვი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებისათვის სრულიადაც არ არის სულერთი, მოზარდისაგან რა გამოვა — პატიოსანი მშრომელი თუ უქნარა და პარაზიტი, სიკეთის მთესველი თუ ბოროტების მსახური, სამშობლოს ღირსეული შვილი თუ მისი შემარცხვენელი.

აი, ამიტომ საზოგადოებას სრული უფლება აქვს მოსთხოვოს თითოეულ მშობელს, წესიერად აღზარდოს შვილი, აღზარდოს ადამიანი, განავითაროს მასში ჭეშმარიტად ადამიანური თვისებები.

ზოგიერთმა მშობელმა არ იცის, როგორ მიუდგეს თავის შვილს, როგორ აღზარდოს იგი და სხვის რჩევა-დარიგებასაც თაკილობს. როცა ასეთ მშობელს შვილის აღზრდაზე ჩამოუგდებ საუბარს, იგი მაშინვე მოგახლის: „როგორ, განა მე არ ვზრუნავ ჩემს შვილზე?!“ „ჩემზე მეტად გიყვართ ჩემი შვილი?“ და ა.შ.

ასეთ მშობელს უნდა შევახსენოთ მაქსიმ გორკის სიტყვები, რომ „შვილების სიყვარული ქათამსაც კი შეუძლია, მთავარია მათი აღზრდა“, ეს კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, რომელიც მოითხოვს ტალანტსა და ცხოვრების ფართო ცოდნას“.

ცნობილი უკრაინელი პედაგოგი ვასილ სუხომლინსკი ამბობდა: „სამი უბედურება უდარაჯებს ადამიანს — სიბერე, სიკვდილი და ცუდი შვილები. თუ პირველი და მეორე გარდუვალია, მესამის თავიდან აცილება შეიძლება, ოღონდ ზომებს დროზე უნდა მივმართოთ“. ამისათვის საჭიროა ერთგვარი პედაგოგიური მომზადება, მაგრამ არა ზოგადი ხასიათის, არამედ სპეციალურად საოჯახო აღზრდის დარგში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა. დიდი რუსი პედაგოგი კონსტანტინე უშინსკი წერდა: „აღზრდის ხელოვნებას ის თავისებურება აქვს, რომ თითქმის ყველას ეჩვენება ნაცნობ და გასაგებ საქმედ, ზოგიერთს კი ადვილ საქმედაც, — და მით უფრო გასაგებად და ადვილად, რაც უფრო ნაკლებად იცნობს მას ადამიანი თეორიულად ან პრაქტიკულად.

პედაგოგიურ ცოდნას მოკლებულ აღმზრდელს უშინსკი ადარებდა იმ ექიმბაშს, რომელსაც არ გააჩნია სამე-

დიცინო განათლება. როგორც არ შეიძლება ექიმობაში წარმატება კანონზომიერი იყოს, ასევე შეუძლებელია კანონზომიერი იყოს იმ მშობლის წარმატება აღზრდაში, რომელსაც არ მიუღია პედაგოგიური განათლება, არ იცნობს აღზრდის წესებსა და კანონებს. ამიტომ შენიშნავდა დიდი ვაჟა: „საჭიროა ყოველი დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა... სთესდეს თესლს კეთილს..., ესმოდეს დედაკაცს, შვილი როგორ აღზარდოს..., ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდევაც აღადგინოს“.

ზოგიერთი მშობელი ფიქრობს, რომ საჭიროა გამოინახოს ბავშვთა აღზრდის რაღაც ოპტიმალური მეთოდები, ოსტატური რეცეპტი და საქმე მოგვარდება. მათი აზრით, ამ რეცეპტით „შეიარაღებულ“ აღმზრდელს შეუძლია ზარმაცი და უქნარა შრომისმოყვარე ადამიანად აქციოს, ქურდი, ფლიდი და მატყუარა კი – ალალმართალ კაცად.

ყოველმა მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ასეთი სასწაული ცხოვრებაში არ ხდება--ვერავითარი წინასწარ შედგენილი რეცეპტი ვერ გადაწყვეტს აღზრდის პრობლემას, თუ თვით მშობელი – აღმზრდელი არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, თუ მან არ იცის მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, ვერ ერკვევა აღზრდის ზოგად კანონზომიერებებსა და საშუალებებში.

ამ მხრივ, სამწუხაროდ, სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. ჩვენი ბავშვები სკოლაში, როგორც სუხომლინსკი აღნიშნავს, სწავლობენ ძალზე ბევრ რამეს, ზოგჯერ არც ისე საჭიროს, მაგრამ არ სწავლობენ ყველაზე მთავარს – ადამიანის აღზრდას. „ამიტომ ბავშვების დაბადებისათვის ზოგიერთი ახალგაზრდა ზნეობრივად ისეა მომზადებული, – დასძენს იგი, – როგორც წერა-კითხვის უცოდინარი კაცი ფილოსოფიის წვდომისა და გაგებისათვის“.

ახალგაზრდებმა არ იციან, როგორ აღზარდონ საკუთარი შვილი, რა თვისებები ჩაუნერგონ მას, რა ჩვევები გამოუმუშაონ და რა საშუალებებით. ამიტომაც ოჯახურ აღზრდაში ხშირად ადგილი აქვს უსეშ შეცდომებს, რო-

მელ-თა გამოსწორება შემდგომ შეუძლებელი ხდება.

ყველა ინჟინერი, ექიმი და პედაგოგი ვერ გამოვა, გვასწავლის ვ. სუხომლინსკი, მაგრამ კარგი დედა და მამა კი ყველა უნდა იყოს. ეს არის ყოველი ადამიანის უმაღლესი და უკეთილ'შობილესი მისია, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ, სხვა მრავალ საგანთან ერთად, სკოლაში საოჯახო აღზრდის „გრამატიკასაც" ვასწავლით, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა სხვა გრამატიკაზე მნიშვნელოვანია. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-X კლასებში შემოიღეს ახალი საგანი – „საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია", მაგრამ ბევრ სკოლაში ეს საგანი არადამაკმაყოფილებლად ისწავლება. ამის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ მასწავლებლებს არ გააჩნიათ სათანადო თეორიული მომზადება, ზოგან კი აღნიშნულ საგანს სკოლის დირექტორები აძლევენ იმ მასწავლებელს, რომელსაც ნაკლები დატვირთვა აქვს. ცხადია, ასეთ პირობებში მისი სწავლება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

თანამედროვე პირობებში მშობელთა პედაგოგიზაციისათვის გამოიყენება მთელი რიგი საშუალებანი: პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, თეატრი და ა.შ., მაგრამ ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა მაინც სკოლას, კერძოდ, კლასის ხელმძღვანელს ეკუთვნის. მაგრამ ზოგჯერ მშობლებთან საერთო ენის გამონახვა უფრო ჭირს, ვიდრე ბავშვებთან. ზოგიერთი მშობელი ზედმეტად ენდობა შვილებს, ყველაფერს უჯერებს და თუ მისი პირმშო ტყუილს იტყვის, ვერ წარმოუდგენია.

ერთი ჩემი მოსწავლე ხშირად აცდენდა გაკვეთილებს. ერთხელ, როცა მან სამი დღე ზედიზედ გააცდინა, ოჯახში ვეწვიე და დედას ვესაუბრე. ამ უკანასკნელმა მითხრა: „– არა, თქვენ ცდებით, ჩემი შვილი გაკვეთილებს არ აცდენს, ის ყოველდღე მოდის სკოლაში და ამხანაგებთან ერთად ბრუნდება".

ამ საუბრის დროს ბავშვი შინ არ იყო. დაველოდე მის დაბრუნებას. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა. როცა დამინახა, სახტად დარჩა. იძულებული გახდა, ყველაფერი

ელიარებინა: მამა რამდენიმე დღით ქალაქში წასულა, ამით უსარგებლია შვილს და სამ დღეს სკოლიდან გამოპარულ ამხანაგებთან ერთად ბურთის თამაშით ერთობოდა, ხოლო გაკვეთილების შემდეგ, ჩვეულებრივ, შინ ბრუნდებოდა.

ჩვენ ამით იმის თქმა როდი გვსურს, რომ მშობლებმა უნდობლობა გამოუცხადონ თავიანთ შვილებს. რა თქმა უნდა, არა. მშობლებს უნდა სჯეროდეთ საკუთარი შვილებისა და წამდაუწუმ გაუთავებელი დაკითხვებით არ უნდა აბეზრებდნენ თავს, ამასთან, დაკვირვებით უნდა იხილებოდნენ მათ სულში, უნდა ამოწმებდნენ, ამართლებენ თუ არა ისინი ამ ნდობას. მშობლები ყველგან და ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდნენ პრინციპით: „ენდე, მაგრამ შეამოწმე", ნდობის გამოცხადება კი ბავშვის უკონტროლობას არ ნიშნავს.

ბავშვთა აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებას, მათ დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისადმი. რაც უფრო მტკიცე და შეკავშირებულია ოჯახის კოლექტივი, მით უფრო ძლიერია მისი გავლენა ბავშვებზე, რადგან ოჯახი მის ცაკლეულ წევრთა უბრალო გროვა კი არ არის, არამედ გარკვეულ სისტემასა და ურთიერთობაში მყოფი, ერთი მიზნითა და მისწრაფებებით გამსჭვალული ადამიანთა ერთობლიობაა.

ოჯახის წევრთა ურთიერთსიყვარული და პატივისცემა ბავშვს უყითარებს წმინდა ზნეობრივ გრძნობებს — ადამიანების პატივისცემას, გულისხმიერებას, თავაზიანობას, ყურადღებიანობას, ვინაიდან ბავშვი ბაძავს მშობლებს, მათ ლაპარაკს, მიმიკას, მიხრა-მოხრას, ჩაცმადახურვას და ა.შ. სამწუხაროდ, მშობელთა ერთი ნაწილი ამას ანგარიშს არ უწევს. ზოგიერთ ოჯახში ადგილი აქვს (ბავშვების თანდასწრებით) ოჯახის უფროს წევრებს შორის შეუთანხმებლობას აღზრდის საქმეში, ცოლ-ქმარს შორის გაუთავებელ ჩხუბს, ლოთობას, აყალმაყალს, ლანღვა-გინებას, აზარტულ თამაშობებს და სხვა.

არის ოჯახები, სადაც მამა არავითარ ყურადღებას არ აქცევს შვილების აღზრდას. სამუშაოდან დაბრუნე-

ბის შემდეგ იგი ხშირად თავს იქცევს სატელევიზიო გადაცემებზე ცქერით ან მეგობრებთან ბანქოს თამაშით, დედასაც თავისი საქმე აქვს, დიასახლისობს და შვილებისათვის ვერც ის იცლის. ამრიგად, მშობელთა ძირითადი მოვალეობა შეუსრულებელი რჩება. ასეთ მშობლებს აღზრდის პროცესი სტიქიურ მოვლენად მიაჩნიათ და აცხადებენ: „ვინ გვზრდიდა ჩვენ? არავინ, მაგრამ ხომ ხედავთ, არც ქურდები გამოვსულვართ და არც ხულიგნები, ჩვენი შვილებიც ასე გაიზრდებიან“. ამ კატეგორიის მშობლებს ავიწყდებათ, რომ ასეთი „თვითაღზრდის“, უკონტროლობის შედეგად შეიძლება დაიღუპოს ტალანტი, ძომავალი სასახელო ინჟინერი, პედაგოგი, ექიმი ან, უბრალოდ, კარგი მშრომელი ადამიანი.

ასეთ ოჯახში, ჩვეულებრივ, მოზარდი გაჭირვებით აღწევს მერვე კლასამდე და შემდეგ ქუჩა-ქუჩა იწყებს ხეტიალს, აქედან კი ლოთობამდე, ხულიგნობამდე, ნარკოტიკით გატაცებამდე ერთი ნაბიჯია.

ზოგიერთ მშობელს გაუგონია, რომ ბავშვი არ უნდა გააიამაჩოო და არ აძლევს გასაქანს, ყოველი ფეხის გადადგმაზე მიმართავს: „ნუ ყვირი“, „ნუ დარბიხარ“, „საწოლის ქვეშ ნუ მიძვრები“ და ა.შ.

ეს აზრი შესანიშნავად აქვს გამოხატული პოეტ ნესტორ მალაზონიას ლექსში „პაწაწინა ლუიზა“: „ადვილია თქმა და დაშლა: „ნუ იზამ“ და „ნუ იზამ“, ის მითხარით — რა ქნას

ნებს ბავშვს, უკარგავს დამოუკიდებლობის უნარს და ბავშვი იწყებს ჯიუტობას.

განსაკუთრებით სიფრთხილე მართებთ მშობლებს ნერვულ ბავშვებთან ურთიერთობაში. ნერვული ბავშვი ადვილად იღლება, ამიტომ მთლიანად ვერ ავლენს თავის შესაძლებლობას, წარუმატებლობის შემთხვევაში ღიზიანდება, ტირის, უარს ამბობს ჭამაზე, ძილზე და სხვა. ასეთ შემთხვევაში დატუქსვა და მუქარა არ გასჭრის, პირიქით, უარყოფითად იმოქმედებს, უმჯობესია გაეართოთ, დავამშვიდოთ და მივცეთ დასვენების საშუალება.

ზოგიერთი მშობელი აღზრდის დროს არ ითვალისწინებს ბავშვის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს და ისეთ რამეს სთხოვს აღსაზრდელს, რომლის შესრულებაც მას არ ძალუძს, ან უკრძალავს იმას, რასაც ყველა მისი თანატოლი აკეთებს — ნებას არ აძლევს, მონაწილეობა მიიღოს თანატოლებთან ერთად რაიმე მისი ასაკის შესაბამის ღონისძიებაში, ჩაიცვას მოდაზე, წაიღეს ამსანაგის დღეობაზე და ა.შ.

მშობელთა ერთი ნაწილი ზრდადასრულებულ შვილსაც კი არ ეკითხება, ისე განსაზღვრავს მის მომავალს — ურჩევს საბედოს. ამასთან, ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა სასიძო ან სარძლო აუცილებლად რომელიმე „დიდი კაცის“ შვილი ან ეკონომიურად ძლიერი ოჯახიდან იყოს.

ზოგიერთ ოჯახში მშობელთა მთელი გულისყური მიპყრობილია არა შვილების წესიერი აღზრდისაკენ, არამედ იქითკენ, რომ „მოდას“ არ ჩამორჩნენ და ყველაფერი გააკეთონ „სხვისი თვალის დასავსებად“. ისინი „სხვის ჯიბრზე“ აძალებენ ბავშვს იაროს მუსიკისა და ინგლისური ენის შესასწავლად — სხვები თუკი სწავლობენ, შენ ვისზე ნაკლები ხარო, — შთააგონებენ ისინი სასაკუთარ შვილს.

მშობელთა ერთი ნაწილი კმაყოფილდება მხოლოდ ბავშვის მატერიალური უზრუნველყოფით და მის აღზრდას მთლიანად სკოლას ანდობს, რაც მოგვიანებით სანანებლად უხდება. „როდესაც ბავშვებს აღმზრდელს აბარებენ ან სასწავლებელში შეჰყავთ, — წერს კ. დ. უშისკი, — მშობლები, რასაკვირველია, ამით თავიდან

ვერ იშორებენ იმ წმიდათაწმიდა მოვალეობას, რომ თვალყური ადევნონ თავიანთი ბავშვების აღზრდას. მაგრამ ამისთვის მშობლებს საღი და ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმაზე, თუ რის მოთხოვნა შეუძლიათ მათ, ერთი მხრივ, აღმზრდელისა ან სასწავლებლისაგან და, მეორე მხრივ, თავიანთი ბავშვებისაგან. სრულიადაც არ არის საკმაო ის, რომ თვალყური ადევნონ ნიშნებს, კლასიდან კლასში გადასვლას და საგამოცდო ატესტაციებს".

ღრმად ცდებიან ის მშობლები, რომლებიც არიდებენ შვილებს ფიზიკურ შრომას, როგორც რაიმე ეპიდემიურ დაავადებას. როცა ბავშვის სწავლაზე ჩამოვარდება საუბარი, ზოგიერთი მშობელი მაშინვე მოგახსენებ: „— რა ექნა, ბატონო, მე სახლში შვილს არაფერს ვაკეთებინებ, ვაცმევ, ვახურავ, დაჯდეს და ისწავლოს." რა ოქმა უნდა, ცდება, ვინც ასე ფიქრობს და იქცევა. ფიზიკური შრომა ბავშვისათვის სახიანო კი არაა, არამედ სასარგებლოა, რადგან ფიზიკური შრომის დროს ბავშვი გონებრივად ისვენებს და შემდეგ სწავლა უადვილდება. ამიტომ მშობლებმა ოჯახში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვის ფიზიკური და გონებრივი შრომის პერიოდულ მონაცვლეობას, რაც აუცილებელია ჯანმრთელობისათვისაც. გამოჩენილი რუსი მწერალი ლ. ტოლსტოი და აკადემიკოსი ი. პავლოვი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას განაგრძობდნენ ოთხმოცი წლის ასაკშიც კი. ამას მიაღწიეს იმით, რომ ისინი გონებრივ და ფიზიკურ შრომას მარჯვედ უხამებდნენ ერთმანეთს.

ყოველმა მშობელმა ასევე კარგად უნდა იცოდეს, რომ ყველაფრის თავი და თავი არის ჯანმრთელობა, სიცოცხლისუნარიანობა. ამიტომ მათ ადრეული ასაკიდანვე უნდა იზრუნონ მოზარდის ჯანმრთელობასა და მის ფიზიკურ წრთობაზე. საამისოდ ხშირად უნდა ამყოფონ ბავშვი სუფთა ჰაერზე. აძინონ განიავებულ ოთახში, საფხულის თბილ ამინდში ფანჩატურშიც კი, ჩააბან სპორტის ცალკეულ სახეობებში და სხვა. გამოჩენილმა მსატვარმა რეპინმა, რომელიც 86 წლის ასაკში გარდაიცვალა, კითხვაზე — რამ განაპირობა მისი სიცოცხლის

ხანგძლივობა — უპასუხა: ზამთარშიც კი ღია ფანჯარასთან მეძინაო.

დიდი რუსი მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი პატარაობისას ძალზე სუსტი და უმწეო ბავშვი ყოფილა. იგი რომ ძველ საბერძნეთში დაბადებულიყო, სპარტანელები მას კლდიდან სრამში გადაუძახებდნენ. ასეთი იყო ძველი სპარტის მკაცრი კანონი — ყველა სუსტ ბავშვს კლავდნენ, რადგან მისგან კარგი მეომარი არ დადგებოდა. მაგრამ განუწყვეტელი ვარჯიშით, სხეულის წრთობითა და გაკაჟებით ა. სუვოროვმა შეძლო თავისი არმიის ალპებზე გადაყვანა 70 წლის ასაკში და ისიც ყინვასა და ქარბუქში. ამას იგი, ცხადია, ვერ შეძლებდა ენერგიული ვარჯიშისა და ფიზიკური წრთობის გარეშე, ალექსეი მარესიევი კი ვერ მოახერხებდა ფეხების დაკარგვის შემდეგ მწყობრში დაბრუნებას და საბრძოლო თვითმფრინავით ისევ მტრის რისხვად ქცევას.

იმისათვის, რომ მშობელმა წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, მას უნდა გააჩნდეს სათანადო ავტორიტეტი შვილის თვალში. მაგრამ ამისათვის, როგორც ა. მაკარენკო გვასწავლის, საჭირო არაა „განგებ“, ბავშვების დასანახად ცხოვრება, ვინაიდან, ადრე თუ გვიან, ისინი მაინც ყველაფერს გაიგებენ, მათ თვალს არაფერი გამოეპარება.

ზოგიერთი მშობელი ავტორიტეტის შექმნას ცდილობს ყალბ ნიადაგზე, არასწორი, მცდარი გზით. ა. მაკარენკომ პედაგოგიურ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა ყალბი ავტორიტეტის სახეები. ესენია: ჩახშობის, მანძილის, ყოყოჩობის, პედანტიზმის, რეზონიორობის, სიყვარულის, გულკეთილობის, მეგობრობისა და მოსყიდვის ავტორიტეტი.

„ჩახშობის ავტორიტეტი“ ა. მაკარენკოს მიაჩნდა ავტორიტეტის ყველაზე საშინელ სახედ. ამ ავტორიტეტის სიკეთეში დარწმუნებულ მშობელთა საოჯახო აღზრდის მთელი სისტემა ემსახურება დათრგუნვას, ბავშვის უსიტყვო მორჩილებას, მისი ყოველი მოთხოვნის ჩახშობას, რასაც საფუძვლად უდევს „ჯოხის პედაგოგიკა“ — ბავშვის ფიზიკური დასჯა. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ მამები, ბავშვის უბრალო დანაშაულის შემთხვე-

ვაშიც კი ხელს ავლებენ ქამარს და ბავშვს ფიზიკურად სჯიან.

ჯოხითა და ქამრით შეიარაღებულ მშობლებს ავიწყდებათ, რომ ასეთი გზით მიღწეული „წარმატება“ დროებითი და მოჩვენებითია. ბავშვი მშობლის მოთხოვნას ასრულებს არა იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა უკვე მიაღწია გარკვეულ წარმატებებს მის აღზრდაში, არამედ გაურბის ფიზიკურ დასჯას, ცდილობს აიცდინოს იგი. ჯოხით „აღზრდილ“ ბავშვს საბოლოოდ უვითარდება ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიანჩხლე, მერყეობა, გაუბედაობა, სიჯიუტე, გულცივობა, ეგოისტობა, შეუბრალებლობა და სხვა. გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე მიშელ მონტენი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ წკეპლი ან ასუსტებს და აფრთხობს ადამიანის სულსა და გულს, ან აბორიტებს და აჯიუტებსო, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი არ ითვალისწინებს.

ცნობილი ჟურნალისტი ალ. კიკნაძე თავის წიგნში „თამასიბის თილისმა“ წერს: „ტოკიოში გამგზავრების წინ ჩვენ სტუმრად მიგვიწვია მოსკოვში მცხოვრებმა ჟურნალისტმა ბატონმა კომოტომ. მათთან ერთად სტუმრებს იღებდა შვიდიოდე წლის ბუთხუზა ბიჭუნა, მოსკოვის სკოლის პირველი კლასის მოსწავლე. ყმაწვილს თავი ეჭირა დიდი ღირსებით, როგორც ოჯახის ნამდვილ უფროსს. იგი სტუმრებს ესალმებოდა, ეხმარებოდა უფროსებს სუფრის გაშლაში და დროდადრო მამას გადახედავდა ხოლმე: „ყველაფერს ვაკეთებ თუ არა ისე, როგორც საჭიროაო?“ კომოტო ოდნავ შესამჩნევად უქნევდა თავს და ბიჭუნა ძალიან გახარებული იყო. მაგრამ როცა ყველანი სუფრას შემოვუსხედით, ოჯახის უფროსმა თავის ვაჟს ორი სიტყვა უთხრა, ბიჭუნამ თავი დაგვიკრა სტუმრებს, ისევე როგორც ყველა იაპონელს სჩვევია და თქვა: „მე ადრე უნდა ავდგე, ძილის დროა, ღამე მშვიდობისა“.

საიდანაა ასეთი სიდინჯე მშობლების შვილებისადმი დამოკიდებულებაში, რით აიხსნება მამის შეულახავი ავტორიტეტულობა ოჯახში და ის, რომ იაპონელ ბიჭუნას თავი ასეთი ღირსებით უჭირავს, და ამავე დროს მაინც ბავშვად რჩება მთელი თავისი ქცევით?

მთელი კვირის განმავლობაში არ მინახავს არც ერთი ჭირვეული ყმაწვილი ორიდან ხუთ წლამდე. შეიძლება ამიტომაც არც გაჯავრებული უფროსი ასაკის ადამიანი მინახავს.

მამაკაცის სისუსტედ ითვლება სცემოს დამნაშავე ყმაწვილს: „დაარტყი ერთხელ, მეორედ, მაგრამ რაღა უნდა გააკეთო შემდეგ?" — დაასკვნის ავტორი.

ცრუ, ყალბი ავტორიტეტის ერთ-ერთი სახეა „მანძილის ავტორიტეტი". ამ ავტორიტეტითაც მეტწილად მამები გამოირჩევიან. ისინი ფიქრობენ, რომ რამდენადაც შორს დაიჭერენ თავს შვილებისაგან, იმდენად შვილებს მეტი ხათრი და პატივისცემა ექნებათ მათი, იმდენად მეტად დაუჯერებენ და დააფასებენ ისინი მშობლებს. სინამდვილეში კი „მანძილის ავტორიტეტი" ხელს უწყობს მშობლებსა და შვილებს შორის „ხიდის ჩატეხვას", რომლის მთლიანობა ესოდენ საჭირო და აუცილებელია დროული და სწორი პედაგოგიური ზემოქმედებისათვის.

„რა უხეშად ცდებიან ბევრნი, საუკეთესო მამებიც კი, — ამბობს ბ. ბელინსკი, — რომლებიც აუცილებლად თვლიან გაემიჯნონ ბავშვებს თავიანთი სიმკაცრით, პირქუშობით, მიუკარებლობითა და ბღენძიობით! ისინი ფიქრობენ, ამით გააღვიძონ შვილებში მათდამი პატივისცემა, რასაც ახერხებენ კიდეც, მაგრამ იგი ცივია, შიშის მომგვრელია და მთრთოლვარე, ამიტომაც გამმიჯვნელნი უნებლიეთ აჩვევენ შვილებს გულჩახვეულობასა და ცბიერებას. შვილები მშობლებს პატივს უნდა სცემდნენ, მაგრამ ეს პატივისცემა უნდა გამომდინარეობდეს სიყვარულიდან"

ასეთი მამები ხშირად ცუდად იცნობენ თავიანთ შვილებს, ვინაიდან ისინი იშვიათად დადიან ცოლ-შვილთან ერთად ექსკურსიაზე, კინოში, თეატრში, სტადიონზე, ცირკსა თუ ზოოპარკში. ამის მიზეზად ისინი დროის უქონლობას, მოუცლელობასა და გადატვირთულობას ასახელებენ, მაშინ როცა ბევრი მათგანი თავისუფალ დროს ძმაბიჭებთან ერთად ქეიფსა და ბანქოს თამაშში ატარებს.

მუდამ „მოუცლელ", „საქმით დაკავებულ" მშობლებს ვ. სუხომლინსკი არიგებს: „რაგინდ საპასუხისმგებლო,

რთული, შემოქმედებითი სამუშაოც გებაროთ წარმოებაში, იცოდეთ, რომ შინ გელით კიდევ უფრო საპასუხისმგებლო, უფრო რთული, უფრო ფაქიზი სამუშაო — ადამიანის აღზრდა. უს არა მარტო ყველაზე მთავარი, არამედ ყველაზე საჭირო, ყველაზე გადაუდებელი სამუშაოა თქვენთვის... თითოეულმა თქვენგანმა უნდა გაიგოს, ძვირფასო მამებო და დედებო, რომ უზრდელი, ზნეობრივად უვიცი, ზერელედ ნასწავლი ადამიანი — ეს იგივეა, რაც აფრენილი თვითმფრინავი, რომელსაც ძრავები დაზიანებული აქვს: იგი თვითონაც დაიღუპება და სხვებსაც დაღუპავს".

მშობლებმა არა მარტო უნდა მოიცალონ შვილებისათვის, არამედ დღენიადაგ უნდა იზრუნონ მათზე. მაგრამ მთავარი მარტო ის კი არ არის, თუ რა მატერიალურ და კულტურულ ღირებულებას დავუტოვებთ ჩვენს შვილებს, არამედ უფრო ის, ვის გადავცემთ ეროვნული სულის საუნჯეს — ვის დავუტოვებთ ქვეყანას, რომელიც ჩვენს შემდეგ რჩება.

ამრიგად, ბავშვისაგან განდგომა, თავის შორს დაჭერა საზიანოა, მაგრამ ზედმეტი სიახლოვეც არ იძლევა აღზრდაში სასურველ შედეგს, რაც გამოხატულებას პოულობს მშობლების „გულკეთილობისა და სიყვარულის ავტორიტეტში". ბავშვის დაუსრულებელი ქება, ფერება, ხვევნა-კოცნა, ყველა მოთხოვნის შესრულება, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ზოგიერთ ოჯახში, ვერ ქმნის მშობლის ნამდვილ ავტორიტეტს.

ყოველ მშობელს, რომელსაც საქმე აქვს აღზრდასთან, ცხადია, უნდა უყვარდეს ბავშვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მშობელი გაუთავებლად ეალერსებოდეს, გულში იხუტებდეს, ყველა მის წარმატებას ამა თუ იმ საქმეში საჩუქრით აღნიშნავდეს, ან მადლობას უცხადებდეს, არამედ უნდა უყენებდეს მტკიცე და პედაგოგიურად დასაბუთებულ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება ბავშვისათვის აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მშობლის ავტორიტეტი, განმტკიცების ნაცვლად, დაეცემა.

ოჯახში განებივრებული ბავშვი ვერ ეგუება სასკოლო რეჟიმს და დისციპლინას, ავლენს ეგოისტურ მი-

დრეკილებას, ცდილობს სხვებთან უპირატესობის მოპოვებას, უხეშად ეპყრობა არა მარტო თაეის ამხანაგებს, არამედ აღმზრდელ-მასწავლებლებსა და მშობლებსაც.

აღზრდის პრაქტიკაში ადგილი აქვს „ყოყოჩობის, ანუ ქედმაღლობის ავტორიტეტსაც". მშობელთა ერთ ნაწილს თავი მოაქვს სამსახურებრივი მდგომარეობით, თანამდებობის პირებთან ახლო ურთიერთობით, წოდებით, გვარიშვილობით და ა.შ., რაც მეტად საზიანოა ცნობისმოყვარე და მიმბაძველი ბუნების ბავშვისათვის. ხშირად ისინიც ისე იქცევიან ამხანაგებში, როგორც მათი მშობლები ოჯახსა და საზოგადოებაში.

ამ კატეგორიის მშობლებისათვის უცხოა თავმდაბლობა, ყურადღება, გულისხმიერება, სიკეთე და, საერთოდ, ადამიანური გრძნობები და მისწრაფებანი. საკმარისია ასეთ მშობლებს გამოაცალონ თაემოყვარეობის საფუძველი, რომ შვილებისა და საზოგადოების თვალში მათი მოჩვენებითი ავტორიტეტი საპნის ბუშტივით გაქრეს.

ბავშვის აღზრდისადმი ბიუროკრატიული, პედანტური დამოკიდებულების მქონე მშობლებს სჯერათ, რომ შვილებმა მათი ყოველი განკარგულება, თუნდაც უსამართლო, განუხრელ კანონად უნდა მიიჩნიონ და უყოყმანოდ შეასრულონ. თავიანთ განკარგულებებს ისინი იძლევიან ცივი ტონით. მათ ყველაზე მეტად ის აშინებთ, რომ ბავშვებმა არ იფიქრონ — მამა შეცდაო. ასეთ ყალბ საფუძველზე აგებულ ავტორიტეტს ა. მაკარენკო „პედანტიზმის ავტორიტეტს" უწოდებს.

ცრუ ავტორიტეტის ყველაზე გავრცელებული და მავნე სახეა „მოსყიდვის ავტორიტეტი", როცა შვილებისაგან დამჯერებლობას მშობლები საჩუქრებითა და დაპირებებით ყიდულობენ. „თუ სასწავლო წელს ხუთებზე დაამთავრებ, ველოსიპედს გიყიდი", „ოთახს თუ დამილაგებ, კინოში წაგიყვან" და ა.შ. ასეთი ავტორიტეტით მეტწილად სარგებლობენ შეძლებული, მაგრამ დაბალი შეგნებისა და კულტურის მშობლები.

„მოსყიდვის ავტორიტეტი" მოზარდს უვითარებს სიხარბის, ანგარებისა და მომხვეჭელობის თვისებებს. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდის, რომ ბავშვი მაღაზიაში

წასვლისათვისაც საჩუქარს მოითხოვს. ასეთი ბავშვები, ხშირ შემთხვევაში, ადვილად მოსასყიდნი ხდებიან. აბა, გავიხსენოთ ცნობილი ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს შესანიშნავი ნოველა „მატეო ფალკონე“. ათი წლის ბიჭუნა ფორტუნატო ოსტატურად ახერხებს დეევნილი ფირალის – ჯანეტოს დამალვას, რისთვისაც დაჭრილს ხუთ ფრანკს არომევს. როცა მდევრები მოვიდნენ, ფორტუნატო მათ ისე უშიშრად შეხვდა, როგორც მის მიერ საიმედოდ დამალულ ყაჩაღს. მკითხველს აოცებს ბიჭის ასეთი მოხერხებულობა და სიმამაცე, მაგრამ მდევართა მეთაურმა გამბამ ბავშვს ვერცხლის ძეწკვიანი საათი აუთამაშა ცხვირწინ და ბიჭიც მაშინვე „მოლბა“. სიხარბემ და მომხვეჭელობის დაუოკებელმა სურვილმა იგი მოღალატედ აქცია, რამაც ოჯახის ტრაგედია გამოიწვია: მამამ კაცის გაცემისათვის სიცოცხლეს გამოასალმა თავისი ერთადერთი შვილი ფორტუნატო. ცხადია, ამ ტრაგედიაში ბრალი თვით მშობლებს მიუძღვით. მათ რომ დროზე მიექციათ ყურადღება ფორტუნატოს ამ თვისებისათვის, მისი სიცოცხლე ასე ხანმოკლე არ აღმოჩნდებოდა.

ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა შევაგნებინოთ, რომ კარგი სწავლა და მშობლებზე საოჯახო საქმეების შესრულებაში დახმარება მათი მოვალეობაა და ამისათვის არავითარი საჩუქარი არაა საჭირო. მაგრამ ეს იმას რომ ნიშნავს, რომ წახალისება საერთოდ არაა საჭირო. ცხადია, წახალისება შეიძლება და საჭიროც არის, მაგრამ აქ დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს. ბავშვი კარგი სწავლისათვის უნდა შევაქოთ, საჩუქრითაც უნდა გავახაროთ, მაგრამ ამის შესახებ მან წინასწარ არაფერი არ უნდა იცოდეს.

ჩვენ აქ განვიხილეთ მაკარენკოსეული ყალბი ავტორიტეტის მხოლოდ რამდენიმე სახე. ვფიქრობთ, აქ ნათქვამიც საკმარისია იმის გასარკვევად თუ როგორი უნდა იყოს მშობლის ნამდვილი აუტორიტეტი. იგი უნდა ემყარებოდეს, უპირველეს ყოვლისა, მშობლის პირად მაგალითს, მის მუდამ სწორ, მართებულ მოქმედებას და მაღალზნეობრივ, მოქალაქეობრივ თვისებებს.

საოჯახო აღზრდასთან მჭიდროდ არის დაკავშირე-

ბული ოჯახისა და სკოლის ურთიერთობის პრობლემა. ოჯახის ვალია ბავშვის აღზრდასა და განათლებაში ხელი შეუწყოს სკოლას, იყოს მისი პირველი დამხმარე და თანაშემწე. თუ ოჯახი გვერდში არ ამოუდგა სკოლას, იგი ვერ უზრუნველყოფს მის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას. სამწუხაროდ, ყველა მშობელი როდი ითვალისწინებს ამას. ზოგიერთი მათგანი მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცების ნაცვლად ბავშვების თანდასწრებით ცუდად ახასიათებს მას, ხოლო ზოგჯერ უცოდინარობასაც მიაწერს ხოლმე. „მაგან რა უნდა გასწავლოს, თვითონ რა იცის, რომ შენ გასწავლოს", — მიმართავს ზოგიერთი მშობელი ბავშვს. ამით იგი ძირს უთხრის საერთოდ აღზრდის საქმეს და, უპირველეს ყოვლისა, ზიანს აყენებს საკუთარ შვილს.

მართალია, ჯერ კიდევ არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ვერ დგანან მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ ეს იმის უფლებას როდი გვაძლევს, რომ ბავშვებთან ცუდად მოვიხსენიოთ ისინი. მშობლებს მართებთ, პატივისცემით მოეპყრონ მასწავლებლებს, დააფასონ ისინი, რაც საბოლოოდ ისევ მათ შვილებს გამოადგებათ. სამწუხაროდ, ამას ბევრი მშობელი არ ითვალისწინებს. აი, ამის მაგალითიც: ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასის ერთი მოსწავლე ხშირად არ ასრულებდა საშინაო დავალებას, ან თუ ასრულებდა, უხარისხოდ. ერთ დღეს, როცა ბავშვმა ისევ უსუფთაოდ შესრულებული დავალება უჩვენა მასწავლებელს, ამ უკანასკნელმა იგი დაუხია და ახალი რვეული მისცა, რომ შემდგომში სუფთად და ლამაზად ეწერა. მეორე დღეს სკოლაში გამოცხადდა ბავშვის მამა და მასწავლებელს ლანძღვა-გინება დაუწყო. მან არ მოუსმინა პედაგოგებს, დაემუქრა და ამით დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა მთელ პედაგოგიურ კოლექტივს. ბავშვი კი მეორე დღეს სიამაყით ეუბნებოდა თანაკლასელებს: გუშინ მამაჩემმა შავი დღე აყარა მასწავლებლებსო.

ვერ ვიტყვით, რამდენად სწორად მოიქცა მასწავლებელი, მაგრამ ერთი კი ცხადია — მშობელმა დათვური სამსახური გაუწია შვილს.

უფრო მეტიც. არის შემთხვევები, როცა მშობლები,

დახმარების ნაცვლად, ხელს უშლიან სკოლას, ერთგვარ საწინააღმდეგო პოზიციას იჭერენ ბავშვისადმი მასწავლებლის მართებული და პრინციპული მოთხოვნის მიმართ, რითაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ საკუთარი შვილის სწავლა-აღზრდის საქმეს. „...მშობლები ძალიან ხშირად სრულიად არასწორად ხსნიან სასწავლებლის იმ ფაქტებს, — წერდა კ. დ. უშინსკი, — რომლებიც მათ ბავშვებს შეეხება: ხან სჯიან მათ იმისათვის, რისთვისაც სრულიად არ არის საჭირო დასჯა, ხან თვითონ უწონებენ ბავშვებს ისეთ საქციელს, რომლის წინააღმდეგ იბრძვის სასწავლებელი, ხან კი უნერგავენ ისეთ შეხედულებას, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ სნეობრივ აღზრდას, — და შემდეგ თვითონვე უკვირთ, რატომ მიდის მათი ბავშვების აღზრდა ცუდად ან აღზრდას რატომ გამოაქვს ისეთი ნაყოფი, რომლის გემო მათ ემწარებათ“.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება ერთი შემთხვევა, რომელიც ისევ ჩვენს სკოლაში მოხდა. VII კლასში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, სხვა სკოლიდან გადმოვიდა ერთი მოსწავლე — ვაჟი. იგი ხასიათდებოდა უდისციპლინობითა და სწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, მაგრამ დიდ ინტერესს იჩენდა მუსიკისადმი, გააჩნდა სასიამოვნო ხმა. დირექტორთან შეთანხმებით, ბავშვი ჩავაბი სიმღერის გუნდში. აქ კიდევ უფრო გამოვლინდა მისი ნიჭი. გარდა ამისა, უკლო წესრიგის დარღვევას და უმატა სწავლას. მაგრამ მალე სკოლაში გამოცხადდა მისი მამა და განაცხადა: მე შვილი თქვენთან სასწავლებლად გადმოვიყვანე და არა სასიმღეროდ. ცეკვა-სიმღერით აშენებული ქვეყანა არ მინახავსო. განაწყენებულმა მშობელმა დაავლო ბავშვს ხელი და ისევ სხვა სკოლაში გადაიყვანა. ასეთი მოქმედებით მან ხელი შეუშალა სკოლას თავისი მიზანდასახულობის განხორციელებაში, რამაც, საბოლოოდ, მის შვილს ავნო.

ასეთ მაგალითებს, საბოლოოდ, მრავლად ვხვდებით სკოლის ცხოვრებაში, რაც დიდ ზიანს აყენებს მოზარდი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბებას.

ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს ანტონ

მაკარენკოს სიტყვები, რომ ისინი შვილებს ზრდიან არა მარტო საკუთარი მშობლიური სიყვარულისათვის, არამედ ოჯახში მათი ხელმძღვანელობით იზრდება მოქალაქე, მოღვაწე და მებრძოლი. და თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები სასახელო მამულიშვილებად აღიზარდონ, საჭიროა პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ჰშობლიურ მოვალეობას, სწორად და ნათლად წარმოვიდგინოთ აღზრდის ძირითადი მიზანი, შევქმნათ ჯანსაღი პედაგოგიური გარემო ოჯახში და ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში ვუჩვენოთ შვილებს დადებითი მაგალითი. მხოლოდ ამ გზით შეიძლება პირნათლად მოვიხადოთ ვალი ჩვენი შვილების, ოჯახის, ერისა და ქვეყნის წინაშე.

1987 წლის მაისი

ბოროტების სათავე — არასწორი აღზრდა-

აღზრდა დიდი საქმეა:
ის წყვეტს ადამიანის ბედს.
ბ. ბელინსკი

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დიდად შეშფოთებულია იმ გარემოებით, რომ ჯერ კიდევ ხშირია არასრულწლოვანთა ისეთი დანაშაულობანი, როგორიცაა სახელმწიფო და პირადი ქონების დატაცება, ხულიგნობა, ძარცვა, ავტომანქანების გატაცება და სხვ. ამაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ.

დღეს ყველა პირობა გვაქვს იმისა, რომ არც ერთი მოზარდი არ დაადგეს დანაშაულის გზას. მათ აღზრდას ხომ ემსახურებიან მშობლები, პედაგოგები, მილიციის ბავშვთა ოთახების ინსპექტორები, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების პედაგოგ-ორგანიზატორები, სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებანი, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი დაქსაქსულად მოქმედებენ. ხშირად ძნელადაღსაზრდელ ბავშვებთან მათი მუშაობა

ფორმალურია. დოკუმენტაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ.

მაშ, ვისი ბრალია, რომ ამდენი დანაშაული ხდება? რატომაა, რომ სანიმუშო ყოფაქცევისა და დისციპლინის მქონე ბავშვთა გვერდით ძნელადაღსაზრდელებიც არიან? ვის მიუძღვის ბრალი იმაში, რომ ბავშვი ნერვული, თავნება, უხეში და ინდიფერენტულია? ერთი სიტყვით, სად ვეძიოთ ბიროტების სათავე, სიავის ფესვები?

ჩვენი აზრით, ბიროტების სათავე ისევ და ისევ არასწორ აღზრდაში უნდა ვეძიოთ. აღზრდა კი, მოგეხსენებათ, ოჯახში იწყება და სკოლაში გრძელდება.

როცა კარგი, ზრდილი და სახელოვანი ადამიანი იზრდება, როცა ის რაიმე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს, მშობლები და სკოლა თანაბრად ინაწილებენ სიხარულს, მაგრამ როცა იგი რაიმეს აშავებს, მაშინ იწყება დამნაშავის ძებნა და ბრალის ერთმანეთზე გადაბრალება.

ერთმა არასრულწლოვანმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. გამოძიებაზე კლასის ხელმძღვანელმა ასე „დაასაბუთა“ ოჯახის დანაშაული: „კლასში 30 მოსწავლე მყავს. მათგან უმრავლესობა კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩევა. მხოლოდ ამ ერთმა 'შეარცხვინა მთელი სკოლა თავისი უღირსი საქციელით. მაგრამ მას განა ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით, ვიდრე დანარჩენ 29 მოსწავლეს? მასაც ხომ სხვებსავით ვასწავლიდით, სხვებსავით ვზრდიდით, ე. ი. დამნაშავეა ოჯახი, სადაც ბავშვს ვერ შეუქმნეს სათანადო პირობები.“

ამაზე დამნაშავე მოსწავლის მამამ უპასუხა: „მე სამი 'შვილი მყავს, სამივე ერთნაირად მიყვარს, სამთავეს ერთნაირად ვაცმევ, ვაჭმევ და სწავლისა და დასვენების ერთნაირ პირობებს ვუქმნი. მათგან ორი სანიმუშოა, ამან კი დანაშაული ჩაიდინა. ამიტომ დამნაშავე მშობლები კი არა, სკოლაა.

სინამდვილეში ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავეა სკოლაც და ოჯახიც. სწორედ ის არგუმენტი, რომელიც ორივე მხარემ თავის გასასამართლებლად მო-

იყვანა, აღზრდის მეთოდის უვარგისობაზე მეტყველებს. დანაშაულის მიზეზიც სწორედ ის არის, რომ იმ ყმაწვილსაც სხვებსავით ასწავლიდნენ, სხვებსავით სთხოვდნენ პასუხს, სხვებსავით ექცეოდნენ, სხვათა მსგავს პირობებს უქმნიდნენ, მაშინ, როცა საჭირო იყო მასთან განსხვავებული მუშაობა, განსხვავებული მიდგომა. თიოლულ ბავშვს ხომ თავისებური გემოვნება, ხასიათი, სურვილი, ინტერესი და მიდრეკილება გააჩნია, რაც აღმზრდელისაგან ინდივიდუალურ, სხვებისაგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. ზოგს შექება წაახალისებს, ზოგს კი გაათავხედებს. ზოგიერთთან ზედმეტი სიმკაცრეა საჭირო, ზოგთან კი უშუალობა უფრო გამოდგება. ბევრმა მშობელმა ეს თეორიულად კარგად იცის, პრაქტიკულად კი ვერ ან არ ახორციელებს.

აღზრდის საკითხში, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად მაინც ოჯახი, მშობლები სცოდავენ. უმრავლეს შემთხვევაში, ოჯახია დამნაშავე იმაში, რომ მოზარდი ცხოვრების არასწორ გზას ირჩევს. „სკოლამ გამიფუჭა", „ყველაფერი ქუჩის ბრალია", „ამხანაგებს ვერ ჩამოვაშორე", — სულ ტყუილი წუწუნი და უსაფუძვლო თავის მართლებაა. თუ რამ ღირსება აქვთ ჩვენს შვილებს, ჩვენგან მომდინარეობს და თუ რამ ნაკლი მოეპოვებათ, ისიც ჩვენი ბრალია. სკოლაშიც, ქუჩაშიც და ყველგან ჩვენ, უფროსები, მშობლები ვართ მაგალითის მიმცემი მოზარდებისათვის და ის „ცუდი ამხანაგებიც" ციდან არ ჩამოფრენილან, ცუდი მშობლების აღზრდილი არიან. თუ ჩვენი შვილი ქუჩაში ატარებს თავისუფალ დროს, ვინაა ამაში დამნაშაე, თუ არა ისევ ჩვენ, მშობლები?

ყოველმა მშობელმა, აღმზრდელმა უნდა იცოდეს, რომ ბავშვები დამნაშავედ არ იბადებიან, რომ ასეთებად ისინი არასწორი აღზრდის შედეგად იქცევიან. ბავშვის გონება, სული ძველთაგანვე, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ფილოსოფოსებმა სუფთა, დაუწერელ დაფას შეადარეს. ამ დაფაზე დაწერისათვის პასუხისმგებლობა დამწერს ეკისრებოდა. ეს მოთხოვნა დღესაც ძალაშია. დამწერის როლში კი გვევლინებიან ოჯახი, სკოლა და საზოგადოება. ამრიგად, ამ დაფაზე ყველაფერს, ავსაც და კარგსაც, ჩვენ, მშობლები, აღმზრდელები ვწერთ, მაგრამ

ეს ნაწერი უბრალო ცარცით ნაწერს კი არა ჰგავს, რომელსაც ერთი ხელის მოსმით წაშლი, არამედ ამოტვიფრულია. ამიტომ მისი წაშლა არც ისე ადვილია. ხელახლა აღსრდა გაცილებით რთულია, ვიდრე თავიდან სწორად აღზრდა. ყოველივე ეს კარგად უნდა იცოდეს თითოეულმა მშობელმა.

პრაქტიკით, გამოცდილებით და სტატისტიკური მონაცემებით დადასტურებულია, რომ მცირეწლოვან დამნაშაეეთა უმრავლესობა დედით ან მამით ობოლია. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვი მართლა ობოლია თუ დედა ან მამა სხვა ოჯახშია გადაბარგული. მთავარი ისაა, რომ ბავშვს მათი ყურადღება, სითბო, სიყვარული და მზრუნველობა აკლია. ამ დანაკლისის შევსება კი არავის ძალუძს. სწორედ ამის გამო ადგება იგი დანაშაულის გზას.

განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე მშობლების განქორწინება. ბავშვს ერთნაირად სჭირდება როგორც დედა, ისე მამა. ასეთი ბავშვები, უმრავლეს შემთხვევაში, მოკლებული არიან ნორმალურ პირობებს, რის გამოც გულს იცრუებენ სწავლაზე და ქუჩისაკენ უჭირავთ თვალი, მშობლებს კი დრო აღარა აქვთ, რომ მეთვალყურეობა გაუწიონ თავიანთ შვილებს. ისინი თავს იმართლებენ იმით, რომ მუშაობენ და ბავშვების აღზრდისათვის ვერ იცლიან. მათ ავიწყდებათ ან არ იციან, რომ აღზრდის პროცესი უწყვეტია, რომ მოზარდზე ზეგავლენას პირადი მაგალითი უფრო ახდენს, ვიდრე სიტყვიერი შეგონება. ამიტომ ბავშვის აღზრდას სპეციალურად გამოყოფილი საათები არ სჭირდება.

აქ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ზოია კოსმოდემიანსკაიას დედის, ლუბა კოსმოდემიანსკაიას სიტყვები:„მე დრო არა მაქვს ბავშვების აღსაზრდელად, მთელი დღე სამსახურში ვარ", — ხშირად მესმის მშობლებისაგან და ვფიქრობ, განა ბავშვების აღსაზრდელად განსაკუთრებულად გამოყოფილი საათებია საჭირო? აღზრდა ყოველ წვრილმანშია — ყოველ შენს მოქმედებაში, მზერაში, სიტყვებში... ყველაფერს შენიშნავს შენი შვილი და ყველაფერში მოგბაძავს. მაგრამ თუ შენ გავიწყდება

იგი, მისი მუდამ შენკენ მომზირალი თვალები, რომლებიც შენს მოქმედებაში გამუდმებით ეძებენ რჩევასა და მაგალითს, თუკი ბავშვი იზრდება შენ გვერდით მაძღარი, ჩაცმული, მაგრამ მარტო, მაშინ ვერაფერი ვერ უშველის მის სწორ აღზრდას, არც ძვირფასი სათამაშოები და არც სხვა გასართობები. შენ, მხოლოდ შენ უნდა იყო შენს შვილთან მუდმივად, ის მუდამ უნდა გრძნობდეს შენს სიახლოვეს".

ვისაც სურს შვილი საზოგადოების ღირსეულ მოქალაქედ აღზარდოს, უნდა შეაყვაროს, პირველ ყოვლისა, შრომა, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთება და არასოდეს არ უნდა დატოვოს იგი უმეთვალყურეროდ, უსაქმოდ, რადგან უსაქმურობა და უმეთვალყურეობა ყოველგვარი ბოროტების სათავეა. დანაშაულს სწორედ ის პირები სჩადიან, რომლებსაც საქმე ვერ მოუნახავთ და მორალური კმაყოფილების საგანი ვერ უპოვიათ, ვინც არ იცის, სად წავიდეს, რა გააკეთოს. როგორ „მოკლას" თავისუფალი დრო, რადგან თავის დროზე არც მშობლებმა და არც სკოლამ არ შეაყვარეს შრომა (მხედველობაში გვაქვს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომა), წიგნზე მუშაობა. თავისუფალი დრო კი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არსებობს მხოლოდ სულიერად ღარიბი ახალგაზრდისათვის, მაშინ როცა ასობით კარგი წიგნია წასაკითხი, კინოფილმი და სპექტაკლია სანახავი და საინტერესო საქმეა გასაკეთებელი.

უკონტროლობამ და უმეთვალყურეობამ მიიყვანა დანაშაულობამდე ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე სერგო რ. მშობლები მუშაობდნენ და სამუშაოდან გვიან ბრუნდებოდნენ, მანამდე კი სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი ოჯახში უზედამხედველოდ რჩებოდა. ამიტომაც იყო, რომ მოსწავლე, რომელიც მანამდე ყოველმხრივ დადებითად ხასიათდებოდა, საეჭვო პირებს დაუკავშირდა და მალე საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა, ქურდობისათვის მას ორი წელი მიესაჯა, მაგრამ სასამართლომ, როგორც არასრულწლოვანს, სასჯელი გადაუვადა და აღსაზრდელად იმავე სასწავლებელს დაუბრუნა. თუ მასთან სკოლა, ოჯახი და არასრულწლოვანთა საქმეების კომისია, მილიციის ბავშვთა ოთახის

ინსპექცია და სხვები ერთობლივად არ იმუშაევებენ, მისგან უფრო დიდი დანაშაულია მოსალოდნელი.

მშობლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რათა ბავშვი კარგ წრეში ტრიალებდეს, ჰყავდეს კარგი ამხანაგები და მეგობრები, ვინაიდან „იმ წრეს, სადაც ბავში პირველ ხანიდანვე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მოელს ადამიანის მერმისზედ“ (ი. ჭავჭავაძე).

ზოგიერთი მშობელი ტრაბახობს — ჩემი შვილი არსად არ დადის, კინოშიც კი არ ყოფილა ამხანაგებთან ერთად, მხოლოდ შინ ზის და წიგნს კითხულობსო.

ვერ ვიტყვით, რომ ამგვარ ეგოისტურ, კარჩაკეტილ ატმოსფეროში აღზრდილი პიროვნებისაგან კარგი, გულღია, მოსიყვარულე ადამიანი დადგება.

ბავშვისათვის აუცილებელია თანატოლთა საზოგადოება, მაგრამ მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, ვისთან მეგობრობს, ვისთან ერთობა, ვისთან ატარებს შვილი თავისუფალ დროს. ამისათვის იგი გამომძიებლად კი არ უნდა იქცეს, არამედ საქმე ისე უნდა დააყენოს, რომ ბავშვმა ყველაფერი საკუთარი სურვილით უამბოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მშობელი ბავშვის თვალში ავტორიტეტს დაკარგავს. ბავშვს ტოლ-ამხანაგებთან თამაში კი არ უნდა აეკრძალოთ, არამედ უნდა ვასწავლოთ ავისა და კარგის ერთმანეთისაგან გარჩევა, ის, თუ რას მიბაძოს, რა გადაიღოს უფროსებისაგან, ამხანაგებისაგან და რა არა; მედიცინის ენით რომ ვთქვათ, უნდა გამოვუმუშაოთ იმუნიტეტი უზნეო ქცევების მიმართ. ეს კი მოითხოვს დიდ დროს, ფართო პედაგოგიურ ცოდნასა და განათლებას, რაც, სამწუხაროდ, მშობელთა უმრავლესობას არ გააჩნია.

მშობლებმა ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოისხან, რათა შვილის სულში ბზარი მანამ შეამჩნიონ, სანამ ურემი გადაბრუნდებოდეს, სანამ მოზარდი დანაშაულის გზას დაადგებოდეს. ზოგიერთი მშობელი კი შვილის უმსგავსობის ამბავს მხოლოდ მაშინ იგებს, როცა ეს უკანასკნელი საბრალდებო სკამსე აღმოჩნდება, და იწყება გაუთავებელი წუწუნი: რა აკლდა, რამ აიძულა, რატომ იქურდა? და ა.შ. მაგრამ ასეთი კითხვები უკვე გაფუჭებულ საქმეს ვერაფერს შველის. სინამდვი-

ლეში კი აკლდა ყველაზე მთავარი — ადამიანების სიყვარული. ბავშვს მარტო კარგი ჩაცმა-დახურვა, ჭამასმა, უცხო ენებისა და მუსიკის ცოდნა კი არ აქცევს სასახელო ადამიანად, არამედ თავისი მშობლიური კუთხის, ქვეყნისა და ერის სიყვარული, რასაც ვერ იგრძნობ, თუ შრომისა და პატიოსანი ლუკმის ფასი არ იცი.

ყოველი მშობლის ნატვრა და ოცნებაა საკუთარი არსებობით ბედნიერება და სიხარული მოუტანოს შვილებს, მაგრამ ეს სურვილი რომ სინამდვილედ ვაქციოთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რა ანიჭებს ადამიანს ნამდვილ ბედნიერებას. ბედნიერება ფულით კი არ იყიდება, სიმდიდრით, ქონებით კი არ შეიძინება, არამედ პატიოსნების, მაღალი ზნეობის, სიყვარულის საძირკველზე შენდება. სამწუხაროდ, ბევრი მშობელი ამას არ ითვალისწინებს. ზოგიერთ ოჯახში დავიწყებულია ზომიერებისა და მადლიერების გრძნობა. სასტიკად უნდა გაიკიცხოს მოდას აყოლილი მშობელი, რომელიც ყველაფერს „სხვის ჯიბრზე", „სხვისი თვალის დასავსებად" აკეთებს — ქორვაჭრებთან მამასისხლად შეძენილი ჯინსებითა და სხვადასხვა უცხოური ხიზილ-პიპილებით მოსაკს ეს-ეს არის აკვანში მწოლარე ბავშვსაც კი. მშობელი არ უნდა ცდილობდეს, რომ მისი შვილი თანატოლებისაგან ჩაცმულობით გამოირჩეოდეს, მით უმეტეს თუ იგი მოსწავლეა.

მოსწავლისათვის შეუფერებელი, „მდიდრული" ჩაცმულობა უარყოფითად მოქმედებს მის ფსიქიკაზე. ის ეჩვევა საკუთარი თავის სხვაზე მაღლა დაყენებას, კარგავს ინტერესს შრომისადმი და ვერ აფასებს მას, როგორც მომავალი ბედნიერების წყაროს, აღძრავს შურს თანატოლებში — რადაც უნდა დაუჯდეს იშოვოს მოდური ტანსაცმელი. ამიტომაა, რომ მცირეწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობა ჯინსებზე და მანქანების გატაცებაზე მოდის. აქედან გამომდინარე, საჭიროა მშობლებმა მეტი ზომიერება დაიცვან შვილების ჩაცმა-დახურვაში.

წესიერ შვილს ვერც ის ოჯახი გაზრდის, სადაც დედ-მამის მთავარი საზრუნავია კონფორტული ბინის მოწყობა, ძვირფასი დგამ-ავეჯისა და ¹ აირ-ნაირი ჭურ-

ჭლეულის შემენა.

ჩვენ აქ ძირითადად ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ ოჯახზე, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამით სკოლას ვაცილებთ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც მოზარდი თაობის აღზრდა ჰქვია. ამ ყველაზე კეთილშობილური და, ამასთანავე, ყველაზე რთული ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედებით, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ წაყლი მეტწილად სათავიდან იმღვრევა, სათავე კი ამ შემთხვევაში ოჯახია. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვებრძოლოთ იმათ, ვინც ამ სათავეს ამღვრევს, აჭუჭყიანებს და მასში ახრჩობს მოზარდის ზნეობასა და სისპეტაკეს.

1979 წლის იელისი

დედა ნახე, მამა ნახე...

ვინც კაცად არ ეარგა, ის არც
მამად ივარგებს არც დედად და
არც სხვად რადმე...
ი. ჭავჭავაძე

საზოგადოების ისტორიული განვითარების ყველა პერიოდში მხოლოდ ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ ჰქონდა გადაწყვეტილი ოჯახისა და მომავალი თაობის აღზრდის პრობლემა. ამიტომაა, რომ აღზრდას უდიდესი ყურადღება ექცევა უძველესი დროიდან დღემდე, ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში.

აღზრდის პირველადი კერა კი ოჯახია. აქ იდგამს ბავშვი ენას, აქ იღებს ზნეობის პირველ გაკვეთილებს, აქ უჩნდება პირველი შეხედულებანი სამყაროზე, ცხოვრებაზე, ადამიანის დანიშნულებაზე. ოჯახი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის „საამქროა“, სადაც ინასკვება მომავალი მაჰულიშვილის ხასიათის კონტურები, იჭედება ადამიანის სული. ის თვისებები, რასაც მოზარდი ოჯახ-

ში მშობლების უშუალო ხელმძღვანელობით იძენს, ხშირ შემთხვევაში, საგზლად მიჰყვება ადამიანს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაცაა ოჯახი სახელმწიფოს პირველადი უჯრედი და დასაყრდენი, მისი წინსვლა-განვითარების აუცილებელი პირობა. ოჯახის სიმტკიცე ნიშნავს საზოგადოების სიმტკიცეს, სიძლიერეს. როგორიცაა ოჯახი, ისეთივეა სოფელი, ქალაქი, ქვეყანა, საზოგადოება.

თითოეული მოქალაქის, თითოეული მშობლის აკკარგიანობაზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ როგორი შვილი აღუზარდა მან სამშობლოს, რას წარმოადგენს მისი აღზრდილი საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის.

ერთხელ ძველ რომში ქალებს შორის შეჯიბრება გამართულა, თუ რომელ მათგანს მეტი და ძვირფასი სამკაული ექნებოდა. შეჯიბრება-გამოფენაზე უამრავ ქალს მოუყრია თავი ძვირფასი სამკაულებით. როცა ერთ-ერთი დიდებულის ცოლის — კორნელია გრახკისათვის უკითხავთ, სადაა შენი სამკაულებიო, მას თავისი შვილები წარუდგენია საზოგადოებისათვის და უთქვამს: — აი, ჩემი სამკაულები, ჩემთვის ესენი ძვირფასი მარგალიტები არიანო.

ოჯახის გარდა მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ფართო ქსელი, მაგრამ ყოველივე ეს არ ათავისუფლებს მშობლებს ბავშვთა აღზრდისათვის პასუხისმგებლობისაგან. მათი სწორი აღზრდა ყოველი მშობლის უპირველესი ვალია. არც საბავშვო ბაგასა და ბაღს, არც სკოლასა და სკოლისგარეშე დაწესებულებას არ შეუძლია შეცვალოს ოჯახი, მშობელი. ვასილ სუხომლინსკის აზრით, ყველაფრის შეცვლა შეიძლება, მშობლისა კი არა. „ნებისმიერი მუშაკი დარაჯიდან დაწყებული, მინისტრით დამთავრებული შეიძლება შეიცვალოს ასეთივე ან უფრო ნიჭიერი მუშაკით, — წერს იგი, — კარგი მამის ასეთივე კარგი მამით შეცვლა კი შეუძლებელია“.

ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში განუზომლად დიდია. პატარას, რაგინდ კარგ საალმზრდელო დაწესებულებაში იზრდებოდეს, აუცილებლად სჭირდება მშობლის მზრუნველობა, ალერსი და სიყვარული. მამისა და

დედის გავლენას ბავშვზე ვერაფერი შეცვლის და ეს საკითხი არასოდეს არ დაისმება ღღის წესრიგში.

„ერთხელ და ერთხელ საჭირა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა, — წერდა დიდი ილია, — უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა... გაზრდა შვილისა... ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ... ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან“.

ამრიგად, მამობა და დედობა ადამიანის უდიდესი ღირსება და ფრიად საპატიო მოვალეობაა. ამასთან, ეს ძალზე რთული საქმეა. ამიტომაც ყველა როდი ახერხებს, აღზარდოს წესიერი შვილი, საზოგადოებისათვის სასარგებლო მამულიშვილი, რამეთუ „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე“ (ი. ჭავჭავაძე). უზნეო მშობელი წესიერ შვილს ვერ აღზრდის, რადგან აღზრდაში ისე არაფერი ფასობს, როგორც აღმზრდელის პირადი მაგალითი. თუ მშობლის სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება, თუ იგი ვერ ავლენს ჭეშმარიტი ადამიანის თვისებებს, მის დადებით აღმზრდელობით ზეგავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგალითად, რა ფასი აქვს შვილის თვალში ისეთ მშობელს, რომელიც ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. ცოტა როდია ისეთი მშობელი, რომელიც ბავშვისაგან მოითხოვს დისციპლინას, წესიერებას, თავაზიანობას, გულისხმიერებას, ყურადღებიანობას, მაშინ როცა თვითონ სხვებისაგან გამოირჩევა სწორედ უდისციპლინობით, უხეშობით, სიცრუითა და ორპირობით.

ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს ა. ს მაკარენკოს შეგონება, რომ ბავშვს მარტო მაშინ კი არ ეზრდით, როცა ველაპარაკებით, ჭკუას ვარიგებთ ან ვუბრძანებთ, არამედ მაშინაც კი, როცა შინ არა ვართ. როგორ იქცევამს მშობელი, როგორ ლაპარაკობს, როგორ მსჯელობს სხვა ადამიანებზე, როგორ მოილხენს ან წუხს, როგორ ეპყრობა ტოლ-ამხანაგებს და მეგობრებს,

როგორ იცინის, როგორ კითხულობს გაზეთს, — ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის აღზრდაში.

თუ ქურდს ოჯახში მოწიწებით მოიხსენიებენ, თაღლითსა და გაიძვერას აქებენ, პატიოსან ადამიანს კი დასცინიან — ეგ რა კაცია, ამდენი ხანია მაღალი პოსტი უკავია და შინ კატა არ გაუძღებაო, ასეთ ოჯახში აღზრდილისაგან სიკეთეს ნუ მოელი.

განსაკუთრებით დიდია მოზრდილთა პირადი მაგალითის აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მორალური თვისებების ჩამოყალიბებაში, რადგან ამ ასაკის ბავშვებს არ გააჩნიათ საკმაო ცოდნა და ცხოვრების გამოცდილება. ამიტომ მათში ყველაზე მეტად განვითარებულია მიმბაძველობის გრძნობა. აკვირდებიან რა ირგვლივ მყოფ ადამიანთა ყოველდღიურ მოქმედებას, ისინი ბრმად ბაძავენ უფროსებს, ცდილობენ, თვითონაც ისე მოიქცნენ, როგორც იქცევიან მათი მშობლები, ახლობელი ადამიანები; ბაძავენ ქცევაში, მოქმედებაში, ლაპარაკში, თავაზიანობაში, ჭამაში, გართობაში და ა.შ. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ უარყოფითი მაგალითი ხშირად უფრო მეტ ეფექტს ახდენს აღსაზრდელზე, ვიდრე დადებითი. „ათჯერ რომ სიმართლე თქვა ოჯახში, — წერს პროფესორი გელა ბანძელაძე, — ისე არ იმოქმედებს ბავშვზე დადებითად, როგორც ერთხელ ნათქვამი ტყუილი იმოქმედებს უარყოფითად. ცუდი და მანკიერი უფრო გადამდებია, ვიდრე კარგი და სათნო. სათნოების გავრცელებას შრომა-გარჯა, პროპაგანდა სჭირდება, მანკიერება კი თავისთავად ვრცელდება“

ამიტომ საჭიროა მოზარდების აღზრდა არა მარტო სიტყვით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი საქციელით, პირადი დადებითი მაგალითით.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი ამას ანგარიშს არ უწევს, ნებსით თუ უნებლიეთ უბიძგებს შვილს სიცრუის, ორპირობისა და დანაშაულისაკენ. ასეთ მაგალითებს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბევრს ვხვდებით.

ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეს დირექტორმა მშობლის მოყვანა დაავალა. მეორე დღეს მოსწავლე სკოლა-

ში გამოცხადდა და თქვა – მამაჩემი ავადაა და დღეს სკოლაში ვერ მოვაო.

დამთავრდა გაკვეთილები. მოსწავლეები თავიანთი სახლებისაკენ გაემართნენ. მასწავლებლები კი კიდევ კარგხანს დავრჩით სკოლაში. და აი, რას ვხედავთ – „ავადმყოფი“ მამა იმავე შვილთან ერთად, რომელმაც მამის ავადმყოფობის ამბავი მოიტანა სკოლაში, სამუშაოდან შინ ბრუნდება. როცა დირექტორმა მამას მისი შვილის ნათქვამი გადასცა, ამ უკანასკნელმა გაბრაზებით გადახედა ბავშვს და თქვა: – მოუტყუებიხართ, მე მისთვის არაფერი დამიბარებიაო. ბავშვმა გაკვირვებით გადახედა მამას, მაგრამ მის წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა. როგორც შემდეგში გამოირკვა, მამას შვილისათვის უთქვამს: – დღეს ძალიან ბევრი საქმე მაქვს და სკოლაში ვერ მოვალ. თუ დირექტორმა მიზეზი იკითხოს, უთხარი, ავადააო.

ცხადია, ასეთი მშობლის მიერ გაზრდილი ბავშვი შეეჩვევა ტყუილის თქმას და, როცა გაუჭირდება, ხან დედას გახდის ავად და ხან მამას, ხან კი ბებიას გაისტუმრებს საიქიოში.

პირადი მაგალითის როლი და მნიშვნელობა შესანიშნავად აქვს გამოხატული იან ამოს კომენსკის შემდეგ სიტყვებში: „არავის არ შეუძლია ადამიანი გააბრძენოს, გარდა ბრძენისა, არავის არ შეუძლია ადამიანი მჭერმეტყველი გახადოს, გარდა მჭერმეტყველისა, არავის არ შეუძლია იგი ზნეობრივი ან ღვთისმოშიში გახადოს, თუ არა სწორედ ასეთმა ადამიანმა“.

მე-17 საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი კი წერდა: „როგორი დარიგებებიც არ უნდა აძლიონ ბავშვს და ზრდილობიანობის როგორი ბრძნული გაკვეთილებიც არ უნდა გადასცენ მას ყოველდღიურად, უფრო მეტ გავლენას მის ყოფაქცევაზე მაინც მოახდენს ის წრე, რომელშიაც ის იმყოფება და იმათი ყოფაქცევა, ვინც მას უვლის“.

აი, ამიტომაც მოითხოვენ ჩვენგან, უფროსებისაგან, რომ ყველგან და ყველაფერში ვიყოთ მისაბაძი ბავშვებისათვის. აღმზრდელმა თავისი თავი მიკროსკოპის ქვეშ უნდა დააყენოსო, ამბობდა ა. მაკარენკო. ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ უფროსებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა თავიანთი ცუდი საქციელის თვით უმნიშვნელო მხარეც კი გაადიდონ, გააზვიადონ და ამით ნათლად დაინახონ საქციელის უკმარისობა.

მაგრამ ასრულებს კი ყველა მშობელი ჩვენი საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას? ამ კითხვაზე პასუხი ერთია — არა.

იშვიათი როდია, როცა ბავშვები უფროსების უხეშობის, უტაქტობისა და უზნეო ქცევების მოწმენი ხდებიან. ზოგიერთ ოჯახში, შვილების თანდასწრებით, ადგილი აქვს ჩხუბს, აყალმაყალს, ღანძღვა-გინებას, ლოთობას, აზარტულ თამაშობებს და ა.შ., რაც უმახინჯებს მოზარდს სულს, უკარგავს მშობლისადმი და, საერთოდ, ადამიანებისადმი პატივისცემასა და რწმენას.

მშობელი უნდა იყოს გულწრფელი, გულისხმიერი, წესიერი და სამართლიანი. იგი უნდა იყოს მოწინავე ადამიანის საუკეთესო თვისებების მატარებელი.

რა ზნეობრივ აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი ისეთ ოჯახში, სადაც ბავშვები ხშირად ხედავენ ლოთ მამას, უშვერი სიტყვებით რომ უმასპინძლდება ცოლ-შვილს და, საერთოდ, ყველას, ვისაც შეხვდება ან ვისი სახელიც ენაზე მოადგება.

ყოველი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა საზოგადოების საკეთილდღეო შრომა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი არაკეთილსინდისიერი გზით იძენს ქონებას, თავისუფალ დროს ღრეობაში ატარებს, ჭეშმარიტად პატიოსან ადამიანს კი დასცინის, მათხოვარსა და გლახაკს უწოდებს. ცხადია, ასეთ ოჯახში წესიერი შვილი არ აღიზრდება, რადგან ბავშვი დღევანდელობით ცხოვრობს; მან ჯერ კიდევ არ იცის ცხოვრების განვითარების კანონზომიერებანი, არა აქვს მომავლის განჭვრეტის უნარი და როცა ირგვლივ მახინჯ მოვლენებს ხედავს, მისი სულიც მახინჯდება. ჩვეულებრივ, არც ერთ მრუდე გზით მავალ კაცს არ სურს, შვილიც ცუდ გზაზე დააყენოს. ქურდს, მექრთამეს, კომბინატორს არ უნდა შვილი მის გზას გაჰყვეს; თუნდაც იმიტომ, რომ მან მშვენივრად იცის, ეს გზა მოლიპულია და საცაა ფეხი დაუცდება, მაგრამ ის, რასაც ბავშვი წლების მან-

ძილ'ხე ხედავს, ის ატმოსფერო, რომელშიც იგი სუნთქავს, წარუ'ძლველ დაღს ასვამს მის სულს.

მ'წერალი გალინა ნიკოლაევა თავის რომანში „ბრძოლა გზაზე" სამართლიანად აღნიშნავს, რომ ის მ'შობლები, რომლებიც კარიერისტები, მე'ჩანები და ანგარებიანები არიან, 'ხოგჯერ აღწევენ ყოველივე ეს სხვებს დაუმალონ, მაგრამ ვერ ახერხებენ თავიანთი შვილების მოტყუებას. ბავშვები ზუსტად აღიქვამდნენ იმას, რასაც უფროსები ოჯახში აკეთებენ. ამიტომაც ასე დაჟინებით აფრთხილებდა მ'შობლებს, აღმზრდელებს, დიდი ფრანგი მ'წერალი და პედაგოგი ჟან-ჟაკ რუსო: „გახსოვდეთ, ვიდრე ადამიანის ფორმირების საქმეს მოკიდებდეთ ხელს, თქვენ თვითონ უნდა იყოთ თქვენი თავითვე ადამიანად ქცე'ული, თქვენ'შივე 'უნდა მონახოთ ის მაგალითი, რომელიც სხვას 'უნდა მისცეთ".

ბავშ'ს'ე გავლენას ახდენს არა მარტო მისი აღმზრდელებისა და ოჯახის უფროსი წევრების პირადი მაგალი-თი, არამედ ყველა სხვა ადამიანის, ტოლ-მეგობრის პირადი მაგალითიც. ამ მაგალითებში უსათუოდ ბევრი რამ უარყოფითი და მიუღებელი იქნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბავშვის მოწყვეტა გარემო სინამდვილიდან, მისი იზოლირება და ჩაკეტვა ოთახში შეუძლებელია და დაუშვებელიცაა. ბავშვი საზოგადოებრივ წრეში, ტოლ-მეგობრებში უნდა იზრდებოდეს. უარყოფითი მაგალითების თავიდან აცილების მიზნით ოჯახმა და სკოლამ 'უნდა მიაღწიოს იმას, რომ ბავშმა თავისი შეგნებით, თავისი მაღალი ზნეობრივი თვისებების ძალით შეძლოს თვითონვე არ მიიღოს უარყოფითი მაგალითები, უკუაგდოს ისინი.

ახალგაზრდები, უფროსი კლასების მოსწავლეები კრიტიკულად აფასებენ მოზრდილთა ყოფაქცევას და ცდილობენ, მიბაძონ დადებით მაგალითებს. რაც უფრო მაღალია ბავშვის განვითარება, მით უფრო შეგნებულად აფასებს იგი სხვა ადამიანების მოქმედებას. ზოგჯერ სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც კი სწორად აფასებენ მათი მახლობელი ადამიანების ყოფაქცევას.

აღზრდის საქმეში წვრილმანი არ არსებობს. ის, რაც ჩვენ, უფროსებს, წვრილმანად მიგვაჩნია, ბავშვის თვალ-

ში მსხვილმანად იქცევა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი, პატარა ფაქტი, რასაც უფროსები ზოგჯერ ყურადღების მიქცევის ღირსადაც კი არ ეთვლით, ღრმა კვალს ტოვებს მოზარდის ფსიქიკაში.

დღევანდელმა დუხჭირმა ცხოვრებამ ბევრი ოჯახი ვალებში ჩააგდო. ხშირად ოჯახის უფროსი მევალეებს ემალება და ცოლს აფრთხილებს: „მე თუ მიკითხონ, უთხარი, შინ არ არის-თქო". ცოლიც ასე იქცევა და ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ყოველივე ეს იქვე მოთამაშე პატარა ბავშვების თანდასწრებით ხდება.

რამდენიმე დღის შემდეგ რომელიმე მათგანმა შეიძლება ჰკითხოს დედას:

— დედიკო, ტყუილის თქმა შეიძლება?

დედა, რა თქმა უნდა, ბავშვს ეტყვის — არა, ეს როგორ შეიძლებაო, მაგრამ პატარას ხომ კარგად ახსოვს სტუმართან დედის საუბრის ეპიზოდი და ერთხელ კიდევ რწმუნდება, რომ დედა მეორედ ამბობს ტყუილს.

დედა კი ბავშვისათვის ყველაზე მთავარი აღმზრდელია. ჰეგელი ამბობდა: „აღზრდის პირველ ხანაში ყველაზე მნიშვნელოვანია დედა, რადგან ზნეობრიობა ბავშვს უნდა შთაენერგოს როგორც გრძნობა".

ამიტომაც იყო, რომ ვასილ სუხომლინსკის სკოლის შესასვლელში გაკრული ჰქონდა ლოზუნგები: „დედა, გახსოვდეს, რომ შენ მთავარი პედაგოგი, მთავარი აღმზრდელი ხარ, შენზეა დამოკიდებული საზოგადოების მომავალი", „დედის გარეშე არ არსებობს არც გმირი და არც პოეტი" და სხვ

ჩვენ ახლა ახალ საზოგადოებას ვაშენებთ, რომელიც ითვალისწინებს ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდას. ამ საქმეში, სკოლასთან ერთად, უდიდესი როლი ენიჭება ოჯახს. ეს უკანასკნელი კი თავის ფუნქციას მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ მშობელი იქნება ყველასათვის და, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი შვილებისათვის სანიმუშო, მისაბაძი, მაგალითის მაჩვენებელი. ასეთ შემთხვევაში მას შვილების თვალში ავტორიტეტიც ექნება და მათზე ზემოქმედების დიდი ძალაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ შვილის აღზრდაზე დი-

დად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი და მისივე ოჯახის ბედნიერება. კარგი შვილი, როგორც ანტონ მაკარენკო აღნიშნავდა, ოჯახის სიხარულია, ცუდი კი სიმწარე და უბედურება, ზედმეტი ბარგია საზოგადოებისათვის. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კარგი და ცუდი ბავშვი არ იბადება, მისი ფორმირება, ჩამოყალიბება აღზრდაზეა დამოკიდებული და, თუ ჩვენი შვილები ცუდად არიან აღზრდილნი, ამაში თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავე და პასუხიც უნდა ვაგოთ როგორც შვილის, ისე ქვეყნი წინაშე.

1985 წლის მაისი

რასაც დასთეს, მასვე მოიმკი

დიდი ფრანგი მწერლის სენტ-ეკზიუპერის აზრით, ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდიეართ.

დიახ, „ბავში სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“ (ი. ჭავჭავაძე), რა თვისებებსაც ჩაეყრება საფუძველი მის გრძნობა-გონებაში, ის თვისებები გაღვიეღება და განვითარდება მასში. ეს კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ვინც მოზარდი თაობის აღზრდას ემსახურება და მოწოდებულია ქვეყანას მოუმზადოს ჭაშმარიტი მამულიშვილები. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველას როდი ესმის, ან ესმის და თავს ვერ არომეეს ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას. ეს იმიტომ, რომ ბევრმა მშობელმა არ იცის, შვილი როგორ აღზარდოს და არც სხვის რჩევა-დარიგებას ღებულობს. როცა ასეთ მშობელს ბავშვის სწორად აღზრდაზე ჩამოუგდებ საუბარს, იგი მაშინვე მოგახლის: „ვისი რა საქმეა, როგორ ვზრდი ჩემს შვილს. ბავშვი ჩემია და როგორც მინდა, ისე აღვზრდი“. ასეთ მშობელს უნდა შევახსენოთ, რომ საზოგადოებისათვის სულერთი როდია, თუ როგორი იქნება ჩვენი შვილი – პატიოსანი მშრომელი, თუ უქნარა და პარაზიტი, ერისა და ქვეყნის მსახური, თუ საზოგადოების შემარცხვენელი, თავლაფდამსხმელი. მომავალი თაობა ქვეყნის წინსვლა-განვითარების საფუძველია. ამი-

ტომ საზოგადოებას სრული უფლება აქვს — მოსთხოვოს თითოეულ მშობელს წესიერად აღზარდოს შვილი, ასწავლოს შრომა, განუვითაროს ადამიანური თვისებები, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა.

იბადება კითხვა: რა არის საჭირო იმისათვის, რომ ოჯახმა წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა?

საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თითოეულმა მშობელმა კარგად შეიგნოს, რომ შვილების აღზრდა კერძო საქმე არ არის, არამედ ესაა სახელმწიფოებრივი მოვალეობა. ჩვენი ბავშვები არა მარტო ჩვენი შვილები და ჩვენი გვარის გამგრძელებლები არიან, არამედ ისინი, როგორც მომავალი მოქალაქენი, ჩვენი საზოგადოებისა და თავისი ერის განუყრელ წევრებსაც წარმოადგენენ. ამიტომ თითოეული მშობლის ავკარგიანობაზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ როგორი შვილი აღუზარდა მან სამშობლოს, რას წარმოადგენს მისი აღზრდილი საზოგადოებისათვის.

აქედან გამომდინარე, ყოველი მშობელი უნდა ცდილობდეს თავისი უშუალო მოვალეობის პირნათლად შესრულებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა როდი აკეთებს ამას. ზოგიერთი მათგანი ბავშვებზე ზრუნვასა და აღზრდას მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფით შემოფარგლავს. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეივლის სკოლაში და არ იკითხავს, როგორ სწავლობს და იქცევა მისი შვილი.

არის მშობელთა მეორე კატეგორიაც, რომლებიც ზედმეტად ზრუნავენ და დათვურ სამსახურს უწევენ თავიანთ შვილებს — ყველა მოთხოვნას უსრულებენ, ანებივრებენ, მათ გააკეთებელ საქმეს თვითონ აკეთებენ და საოჯახო საქმეებში არავითარ მონაწილეობას არ აღებინებენ. თემა აქვს დასაწერი შვილს — უწერენ, ამოცანა აქვს ამოსახსნელი — უხსნიან, თუ ამის გაკეთება თავად არ შეუძლიათ, სხვასთან გარბიან, შვილი კი ამ დროს ფეხბურთის თამაშით ერთობა. ასე გაზრდილ ბავშვს ჰგონია, რომ დედა და მამა იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ, და თუ თვითონ ვინმეს წინაშე ვალშია, ვერ წარმოუდგენია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ერთ-ერთი

თბილისელი მშობლის წერილი რედაქციისადმი. აი, რას წერს იგი: „...ჩემი შვილები ამჟამად 21 და 19 წლისანი არიან, კარგი გარეგნობისა, ორივე უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. თითქოს მშვიდად უნდა ვიყოთ მშობლები, ნორმალურ ადამიანებს ვზრდით, მალე დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებენ, ცუდ გზას არ ადგანან. კაცმა რომ თქვას, მეტი რაღაა საჭირო? მაგრამ, რაც მიაჩნია და აუცილებელია, იმ თვისებებს ვერ ვხედავ ჩემს შვილებში — მშობლებისადმი პატივისცემასა და თანაგრძნობას... არ უყვართ არც ერთმანეთი და არც მშობლები! ჩემთვის ძალიან ძნელია ამის აღიარება, მაგრამ ეს ასეა...

ქალი შვილს, რომელიც 21 წლისაა და მომავალ წელს ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, შეუძლია მთელი დღე და საღამო გაატაროს სარკესთან ან ტელევიზორთან. ერთხელ არ იფიქრებს, გავიდე სამზარეულოში, დედას დავეხმარო, შრომას თუ არ შევუმსუბუქებ, უბრალოდ გამოველაპარაკო მაინცო. მით უმეტეს იცის, რომ დედამისი ავადმყოფია, მუშაობს კიდეც და სამსახურიდან დაბრუნებული მთელ საღამოს სამზარეულოში ან სააბაზანოში ატარებს... არც ძმას გამოელაპარაკება, არც მამას, თავის ჩასაცმელსაც არ გააუთოებს (გარეცხვაზე უკაცრავად!), თუ დედამ არ შეახსენა, თავისი კარადა და საწოლი ოთახები სულ არეულ-დარეული აქვს.

ბიჭი 19 წლისაა, მეორე კურსზე სწავლობს. მას შემდეგ, რაც უმაღლესში მოეწყო, სრულიად უსაქმური და მოსეტიალე გახდა. ინსტიტუტში დილით გასული, სახლში გვიან ბრუნდება, მოვა თუ არა, მაგნიტოფონს ეცემა და 11-12 საათამდე შეუჩერებლივ უსმენს; შიგადაშიგ ტელეფონზე გააბამს საუბარს, შაბათ-კვირას ან გასულია სახლიდან, ან მაგნიტოფონთან ზის. ერთხელაც არ მოუვა აზრად, რაიმე წაიკითხოს, რაღაც ისწავლოს“...

აი, ტიპური მაგალითი ჩვენი შვილების საქციელისა. ვფიქრობ, ასეთი მშობლები ერთეულები არ არიან. ამიტომაც გაეაკეთეთ ამოდენა ამონაწერი გულდაწყვეტილი მშობლის მონათხრობიდან.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი ცხადად გვიჩვენებს,

თუ რაოდენ არასაკმარისია მხოლოდ სითბო და გრძნობამორეული, თავდავიწყებული სიყვარული სრულფასოვანი პიროვნების აღსაზრდელად. ამას თავად წერილის ავტორიც კარგად გრძნობს, ხედება, „რა შეეშალა“ საკუთარი შვილების აღზრდაში: „ჩვენ ხომ მათთვის თითქმის არაფერი დაგვიკლია, – წერს იგი, – მზრუნველობა, ჩაცმა-დახურვა, სწავლაში ხელის შეწყობა, ვცდილობდით შეძლებისდაგვარად შეგვესრულებინა მათი სურვილები, ვაჩვეედით სისუფთავეს, შრომას. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, ისეთს არაფერს ვავალებდით, რომ ძალიან შეეწუხებინათ თავი, როგორ გადავტვირთავდით პატარებს! შეიძლება ეს იყო ჩვენი შეცდომა, იქნებ ამან შეასრულა ვადამწყვეტი როლი მათი ჩვენდამი დამოკიდებულებაში? შრომისადმი სიყვარული ვერ ვასწავლეთ შვილებს, წესრიგი და დისციპლინა ვერ შევათვისებინეთ, არადა სულ მალე მათ დამოუკიდებელი ცხოვრება უნდა დაიწყონ, როგორ შეძლებენ ამას?“

დიახ, ყველაფერი მართლაც ამის ბრალია. მშობელი, რომელიც შვილის გასაკეთებელ საქმეს თვითონ აკეთებს, შვილი კი ამ დროს არხეინად მხართეძოზეა წამოწოლილი, მისგან სიკეთეს ნუ მოელის. „ხატს ბევრ სანთელს ნუ აუნთებ, თავი წმინდანი ეგონებაო“, – უთქვამს ბრძენკაცს. ეს შეგონება ყველა ჩვენგანს კარგად უნდა ახსოვდეს.

ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ვასწავლოთ შრომა, თვითმომსახურება და საოჯახო საქმეების შესრულება, თორემ იგი ვერც შრომას შეიყვარებს და არც მშრომელ ადამიანს დააფასებს. ამასთან, ისიც კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ უსაქმურობა და უმეთვალყურეობა სათავეა ყოველგვარი ბოროტებისა. დანაშაულს სწორედ ის ახალგაზრდები სჩადიან, რომლებსაც საქმე ვერ მოუნახავთ და მორალური კმაყოფილების საგანი ვერ უპოვნიათ; ვინც არ იცის, სად წავიდეს, რა გააკეთოს, როგორ „მოკლას“ თავისუფალი დრო. თავისუფალი დრო კი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არსებობს მხოლოდ სულიერად ღარიბი ახალგაზრდისათვის, მაშინ, როცა ასობით კარგი წიგნი, ჟურნალ-გაზეთია წასაკითხი და საინტერესო საქმეა გასაკეთებელი.

შრომის სიყვარულთან ერთად, ოჯახში ბავშვს უნდა ჩავუნერგოთ პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა, სხვათა სიკეთისათვის ზრუნვა. მან უნდა იცოდეს, რომ იგი ისეთივეა, როგორც სხვები, რომ მას, როგორც ოჯახის დანარჩენ წევრებს, აქვს უფლებები და აკისრია გარკვეული მოვალეობანი, მოვალეობანი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ოჯახის წევრების, ახლობლების, განსაკუთრებით კი, დედის წინაშე, რამეთუ „ადამიანურობას ვერ აღეზრდით, თუ გულში ახლობელი, ძვირფასი ადამიანის სიყვარულმა არ დაიბუდა“ (ვ. სუხომლინსკი).

ზოგიერთ მშობელს ბავშვისათვის მუსიკისა და უცხო ენების სწავლება არ ავიწყდება, ბევრი მათგანი არც სპორტს ივიწყებს, მაგრამ ყველაზე მთავარი — ადამიანობის აღზრდა კი ავიწყდება, რაც მოგვიანებით სანანებლად უხდება.

მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი ილიას სიტყვები: „თუ სათავე მღვრიეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა“.

დიახ, ასეა, რასაც დასთეს, მასვე მოიმკი.

1993 წლის აგვისტო

ვადიდოთ ქალი — დედა!

ამქვეყნად არის უმშვენიერესი არსება,
რომლის წინაშე მუდამ ვალში ვარო, —
ესაა დედა.

ნ. ოსტროვსკი

დედა!.. რა ტკბილი და გულში ჩამწვდომია ეს სიტყვა! რამდენი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი მასში! დედაზე ძვირფასი სიტყვა არც ერთ ენაში არ მეგულება. დედა უყვარს ყველა ეროვნების ადამიანს, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ქართველი კაცისათვის იგი ყველაზე საყვარელია. როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ქართველი კაცი ყველაზე ძვირფასს, ყველა-

ზე მთავარს ოდითგანვე დედას უკავშირებდა, რამეთუ მისთვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედაენას“ ეძახის, უყვროს ქალაქს – „დედაქალაქს“, მკვიდრსა და დიდ ბოძს სახლისას „დედაბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს – „დედაბურჯს“. სამთავრო აზრს – „დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი – „გუთნისდედას“.

აქედან ნათლად ჩანს, რაოდენ დაფასებული და განდიდებულია ქართულ ენაში დედის მნიშვნელობა. ეს იმიტომ, რომ ოჯახი, დედა დიდი სკოლაა, ჩვენი ადამიანობა ამ სკოლაში იდგამს ფესვს. ყოველივე ძვირფასი, ყოველი ჭეშმარიტი ადამიანური თვისება, რაც თითოეულ ჩვენგანშია, დედისაგან მომდინარეობს, დედისაგან მოგვდგამს. დედაა ჩვენი სიცოცხლის, სიბრძნისა და სიკეთის უშრეტი წყარო. ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე ეგრძნობთ დედობრივ ზრუნვას, სითბოს, ალერსს. მისი ნაზი ხმა, მისი სათუთი, თბილი ხელები გვაწყნარებენ, გვინერგავენ რწმენას, გვმატებენ სიმხნევეს, სიმტკიცეს. „დედის ხელები ხორცშესხმული სინაზეა, – წერდა ვიქტორ ჰიუგო. – ბავშვებს კარგად სძინავთ ამ ხელებზე“.

როცა ბავშვები დედაზე ლაპარაკობენ, ისინი უმალვე პოეტურ სამოსელში ეხვევიან. ამის ნათელი მაგალითია იტალიელი ფრანჩესკო მორანინოს მიერ დედისადმი ფაშისტური გესტაპოს საპყრობილედან გამოგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ძვირფასო დედა! შენმა პატარა ბარათმა კვლავ დამიბრუნა რწმენა. მე უკვე ვიცი, რომ დავიწყებული არა ვარ.

...აქ გავიგე, რარიგ ძლიერია დედის სიყვარული და ზრუნვა. რამდენჯერ ვყოფილვარ შენს მიმართ უსამართლო.

მე ვითხოვ შენგან პატიებას ყველა იმ დიდი და პატარა ოინებისათვის, რომლებსაც შენთვის უსიამოვნება მოუყენებიათ. გპირდები, თუ კვლავ მოხერხდა ჩვენი ერთად ყოფნა, ალერსიანი და მზრუნველი ვიყო შენს მიმართ, როგორც შენ იყავ ყოველთვის“...

ყველა ქალი-დედა პოეტია. პირველი ზღაპარი, გარ-

კვეული თვალსაზრისით, დედის მიერაა შექმნილი. ალბათ არ არსებობს დედა, ზღაპარი რომ არ მოეგონებინოს. ხოლო, რაც შეეხება მის „იავნანას“, მთელი სამყაროა. ყველაზე სასიამოვნო მელოდიაა, რომელიც ადამიანებს მთელი სიცოცხლის მანძილზე ახსოვთ, როგორც მათი სულის მალამო. ამის ნათელი მაგალითია ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“.

დედა ერთადერთი და განუმეორებელი ადამიანია. მისი სიყვარული ბავშვებისადმი უანგარო და შეუდარებელია. ამის შესახებ კარგად ამბობს ბესარიონ ბელინსკი: „დედას უყვარს თავისი შვილი გულით, სისხლით, ნერვებით, უყვარს მთელი თავისი არსებით; მისი სიყვარული, უწინარეს ყოვლისა, ფიზიკურია, ბუნებრივია, მაშასადამე, უპირატესობით გამორჩეულია, უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი სიყვარული... არ არსებობს უფრო წმინდა და უანგარო სიყვარული, ვიდრე დედობრივი სიყვარულია: ყოველგვარი სხვა სიყვარული, ყოველგვარი გატაცება, მასთან შედარებით, ან სუსტი და უსუსურია, ან ანგარებიანი“.

დედის მისიის სიდიადეზე, მის როლსა და მნიშვნელობაზე საზოგადოების განვითარებაში მიუთითებდნენ სხვებიც. მაგალითად, აკაკი წერეთელი წერდა: „თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო... ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც პარომეტრი — ტარომისა... თუ ქალები მაღალ საფეხურზე დგანან ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხსაც დარი უდგას“.

გამოჩენილი რუსი პედაგოგი და ქირურგი ნ. პიროგოვი წერდა: „დაე, ქალებმა გაიგონ, რომ ისინი, როდესაც არწევენ აკვანს, ბავშვებისათვის იგონებენ თამაშს, ასწავლიან ტიტინს, ...საზოგადოების მთავარი ხუროთმოძღვრები ხდებიან, თაეკიდური ქვა მათი ხელით იდება...“

ცნობილი ბალყარელი პოეტი ყაისინ ყულიევი ამბობს:

„დედაა ყველა სიკეთის წყარო,
დედაა ჩვენი ნავთსაყუდარი,
და თუ სიცოცხლის ხე ისევ ხარობს,
სამადლობელი დედას უთხარით“.

მრავალი ასეთი თბილი, ამაღლებული და გულწრფელი სიტყვა თქმულა დედაზე, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია, ვიდრე თავად ის იმსახურებს. „შვილმა ხელისგულზე ერბოკვერცხი რომ მოიწვას, დედის ამაგს მაინც ვერ გადაიხდის“, — უთქვამს ბრძენკაცს. ამიტომაც ამბობს ხალხი: „დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, ამიტომ წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა“.

დიახ, „დედა არ გვახსოვს შვილებსა“. მართალია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ზოგიერთ ჩვენგანს ხომ უპატრონოდ ჰყავს მიტოვებული დედა სოფლად, შვილის ღიმილი და ალერსი რომ ენატრება. იგი დღედაღამ ჩვენზე ფიქრსა და ზრუნვაში ატარებს, ჩვენ კი წელიწადში ერთ-ორჯერ თუ ჩავაკითხავთ და მოვინახულებთ, ისიც ზაფხულსა და შემოდგომაზე. მართალია, უკანასკნელ წლებში ბევრი ქალაქში გადახვეწილი შვილი ნაწილობრივ დაუბრუნდა თავის მშობლიურ კერას და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი, მაგრამ პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება. ამასთან, სიმართლე უნდა ითქვას, რომ აჭარაში ამ მხრივ, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, უკეთესი მდგომარეობაა.

დედის შრომის სიდიადე, მისი გმირობა ჩვენ, უცროსებს, ასე თუ ისე, გვესმის, რადგან არაერთხელ გამოგვიცდია მისი სიხარულიცა და წუხილიც, მაგრამ პატარებს? მათ მხოლოდ უყვართ დედა და მეტი არაფერი, ოდნავი წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ დედისადმი მარტო სიყვარული და პატივისცემა არაა საკმარისი. საჭიროა მისდამი ზრუნვაც. მაგრამ ეს თვისება ბავშვს თავისთავად როდი ეძლევა. საჭიროა მისი აღზრდა. და აი, სწორედ აქ ვუშვებთ მშობლები, განსაკუთრებით კი დედები, შეცდომას. ემორჩილება რა შვილების გულის წადილს, ბევრი დედა მთელ სიცოცხლეს მათზე ზრუნვაში ატარებს: უკერავს, უქსოვს, კერძებს უმზადებს, ლოგინს ულაგებს, საბანს უსწორებს, აცმევს, აჭმევს და ასე დაუსრულებლივ. ასე ეჩვევა ბავშვი დედის ზრუნვას, მის ყურადღებას, სითბოსა და ალერსს, უმუშაოდ ება აზრი — დედა იმიტომ არსებობს, რომ მას ემსახუროს და თუ თვითონ მის წინაშე ვალშია, ვერ წარმო-

უდგენია, ასეთი ბავშვები ხშირად გულქვა, ეგოისტ არსებად იზრდებიან და ამაში ბრალი, უწინარეს ყოვლისა, თვით მშობლებს მიუძღვით, რადგან ისინი ყველაფერს აძლევენ თავიანთ შვილებს, ყველა მოთხოვნას უსრულებენ, სამაგიეროს კი არაფერს მოითხოვენ მათგან, არ ასწავლიან შრომას, გარჯასა და დედისადმი საოჯახო საქმეებში დახმარებას. იგი მხოლოდ სიხარულის მომხმარებელია, მუდამ თავისკენ „მიითლის“ და სხვებზე არ ფიქრობს, ვერ ამჩნევს დედის მშვენიერ, მდიდარ და თავგანწირულ სულს. „ჩვენ არ გვჭირდება ისეთი ადამიანები, რომლებიც აღზრდილი არიან დედის ჩუმი გმირობით, გამოკვებილი არიან მათგან უსასრულო მსხვერპლის შეწირვით“ (ა. მაკარენკო), ვინაიდან ასე გაზრდილი ბავშვისაგან საეჭვოა გამოვიდეს გულისხმიერი, მოსიყვარულე, ერთგული და უანგარო მეგობარი, ჭეშმარიტი მოქალაქე, მამულიშვილი.

ბევრი რამ ბავშვმა შეიძლება მოწიფულობის ასაკში გაიგოს, მაგრამ დედისადმი პატივისცემა მან ცხოვრების დასაწყისშივე უნდა ისწავლოს. ეს თვისება დედისადმი სიყვარულიდან უნდა ამოიზარდოს და შემდეგ გრძნობად იქცეს. ბავშვი ყოველდღე უნდა ფიქრობდეს იმაზე, თუ როგორ ასიამოვნოს და გაახაროს დედა, როგორ გაუფრთხილდეს მის ჯანმრთელობას, მის სახელს. საამისოდ უნდა იზრუნოს ოჯახის ყველა უფროსმა წევრმა. აი, როგორ არიგებს თავის მცირეწლოვან ვაჟიშვილს მამა ცნობილი იტალიელი მწერლის ედმონდო დე ამიჩისის ნაწარმოებში „გული“: „ეჰ, ენრიკო გაფრთხილდი! დედის სიყვარული ყველაზე წმინდაა ადამიანისათვის. ვაი მას, ვინც გაბედავს და ამ სიყვარულს ფეხით გათელავს... ადამიანებიდან ყველაზე ზნედაცემული ის არის, ვინც დედას გულს ატკენს და შეურაცხყოფს. ასეთი ადამიანი პირუტყვის მსგავსია“.

ვასილ სუხომლინსკი კი შემდეგი სიტყვებით მოძღვრავდა თავის მოსწავლეებს: „დედამ გაჩუქა სიცოცხლე, გადაგიშალა სამყარო, გასწავლა მშობლიური ენა. იგი ზრუნავს შენს ჯანმრთელობაზე, სურს იყო ბედნიერი, პატიოსანი, მამაცი. გაუფრთხილდი დედას, გაუფრთხილდი მის ჯანმრთელობას, არ გაუწბილო იმედი, არ გაუმ-

წარო ცხოვრება. იყავი ისეთი, რომ დედა შენით ამაყობდეს“.

საკუთარ ვაჟიშვილს კი ვ. სუხომლინსკი ასე არიგებდა: „ქალი-დედა სიცოცხლის პირველი შემოქმედია. არასოდეს დაივიწყო, შვილო, რომ მან გაჩუქა სიცოცხლე, გამოგკვება, გადაგიშალა სამყაროსა და მშობლიური ენის სილამაზე, ჩაგინერგა სიკეთისა და ბოროტების, პატიოსნებისა და სახელის გატეხის პირველი მცნება... ის, ვინც დედას ივიწყებს, ჭეშმარიტი პატრიოტი ვერ დადგება“.

ოჯახის ყველა უფროსი წევრი რომ ასე იქცეოდეს, ალბათ არ გვეყოლებოდა ამდენი უსულგულო და უხეში ზრდადასრულებული ადამიანი, რომლისთვისაც სულერთია, ვის როგორ მიმართოს, როგორ მოექცეს. „შენ რა იცი, ამ ქვეყნის რა გაგეგება!“ – მიმართავს ზოგიერთი ახალგაზრდა მშობელ დედას და ვერ ამჩნევს, რომ მის სახეზე კიდევ ერთ ახალ ნაოჭს აჩენს.

უფრო მეტიც: დღისით-მზისით, ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ზოგიერთი ახალგაზრდა უბრალო კამათში თავისი ნაოქვამის გასამტკიცებლად თუ ბოლმის გადმოსასთხევად ისე შეიგინებს საკუთარ დედაზე, რომ ამ სიტყვების არა თუ თქმა, უბრალოდ, გააზრებაც კი შეგხარავს კაცს. სად, რა ოჯახში იზრდებიან ასეთი ვაი-შვილები? რა დედამ გაზარდა ისინი? „მაგრამ, – როგორც დიდი აკაკი ბრძანებდა, – მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“.

ლექსში „შეგინებული დედები“ პოეტი ნოდარ ჯალაღონია შემდეგი სიტყვებით მიმართავს საკუთარი დედის მაგინებელ ახალგაზრდებს:

„რა გულით, ანდა რა ენით
ამბობთ სიბილწეს საოცარს.
ბიჭებო! როგორ იმეტებთ
დედას – ხატსა და სალოცავს,
მარილს რად აყრით სამშობლოს
ისედაც გახსნილ ჭრილობას,
კარგი დედ-მამის შვილებო,
რად გინდათ ბოზის შვილობა.
ფუძის ანგელოზს რად აფრთხობთ

და ეშმაკს რატომ აბუდებთ,
ცოცხლად რატომ კლავთ თქვენს დედებს
და სულში რატომ აფურთხებთ.
ეს არის დიდი სირცხვილი,
სიგლახეცა და სილაჩრეც,
როდესაც კაცი ამგვარ ფიქრს
ენას და სიტყვას მიაჩვევს.
დედაზე უფრო ძვირფასი
ვინა გყავთ? ვინ გაბადიათ?
დედა — ქართველი ვაჟკაცის
სალოცავი და ხატია".

მართლაც, ქართველი კაცი ოდითგანვე გამოირჩეოდა დედისადმი ულრმესი სიყვარულითა და პატივისცემით, მისდამი მოკრძალებული დამოკიდებულებით. დედის შარავანდედით მოსილი ხატება საოცარი და სათაყვანოა ყოველი ჩვენგანისათვის. ამიტომაც იქცა ეს უპირველესი და უწმინდესი გრძნობა მრავალი მწერლის შთაგონების წყაროდ. ამის ნათელი მაგალითია ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი". მასში ავტორმა გვიჩვენა ჭეშმარიტი დედაშვილური სიყვარულის მაგალითი. „შვილი (ლაპარაკია გიორგიზე — ნ. ბ.), რომელიც სხვისგან თავზედ ფრინველსაც არ გადაიფრენდა და ფეხქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა," — ამბობს მწერალი. არც დედას უყვარდა შვილის უმიზეზოდ, ტყუილუბრალოდ ტუქსვა. მაგრამ თუ ზოგჯერ იგი ამას აკეთებდა, გიორგი მაშინვე ჩაფიქრდებოდა და გულს დააჯერებდა, დედა მართალიაო, სიტყვას კი არ შეუბრუნებდა.

ოთარაანთ ქვრივს მზე და მთვარე ამოსდიოდა თავის ერთადერთ შვილზე, მაგრამ ამას არც სხვებს და არც საკუთარ შვილს არ აგრძნობინებდა, რაითა ეს უკანასკნელი არ გათამამებულიყო. დღეს კი ზოგიერთი დედა დღეში ასჯერ ჩაკოცნის თავის ზრდადასრულებულ შვილსაც კი და ერთხელაც არ დაფიქრდება იმაზე, რომ ამით დათვურ სამსახურს უწევს მას, ავიწყდება ან შეგნებულად ივიწყებს ჭკვიანი კაცის ნათქვამს: შვილი მტრულად გაზარდე და მოყვარედ გამოგადგებაო.

დედის ჭეშმარიტი სიყვარული, მისდამი ზრუნვა ბავშვმა უნდა გამოხატოს საქმით და არა ცარიელი სიტყვებით, რამეთუ ბავშვი სხვის უნაზეს განცდებს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა თვითონ აკეთებს რაიმეს მისი ბედნიერების, სიხარულისა და სულიერი კეთილდღეობისათვის. „დაე, ცხრა წლის ვაჟიშვილმა ღამე უძილოდ გაატაროს ავად გამხდარი დედის თუ მამის ლოგინთან, დაე, სხვისმა ტკივილმა აღავსოს მისი გულის ყოველი კუნჭული“, — გვასწავლის ვ. სუხომლინსკი. წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან კაცური კაცი არ დადგება.

ერის მომავალი მთლიანად და საესებით დედაზეა დამოკიდებული. დედაკაცს შეუძლია დააშხოს ერი და კიდევაც აღადგინოსო, ბრძანებდა დიდი ვაჟა. როცა გენიოსი პოეტი ამას ამბობდა, მას მხედველობაში ჰქონდა ქალის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობა — შვილების ყოლა და მათი სწორად აღზრდა. „ჩვენმა ქვეყანამ საუკუნეების მანძილზე ურიცხვი მტრის განუწყვეტელ შემოსევებს რომ გაუძლო, — წერს აკადემიკოსი კონსტანტინე ჩაჩავა, — ეს იმის წყალობით მოხდა, რომ ერს დედაბოძად ედგა ქართველი ქალი, მრავალშვილიანი დედა“.

განა მარადიული დიდების ღირსნი არ არიან შვიდი მაჩაბლის, ცხრა ძმა ხერხეულიძის და სხვათა დედები, რომლებიც არა მარტო ღირსეულ შვილებს ზრდიდნენ, არამედ თვითონაც ხშირად მათ გვერდით მტერს ფარად ედგნენ?

მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ დედებთან ერთად გვხვდებიან ისეთი ეგოისტი დედებიც, რომლებიც „ფიგურას“ უფრთხილდებიან და თავს არიდებენ შვილების ყოლას, ან თუ თითო-ოროლა შვილს გააჩენენ, ვერ ახერხებენ მათ წესიერად აღზრდას. ამიტომაც უთქვამს ბრძენკაცს: ყველას, ვისაც შვილი ჰყავს, დედა ჰქვია, მაგრამ ყველა როდი იმსახურებს ამ სახელსო. სწორედ ასეთ დედებზეა ნათქვამი:

„ზოგი ქალია წმინდანი, ზოგი ავია, დავარი,
ზოგი დედაა გმირების, ზოგი — ქურდის და ავარის;
ბავშვის გაჩენას რა უნდა — შვილის აზრდაა მთა-

ვარი!"

დიახ, უღირსი დედა უღირს შვილს გაზრდის. „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა... მარჩო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის" (ი. ჭავჭავაძე).

ასეთი დედები, ჩვენდა საბედნიეროდ, მცირეა. დედების უმრავლესობა შესანიშნავად ართმევს თავს თავის მოვალეობას – შვილების აღზრდას. ამიტომაც გვჯერა, რომ ახლა, როცა სულით ხორცამდე შეძრულნი, რწმენადაკარგული და სასოწარკვეთილი ვართ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობით, – არ ვინდობთ არავის, არც მტერსა და არც მოყვარეს, არც დიდსა და არც პატარას, ძარცვა-გლეჯა, ღალატი, სიცრუე და ორპირობა ხელობად რომ გაგვიხდია, – სწორედ ქალს, დედას თუ შეუძლია გვიხსნას ამ მდგომარეობიდან, მხოლოდ მას ძალუძს ჩვენი დაშლილი სულის გამთლიანება და იმ ღვთის მიერ ბოძებული ნიჭის დაბრუნება, რასაც ადამიანების ჭეშმარიტი სიყვარული ჰქვია.

მაშ, „ვადიდოთ ქალი – დედა, ვისმა სიყვარულმა არ იცის ზღუდე, არ იცის დაბრკოლება, ვისი ძუძუთიც გამოზრდილია მთელი მსოფლიო" (მ. გორკი).

1996 წლის დეკემბერი

გვახსოვდეს, რომ ვართ ადამიანი

იყო ადამიანი – ნიშნავს
გრძნობდე პასუხისმგებლობას.
სენტ-ეკზიუპერი

ამბობენ, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დიოგენე დღისით-მზისით ქუჩაში ანთებული ფარნით დადიოდა და გამვლელ-გამომვლელთა შეკითხვაზე – რად სჭირდებოდა დღისით ფარანი, პასუხობდა: „ადამიანებს ვეძებ".

დიახ, ჭეშმარიტი ადამიანები ყველა დროსა და ეპოქაში ასე ფარნითა და სანთლით საძებარნი იყვნენ. ამი-

ტომაც ამბობდა მაქსიმ გორკი: „ადამიანი, — ეს ამაყად ეღერს“.

მართლაც, იყო ადამიანი, საამაყოცაა და მძიმე ტვირთიც, რომლის ტარება, სამწუხაროდ, ყველას როდი ძალუძს. ჭეშმარიტი ადამიანობა გულისხმობს ადამიანისადმი მხარდაჭერას, მისი ძალებისადმი რწმენას, მისი პიროვნების აღიარებას, დაფასებასა და პატივისცემას, საჭიროების შემთხვევაში კი მისთვის თავდადებასაც. კეთილი სიტყვა, მეტადრე კეთილი საქმე, უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის მეგზური ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფრის მაქნისი ვიქნებით ქვეყნისათვის, ხალხისათვის — ვერც ვერაფის გავიტანთ და არც არაფინ გაგვიტანს. „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის. აი, გზა ცხოვრებისა“, — ბრძანებს დიდი ილია. ვისაც ეს არ ესმის, ის ზნეობრივად უვიცი და საზოგადოებისათვის ზედმეტი ბარგია.

რაკი ადამიანი საზოგადოების წევრია, იგი ვალდებულია თავისი ცხოვრების მიზნად სხვა ადამიანებისადმი სამსახური გაიხადოს, იფიქროს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზეც, კერძოდ, იმაზე, თუ ვის რაში გამოადგეს, ვის რა სიკეთე უყოს. ეს მისი ადამიანური ვალია. სიკეთის ტვირთი, შეძლებისდაგვარად, ყველამ უნდა ზიდოს, ვისაც ღმერთმა ამ საწუთროში ცხოვრება არგუნა. სხვა შემთხვევაში მისი არსებობა გაუმართლებელია.

„ვაჩუქოთ ერთმანეთს სიხარული“, — ასეთია ზნეობრივი აღზრდის, ჰუმანიზმის ერთ-ერთი პრინციპი, რაც ჩვენი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ძირითად ლოზუნგად იქცა. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე ცოტა ადამიანს თუ აქვს მომადლებული მეტად საჭირო და აუცილებელი უნარი — მიანიჭოს სხვას სიხარული, გაუთბოს გული და ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბო-სილამაზე განაცდევინოს. ეს იმიტომ, რომ თავის დროზე მას ასეთი თვისებები არ ჩაუნერგეს არც ოჯახში და არც სკოლაში. ამიტომაცაა, რომ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი „მეს“ გარდა არაფერი იციან, დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, ვის რა წააგლიჯონ, არათუ ხელს წააშველებენ მოძმეს, არამედ თბილ

სიტყვასაც კი არ შეაწევენ.

ზოგიერთები თავს იმით იმართლებენ, რომ ცუდი არაფერი ჩაუდენიათ, ცოდვა არ აწევთ კისერზე. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნებისათვის საკმარისი არაა. ადამიანი, რომელიც არაფერს აშავებს, მაგრამ არც სასიკეთო საქნეს აკეთებს და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვით ამოიწურება, ზნეობრივ პიროვნებად არ ჩაითვლება. ნამდვილი ზნეობრიობა მხოლოდ მოქმედებაში, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის დამკვიდრებაშია. ყოველი ადამიანის კაცური კაცობა იმ დღიდან იწყება, როცა იგი სხვათა ჭირისა და ლხინის მოზიარე ხდება, როცა იგი „ჩვენს“ აძლევს უპირატესობას „მესთან“ შედარებით.

დღეს, ჩვენი ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების პერიოდში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მომავალი ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვზრდით, სრულყოფილი და სრულქმნილი არ იქნება, თუ მისი გული სიკეთით სავსე და ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობით არაა დამუხტული, თუ იგი მზად არ არის დახმარების ხელი გაუწოდოს დავრდომილსა და გაჭირვებულს, გული გაუთბოს დარდიანებულ და დამწუხრებულ ადამიანს, რომელსაც ჰაერივით სჭირდება მხარდაჭერა და თანადგომა.

ბავშვი ადამიანად გახდომის გარკვეული მონაცემებით იბადება. თვით ადამიანშია მოცემული მისი პიროვნების საშენი მასალა – ესაა ადამიანის შინაგანი სამყარო, რომელსაც მიკვლევა და დამუშავება სჭირდება. იგი დიდ ფასეულობათა მხოლოდ შესაძლებლობაა, რომელიც სინამდვილედ ოჯახმა, სკოლამ, საზოგადოებამ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აქციოს. ეს სინამდვილე კი ადამიანში ადამიანური თვისებების ჩანერგვა-განვითარებაა. ადამიანთა ურთიერთობის რთულ სამყაროში ბავშვის შეყვანა, მისი გარკვევა ადამიანთა შორის ცხოვრების საიდუმლოებათა ლაბირინთებში, აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. მაგრამ ვაი, რომ ეს ბევრს არ ესმის ან არ სურს გაიგოს. აი, რა მიამბო ერთმა ჩემმა ასლობელმა: ამ რამდენიმე წლის წინ ბავშვი ავად

გამიხდა. ექიმმა წამალი გამოუწერა და რეცეპტით ხელში სასწრაფოდ ქალაქისაკენ გამოვსწიე. აფთიაქს სწორედ მაშინ მივადექი, როცა შესვენება იწყებოდა. გამიხარდა, კარი რომ ღია დამხვდა, სწრაფად შევვარდი და ქალიშვილს რეცეპტი გავუწოდე, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ზედაც არ დახედა, შესვენებაა და შემდეგ მოდიო. შევეხვეწე – შორიდან ვარ ჩამოსული, ავადმყოფი ძალიან ცუდად მყავს და მეჩქარება, მიყავით. სიკეთემეთქი, მაგრამ ყურიც არ შეიბერტყა, ერთი წუთიც არ გაიმეტა ჩემთვის და სარკმელი ცხვირწინ მომიჯახუნა.

– შენ ხშირად ჰუმანიზმზე, ადამიანის სიყვარულსა და დაფასებაზე წერ. მითხარი, საიდან გამოდიან ასეთი შეუბრალებელი, გულქვა ადამიანები?

„ბავში სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“ – ბრძანებდა დიდი ილია. ეს იმას ნიშნავს, რომ რა თვისებებსაც ჩაეყრება საფუძველი მის გრძნობა-გონებაში ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე, ის თვისებები გაღვივდება და განვითარდება მასში. ამ თვისებებს კი, კეთილსაც და ბოროტსაც, ბავშვი, უწინარეს ყოვლისა, ოჯახში, მშობლებისაგან იძენს. თუ ოჯახის წევრები ყურადღებიანი, გულისხმიერი ადამიანები არიან, ბავშვიც ასეთი იქნება, ხოლო თუ ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ და მათთვის უცხოა მაღალი იდეალები, ასეთ ოჯახში გაზრდილი კაცისაგან სიკეთეს ნუ მოელი.

ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ რწმენა, რომ ამქვეყნად ის მარტო არ არის, რომ იგი მშობლების, საზოგადოების, თავისი ერის, ქვეყნის შვილია და დაბადებიდანვე არა მარტო უფლებები დაჰყვა, არამედ მოვალეობებიც დაეკისრა. ესაა მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე, საკუთარი ადამიანური არსის წინაშე. ამიტომ ღრმად ცდებიან ის მშობლები, რომელთაც მზე და მთვარე ამოსდით თავიანთ შვილებზე, ნიავსაც კი არ აკარებენ, უქმნიან უზრუნველ ცხოვრებას – ყველაფერს აძლევენ და არაფერს არ მოითხოვენ მათგან. ასე გაზრდილი ბავშვისათვის ცხოვრების პრინციპად იქცევა დევიზი – „ჩემთვის ნებადართულია ყველაფერი, არავისთან არაფერი საქმე არ მაქვს, მთავარია ჩემი სურვილი“

(ვ. სუხომლინსკი). ასე ხდება იგი საკუთარი სურვილების მონა, შემდეგ კი – „სულით ხორცამდე ეგოისტი“, დესპოტი, რომელსაც არავინ და არაფერი ახსოვს, გარდა საკუთარი თავისა. ასეთ ვაი-შვილს ჰგონია – დედა და მამა იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ და თუ თვითონ მათ წინაშე ვალშია, ვერ წარმოუდგენია.

ეს რომ ასე არ მოხდეს, როგორც ვასილ სუხომლინსკი გვასწავლის, ბავშვს პატარაობიდანვე უნდა გავუღვივოთ კეთილი გრძნობები – სხვისი სამსახური, სხვაობა სიკეთისათვის ზრუნვა: განვუვითაროთ სხვის თვალებში ურვის, შეშფოთების, წყენის, მარტოობის ამოკითხვის უნარი, ვასწავლოთ თანაგრძნობა და დახმარების აღმოჩენა. მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ამიტომაც ნატრობენ ნოდარ დუმბაძის რომანის „მე ვხედავ მზეს“ პერსონაჟები ცის სარკედ გადაქცევას: ცა რომ სარკე იყოს, ავიხედავდით მაღლა და დავინახავდით, ვის უჭირს და ვის ულხინს – შემდეგ დალხინებულები წავიდოდით გაჭირვებულებთან და წავეშველებოდითო.

ზნეობრივი გრძნობები ბავშვს პირველად უნდა გაუჩნდეს თავისი ოჯახის წევრების, ახლობლების, განსაკუთრებით კი დედის მიმართ, ვინაიდან „ადამიანურობას ვერ აღვზრდით, თუ გულში ახლობელი, ძვირფასი ადამიანის სიყვარულმა არ დაიბუდა,“ – გვასწავლის სუხომლინსკი.

ვ. სუხომლინსკიმ პედაგოგიკაში დაამკვიდრა მოვალეობის კატეგორია. დიდ პედაგოგს სიკეთე ვერ წარმოედგინა მოვალეობის გარეშე. ჯერ კიდევ ჩარლზ დარვინი წერდა: „ყველაზე მთავარ განმასხვავებელ ნიშანს ადამიანსა და ცხოველს შორის წარმოადგენს ზნეობრივი გრძნობა, ანუ სინდისი... მისი მბრძანებლობა კი გამოიხატება მოკლე, მაგრამ ძლიერი და უაღრესად ტევადი სიტყვით – „მევალება“.

მოვალეობის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდის მიზნით უნდა დავივიწყოთ უზრუნველ ბავშვობაზე ფიქრი და მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში შევიტანოთ სიძნელე, დაბრკოლებათა, წინააღმდეგობათა გადალახვა, რამეთუ სულიერი კეთილშობილება ყალიბდება მხოლოდ შრომითი ძალისხმევის, დაძაბული შრომის პირობებში. სხვა-

თა სიკეთისათვის ზრუნვის დროს სულიერი და ფიზიკური ძალების დაძაბვა, წინააღმდეგობების გადალახვა, სიძნელეთა დაძლევა ზნეობრივად ამაღლებს, აკეთილშობილებს ადამიანს. ამიტომაც წერდა ვასილ სუხომლინსკი: „მოვალეობა და კიდევ მოვალეობა — აი, ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდიდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი“.

ყოველმა ჭეშმარიტმა ადამიანმა, გვასწავლის ვ. სუხომლინსკი, უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ თავის მოძმეს „სიძნელე გზისა გაუადვილოს“. შენს ადამიანურ გზებზე ქვებია, არიგებდა ის თავის მოსწავლეებს, რომელიც უნდა გადააგდო გზიდან. თუ შენს სიცოცხლეში არც ერთი ქვა არ შეგინიშნავს და არ გადაგიგდია, — ადამიანი არა ხარ. ეს აზრი მან შესანიშნავად გამოხატა თავის მინიატურაში „იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ“. მისი შინაარსი ასეთია:

სამი დღის განმავლობაში მამა და შვიდი წლის ვაჟიშვილი ერთი და იმავე გზით დადიან. საღამოს ბინდბუნდში, შინ დაბრუნებისას, მამა ყოველთვის ხვდება შუა გზაზე დაგდებულ დიდ ქვას. მესამე დღეს იგი არიგებს შვილს: „ყურადღებით იყავი, ქვას არ დაეჯახო, გვერდზე აუარე“. მაგრამ დახეთ საოცრებას — ქვა ძველ ადგილზე არ აღმოჩნდა. იგი გზიდან გადაეგდო მოხუცებულ კაცს, რომელიც იქვე გზის პირას იჯდა და ისვენებდა.

— თქვენც მიარტყით ქვას ფეხი და იტკინეთ? — ეკითხება ბიჭი მოხუცს.

— არა, მე ქვაზე ფეხი არ მიმირტყამს.

— მაშ, რატომ გადააგდეთ იგი გზიდან?

— იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ.

ბიჭი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მამას ჰკითხა:

— მამი, შენ ადამიანი არა ხარ?

ბავშვი პატარაობიდანვე უნდა მივაჩვიოთ მშობლებისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას, პატივისცემას, დამჯერებლობას. ამის ხელსაყრელი პირობები იქმნება მრავალშვილიან ოჯახებში, სადაც ბავშვი ვალდებულია ანგარიში გაუწიოს და-ძმებს, ერთშვილიანობა

კი ქმნის ეგოიზმისა და სხვებისადმი უპატივცემულობის გრძნობის განვითარების ნოყიერ ნიადაგს. ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვი ხშირად უხეში, თავნება, ეგოისტი და ინდივიდუალისტი ხდება. ამის მიზეზი, მეტწილად, მშობლთა გადაჭარბებულ, ავადმყოფურ სიყვარულში უნდა ვეძიოთ. როცა ბავშვი გრძნობს, რომ ყველაფერს აპატიებენ, ის უხეშად და უდიერად იქცევა, რაც ტოლ-ამხანაგებთან, მოხუცებთან და გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობაში მუღავნდება.

მშობლები სასტიკად უნდა ებრძოდნენ ბავშვთა მიერ ენის მიტან-მოტანას და ჭორიკანობას. ჩვენც უნდა ვერიდოთ ბავშვებისათვის ზედმეტი, განსაკუთრებით კი დამამცირებელი, სახელების დარქმევასა და დაძახებას. ბავშვებსაც უნდა ავუკრძალოთ ერთმანეთის შეურაცხმყოფელი სახელების დაძახება, როგორიცაა: დიდთავა, თაეგაბერილი, თავგასიებული, ვირთაგვა, მაიმუნი და ა.შ., რადგან ეს მანერა, შესაძლებელია, საერთოდ ადამიანებისადმი ცინიკურ, უპატივცემულო დამოკიდებულებაში გადაიზარდოს.

ადამიანის სიყვარულთან ერთად, ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და ყველა სხვა ცოცხალი არსების სიბრალული. ხე, ბალახი, ყვავილი, მზის ამოსვლა და ჩასვლა, ფრინველების ჭიკჭიკი, ფუტკრების ზუზუნი, კალიების ჭრიჭინი, — ყოველივე ეს უნდა აღიბეჭდოს ბავშვის სულში, თუ გვინდა, რომ იგი კეთილი გაიზარდოს და მისი გული უხვად იყოს გადაშლილი ადამიანთა წინაშე. ეს კი ხანგრძლივი და რთული საქმეა. ძნელია პატარას ჩაუნერგო, რომ ყვავილი უნდა უყვარდეს, არ გათელოს, არ მოწყვიტოს, „იმიტომ რომ მასაც სტკივა“, მაგრამ სავსებით შესაძლებელია აღზარდო მასში გულკეთილობის გრძნობა, თუ ბავშვს პატარაობიდანვე შეეაყვარებთ შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, ჩაუნერგავთ მათი მფარველობის გრძნობას. ქალაქად, სადაც შინაური ცხოველები და ფრინველები არ გვყავს, სასურველია, ბავშვებს ოჯახში მოვუწყოთ ცოცხალი კუთხე, აკვარიუმი. აქ ისინი მიეჩვევიან მცენარეებსა და ცხოველებზე ზრუნვას, მათდამი გულისხმიერ, სათუთ დამოკიდებულებას. ბავ-

შვები უნდა წავაქეზოთ, როცა ისინი გარეულ ფრინველებს უყრიან საკენკს, უშენებენ და ხეებზე კიდებენ პატარ-პატარა ბუდე-სახლებს, შველიან გაჭირვებაში ჩავარდნილ ცხოველებს და ა.შ., რაც ხელს უწყობს მათი სულის გაფაქიზებას, მათში სიკეთის, სიბრალულისა და სხვა ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობების გაღვიძებას. ილია ჭავჭავაძე წერდა: „მადლი სიბრალულისა დედაა ყველა სხვა მადლისა. ადამიანის გულს ამან უნდა აწოვოს თავისი ძუძუ... თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ; თუ გებრალება, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გეყვარება კიდეც; თუ გებრალება, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეუნდობ“.

ამიტომ ასე აუცილებელია ადამიანში ბავშვობიდანვე ავღზარდოთ სიბრალულის, ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის გრძნობები. რაც უფრო ძლიერი იქნება მასში ეს გრძნობები, მით უფრო სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლი იქნება იგი, მით უფრო აქტიური იქნება ცხოვრებაში. რეაგირების გარეშე არ უნდა დავტოვოთ, უბრალო ცელქობად არ უნდა მივიჩნიოთ ბავშვობის ასაკში ცოცხალი არსების მიმართ უსულგულო დამოკიდებულების არც ერთი შემთხვევა, თორემ, ზოგიერთის აზრით, ეს წვრილმანი შემდგომში შეიძლება უარყოფით ქცევაში გადაიზარდოს და მსხვილშანად იქცეს.

ცნობილ მწერალს სერგეი მიხალკოვს თავის წიგნში „ყველაფერი ბავშვობაში იწყება“ ასეთი მაგალითი მოჰყავს:

ფანჯრის რაფასთან პატარა და-ძმა თამაშობს, დედა სამზარეულოში ფუსფუსებს, მამა კი საწერ მაგი-დას უზის. ბავშვებს მოსწყინდათ ქუჩაში ცქერა და პეპელა დაიჭირეს, მინას რომ აფრინდებოდა, ფრთები დააწყვიტეს და ფანჯრის რაფაზე დასვეს. პეპელა ადრე დაფრინავდა, ახლა კი დაცოცავს. ეს მათთვის საინტერესოა.

— შეხე, შეხე, როგორ დაბობღავს! — იძახიან გახარებული ბავშვები და პეპელას სანახავად მშობლებს უხმობენ.

მამას არ მოსწონს მათი ასეთი თამაში.

— პეპელას ფრთები ისევე სჭირდება, როგორც ადა-

მიანს ხელები, — უხსნის იგი ბავშვებს. — განა გესიამოვნებათ, თქვენც რომ ასე მოგეპყროთ ვინმე ღონიერი, როგორც თქვენ მოეპყარით პეპელას? ტკივილი არავის არ უნდა მიაყენოთ.

სამწუხაროდ, ყველა მშობელი როდი იქცევა ასე. ზოგიერთი მათგანი არაფრად აგდებს იმას, რომ ბავშვი მის თვალწინ აწვალებს ცხოველებს, ბუდეს უნგრევს ან ხოცავს ფრინველებს. პედაგოგიურ განათლებას მოკლებული მშობელი კი ყოველივე ამას ბავშვის შეუგნებლობითა და ცელქობით ხსნის, გაიზრდება და ყველაფერს გაიგებსო, ფიქრობს იგი და ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ამ გზით ბავშვს უმუშავდება შეუბრალებლობა ცხოველების, ფრინველებისა და, საერთოდ, ყოველი ცოცხალი არსების მიმართ, რამაც, განსაზღვრულ ასაკში, შეიძლება თავი იჩინოს ადამიანებთან დამოკიდებულებაშიც. მართლაც, დღეს ბიჭუნამ შურდულით ბეღურას სიცოცხლე მოუსპო, ხვალ ლეკვს ან კატის კნუტს ქვას ესვრის, შემდეგ, გაიხედავ და, კაცს დანას ჩასცემს, მშობლები კი გაოცდებიან: როგორ მოხდა ეს? დიახ, კატის კნუტის თუ ლეკვის წვალებიდან ადამიანის აბუჩად აგდებამდე სავსებით კანონზომიერი და ლოგიკური ევოლუციაა. პროფესორ ბოსეს, პარიზის კონვენტის წევრს, ეკუთვნის ასეთი სიტყვები: „ძაღლისადმი შენი დამოკიდებულებით მე შემიძლია გავიგო, თუ როგორი ადამიანი ხარ შენ“.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანებში სულიერი სიკეთის აღზრდას, გაუმართლებელი სიმკაცრის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლას.

ბავშვებში ცოცხალი არსებისადმი სიყვარულის გამომუშავებას ხელს უწყობს ექსკურსიები ზოოლოგიურ პარკებსა და სახელმწიფო ნაკრძალებში, სადაც მოზარდები საკუთარი თვალით იხილავენ, თუ როგორი მზრუნველობით უვლიან და უფრთხილდებიან ადამიანები ცხოველებსა და ფრინველებს. გარდა ამისა, კარგ შედეგს იძლევა ამ მიმართებით ბავშვებისათვის გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიებისა და მათი გამონათქვამების გაცნობა-შესწავლა. ამ შემთხვევაში, უწინა-

რეს ყოვლისა, უნდა მოვუხმოთ ჩვენს სასიქადულო მწერლებს: შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ვაჟას, ილიას, აკაკის, გალაკტიონს და კიდევ ბევრ დიდ წინაპარსა და ჩვენს საამაყო თანამედროვეს, ვინც სიტყვითა და საქმით მოგვიწოდებს მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სამსახურისაკენ.

აღნიშნულ თემაზე საუბრისას მარტო დადებითი მაგალითების ჩვენებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. საჭიროა, მათ ვუჩვენოთ, აგრეთვე, მახინჯი და დასაგმობი თვისებები, რომლებიც ადამიანებს ჯერ კიდევ მოსდგამთ. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. იგი უხილავი ძაფებითაა დაკავშირებული სხვა ადამიანებთან, უწინარეს ყოვლისა კი, მშობლებთან. ამიტომ პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიყოთ ჰუმანიზმის, გულკეთილობის, შემბრალებლობისა და მზრუნველობის მაგალითის მაჩვენებლები, რათა ამ ზნეობრივი გრძნობებით აღვზარდოთ ჩვენი შვილები. თუ ასე მოვიქცევით, ის ქალიშვილი, აფთიაქში რომ მუშაობს, არა მარტო გარეგნულად, არამედ სულიერადაც ლამაზი იქნება და სარკმელს ცსვირწინ არ მოგვიჯახუნებს.

1990 წლის სექტემბერი

სიყვარული ოჯახიდან მოდის

ყველა ადამიანი თავისი ფესვიდან – ოჯახიდან მოდის და მომავლისაკენ მიემართება. როგორც მდინარე იწყება სათავიდან, ისე ადამიანი – ბავშვობიდან. „ბავში სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“, – ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე.

ბავშვობიდან მიღებული საგზალი თუ საზრდო ადამიანს ღრმა მოხუცებულობამდე მიჰყვება და მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული – პიროვნების მრწამსი, ზნეობრივი იდეალი, კულტურა, ცხოვრებისეული პოზიცია, ადამიანური სახე.

პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დღეს კა-

რგადაა ცნობილი, რომ ბავშვი არის „ხე მარცვალში, ადამიანი — შესაძლებლობაში“ (ბ. ბელინსკი), მაგრამ ეს შესაძლებლობა რომ რეალურ სინამდვილედ იქცეს, საჭიროა ბავშვზე ოჯახის (მშობლების) გეგმაზომიერი და მიზანშეწონილი ზემოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ბუნებრივი, თანდაყოლილი მონაცემები ჩანასახშივე ჩაკვდება და სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს. ბ. ბელინსკი წერდა: — „ლომის ლეკვი ლომადვე იქცევა ისე, რომ თვითონ მას ამისათვის არავითარი მონდომება (ანუ აღზრდა — ნ. ბ.) არ სჭირდება... ადამიანი კი, რომელიც დაიბადა არა ლომად ან ვეფხვად, არამედ სწორედ ადამიანად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შეიძლება გახდეს (აღზრდის გარეშე — ნ. ბ.) მგელიც, სახედარიც და რაც გნებავთ“.

ამრიგად, ბავშვის პიროვნებად ფორმირებაში მთელი პასუხისმგებლობა მშობლებს, აღმზრდელებს ეკისრებათ. მათ შეუძლიათ თავიანთი პირმშოსაგან ჩამოაყალიბონ როგორც ერისა და ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანი, ისე ორფეხა ცხოველი, რომელიც, შეიძლება ითქვას, დიდად არ განსხვავდება მხეცისაგან. ამიტომაც ამბობდა ვაჟა-ფშაველა: დედაკაცს შეუძლია დაამხოს ერი და კიდევაც აღადგინოსო.

ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ვასწავლოთ ადამიანების სიყვარული და პატივისცემა, მათდამი თბილი, მზრუნველი დამოკიდებულება. მან ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე უნდა შეიგნოს, რომ ადამიანი არის ყველა ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე ძვირფასი და სრულქმნილი არსება, რომელსაც ყველგან და ყოველთვის დაფასება და სათუთი მოპყრობა სჭირდება.

ბევრი მშობელი თვითონაც ყურადღებიანია ადამიანების მიმართ და შვილებსაც ამ თვისებებს უნერგავს. მაგრამ, სამწუხაროდ, პირიქითაც ხდება. ზოგიერთ მშობელს მცდარი წარმოდგენა აქვს გონიერული აღზრდის საფუძვლებზე და დარწმუნებულიც არის თავის მოქმედებათა სისწორეში. სწორედ ასეთი დედების მიერ არიან აღზრდილი გულცივი, უსულგულო ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქციელით უფუჭებენ ხასიათსა და გუნება-განწყობილებას მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებს.

იშვიათი როდია შემთხვევს, როცა ბავშვები მშობლების უზნეო საქციელის მოწმენი ხდებიან. ზოგიერთი მშობელი ბავშვების თანდასწრებით იგინება, ილანძღება და უშვერი სიტყვებით უმასპინძლდება ყველას, ვისაც შეხვდება ან ვისი სახელიც ენაზე მოადგება. ყოველივე ეს გარკვეულ დაღს ასვამს მოზარდი თაობის აღზრდას, მათში ადამიანური თვისებების ფორმირებას.

ასეთი მშობლებისა და ცუდი აღზრდის შედეგია ის, რომ დღეს ასე მძლავრობს ჩვენში ბოროტება, შური, ეგოიზმი, გაუტანლობა, სისასტიკე. ვამბობ ამ სიტყვებს და მაგონდება დ. გურამიშვილის ლექსი:

„შეიქმნა დიდი მტერობა,
თქმა ერთმანეთის ძვირისა, -
ამპარტავნობა და შური,
ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა,
გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება...
ქვრივთა, ობოლთა, მწირისა".

სხვათა შორის, ცხოველთა სამყაროში (იშვიათი გამონაკლისის გარდა), მსგავსი მსგავსს არ მტრობს და არ კლავს: მგელმა შეიძლება ძაღლი გაგუდოს, მაგრამ მგელი – მგელს, ვეფხვი – ვეფხვს, ტურა – ტურას და ა.შ. არ ერჩის. აქედან მოდის ალბათ ხალხური სიბრძნეც – „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს". დევნის და კლავს თავის მოძმეს მხოლოდ ადამიანი, თანაც კლავს არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც. განა სამარცხვინო არ არის კაცისათვის ასეთი მოქმედება?

თუ უკეთესი მომავლისათვის ვიბრძვით, თუ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოს ვაშენებთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ მშობლებმა უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული, მოსმენა და ურთიერთგაგება, გნებავთ, წესიერად რიგში დგომაც. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა ვერაფერს გვიშველის.

დღევანდელი დაძაბული ცხოვრება მრავალი პრობლემის წინაშე გვაყენებს, მაგრამ რა პრობლემაც უნდა გვაწუხებდეს, ეს იმის უფლებას როდი გვაძლევს, რომ

ადამიანობა დაეკარგოთ და დავიეიწყოთ ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე ძვირფასი არსება — ადამიანი. მაგრამ ვაი, რომ ყველას არ ესმის ეს.

ამას წინათ ერთ-ერთ ფოსტაში შევედი. მსურდა დაზღვეული წერილის გაგზავნა. ფოსტის მუშაკი კონვერტებს ახარისხებდა, შტამპს ასვამდა. შემდეგ რომელიღაც კოლეგას გაუბა საუბარი. მე კი ვდგავარ კონვერტით ხელში და ველოდები, როდის მოათავებს საუბარს და ყურადღებას მომაქცევს. ამასობაში კიდევ რამდენიმე კაცი მოადგა დახლს. ერთმა რაღაც შეეკითხა, მაგრამ არც ის ჩათვალა ყურადღების ღირსად. ბოლოს, როცა ამ უკანასკნელმა ხმა აიმაღლა, ფოსტის მუშაკი გონს მოეგო და აბუზღუნდა: „რა მოსდა, დალაპარაკების უფლება არ მაქვს?!“

აი, ასეთი ადამიანები გვიშლიან ნერვებს, გვიფუჭებენ ხასიათს. ეს ერთი და ორი შემთხვევა რომ იყოს, შეიძლება კრინტიც არ დაგვეძრა, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი გულგრილობისა და უყურადღებობის შემთხვევები მრავალია ჩვენს ყოფაში. ამიტომაც ბრძანებდა დიდი ილია: „სიტყვა ხომ არაფერია და კაცს არაფრად ულირს, მაგრამ რამდენი კაცია ქვეყანაზედ — მომმისათვის ისიც არ ემეტება“. საკითხავია, ნუთუ ასე ძნელია თბილი სიტყვა, ღიმილი და თავაზიანობა? ნუთუ არ შეიძლება ჩვენი მოქმედება თავაზიანობის, ინტელიგენტობის, ადამიანური ურთიერთობის ჩარჩოებში მოვაქციოთ? რა თქმა უნდა, შეიძლება, საჭიროა მხოლოდ მონდომება, სურვილი და, რაც მთავარია, მაღალი ადამიანური შეგნება.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში, თუნდაც თურქეთში, და მაღაზიაში შესულა, აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას გამყიდველების დამოკიდებულებას მომხმარებლისადმი. მათთან შესულ მყიდველს თუ უბრალოდ დამთვალიერებელს ისინი თავაზიანად ხვდებიან, აძლევენ ამომწურავ ცნობებს, ყველაფერს ათვალიერებინებენ, უწევენ კონსულტაციას და როდესაც კლიენტი მაღაზიიდან კმაყოფილი გადის, სრულიად ბუნებრივი და გულწრფელია მისი სიტყვები: „ნახვამდის“, „გმადლობთ“.

ურიგო არ იქნებოდა, ჩვენს მაღაზიებშიც ასე ხედებოდნენ კლიენტებს და არ ვხედავდეთ გამყიდველთა მოღუშულ სახეებს, არ გვესმოდეს მათი უკმეხი პასუხები.

პოლონეთში დაწესებულია „ღიმილის ორდენი". ამ ორდენით აჯილდოებენ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ქცევითა და მოქმედებით სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებენ სხვებს.

კითხულობთ გაზეთში ან ჟურნალში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილსა თუ სტატიას და გაოცებას ვერ ფარავ — მასში ლანძღვა-გინების, პიროვნების ღირსების შემლახავი სიტყვების გარდა არაფერია. რა კარგად ამბობს სულმნათი შოთა: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების!"

კულტურული ადამიანი თავისი მეტყველებითა და სიტყვა-პასუხითაც სამაგალითო უნდა იყოს. ახლა ერთი წუთით სკოლაშიც შევიხედოთ. ზოგჯერ როგორც კი ზღურბლს გადააბიჯებთ, მაშინვე მოგესმით ლანძღვა-გინების კორიანტელი: — „დაეგდე, შე დებილო!.. შენგან კაცი არ დადგება!.." „ამის დასწავლას რა უნდოდა, შე კრეტინო!.." და ა.შ. ასეთი სიტყვებით „ამკობს" მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და არ ფიქრობს იმაზე, რომ მალე ისინი ჩვენს შემცვლელებად, პედაგოგებად, ინჟინრებად, ექიმებად, მექანიზატორებად, კალატოზებად, მხვნელ-მთესველებად მოგვეცლინებიან. მაგრამ საკითხავია, როგორი ადამიანები იქნებიან ისინი? ცხადია, ისეთივე უხეში და უტაქტონი, როგორც მათი აღმზრდელები, და ამაში არაფერი არ იქნება გასაკვირი — მათ ხომ ასე ექცეოდნენ სკოლაშიც და ოჯახშიც.

უნდა ვისწავლოთ სულიერი ტკივილების დაძლევა, ჩვენი ცუდი გუნება-განწყობილების დაფარვა, განსაკუთრებით პედაგოგებმა. ა. მაკარენკო წერს: „მე არასოდეს თავს არ ვაძლევდი უფლებას, მქონოდა ნაღვლიანი ფიზიონომია, დაღვრემილი სახე. მაშინაც კი, როცა მქონდა უსიამოვნებანი ან ავად ვიყავი, ვცდილობდი არაფერი მეგრძნობინებინა ბავშვებისათვის".

ადამიანი დაბადებულია ბედნიერებისათვის, როგორც ფრინველი ფრენისათვის. ადამიანს კი ბედნიერებას ანიჭებს, უწინარეს ყოვლისა, გარეშე მყოფთა ტკბილი,

ალერსიანი სიტყვა. იგი ახალისებს, ტანჯვას უმსუბუ-ქებს, იმედსა და სიხარულს გვრის ადამიანს, აუმჯობე-სებს მის გუნება-განწყობილებას. სიტყვა ისეთი საოცა-რი და უებარი წამალია, რომელსაც ვერც ერთ აფთიაქ-ში ვერ იპოვით. თუ ჩვენს ალერსიან სიტყვას შეუძლია ადამიანი გააბედნიეროს, უკანასკნელი არამზადა უნდა იყო, რომ ამასაც უარი უთხრა და სიტყვა დაამადლო კაცს.

ადამიანებს უნდა ვასწავლოთ მანკიერ ჩვეულებათა მო-შლა, ცუდი აზრების უკუგდება. როცა ყრმა ჰემინგუეი ქუჩურ სიტყვებს ამბობდა, დედა აიძულებდა პირი საპ-ნით გამოერეცხა. ახალ ზელანდიაში, თურმე, უზრდე-ლობისა და უტაქტობისათვის ჯარიმაა დაწესებული და პატიმრობაც კია გათვალისწინებული. კარგი იქნება, ასეთი კანონი ჩვენშიაც რომ არსებობდეს.

თუ ადამიანის სიკეთე გვსურს, მასთან უნდა დავამ-ყაროთ ჭეშმარიტი მეგობრული, კეთილი, ძმური ურთი-ერთობა და ამოვძირკვოთ სიავე, შურლი, შური და ეგო-იზმი. ეს საჭიროა არა მარტო სოციალური თვალსაზრი-სით, არამედ ამის საჭიროება ფიზიოლოგიური თვალსა-ზრისითაცაა განპირობებული. ბოროტება, შური და სი-ავე კლავს ადამიანში ყოველგვარ სიკეთეს, აბნელებს მის სულსა და გულს.

ნათქვამია: „კაცი კაცის წამალიაო". თუ ეს ასეა, რა-შიც ეჭვი არ გვეპარება, მოდი, ჩვენც წამლად დავედოთ ერთმანეთს, გავუთბოთ გული და ამქვეყნიური ცხოვრე-ბის სითბო-სილამაზე განვაცდევინოთ.

1992 წლის მაისი

დისციპლინა ოჯახში იწყება

დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის აზრით, „სკოლა უდისციპლინოდ იგივეა, რაც წისქვილი უწ-ყლოდ". ეს იმიტომ, რომ სკოლა მოზარდი თაობის აღ-ზრდის სამჭედლოა, მაგრამ მანამდე, ვიდრე ბავშვი სკო-ლაში შევა, იგი ოჯახში იზრდება. გარდა ამისა, დროის უმეტეს ნაწილს იგი ოჯახში, მშობლებთან ატარებს.

ამიტომ ოჯახი წარმოადგენს ბავშვის ზნეობრივი აღზრდის ძირითად კერას, მისი კაცური კაცობის სათავეს. რა თვისებებსაც ჩაეყრება საფუძველი მოზარდის გრძნობა-უნებებში, ის თვისებები გაღრმავდება და განვითარდება მასში. ბავშვის თავიდან აღზრდა გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი ხელახალი აღზრდა. ოჯახში უდისციპლინო, თავნება და უხეში ყმაწვილი სკოლაში ძნელად გამოსასწორებელი ხდება. ამიტომაც ისე, როგორც ზოგადად აღზრდას, ბავშვის დისციპლინიანობისა და წესიერი ყოფაქცევის ჩვევების აღზრდასაც თავიდანვე უნდა დაუთმონ მშობლებმა ყურადღება. „ბავშვის დაბადების საათი არის მისი აღზრდის პირველი საათი," – აღნიშნავს გამოჩენილი შვეიცარიელი პედაგოგი ჰენრიხ პესტალოცი. ეს ბრძნული გამოთქმა უნდა გაიხადოს თითოეულმა მშობელმა თავის სახელმძღვანელო დებულებად.

დისციპლინის გარეშე ნებისმიერ საქმეში წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია. დისციპლინა ნიშნავს საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და მიზნებისადმი საკუთარი მოქმედების შეგნებულად დაქვემდებარებას, რაც თავის თავზე ძალდატანებას, საკუთარი თავის მართვას მოითხოვს. ამიტომაც აღნიშნავდა ა. ს. მაკარენკო: „...ჩვენ უფლება გვაქვს დისციპლინირებული ვუწოდოთ მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც ყოველთვის, ყოველგვარ პირობებში შეძლებს გამონახოს წესიერი, საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო სასარგებლო მოქმედება და გამოიჩენს სიმტკიცეს – ბოლომდე განაგრძოს ასეთი მოქმედება, ყოველგვარი სიძნელისა და უსიამოვნების მიუხედავად".

დისციპლინის აღზრდა ოჯახში მშობლებისა და ოჯახის უფროსი წევრებისადმი დამჯერებლობით იწყება. ამისათვის კი საჭიროა მშობლებმა პატარაობიდანვე წაუყენონ ბავშვებს გარკვეული მოთხოვნები, მაგრამ აღსაზრდელისადმი წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს პედაგოგიურად გამართლებული, ობიექტური და გონივრული, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ოჯახის რომელიმე წევრის მიერ ბავშვისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მოთხოვნა უნდა ატარებდეს კატეგორიულ ხასიათს. ნათელი, გასაგები და კატეგორიული მოთხოვნა საშუალე-

ბას არ აძლევს ბავშვს ეჭვი დაებადოს მშობლის მიერ წაყენებული მოთხოვნის შესრულების აუცილებლობაში. ამასთან, მოთხოვნების წაყენებისას უნდა გავუფრთხილდეთ აღსაზრდელის პირად ღირსებას. მუდამ უნდა ვიხელმძღვანელოთ ა. ს. მაკარენკოს მიერ შემუშავებული პრინციპით: „რაც შეიძლება მეტი მოსთხოვე ადამიანს და, ამასთან, რაც შეიძლება მეტი პატივი ეცი მას“.

უდისციპლინობა იწყება მაშინ, როცა ბავშვი საჭმელს იწუნებს, უმიზეზოდ ტირის, ჭირვეულობს, სათამაშოებს აუღლაგებელს ტოვებს და ა.შ. ზოგიერთი მშობელი კი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

მშობელთა ერთი ნაწილი არათუ ურიგდება შვილის ასეთ მოქმედებას, არამედ ზოგჯერ მისი დამცველის როლშიც გვევლინება. თუკი ვინმე გაბედავს და შენიშვნას მისცემს მის ბავშვს, იგი ცდილობს გაამართლოს შვილის საქციელი. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს ხდება ბავშვის თანდასწრებით, რითაც გამოუსწორებელ შეცდომას ჩავდივართ. „ამის წყალობით, — წერს კომენსკი, — მჩქეფარე სისხლი, თითქოს ცხენმა აღვირი აიწყვიტაო, სრულ თავისუფლებას აძლევს თვითნებობასა და დიდგულობას. ამიტომაც ამას უნდა გავუფრთხილდეთ“.

ზოგიერთი მშობელი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ შვილი გაიზარდა და არ უჯერებს. აქ, ჩვენი აზრით, ასაკი არაფერ შუაშია. თუ აღზრდას თავიდანვე სწორად წარემართავთ, შვილიც მუდამ რიდითა და პატივისცემით მოეპყრობა მშობლებს, მათ აზრს.

ზოგიერთი მშობელი კი ფიქრობს, რომ ბავშვი ჯერ პატარაა, გაიზრდება და თვითონ გაარჩევს ავსა და კარგს. ამგვარი მოსაზრება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მართალია, აღზრდის ამოცანები მთლიანად ადრეულ ასაკში არ წყდება, მაგრამ პიროვნების მომავალ ხასიათს და მის მორალურ სახეს ადრეულ ბავშვობაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი, რადგან „ბავში სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა“ (ი. ჭავჭავაძე).

ბავშვის ურჩობის, ჯიუტობისა და უდისციპლინობის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ამას დაკვირვება და საოჯახო აღზრდის პრაქტიკა გვიჩვენებს, მშობელთა უკიდეგანო, ბრმა სიყვარულია, როცა ისინი ყველაფერს იკ-

ლებენ, როგორც იტყვიან, წელზე ფეხს იდგამენ და შვილს „ჩიტის რძესაც“ არ აკლებენ. ასეთ შვილს ეჩვენება, რომ მამა და დედა იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ, თვითონ კი თავს არავის წინაშე დავალებულად არ გრძნობს.

ზოგჯერ ბავშვის დაუჯერებლობა, უდისციპლინობა და უხეშობა გამოწვეულია ცოლ-ქმარს შორის აღზრდის საკითხებში შეუთანხმებლობით, როცა მამა ერთს ურჩევს შვილს, დედა კი — მეორეს, ან დღეს თუ მკაცრად უკრძალავენ რაიმეს, ხვალ დათმობაზე მიდიან. ბავშვმა აღარ იცის, ვის დაუჯეროს, არ იცის, რა ეკრძალება და რა არა. ამიტომ იმას აკეთებს, რაც მოეპრიანება, რაც მას ხელს აძლევს. ასე ეჩვევა იგი სიტყვის შეუსრულებლობას და ეს ჩვეა თანდათანობით ჯიუტობაში გადაიზრდება ხოლმე, რასაც მოზარდი ზოგჯერ უფროსების მიმართაც ამჟღავნებს.

ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ მისი არც ერთი უმართებულო მოთხოვნა არ შესრულდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც დიდი ფრანგი განმანათლებელი, მწერალი და პედაგოგი ჟან-ჟაკ რუსო გვაფრთხილებს, იგი დაგვიმონებს, თავის ნებაზე გვატარებს. „ჯერ მოინდომებს ჯოხს, თქვენ რომ გიჭირავთ; სულ მალე იგი თქვენს საათს მოისურვებს, შემდეგ — ჩიტს, ჰაერში რომ ფრინავს, მერე ვარსკვლავს, ცაში რომ ბრწყინავს; მოინდომებს ყველაფერს, რასაც კი დაინახავს... და როცა, ბოლოს, იძულებული გახდებით რამეში უარი უთხრათ, ბავშვი ამ უარს მის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებად ჩათვლის, რადგან ფიქრობს, რომ ყველაფერი შესაძლებელია, თუკი მან ბრძანა“.

სამწუხაროდ, ბევრი მშობელი ამას არ ითვალისწინებს. მე ვიცნობ ერთ ოჯახს. იქ იზრდება პატარა ბიჭუნა. იგი ჯერ კიდევ სამი წლისაც არ არის, მაგრამ მშობლები უკვე დამორჩილებული ჰყავს. ბავშვმა იცის მშობლების სუსტი მხარეები და კარგადაც იყენებს მათ. საკმარისია ატირდეს, იატაკზე გაგორდეს, დაიწყოს ფეხების ბრახუნი, რომ დედამ ან ბებიამ შეუსრულოს ყოველგვარი მოთხოვნა. როცა ოჯახის რომელიმე წევრი უწყრება, იგი იწყებს ტირილს, თან ცალი თვალით გვე-

რდზე იხედება და თუ რომელიმეს ვამომეტყველებაში სიბრალულს შეამჩნევს, ხელგაშლილი მისკენ გარბის

შეუთანხმებლობას აღზრდაში უფრო მეტად იმ ოჯახებში ვხვდებით, სადაც, მშობლების გარდა, აღზრდაში მონაწილეობენ ბებია, ბაბუა, მამიდა და სხვები.

ბავშვის აღზრდის საკითხში ოჯახის წევრებს შორის შეუთანხმებლობას რომ არ დაურჩეს ადგილი, საჭიროა ოჯახის უფროსმა წევრებმა გაინაწილონ ცალკეული ფუნქციები. ვთქვათ, მამამ ყურადღება მიაქციოს ბავშვის სწავლასა და სკოლაში მის ქცევას, დედამ – მის ჩაცმა-დახურვას, ჰიგიენური წესების დაცვას, გართობა-დასვენებას, ბებიამ – თვითმომსახურეობას, საოჯახო საქმეებში მონაწილეობას და ა.შ. არასოდეს არ უნდა დავუშალოთ ბავშვს ოჯახის რომელიმე წევრის დავალების შესრულება, თუნდაც იგი უმართებულო იყოს. ეს გამოიწვევს დავალების მიმცემის ავტორიტეტის შელახვას. სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი ამას არ ერიდება.

ბავშვის ურჩობისა და ჯიუტობის ერთ-ერთი მიზეზია ისიც, რომ მშობლები მასთან დამოკიდებულებაში იყენებენ ასაკობრივ თავისებურებებს, ვერ ამჩნევენ იმ ცვლილებებს, რაც მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე სდება. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი იზრდება, ვითარდება და იცვლება. ყოველივე ეს კი აღმზრდელისაგან ყველა ასაკში განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს. სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვს რომ თავზე ხელს გადაუსვამ და მოეფერები, იგი სიხარულით გაიბადრება, მაგრამ თუ იგივეს გავაკეთებთ გარდამავალი ასაკის ბავშვის მიმართ და ისიც ამხანაგების თანდასწრებით, იგი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს და შეიძლება კიდევაც გაგვინაწყენდეს.

ზოგჯერ პირიქითაც ხდება – მშობლები ხედავენ, რომ ბავშვი ცუდად სწავლობს, უხეშობს, არ ასრულებს დღის რეჟიმს, უარს ამბობს თვითმომსახურებაზე, მაგრამ ყოველივე ამას ისინი გარდამავალი ასაკის თავისებურებად მიიჩნევენ და ფიქრობენ, გაივლის ეს პერიოდი და ბავშვიც გამოსწორდებაო. ასეთ თვალსაზრისს მივყავართ აღზრდაში თვითდინებამდე, რაც ბავშვის ურ-

ჩობას კიდევ უფრო განამტკიცებს. სინამდვილეში ეს სიძნელეები ძირითადად გამოწვეულია განვითარების წინა წლებში ბავშვის ცხოვრებისა და საქმიანობის არასწორი ორგანიზაციით, რაც თავს იჩენს გარდამავალ ასაკში. ბავშვის აღზრდისას, ასაკობრივ თავისებურებებთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ მათი ინდივიდუალური თავისებურებებიც, რადგან ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ნებისყოფით, ყურადღებით, ინტერესით, ტემპერამენტით და ა.შ. „ისე, როგორც ხეზე არ არის ორი სრულიად ერთმანეთის მსგავსი ფოთოლი, — წერს უშინსკი, — ისე არ არის ორი ადამიანი, რომელთა ბუნებრივი ტემპერამენტი სრულიად ერთმანეთის მსგავსი იყოს". ამიტომ აღზრდის პროცესში ყველა ბავშვისადმი ერთნაირად მიდგომა დაუშვებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ სახლს ვაშენებდეთ და მხედველობაში არ მივიღოთ საშენი მასალის სახე და ხარისხი, ან შევეცადოთ იალქნიანი ნავის მართვას ქარის მიმართულების გაუთვალისწინებლად.

როცა ბავშვებში დისციპლინის აღზრდაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს შეგნებული დისციპლინა და არა ბრმა, უსიტყვო მორჩილება. დისციპლინიანობა ბავშვის შინაგანი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს, მისი ხასიათის განუყოფელ თვისებას უნდა შეადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი მოჩვენებითი იქნება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მშობლის გაუთავებელი ჩიჩინი და დარიგებები ბავშვისათვის მომაბეზრებელი ხდება. საჭიროა მოკლე და გასაგები ახსნა, კატეგორიული მოთხოვნა — რა, როდის და რისთვის აკეთოს ესა თუ ის საქმე. ამის შემდეგ თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ დავალება დროზე და ხარისხიანად შეასრულოს. თუ იგი ჩვენი მოთხოვნის მიხედვით არ არის შესრულებული, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მან ზუსტად გააკეთოს ის, რაც დავავალეთ. ჩვენ კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავასრულოთ ბავშვის მიერ დაწყებული საქმე, არამედ უნდა ვასწავლოთ მისი შესრულების გზები. საჭირო შემთხვევაში უნდა მივმართოთ სასჯელის ზომებსაც, როგორიცაა: კინოსეანსებზე, კონცერ-

ტებზე, ფესვურთის მატჩზე დასწრების აკრძალვა, ექსკურსიის ან რაიმე გართობის დროს ამხანაგებისაგან ჩამოშორება და ა.შ.

დისციპლინის აღზრდის საკითხში ჟან-ჟაკ რუსო „ბუნებრივი შედეგების“ თეორიას იცავდა, რომელიც გამორიცხავს დასჯის ნებისმიერი ზომის გამოყენებას აღზრდაში. მისი თეორიის თანახმად, ბავშვში დისციპლინა უნდა აღიზარდოს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე. ბავშვი თვითონ ცხოვრებამ, პრაქტიკამ, საკუთარმა გამოცდილებამ უნდა მიიყვანოს დისციპლინისა და წესრიგის დაცვის აუცილებლობის შეგნებამდე. „ბუნებრივი შედეგების“ თეორია ხელს უწყობს აღმზრდელობით მუშაობაში თვითდინებისა და სტიქიურობის დამკვიდრებას. ამიტომ ეს თეორია ჩვენთვის მიუღებელია.

შეგნებული დისციპლინის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა დღის რეჟიმი, რომლითაც განისაზღვრება აღსაზრდელის ადგომა-დაწოლის, ძილის, სწავლის, დასვენების, თამაშის, კვების, ვარჯიშისა და მოქმედების სხვა სახეები.

მშობლებმა პატარაობიდანვე უნდა შეაჩვიონ ბავშვი ზუსტად განსაზღვრულ საათებში დაძინებასა და გაღვიძებას, ჭამას, გაკვეთილების მომზადებას, დასვენებას და სხვა. მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, ხშირად ვერ იცავენ ზომიერებას, არ იციან, რა მოსთხოვონ და როგორ მოსთხოვონ ბავშვს. ზოგჯერ აღსაზრდელს უკრძალავენ იმას, რისი აკრძალვაც არაა საჭირო ან ნებას აძლევენ გააკეთოს ის, რაც მის ასაკს არ შეეფერება. მაგალითად, თუ კარგ გუნებაზე არიან, სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვს ნებას აძლევენ დიდხანს ითამაშოს, გვიან ღამემდე უცქიროს სატელევიზიო გადაცემას და სხვა, რაც ხელს უწყობს ბავშვში არასასურველი კლიმატის შექმნას.

ზოგჯერ ბავშვების უდისციპლინობის მიზეზია უფროსების უარყოფითი ქცევის მაგალითი. ამიტომაც ბავშვის გარემოს პედაგოგიზაციას და უფროსების პირად მაგალითს დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინის აღზრდაში. მისი ეფექტურობა განსაკუთრებით თავს იჩენს სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში, როდესაც

ბავშვი მიბაძვის დიდ ტენდენციას ამჟღავნებს. ბავშვისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების პირად მაგალითს. ვერავითარი პედაგოგიური უნარი, ცოდნა და გამოცდილება ვერ უშველის ისეთ მშობელს, რომელიც თვითონ არღვევს დისციპლინას, ვერ იძლევა მაღალი მორალის მაგალითს. თუ მშობლები ოჯახში გამუდმებით ყვირიან, ჩხუბობენ, ხმამაღლა ლაპარაკობენ, თვითონ არღვევენ დადგენილ რეჟიმს, როცა მოეპრიანებათ, მაშინ ჯდებიან საუზმესა თუ სადილ-ვახშამზე, ყველა თავისი ნება-სურვილით მოქმედებს, არ არის დანერგილი ერთიანი მომთხოვნელობა, შინაგანი დისციპლინა, ცხადია, ბავშვიც ჯიუტი, თავნება და უდისციპლინო იქნება. ამიტომ, პირველ რიგში, თვით დედა და მამა უნდა იყვნენ სიტყვითა და საქმით სამაგალითონი, რათა ჰქონდეთ მორალური უფლება. წესრიგისა და დისციპლინისაკენ მოუწოდონ შვილებს.

ამრიგად, ბავშვის უხეშობა და უდისციპლინობა სრულიად არ წარმოადგენს თანდაყოლილ თვისებას. ასეთ ჩვევებს ბავშვები მეტწილად მოუწესრიგებელ გარემოსა და ადრეულ ასაკში არასწორი აღზრდის პირობებში ითვისებენ. ამიტომ ბავშვის უდისციპლინობისა და ჯიუტობის მიზეზი ძირითადად ოჯახში აღზრდის დროს დაშვებულ შეცდომებში უნდა ვეძიოთ, რადგან აღზრდის აკვანი პირველად ოჯახში ირწევა. აქედან გამომდინარე, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენს ბავშვებში კეთილმა ნერგმა იხაროს.

1983 წლის ოქტომბერი

კულტურული ჩვევების აღზრდა ოჯახში

მრავალმხრივად განვითარებული,მორალურად სრულყოფილი პიროვნების, ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი კულტურული ჩვევების აღზრდას უჭირავს. განსაკუთრებით დიდია მისი

მნიშვნელობა დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს დიადი გარდაქმნები, ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რათა კიდევ უფრო დაიწმინდოს მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, რაც ახლო წარსულში შეიქმნა და დამკვიდრდა საქართველოს სინამდვილეში.

საზოგადოებაში ქცევის მაღალი კულტურის დანერგვის გადაუდებელი საჭიროება დღევანდელი ცხოვრებითაცაა ნაკარნახევი: მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და მექანიზაცია, ცხოვრების თანამედროვე დონე და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება მოითხოვენ, რომ თანამედროვე ადამიანი იყოს გონიერი, მცოდნე და განათლებული, ერუდირებული, კულტურული, დისციპლინიანი და თავდაჭერილი, ზრდილი, თავაზიანი და ჰუმანური — საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესების, კანონებისა და ნორმების დამცველი.

ქცევის მაღალი კულტურა არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ მთელი საზოგადოების, ერის გაჯანსაღების საწინდარია. ამიტომაც იყო, რომ მოზარდ თაობაში კულტურული ჩვევების აღზრდას ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. თავაზიანი, სათნო და კეთილი ჯენტლმენის აღზრდა XVII საუკუნის გამოჩენილი ინინგლისელი ფილოსოფოსისა და პედაგოგის ჯონ ლოკისათვის პროგრესიული აღზრდის საუკეთესო იდეალს წარმოადგენდა. მისი აზრით, „...ზრდილობიანობის გარეშე, ყველა დანარჩენი თვისებების მიუხედავად, ბავშვში შეიმჩნევა ამპარტავნული, ყოყოჩური, მედიდური, ხან კიდევ — უჭკუო ადამიანის სახე. ცუდად აღზრდილ ადამიანში სითამამე უხეშობად იქცევა, სწავლულობა — პედანტიზმად, გონებამახვილობა — ჯამბაზობად, უბრალოება — გაუთლელობად, გულკეთილობა — მლიქვნელობად; ერთი სიტყვით, არ არსებობს კარგი თვისება, რომელიც არ მახინჯდებოდეს ზრდილობიანობის გარეშე“.

იან ამოს კომენსკის შეხედულებით, ბავშვებში თავიდანვე უნდა ვზრდიდეთ ზომიერების გრძნობას, კულტურულ ჩვევებსა და მანერებს: „ზომიერების სწავლება, — წერს იგი, — უნდა გრძელდებოდეს მანამ, სანამ სწავლა გრძელდება: ბავშვი უნდა დაეჩვიოს ზომიერების დაცვას

ჭამასა და სმაში, ძილსა და მღვიძარებაში, შრომასა და თამაშობაში, ლაპარაკსა და დუმილში".

ბავშვებში კულტურული ჩვევების ჩანერგვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ აგრეთვე გამოჩენილი რუსი მოაზროვნეები, როგორიც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, უშინსკი და სხვები.

კულტურული ყოფაქცევის უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ ასევე შოთა რუსთაველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გაბრიელ ქიქოძე და სხვები.

ბოზარდებში კულტურული ჩვევების ჩანერგვა ძველთაგანვე ჩვენი ხალხის საუკეთესო ნაწილის ყურადღებისა და ზრუნვის საგანს წარმოადგენდა.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ ერკვევიან ყოფაქცევის ელემენტარულ საკითხებში — არ იციან წესიერად არც ჯდომა, არც ჭამა, არც ჩაცმა-დახურვა, ლაპარაკი, საზოგადოებაში თავის დაჭერა და ა.შ. ამიტომაც გადავწყვიტეთ მკითხველის ყურადღება შეგვეჩერებინა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე.

ქცევის კულტურის ცნება

როცა კულტურული ჩვევების აღზრდაზე ელაპარაკობთ, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, გავარკვიოთ რა იგულისხმება ქცევის კულტურის ცნებაში. ცნების სწორი და მართებული გაგება აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ამის გარეშე ძნელია ნებისმიერი საკითხის სწორად გადაწყვეტა.

სიტყვა „კულტურა" ლათინურია და პირდაპირი გაგებით განათლებულობას, ნაკითხობას, ზრდილობას ნიშნავს.

ადამიანის ქცევის კულტურაში ჩვეულებრივ გულისხმობენ ამა თუ იმ საზოგადოების, ერისა თუ ხალხის მიერ ისტორიულად შემუშავებულ ქცევის იმ უნარ-ჩვევებსა თუ მანერებს, რომელთაც ესა თუ ის პიროვნება ავლენს ცალკეულ ადამიანებთან ურთიერთობასა თუ

ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამრიგად, ქცევის კულტურა ფართო ცნებაა, რომელიც ღრმად განათლებულობას, მრავალმხრივი ცოდნის შეთვისებას, მოწინავე საზოგადოების მიერ შემუშავებულ, საყოველთაო ნორმად ქცეულ კარგი ტონის მანერების შესაბამისად მოქცევას გულისხმობს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზრდილობიანი ქცევის მანერების ცოდნა არ ნიშნავს იმას, რომ ამ წესებისა და ნორმების მცოდნე ადამიანი კულტურულია. ზნეობრივ კულტურასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც თავაზიანი ქცევის წესების ცოდნა რეალურად მჟღავნდება ადამიანებთან დამოკიდებულებაში, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასა და ყოველდღიურ საქმიანობაში. კაპიკია იმ ადამიანის ფასი, ვინც ლამაზად თავის დაკერა და დანა-ჩანგლის სწორად ხმარება იცის, მაგრამ ადამიანების მიმართ უხეში და უგულოა. ნამდვილად კულტურულია მხოლოდ ის ადამიანი, ვინც ზრდილობისა და თავაზიანობის ჩვევები აითვისა არა ავტომატურად, არამედ მთელი შეგნებით, ვისთვისაც ადამიანებთან ადამიანური ურთიერთობა არის ორგანული მოთხოვნილება და ქცევის ერთადერთი ფორმა.

ზრდილობიან და კულტურულ ადამიანს ყველგან და ყოველთვის შესწევს უნარი საკუთარი თავის მართვისა. ის თავდაჭერილია როგორც ოჯახში, ისე სამსახურსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. იგი ადამიანებს ეპყრობა ყურადღებით, იჩენს მათდამი მზრუნველ დამოკიდებულებას და სხვებისაგანაც ასეთივე დამოკიდებულებას მოითხოვს.

კულტურული ქცევის შინაარსი

კულტურული ადამიანისათვის დამახასიათებელია თავმდაბლობა, თავაზიანობა, მოკრძალება, დახვეწილობა, სულიერი სიფაქიზე, გულისხმიერება, ლამაზი მანერები, კარგი მეტყველება და სიტყვა-პასუხი, თავშეკავებულობა, საკუთარი თავმოყვარეობის გრძნობა და ა.შ.

ამ ბოლო დროს ჩვენში ლაპარაკობენ ასევე პიროვნების პოლიტიკურ კულტურაზე, ჩაცმა-დახურვის კულ-

ტურაზე, შრომის კულტურაზე, სუფრასთან მოქცევის კულტურაზე, ჰიგიენის კულტურაზე, ესთეტიკურ კულტურაზე, ქუჩაში მოძრაობის კულტურაზე და ა.შ. თუ ასე გავაგრძელებთ, მივიღებთ პიროვნების კულტურული ქცევის ოცზე მეტ კომპონენტს.

როცა მეცნიერები კულტურული ქცევის შინაარსსა და სტრუქტურაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ, მიუთითებენ შინაგან და გარეგან კულტურებზე. *შინაგან კულტურაში* იგულისხმება ადამიანის ინტელექტუალური განვითარების მაღალი დონე, მისი მსოფლმხედველობა, ესთეტიკური გემოვნება, ზნეობრივი სისპეტაკე და სხვა, *გარეგანი კულტურა* კი ვლინდება ადამიანის პირად ჰიგიენასა და ლამაზი ტონის მანერებში (მოხდენილად ჩაცმა-დასურვა, დახვეწილი მეტყველება, თავაზიანობა, ზრდილობიანობა და სხვა).

ავტორთა ერთი ნაწილი მიუთითებს შინაგანი და გარეგანი კულტურების ურთიერთდამოკიდებულებაზე. ისინი შინაგან კულტურას განიხილავენ როგორც ძირითადს, ამოსავალ საწყისს, ხოლო გარეგანს — მისგან ნაწარმოებს, მეორეულს. შინაგანი და გარეგანი კულტურის დიალექტიკა უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ა. მაკარენკოს აზრით, მხოლოდ გარეგანი კულტურა ამაღლებს ადამიანს საკუთარ თვალში და ეხმარება მას, მტკიცედ დადგეს ფეხზე. სიფაქიზე, თავაზიანობა — ეს ის ჩვევებია, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ნებისმიერ კულტურულ ადამიანს.

ამ სიტყვებში კარგად ჩანს პედაგოგებისა და ფსიქოლოგებისათვის ცნობილი კანონზომიერება იმის შესახებ, რომ ხშირი განმეორების შედეგად ქცევის გარეგანი საშუალებანი შეიძლება პიროვნებას გადაექცეს მოთხოვნილებად, ჩვევად. ამაშია შინაგანი და გარეგანი კულტურის ერთიანობა.

ამრიგად, ადამიანის გარეგანი კულტურა მისი შინაგანი კულტურის გამოხატულებაა.

მოზარდის შინაგანი და გარეგანი კულტურის ელემენტების შერწყმა ოჯახის, სკოლისა და მთელი საზოგადოებრიობის საზრუნავია. მათი განმტკიცება, დახვეწა და გაღრმავება სწავლის პროცესში და მთელი ცხოვ-

რების მანძილზე ხორციელდება.

გარშემომყოფთა პატივისცემა და კეთილსინდისიერ ადამიანთა მხარდაჭერა ყოველი ჭეშმარიტი ადამიანის ზნეობრივი ვალია. ადამიანების ქცევა და მოქმედება საზოგადოებაში უკვალოდ არ ქრება. იგი დადებით ან უარყოფით გაელენას ახდენს სხვა ადამიანების მოქმედებასა და გუნება-განწყობილებაზე. ხანდახან, ერთი შეხედვით, სულ პატარა, უმნიშვნელო დეტალმაც კი – *მისალმებამ* შეიძლება გუნება შეგიცვალოთ, რადგან სწორედ სალმით იწყება ჩვენი ყოველი დღე, შრომითი საქმიანობა. ამიტომ მისალმების დროსაც საჭიროა ზომიერება, ტაქტი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნებას, რომელსაც ესალმებიან, სახეში უყურებენ და თავაზიან, მეგობრულ სალამს აძლევენ და არა ქედმაღლურს, გამომწვევს. თუ ახალგაზრდა ვაჟი ქალს ან ასაკით უფროს მამაკაცს ესალმება, ფეხზე უნდა ადგეს, ხოლო ქალიშვილი ადგილიდან წამოიწევს და ისე მიესალმება უფროსებს.

ხშირად კამათობენ იმაზე, თუ ვინ უნდა მიესალმოს პირველად. საზოგადოების განვითარების მანძილზე ადამიანებმა გამოიმუშავეს ეთიკური ნორმები, რომლის მიხედვით უმცროსი ყოველთვის პირველი ესალმება უფროსს, კაცი – ქალს, ხელქვეითი – ხელმძღვანელს, მოსული – დამხვდურთ. სტუმარი ჯერ ესალმება დიასახლისს და ოჯახის უფროსს (ხელის ჩამორთმევით), შემდეგ კი სხვებს, მაგრამ თუ წვეულებაა, ყველაზე ცალცალკე ხელის ჩამორთმევა არაეთიკურია.

გამელეული ყოველთვის პირველი ესალმება იმას, ვინც დგას. ამ შემთხვევაში სქესსა და ასაკს არა აქვს მნიშვნელობა. მარტო მყოფი მამაკაცი კი ყოველთვის პირველი ესალმება ვაჟს, რომელიც ქალთან ერთადაა.

მისალმებისას უფროსი პირველი უწვდის ხელს უმცროსს, ქალი – კაცს, მასწავლებელი – მოსწავლეს, ხელმძღვანელი – ხელქვეითს. ხელის ჩამორთმევისას ულამაზოა მაგიდის გადაღმა ხელის გადაწოდება, ხელზე ხელის მოჭერა ან სხვა მკვეთრი მოძრაობა. მამაკაცი ქალს ხელს მხოლოდ მაშინ ართმევს, თუ ეს უკანა-

სანელი გაუწვდის მას ხელს.

ქუჩაში ერთმანეთს ვესალმებით ქუდის მოხდით ან მისი ოდნავი წამოწევით. ეს არ ეხება ნაქსოვ და ყურებიან ქუდს. ჰიგიენურად გაუმართლებელია პირზე კოცნით მისალმება, რაც ამ ბოლო დროს მოდად იქცა. ასევე მიუღებლად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კევის ღეჭვა, თმის ყარცხნა, კბილების ჩიჩქნა და ა.შ.

კლასში ან აუდიტორიაში შესულ მასწავლებელს, ლექტორს ან სხვა ასაკით უფროს პირს ახალგაზრდობა ფეხზე ადგომით ესალმება. ფეხზე დგება ‘უკლებლივ ყველა და მხოლოდ ნებართვის შემდეგ სხდებიან. ფეხზე წამოდგომა მისალმებასაც ნიშნავს და პატივისცემასაც.

მოსწავლე მასწავლებელს მიმართავს: „პატივცემულო მასწავლებელო!“ მასზე უფროსებს კი სახელით, მაგალითად: „პატივცემულო გიორგი“, „ბატონო ნოდარ!“, „ქალბატონო თინა!“ და ა.შ. თანატოლებს მოსწავლე მიმართავს საკუთარი სახელით: „ნოდარ“, „გურამ“, „ნინო“ და სხვა.

სტუდენტი ლექტორს მიმართავს: „ბატონო გიორგი!“, „ქალბატონო ეთერ!“ და ა.შ. თუ ლექტორის სახელი არ იცის: „პატივცემულო ლექტორო!“ ეთიკურად მიუღებელია, როცა მოსწავლე ან სტუდენტი თავის მასწავლებელს მიმართავს მხოლოდ „პატივცემულოთი“.

უცნობი ადამიანები ერთმანეთს ყოველთვის თქვენობით მიმართავენ. თქვენობით მიმართავს ასევე ასაკით უმცროსი უფროსს, მოსწავლე – მასწავლებელს, სტუდენტი – ლექტორს, ხელქვეითი – უფროსს.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარ მისალმებას ეკარგება ფასი, თუ ამას სახის სათანადო გამომეტყველება არ ახლავს. ღიმილით გაცისკროვნებული სახე ხალისიან გუნება-განწყობილებაზე აყენებს ადამიანს, ზრდის მის ‘რომისუნარიანობას.

ადამიანის საერთო კულტურის ნაწილია *მეტყველების კულტურა*. კარგი მეტყველება ამშვენებს და ალამაზებს ადამიანს, ანიჭებს მსმენელებს ესთეტიკურ ტკბობას, აღძრავს დადებით ემოციებს.

ჩვენი ენა უაღრესად მდიდარია თავაზიანობისა და

ერთმანეთისადმი კულტურული დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვებითა და ტერმინებით: „მობრძანდით!“, „დაბრძანდით!“, „ინებეთ!“, „მიირთვით!“, „რით გემსახურეთ?“, „რას ინებებთ?“, „ნება მიბოძეთ!“, „შენი ჭირიმე!“, „შენ გენაცვალე!“, „შენ შემოგევლე!“ და ა. შ.

ყოველი ასეთი სიტყვის ხმარებისას ადამიანის მეტყველებაში გარკვეული სინაზე უნდა გამოსჭვიოდეს, ხოლო ქცევაში – მოძრაობის სათანადო დახვეწილობა. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ის, ვინც დინჯად, ტკბილად და შთამაგონებლად საუბრობს, მას ყოველთვის გულისყურით უსმენენ და ცდილობენ თვითონაც ისე ისაუბრონ. ე.ი. მიბაძონ მას, უდიერს კი უდიერადვე პასუხობენ, შემტევს – შემტევი ტონით და ა.შ.

ხრდილობიანი ადამიანი საზოგადოებაში არ ილაპარაკებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: პირადი საქმეები, თანამშრომელთა ურთიერთდამოკიდებულება სამსახურში, გემოვნება, საკუთარი ბავშვები და ა.შ. იგი არ დაიწყებს საუბარს ისეთ საკითხებზე ან თემაზე, რომელიც გაუგებარი დარჩება თუნდაც ერთი დამსწრისათვის. ეს უხრდელობაა. უზრდელობაა ასევე საზოგადოებაში ქარაგმებით (გადაკვრით) ლაპარაკი, რაც გასაგებია მხოლოდ დამსწრეთა ნაწილისათვის. დაუშვებელია აგრეთვე ლაპარაკი უცხო ენაზე იმ ადამიანთა თანდასწრებით, რომლებიც ამ ენას არ ფლობენ.

საუბრის დროს საშიში თემაა ასაკი. ხანში შესულ ადამიანთან არ იტყვიან – „ის უკვე მოხუცია“ ან „აბა, ამ ასაკში“... საერთოდ, საზოგადოებაში სხვისი ასაკით დაინტერესება არ შეიძლება.

უზრდელობაა, როდესაც ნაცნობს ეკითხებიან, თუ რატომ არ გათხოვდა, და უკვირთ ეს. ამ თემაზე ყოველგვარი ქარაგმა უადგილოა.

სიმპატიას არ იმსახურებს ის ადამიანი, რომელიც საზოგადოებაში ლაპარაკობს თავისი წარმატებების, საუკეთესო თვისებებისა და ნიჭის შესახებ.

არც ისაა ლამაზი, რომ საზოგადოებაში ვილაპარაკოთ იმ ადამიანზე, ვინც იქ არ არის ან ვისაც საზოგადოება არ იცნობს. ასეთ საუბარს ჭორაობაში ჩამოგვართმევენ. ასეც რომ არ იყოს, ლაპარაკი პიროვნება-

ზე, რომელსაც უმრავლესობა არ იცნობს, მოსაწყენია.

საუბრის დროს ხანდახან საჭიროა ჩავურთოთ მოკლე შენიშვნები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ გულდასმით ვუსმენთ მოსაუბრეს. თუ ამბავი ჩვენთვის უკვე ცნობილია, სჯობს თავიდანვე შევნიშნოთ – „ვიცი, გამიგონია", მაგრამ ზრდილობიანი ადამიანი ამას არასოდეს არ გააკეთებს – არ შეაწყვეტინებს თანამოსაუბრეს თხრობას, თუგინდ ასჯერ მოესმინოს ნათქვამის შინაარსი.

მეტყველების კულტურის შემადგენელი ნაწილია *მოსმენის კულტურა*, რაც ამკობს და ალამაზებს ნებისმიერი რანგისა და ასაკის კაცს. სამწუხაროდ, ბევრ ჩვენს ახალგაზრდას სწორედ ეს აკლია. ზოგიერთი მოსწავლე თუ სტუდენტი გაკვეთილებსა და ლექციებზე ლაპარაკობს ან სხვა საქმითაა გართული, რითაც დისონანსი შეაქვს პედაგოგიურ პროცესში. ბ. ბელინსკის სამართლიანი შენიშვნით, სიტყვებისა და აზრების ყურადღებით მოსმენა ერთგვარი ხელოვნებაა, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ, ყველა როდი ფლობს. მოსწავლე ახალგაზრდობამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ადამიანს ორი ყური და ერთი პირი იმიტომ აქვს, რომ ბევრი მოისმინოს და ცოტა ილაპარაკოს. ამიტომაც უთქვამს ჭკვიან კაცს – „სიტყვა ვერცხლია, დუმილი კი – ოქრო".

ოჯახში წყნარად, დინჯად და ხმადაბლა უნდა ვილაპარაკოთ, რათა მეზობლები არ შევაწუხოთ. გარდა ამისა, დაბალ ხმაზე ლაპარაკი სხვა ადამიანების პატივისცემასაც ნიშნავს. ადამიანები ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში ერთმანეთს უნდა ზოგავდნენ და უფრთხილდებოდნენ. ეს ყოველი კულტურული ადამიანის წესია.

როცა სახლიდან გავდივართ, აუცილებლად უნდა დავიბაროთ, სად მივდივართ და როდის დაებრუნდებით. ამას თავაზიანობაც მოითხოვს და ოჯახის წევრთა პატივისცემაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი ხშირად არღვევს საოჯახო ცხოვრების ამ ეტიკეტს, განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდებს.

კულტურული ქცევის აუცილებელი პირობაა ასევე *პირადი ჰიგიენა*. ყოველი ადამიანი ვალდებულია დი-

ლით, ადგომისთანავე, გაანიავოს ოთახი, ხელ-პირი დაიბანოს ცივი წყლით, გაიწმინდოს კბილები, ჩაიცვას სუფთად, სადად და კოხტად. თუ ადამიანს გარეგნულად ლამაზად აცვია, მაგრამ შიგნით ჭუჭყიანია, მის კულტურაზე ლაპარაკი ზედმეტია. ზოგიერთი ვაჟი ან ქალიშვილი თავს იწონებს უცნაური ჩაცმულობით, რაც უგემოვნების ნიშანია.

პირს ყოველდღე უნდა ვიპარსავდეთ, ფრჩხილებს ვისუფთავებთ, ყურადღებას ვაქცევდეთ თმის ვარცხნილობასა და ტანსაცმლის სისუფთავეს. იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც ადამიანი წვერგაპარსულია, მაგრამ დაუუთოვებელი შარვალი აცვია, ან პირიქით. როდესაც ლაპარაკია წესრიგზე, სისუფთავესა და ჰიგიენაზე, ამ დროს არც ერთი წვრილმანი მხედველობიდან არ უნდა გამოგერჩეს.

ქალიშვილები სისტემატურ ყურადღებას უნდა აქცევდნენ პირად ჰიგიენასა და კოსმეტიკას, მაგრამ ზედმეტი კოსმეტიკითა და მოდით გატაცება, ასევე მეტი სუნამოს ხმარება პროვინციულობის, უკულტურობის ნიშანია.

შინ მოსვლისთანავე საგარეო ტანსაცმელი უნდა გაეიხადოთ და საშინაო ჩავიცვათ. გახდილი ტანსაცმელი კი მაშინვე „საბრძოლო მზადყოფნაში" უნდა მოვიყვანოთ და საკიდლებით თავის ადგილზე ჩამოვკიდოთ. ამას არა მარტო ადამიანის ქცევის კულტურა მოითხოვს, არამედ ასეთი მოვლით ტანსაცმელიც დიდხანს ძლებს.

შინ ისევე მოხდენილად და სუფთად უნდა გამოვიყურებოდეთ, როგორც გარეთ. ეს საჭიროა კარგი განწყობილებისათვის. საშინაოდ ლამაზად გამოწყობილი ადამიანი მოსაწონი და სასიამოვნოა როგორც ოჯახის წევრებისათვის, ისე შემოსწრებული სტუმრებისათვის.

თუ სტუმარმა იმ დროს შემოგვისწრო, როცა პიჟამა გვაცვია, მაშინვე ხალათი უნდა გადავიცვათ.არაჰიგიენურია საწოლზე ჯდომა, ტანსაცმლით წამოწოლა და ა.შ.

ზოგიერთი ვაჟი ან გოგონა მეტ ყურადღებას უთმობს თავის გარეგნულ სილამაზეს, ლაპარაკში „უცხო" სიტყვების ხმარებას, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს თავისი საცხოვრებელი ბინის წესრიგზე, სისუფთაესა და ესთე-

ტიკურ მხარეზე, არა აქვს წესიერად გასწორებული საწოლი, უადგილო ადგილას უყრია წიგნები და ა.შ. მათ უნდა მოვაგონოთ, რომ უწესრიგობა, უსუფთაობა, ავეჯისა და ნივთების უსისტემო განლაგება, უმრავლეს შემთხვევაში, ამ ბინაში მცხოვრებთა დაბალი კულტურის მაჩვენებელია.

ყოვლად დაუშვებელია ასევე თეთრეულის, საცვლების გამოკიდება სახლის ფასადის მხრიდან. ქუჩაში გამავალი აივნები თავისუფალი უნდა იყოს ნივთებისა და ძველმანებისაგან. ოჯახის წევრთა კულტურა მოითხოვს, რომ სათანადო ყურადღება მიექცეს არა მარტო საცხოვრებელი ბინის წესრიგსა და სისუფთავეს, არამედ მის გარეგან ხედსაც.

უნდა შევეხოთ ასევე ზოგიერთ საყოფაცხოვრებო ჩვევებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, წვრილმანად გვეჩვენება, სინამდვილეში კი პიროვნების კულტურული სახის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ასე, მაგალითად, კულტურულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ, როცა *სტუმრად* მიდის მეგობრის დღეობაზე ან სხვა შემთხვევაში, არ უნდა დაიგვიანოს და ამით უხერხულობა არ უნდა შეუქმნას არც სხვას და არც საკუთარ თავს. არც დანიშნულ დროზე ადრე მისვლაა მიზანშეწონილი, რადგან ამ დროს დიასახლისი სუფრის გაწყობით იქნება დაკავებული და საქმეს მოცდება.

თუ მოსწავლეს ეწვივნენ ამხანაგები, რომლებსაც მშობლები არ იცნობენ, საჭიროა ჯერ დედას წარუდგინოს ისინი, შემდეგ კი მამას და ოჯახის სხვა წევრებს.

თუ გვსურს ერთმანეთს გავაცნოთ სხვადასხვა ასაკის ორი ქალი, სწორი იქნება, თუ მათ შორის უფროსს მივმართავთ: „ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ“, და წარმოვთქვამთ ჯერ ახალგაზრდის, შემდეგ კი უფროსი ქალის სახელსა და გვარს. როცა გვსურს რამდენიმე პიროვნება ერთდროულად გავაცნოთ ცნობილ, დამსახურებულ ადამიანს, მის გვარს სრულებით არ წარმოვთქვამთ (იგულისხმება, რომ გვარი ყველამ იცის). საკუთარი ცოლი, ქმარი, ვაჟი და ქალიშვილი უნდა გავაცნოთ სიტყვებით: „ჩემი ცოლი“, „ჩემი ბიჭი“, „ჩემი ქალიშვილი“ და ა. შ. გამონაკლისს ამ წესიდან შეად-

გენს მშობლებთან გაცნობა: ყველა ნაცნობს წარვუდგენთ მშობლებს და არა პირიქით“.

ახალი თანამშრომელი კოლექტივს უნდა გააცნოს (წარუდგინოს) ხელმძღვანელმა. ძველმა თანამშრომლებმა ახალმოსულის მიმართ ისეთი გულისხმიერება უნდა გამოიჩინონ, რომ ამ უკანასკნელმა ახალ ადგილზე რამდენიმე დღეში სიმყუდროვე იგრძნოს.

ქუჩაში აჩქარებული ტემპით მიმავალმა არ უნდა შევაფერხოთ ქვეითებისა და მანქანების მოძრაობა. თუ ქუჩაში ნაცნობს შევხვდით, არ უნდა შევაჩეროთ და ვკითხოთ, საით მიეჩქარება.

ქუჩაში მიმავალ წყვილში, თუ მამაკაცს სამოქალაქო კოსტიუმი აცვია, მარჯვნივ ქალია.

გასასვლელში მამაკაცი ქალს ყოველთვის წინ გააატარებს, მაგრამ თუ გასვლა სიძნელეებთან არის დაკავშირებული (ხალხი, ვიწრო გასასვლელი), მაშინ მამაკაცი გზას უკაფავს ქალს და ზოგჯერ ხელსაც აშველებს.

მამაკაცი ყოველთვის ეხმარება ქალს მძიმე ნივთების ტარებაში, მაგრამ ქოლგას, ჩანთას, ლაბადას თუ ჟაკეტს თვით ქალი ატარებს.

ხელკავით სიარული თანდათან გამოდის მოდიდან, მაგრამ ამ ჟესტის სრულიად უარყოფა არ არის სასურველი. უმჯობესია, მამაკაცმა გაუკეთოს ხელკავი ქალს, ვიდრე ქალმა მამაკაცს, რადგან ამ შემთხვევაში იქმნება ზედმეტი ინტიმურობის შთაბეჭდილება.

უკულტურობაა ქუჩაში მანჭვა-გრეხა, ხმამაღალი სიცილი, უწმაწური სიტყვების ხმარება, გამვლელ-გამომველელთა დაცინვა, გაკილვა, უსაქმოდ დგომა, ლაყბობა. თუ გამვლელს შემთხვევით გვერდი გავკარით, მაშინვე უნდა მოეუბოდიშოთ, და თუ ჩვენ აღმოვჩნდით „დაზარალებულის“ მდგომარეობაში და ბოდიში მოგვიხადეს, უნდა ვუთხრათ: — „არა უშავს!“.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში შესვლისას ვაჟები გზას უთმობენ მოხუცებს, ინვალიდებს, ქალებს, სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. ასევე იქცევიან ქალიშვილები და ქალები მოხუცების, ინვალიდებისა და ბავშვიანი ქალების მიმართ. გაუმართლებელია, როცა სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი ზის, მშო-

ბელი კი ფეხზე დგას

ტრანსპორტში ზრდილობიანი მამაკაცი არასოდეს არ დაიკავებს თავისუფალ ადგილს, თუ ქალი ფეხზე დგას. თუ თვითონ ზის და სანში შესული ქალი შემოვიდა, მაშინვე სთავაზობს თავის ადგილს. მაგრამ ეს უკანასკნელი თუ ახალგაზრდა და ჯანმრთელია, მის მიმართ ასეთი ჟესტი აუცილებელი არაა, ეს მამაკაცის საქმეა. ამიტომ ყველა შემთხვევაში გამართლებული არაა ხმამაღალი საყვედური „დღევანდელი ახალგაზრდობის" მიმართ. ხომ შეიძლება ახალგაზრდა მამაკაცი შინ ბრუნდებოდეს მომქანცველი სამუშაოდან, ანდა თავს ცუდად გრძნობდეს?

ქალი ვალდებული არ არის ადგილი დაუთმოს მასზე ბევრად უფროს მამაკაცსაც კი, თუ იგი მისი ძალზე ახლობელი არ არის.

კინოსა და თეატრში სპექტაკლზე ან სეანსზე დაგვიანებით მისვლა უხერხულია, იგი ხელს უშლის დარბაზში მყოფთ. თუ მაინცდამაინც დაგვაგვიანდა, მაშინ უნდა დავჯდეთ უკან (თუ ადგილია) ან კარებთან დავდგეთ და შესვენებაზე დავიკავოთ ჩვენი ადგილი.

თეატრსა თუ კინოში ქუდით ჯდომა უკულტურობაა. ეს არ ეხება ქალებს, მაგრამ თავსამკაულიანი კულტურული ქალი ყოველთვის მიმართავს მის უკან მჯდომ მაყურებელს, ხელს ხომ არ უშლის მისი თავსამკაული. თუ დაუდასტურეს, იგი თავსამკაულს იხდის. და თუ ქალს დაავიწყდა ეს შეკითხვა, მაშინ შეგიძლიათ ზრდილობიანად შეახსენოთ.

ხანდახან უფრო მეტ უხერხულობას გვაყენებს ქალის ვარცხნილობა, რისი მოხდაც შეუძლებელია. ამიტომ ქალმა ეს უნდა გაითვალისწინოს, როცა კინოში თუ თეატრში წასასვლელად ემზადება.

სპექტაკლის მსვლელობის დროს შეკვარებულები ისე არ უნდა მოიქცნენ, რომ მათ უკან მსხდომმა მაყურებელმა ერთდროულად ორ სანახაობას უცქიროს.

თეატრის დარბაზში კანფეტები და სხვა საჭმელი არ შეაქვთ — ამისათვის არსებობს ბუფეტი, ხოლო რაც შეეხება კინოს, იქ შეიძლება ჩუმად კანფეტის ჭამა, მაგრამ იატაკის დანაგვიანება დაუშვებელია.

კულტურული ჩვევების აღზრდის გზები და საშუალებანი

ბავშვებში კულტურული ჩვევების აღზრდა, როგორც აღზრდის ყველა მხარე, მოითხოვს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას. ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ აღზრდაში დაშვებული შეცდომების აღმოფხვრა გაცილებით რთულია, ვიდრე თავიდან სწორად აღზრდა. ამიტომ ზომებს დროზე უნდა მივმართოთ.

მშობელთა სისტემატიურ ყურადღებას მოითხოვს ბავშვებში მეტყველების კულტურის გამომუშავება. მასზე ზრუნვას ვიწყებთ ბავშვების მიერ ენის ამოდგმის დღიდან. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რათა ბავშვები ლაპარაკის დროს იყვნენ ყურადღებიანი, მორიდებულნი. მაი უნდა შევაგნებინოთ, რომ უკულტურობაა მოსაუბრისათვის სიტყვის გაწყვეტინება, საუბრის დამთავრებამდე შეკითხვის მიცემა, საუბრის დროს ზედმეტი ჟესტები და მანჭვა-გრეხა, უადგილო დროს სიცილი და. ა.შ. საუბრისას ბავშვმა არ უნდა გაიმეოროს ერთიდაიგივე სიტყვები, არ იხმაროს ვულგარული, უცენზურო გამოთქმები, რასაც, სამწუხაროდ, მშობელთა ერთი ნაწილი ყურადღებას არ აქცევს.

ჩვეულებრივ, სამი-ოთხი წლის ბავშვი უკვე იწყებს დამოუკიდებლად ჭამას, ჩაცმა-გახდას. ამ დროს მშობლებმა უნდა უჩვენონ ბავშვს — როგორ დაჯდეს სუფრასთან, როგორ დაიჭიროს კოვზი, დანა თუ ჩანგალი, სად და როგორ დააწყოს თავისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

— თუ გინდა, რომ შენი კაბა და ფეხსაცმელი დიდხანს იყოს ახალი, ისე დააწყვე ხოლმე ისინი, როგორც მე გასწავლე, — მიმართავს დედა შვილს.

ცხადია, გოგონას უნდა, რომ მისი კაბა და ფეხსაცმელი დიდხანს არ მოძველდეს და ისიც ისე იქცევა, როგორც დედამ დაარიგა.

დედა ასევე ხშირად ეხმარება თავის ვაჟსა თუ გოგონას ფეხსაცმლის შეკვრაში. ასე სწავლობს იგი დამოუკიდებლად და აკურატულად ჩაცმას, გახდას და თავისი ტანსაცმლის და ფეხსაცმლის სათანადო ადგილას

დაწყობას.

ასე თანდათანობით უმუშავდება ბავშვს გარკვეული კულტურული ჩვევები. ახლა მთავარია, დავეხმაროთ მას ამ ჩვევების ჩვეულებად ანუ მყარ მოთხოვნილებად გადაქცევაში, რათა მან დამოუკიდებლად, უფროსების შეუხსენებლად და დაუხმარებლად შეძლოს მისი გაკეთება.

ასევე დარწმუნებისა და ვარჯიშის შერწყმით აჩვევენ სკოლამდელებს ხელ-პირის დაბანას და კბილების გაწმენდას.

— ლაპარაკიც კი უსიამოვნოა ისეთ ადამიანთან, რომელსაც ჭუჭყიანი ყურები, ჩაყვითლებული კბილები და ჩაშავებული ფრჩხილები აქვს, — ეუბნებიან მშობლები პატარებს. — გარდა ამისა, ვინც საკუთარი სხეულისა და ხელების სისუფთავეს არ იცავს, ხშირად ავადმყოფობს, რადგან ჭუჭყში მიკრობები თავს კარგად გრძნობენ, რომლებიც საშიში დაავადებებით ასნებოვნებენ ადამიანს.

ამგვარი განმარტება სავსებით დამარწმუნებლად მოქმედებს. პატარები ცდილობენ, დაიმახსოვრონ დედისა თუ მამის შეგონება დილისა და საღამოს ტუალეტის თაობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ხოგჯერ ეს დიდხანს არ გრძელდება. დავუშვათ ასეთი შემთხვევა: ბავშვმა უკვე ისწავლა ყოველ დილით უფროსების დაუხმარებლად ჩაცმა-დახურვა, მაგრამ აი, ოჯახს სტუმრად ეწვია ბებია. მას ძალიან მოენატრა შვილიშვილი და სურს რაიმეთი ასიამოვნოს ბავშვს. მალე ხომ ისევ უნდა დაშორდნენ ერთმანეთს. და ამ დღიდან იგი იწყებს მასზე მომსახურებას — ბანს ხელ-პირს, აჭმევს, აცმევს და ახურავს.

ბებია წავა და ბიჭუნას თუ გოგონას ისევ სჭირდება ყველაფრის თავიდან დაწყება, რადგან მათი ჩვევები ჯერ კიდევ მყარი არ იყო და ამიტომაც „ააორთქლა ბებიას სიყვარულის მცხუნვარე სხივებმა“.

სკოლამდელ ასაკში ბავშვები ადვილად ითვისებენ თავაზიანი დამოკიდებულების პირველ ჩვევებს — მისალმებასა და გამომშვიდობებას, მადლობის გადახდას, თქვენობით მიმართვას და ა.შ. ცხადია, იმ შემთხვევაში,

თუ მშობლები ამას სერიოზულ ყურადღებას აქცევენ, უჩვენებენ შვილებს ასეთი ქცევის მაგალითს და უხსნიან მის მნიშვნელობას.

პატარებს უნდა შევაგნებინოთ, რომ ზრდილობიანი, კულტურული დამოკიდებულება ადამიანებისადმი ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის უპირველესი და უწმინდესი ვალია, განურჩევლად მისი პროფესიისა, ასაკის, სქესის, თანამდებობის თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, რომ კულტურული ადამიანი არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვა ადამიანების კეთილდღეობაზეც ფიქრობს. იყი ღამით, როცა სხვებს სძინავთ, არ ჩართავს ხმამაღლა რადიოს, ტელევიზორსა თუ მაგნიტოფონს, ხმაურით არ მოხურავს კარს, არ იმოქმედებს პრინციპით — „ჩემს ბინაში როგორც მინდა, ისე მოვიქცევი". ასეთი ქცევა და მოქმედება ეგოისტი და თავნება ადამიანების „ეთიკური" კრედოა. და რაც უფრო ადრე გათავისუფლდება საზოგადოება ასეთებისაგან, მით უფრო უკეთ წავა მისი საქმე.

ოჯახში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე უმცროსი ასაკის მოსწავლეების უფროსებისადმი თავაზიან დამოკიდებულებასთან დაკავშირებული ჩვევებისა და ჩვეულებების მარაგის გამდიდრებას.

ბავშვი ჯერ კიდევ უმცროს სასკოლო ასაკში უნდა მიეჩვიოთ ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქცევის მთელი რიგი წესების დაცვას: არ გამოვიდეს ქუჩაში ულამაზოდ ჩაცმული, დაიცვას მოძრაობის წესები, არ დაეჯახოს და თავაზიანად გაატაროს წინ უფროსები, ბავშვები და ქალები, ადგილი დაუთმოს უფროსებს ტრამვაიში, ავტობუსში, არ ირბინოს, არ იხმაუროს და ა.შ.

ბავშვზე ზედამხედველობა იმ დრომდეა საჭირო, ვიდრე მას კარგი ქცევა ჩვევად არ გადაექცევა. როცა ერმა ჰემინგუეი ქუჩურ სიტყვებს ამბობდა, დედა აიძულებდა პირი საპნით გამოერეცხა.

კარგი იქნება, თუ ზოგიერთი დედა ამ მეთოდს გადაიღებს, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ხშირად გვესმის ქუჩებში ახალგაზრდებისაგან უწმაწური სიტყვები, მათ შორის საკუთარ დედაზე გინებაც კი.

ჩვეულებრივ, ათი-თორმეტი წლის ბავშვს უკვე შეთვისებული აქვს კულტურული ქცევის წესები, მაგრამ წლების მატებასთან ერთად, მასში ყოფაქცევის კულტურისადმი მოთხოვნილებებიც მატულობს. ამ დროს მშობლები, მასწავლებლებთან ერთად, უნდა დაესმარონ მოზარდს იმის შეგნებაში, რომ ადამიანის გარეგნული იერი, ჩვევა, მისი შინაგანი კულტურის, ე.ი. მაღალი ხნეობრივი თვისებების განსახიერება უნდა იყოს.

დარწმუნების მეთოდთან ერთად, ბავშვებში კულტურული ჩვევების აღზრდის საუკეთესო გზაა პირადი მაგალითი. „არაფერია იმაზე უფრო უსარგებლო და საზიანოც კი, — წერს ბ. ბელინსკი, — როგორც თუნდაც საუკეთესო რჩევა-დარიგებანი, თუ ეს რჩევა-დარიგებანი განმტკიცებული არ არის მაგალითებით, თუ ისინი მოწაფის თვალში გამართლებული არ არის მისი გარემომცველი სინამდვილის მთელი ერთიობლიობით“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გვინდა, რომ ჩვენი შვილები ზრდილი და თავაზიანები იყვნენ და მათ ყველა მოქმედებას კულტურის დაღი აჩნდეს, პირველ რიგში, თვით ჩვენ უნდა ვიყოთ კარგად გათვითცნობიერებული ქცევის ნორმებში და თვით ჩვენ უნდა ვაძლევდეთ მათ ამ მხრივ მაგალითს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამაო იქნება ჩვენი ყველა აღმზრდელობითი მუშაობა.

1995 წლის აგვისტო

ეგოიზმის სათავე

საოჯახო აღზრდის პრაქტიკაში მშობელთა ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა ბავშვთა ეგოიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ბავშვი ეგოისტად არ იბადება, არამედ ასეთად იქცევა არასწორი აღზრდის შედეგად. ძირითადად არასწორი აღზრდისა და არაჯანსაღი გარემოს მიზეზით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც ეგოიზმის, მომხვეჭელობის, მეშჩანობის, ობივატელობისა და

თავაკერძობის ტყვეობაში იმყოფებიან. ამიტომ, სანამ გვიან არ არის, მშობელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შვილებს თავიდან ააცილოს ყოველივე ეს.

ეგოისტი ისეთ ადამიანს ეწოდება, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს, საკუთარი კეთილდღეობისათვის იბრძვის და არავის ანგარიშს არ უწევს. ასეთი ადამიანი პირად ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს, ყოველთვის ცდილობს, სხვას აჯობოს ყველაფერში და ამისათვის ზოგჯერ მრუდე გზასაც არ თაკილობს. მისთვის უცხოა ქველმოქმედება, და თუ მაინც სჩადის ასეთ რამეს, ისიც პირადი გამორჩენის მიზნით.

ეგოიზმთან გვაქვს საქმე, როცა მშობლებს ან ოჯახის სხვა რომელიმე უფროს წევრს სძინავს, ბავშვები კი ხმამაღლა ლაპარაკობენ, აბრახუნებენ სკამებს, ხმაურით დადიან ოთახში ან უსმენენ მთელ ხმაზე ჩართულ ტელევიზორს თუ მაგნიტოფონს.

ეგოიზმის გამოვლენაა მაშინაც, როცა სამუშაოდან დაბრუნებული დედა სამსარეულოში ფუსფუსებს, ზრდადასრულებული შვილი კი მხართეძოზეა წამოწოლილი და დედას საოჯახო საქმეებში არ ეხმარება. აქ მნიშვნელობა არა აქვს, ვაჟიშვილია იგი თუ ქალიშვილი.

ეგოისტი არად აგდებს სხვის შრომას. მას შეუძლია ტალახიანი ფეხით შევიდეს გაკრიალებულ ოთახში, წამოწეს საწოლზე, პაპიროსის ფერფლი დაყაროს იატაკზე და ა.შ.

ეგოისტი შვილები ანგარიშს არ უწევენ ოჯახის შესაძლებლობას და დაჟინებით მოითხოვენ ძვირადღირებული ნივთების ყიდვას. ზოგიერთი ეგოისტი ახალგაზრდის აზრით, მშობლები ყველაფერს უნდა იკლებდნენ და მას კარგად აცმევდნენ. მაკარენკოს აზრით კი, პირველ რიგში, კარგად უნდა ეცვათ მშობლებს და მერე შვილებს. იგი მოგვითხრობს ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ: დედა საყვედურობს სტუდენტ ქალიშვილს იმის გამო, რომ იგი ლექციებზე არ დადის, გოგონა კი პასუხობს:

„ — გინდა, რომ ვარდისფერი ტუფლებითა და ყავისფერი კაბით ვიარო? გინდა, ხალხი ვაცინო? ეს გინდა, ხომ? პირდაპირ მითხარი.

— თამრიკო, კი მაგრამ, სხვა კაბაც ხომ გაქვს. შავი ტუფლებიც გაქვს. მართალია, ის ტუფლები ძველია, მაგრამ მთელია. ნუთუ ყველა თქვენი სტუდენტი ასე ზუსტად იცავს ფერებს?

— შავი? შავი ტუფლები?

თამარი მივარდა რუხ კარადას და იქედან შავი ტუფლით ხელში დაბრუნდა. მან აღშფოთებით გაუწოდა დედას:

— ამით ვიარო? ეს 'შენი აზრით, ფეხსაცმელია'..

— კი მაგრამ, შეხედე, მე რანაირ ფეხსაცმლით დავდიოვარ, თამრიკო!..

— აბა, რას ამბობ, დედა? რაო, მეც ისე ულამაზო ჩავიცვა, როგორც შენ? შენ უკვე შენი დრო მოჭამე. მე კი ახალგაზრდა ვარ, სიცოცხლე მინდა!

— მეც ვიყავი ახალგაზრდა, შენზე გაცილებით უფრო მეტად მიჭირდა, ხშირად დასაძინებლად მშიერი დავწოლილვარ.

— აჰა, დაიწყო! ეგ ცარიზმის დროს იყო... ახლა კი სულ სხვა დროა! ახლა მშობლები ბავშვებისათვის უნდა ცხოვრობდნენ. ეს ყველამ იცის, ოღონდ ჩვენს ოჯახში რატომღაც არ იციან".

აი, ეგოისტი და უზრდელი გოგონას მაგალითი, რომელსაც საკუთარი თავის გარდა არავინ ახსოვს. ყოველივე ეს კი ცუდი ოჯახური აღზრდის შედეგია.

არც ერთ მშობელს არ სურს, რომ შვილი ეგოისტად გაზარდოს, მაგრამ პედაგოგიურ განათლებას მოკლებული მშობლები, ნებსით თუ უნებლიეთ, ასეთებად აქცევენ შვილებს. მაგალითად, პატარა ნოდარმა ოთახში ფეხი წამოიკრა და იატაკზე გაიშხლართა. დედა ცდილობს, როგორმე დაამშვიდოს იგი, მაგრამ არაფერი გამოუდის. მაშინ დედა იატაკზე მუშტებს უბრახუნებს და გაიძახის:

— მე 'შენ გიჩვენებ სეირს. როგორ გაბედე ჩემი ნოდარის წაქცევა. ოხ, კარგია, კარგი?!

ნოდარი კმაყოფილი იმით, რომ დამნაშავე სასტიკად დაისაჯა, ილიმება და მზადაა, თვითონაც გაუსწოროს ანგარიში „დამნაშავეს".

ახლა შევსედოთ დედის მოქმედებას პედაგოგის თვა-

ლით. ჯერ ერთი, იგი აჩვევს ბავშვს სიამოვნების განცდას სხვისი უბედურების ხარჯზე, სხვაზე ტკივილის მიყენებით და მეორე, ასწავლის ბრალი დასდოს ყველას და ყველაფერს, გარდა საკუთარი თავისა.

ხშირად ვყოფილვართ ოჯახში ასეთი შემთხვევის მოწმეც. ბავშვი ჭირვეულობს, უარს ამბობს საჭმელზე, დედა კი ყოველგვარ ოინებს იგონებს, რათა დაიყოლიოს იგი. — კატავ, წადი, ჩემს ნოდარს საჭმელი არ შეჭამო! — იძახის იგი და ფაფიანი კოვზით ხელში თითქოს გაბრაზებული კატას ემუქრება. შემდეგ სწრაფად ბავშვისაკენ ბრუნდება და კოვზს პირში ჩრის.

— არა, არა, კატავ, შენ არ გაჭმევ, მე მხოლოდ ჩემს ნოდარს უნდა ვაჭამო. ეს ნოდარის ფაფაა! ნოდარიც გამარჯვებულის იერით აღებს პირს და ყლაპავს საჭმელს.

დედა ისევ უნერგავს შვილს თავკერძობას, საკუთარი თავის სიყვარულს და სხვისი ჭირის არად ჩაგდებას. შემდეგ კი დაიწყებს წუწუნს: — რატომაა ჩემი ნოდარი ასეთი ეგოისტი? ნეტავ ვის დაემსგავსა?!

აი, კიდევ ერთი მაგალითი. ბაზარში მარწყვი ახალი შემოსული იყო. მას, როგორც იტყვიან, „ცეცხლი ეკიდებოდა". საკუთარი სიამოვნებისათვის ალბათ არც გაიმეტებდა ამოდენა ფულს, მაგრამ პირმშო ხომ უნდა გააბედნიეროს გემრიელი ხილით. ჰოდა, დედამ ნახევარი კილოგრამი იყიდა, სახლში მიიტანა, წყალი გადაავლო, შაქარიც მოაყარა და გემოც არ გაუსინჯავს, ისე დაუდო პატარას ლამბაქით. წინ. ბავშვმა ლამბაქი ბოლომდე მოასუფთავა, ისე, რომ ერთი ცალიც არ შეუთავაზებია დედისათვის.

ზემოთ დასახელებული მაგალითები კონკრეტული არაა, მაგრამ ტიპურია. ასე იქცევა დედების უმრავლესობა. ისინი ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ უნებლიეთ ხელს უწყობენ ეგოისტის აღზრდას. ასე აღზრდილი შვილები მოგვიანებით ნაკლებად ფიქრობენ ადამიანებზე. ასეთი აღზრდის ნაყოფს კი პირველად თვით მშობლები იმკიან, ვინაიდან მათ დესპოტ, ეგოისტ და თავნება შვილს მიაჩნია, რომ ყოველგვარი სიკეთე, პირველ რიგში, მხოლოდ მისთვისაა განკუთვნილი. იგი მშობლებისაგან მოითხოვს იმას, რაც მას მოეპრიანება. ასე-

თი ბავშვისათვის „არ შეიძლება“ არ არსებობს. მისი აზრით, „ყველაფერი შეიძლება, თუკი მან ბრძანა“ (ჟან-ჟაკ რუსო).

ასე აღზრდილი ადამიანები ვერასოდეს პოულობენ ნამდვილ მეგობარს. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მათ ამის საშუალებას არ აძლევს. ყოველთვის ჰგონიათ, რომ სხვებზე უკეთესები არიან და ამიტომ ყველა მათ უნდა ემსახურებოდეს.

ბავშვში ეგოიზმი ფეხს იკიდებს განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი დედისერთაა და მშობლებს მზე და მთვარე მასზე ამოსდით. ასეთ ბავშვს მეტწილად ყველა მოთხოვნას უსრულებენ, ნიავსაც არ აკარებენ. ჩვენი ქცევითა და მოქმედებით ბავშვი უნდა დაეარწმუნოთ, რომ იგი ისეთივეა, როგორც სხვები, რომ მას, როგორც ოჯახის დანარჩენ წევრებს, აქვს უფლებები და აკისრია გარკვეული მოვალეობანი. პატარას გამუდმებით არ უნდა ესმოდეს: „ეს მხოლოდ შენია, ჭამე თვითონ და არავის არ მისცე“. ასეთ „აღზრდას“ მივყავართ ეგოიზმამდე, საბოლოოდ კი ზნეობრივ სიმახინჯემდე.

ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ჩაუნერგოთ პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა, სხვისი სამსახურის მოთხოვნილება, სხვათა სიკეთისათვის ზრუნვა. ეს გრძნობები პატარას უნდა გაუჩნდეს, უწინარეს ყოვლისა, თავისი ოჯახის წევრების, ახლობლების, განსაკუთრებით კი, დედის მიმართ, ვინაიდან „ადამიანურობას ვერ აღვსრდით, თუ გულში ახლობელი, ძვირფასი ადამიანის სიყვარულმა არ დაიბუდა“ (ვ. სუხომლინსკი). სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი ამას ანგარიშს არ უწევს. ვთქვათ, გოგონას დაბადების დღეზე აჩუქეს რამდენიმე ფილა შოკოლადი. უფროსები მაშინვე მიაძახებენ: „აი, დეიდამ რა მოგიტანა! აბა, გასინჯე რა გემრიელია!“ და ბავშვიც იქვე სხვების თანდასწრებით იწყებს ჭამას და აზრადაც არ მოსდის, სხვასაც მიაწოდოს.

პატარას არასოდეს არ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ საგანგებოდ მისთვის ვიყიდეთ რაიმე ნიეთი თუ სასუსნავი, არ უნდა მივცეთ იმის ფიქრის საბაბიც კი, რომ მხოლოდ მას და ისიც გამორჩევით ვუმასპინძლდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაგეიმონებს, თავის ნება-

ზე ავატარებს.

ექიმი-პედიატრი ნ. ანდრეევი სამამულო ომის მძიმე წლებში მშობლებს არიგებდა: „...აი, თქვენ გაქვთ ერთი ვაშლი... მხოლოდ ერთი. და თქვენ კარგად გესმით, რომ ბავშვის მოზარდ ორგანიზმს იგი უფრო სჭირდება, ვიდრე თქვენ. და მაინც ნუ მისცემთ მთლიან ვაშლს ბავშვს, ნუ შეუქმნით პრივილეგიას. არ შეიძლება! გახსოვდეთ, რომ თქვენს ბავშვს, სხეულის გარდა, აქვს ფსიქიკა, ხასიათი, რომელიც ეს-ესაა უყალიბდება. თქვენი მოქმედებით კი, გამაჯანსაღებელ ვიტამინთან ერთად, მის სულში შეგყავთ საშინელი ვირუსი, ვირუსი უზნეობისა“.

ავადმყოფი ბავშვის მიმართ შეიძლება დავუშვათ გამონაკლისი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სასურველია, ვაშლი თანაბრად განაწილდეს ოჯახის ყველა წევრზე, შემდეგ კი ზოგიერთებმა თავიანთი წილი დაუთმონ ავადმყოფ ბავშვს. ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე თავიდანვე მთლიანი ვაშლის მიცემა. არის სხვა გზაც: ასეთ შემთხვევაში მშობელმა შეიძლება უთხრას ბავშვს, რომ მან ერთი ცალი ვაშლი უკვე მიირთვა და ეს მისი წილია.

მშობლებთან ურთიერთობაში უნდა დავიცვათ ტაქტი, ზომიერება სიყვარულსა და სიმკაცრეში. ა. მაკარენკოს აზრით, „ბავშვები ცხოვრების ყვავილები არიან“, მაგრამ ამ „ყვავილებს“ ზომიერი მოვლა და პატრონობა სჭირდება. ბავშვების ჭეშმარიტი სიყვარული უნდა შეეუხამოთ მათ მიმართ მომთხოვნელობას. მათთან დამოკიდებულებაში მშობელი უნდა ხელმძღვანელობდეს მაკარენკოს მიერ შემუშავებული პრინციპით: „რაც შეიძლება მეტი მოსთხოვე ადამიანს და, ამასთან, რაც შეიძლება მეტი პატივი ეცი მას“. შვილი პატარაობიდანვე უნდა შეეჩვიოთ მომთხოვნელობას, ბრძანების შესრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რაიმე სარგებელს არ მოელის, თითსაც არ გაანძრევს.

არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც თავიანთ გრძნობებსა და სიყვარულს განსაკუთრებით ერთი რომელიმე შვილის მიმართ ავლენენ. ასეთ მიკერძოებულ სიყვარულს ადგილი აქვს მაშინ, როცა ოჯახში გოგონე-

ბის შემდეგ ვაჟიშვილი შეეძინებათ. ასეთ ბავშვებს მეტწილად სახელებიც უცნაური აქვთ: ბელოდი, მინდოდა, ნატრული, შენგელი, იმედა და სხვა.

თუ დედები ასეთ მიკერძოებით სიყვარულს ქალიშვილების მიმართ აკლებენ, მამებს მხოლოდ ვაჟიშვილებზე ამოსდით მ'ხე და მთვარე. ერთიც სა'ხიანოა და მეორეც. ასეთი სიყვარული ოჯახ'ში ქმნის ბავშვის კულტს და იგი ხშირად ოჯახის კერპად იქცევა.

'ზოგიერთების აზრით, მრავალშვილიან ოჯახებ'ში ეგოიზმი გამორიცხ'ულია. მაგრამ ეს დამოკიდებ'ულია მშობლებ'ზე, ოჯახზე, იმაზე, თუ როგორი 'ურთიერთობაა ოჯახის წევრებს შორის, არის თუ არა მას'ში მტკიცე, მეგობრული კოლექტივი. ზოგიერთ ოჯახ'ში დამკვიდრებ'ულია კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, რაც ეგოიზმის საფუძველია. „— ხელი არ ახლო ჩემს თოჯინას, მე ხომ შენსას ხელს არ ვკიდებ!" — მიმართავენ ასეთ ოჯახში ბავშვები ერთმანეთს. ზოგჯერ ამაშ'ი თვით მშობლები არიან დამნაშავე. ისინი აფრთხილებენ შვილებს: „— ითამაშე მხოლოდ შენი სათამა'შოებით, ძმის სათამაშოებს თავი დაანებე".

ეგოიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა ბავშვის სწორი აღზრდა ოჯახში. როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები ადამიანში თავს იჩენს ადრეულ ასაკში და მისი აღმოფხვრაც ამ დროსაა ადვილი. ამ საქმეში კარგ შედეგს იძლევა ბავშვების საოჯახო საქმეებ'ში და შრომაში ჩაბმა. ამასთან, მ'შობელს არ უნდა გამოეპაროს შვილის რაიმე კეთილშობილური საქციელი, უნდა მოუწონოს და ზომიერად შეაქოს იგი. საზოგადოებისათვის სასარგებლო 'შრომა აკეთილ'შობილებს ადამიანს. ასეთი ადამიანი კი არ შეიძლება ეგოისტად იქცეს.

კარგ შედეგს იძლევა ამ მიმართულებით ასევე გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიების გაცნობა. ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრების ცოდნა გზას უხშობს მოზარდებში ეგოიზმის განვითარებას.

და ბოლოს, ყველა მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ ნამდვილი, ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ მეგობრულ ატმოსფეროში, ჯანსაღ

კოლექტივში. იქ, სადაც ოჯახის წევრები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან, აფასებენ, თანაბრად ინაწილებენ შრომას, ჭირ-ვარამს, შეუძლებელია ბავშვის ფსიქიკაში ეგოიზმმა დაისადგუროს. ასევე ძნელად წარმოსადგენია, რომ ჰუმანისტ, კულტურულ და ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანს შვილი ეგოისტი გამოუვიდეს. თავმდაბალი და ქველმოქმედი ადამიანი შვილსაც ასეთად აღზრდის, ხოლო მშობელი, რომელიც შურიანი და ეგოისტია, დღენიადაგ იმაზე ფიქრობს, ვის რა წააგლიჯოს. ცხადია, შვილსაც თავის მსგავსს გაზრდის. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, თვით მშობლები უნდა იყვნენ სათნო და ზნეკეთილი, რათა ამ თვისებებით აღზარდონ საკუთარი შვილები. ამასთან, ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს კომენსკის სიტყვები იმის შესახებ, რომ „უსნეობის წინააღმდეგ წინასწარ ზომების მიღება უფრო ადვილია, ვიდრე მისი გამოსწორება; უფრო მეტიც, სრულიად უზნეოს გამოსწორება შეუძლებელია. აქედან წესიც: ყველაფერი დამოკიდებულია სათავეზე“.

1986 წლის სექტემბერი

შრომითი აღზრდა ოჯახში

...მძიმე შრომის შემდეგ... ცაც უფრო ნათელი ეზეც უფრო კაშკაშა და ადამიანებიც უფრო კეთილნი მოსჩანან.
კ. დ. უშინსკი

ოჯახში ბავშვთა მრავალმხრივი, ჰარმონიული განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭება შრომით აღზრდას. შრომა ალამაზებს და აკეთილშობილებს ადამიანს. „სწორედ შრომაშია და მხოლოდ შრომაში ადამიანი დიადი, და რაც უფრო მხურვალეა მისი სიყვარული შრომისადმი, მით უფრო დიადია თვით იგი, მით უფრო ნაყოფიერია, მით უფრო მშვენიერია მისი შრომა“, — წერდა მ. გორკი.

ნაშრომში „შრომის ფსიქიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა“ კ. დ. უშინსკი აღნიშნავდა, რომ შრომა არის არა მარტო არსებობის საშუალება, არამედ ადამიანის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური სრულყოფის, მისი ადამიანური ღირსების, თავისუფლებისა და ბედნიერების აუცილებელი პირობაც. ამიტომ, თუ მშობელს ბავშვის ბედნიერება სურს, უნდა აღზარდოს ის არა ბედნიერებისათვის, არამედ უნდა მოამზადოს შრომისათვის. შრომასთან არის დაკავშირებული ყოველივე ის, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია მატერიალური თუ სულიერი კულტურის სფეროში. მხოლოდ შრომით მიაღწია ადამიანმა სრულქმნილების იმ დონეს, რომელზედაც მან შეძლო, შეექმნა ხელოვნური ძეგლები ლიტერატურის, მეცნიერებისა და სელოვნების დარგში. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მსოფლიოში სახელგანთქმულ ამერიკელ მეცნიერ ედისონს, როცა ამბობდა: გენიოსობა ოთხმოცდაოხუთმეტი პროცენტი შრომაა და ხუთი პროცენტი ნიჭიო.

შრომის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ ასევე ისეთი გამოჩენილი პედაგოგები, როგორიც იყვნენ კომენსკი, რუსო, პესტალოცი, გოგებაშვილი, მაკარენკო და სხვები.

ვასილ სუხომლინსკის აზრით, „ყოველივე საუკეთესო, რაც კი შეიძლება იყოს ადამიანში — მისი ზნეობრივი ღირებულება და სიდიადე, ინტელექტუალური სიმდიდრე, ესთეტიკური სრულყოფილება ვლინდება, უწინარეს ყოელისა, შრომაში“

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბუნებით ყველა ადამიანს დაახლოებით ერთნაირი შრომითი მონაცემები გააჩნია, ცხოერებაში კი თავიანთი შრომით ისინი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც სხვადასხვაგვარი შრომითი აღზრდით არის გამოწვეული. ამიტომ საზოგადოების თითოეული წევრის, უშუალო მოვალეობაა დროზე ჩაუნერგონ თავიანთ შვილებს შრომის სიყვარული, შრომითი საქმიანობის უნარ-ჩვევები, რადგან „ბავშვი ბედნიერია არა მაშინ, როცა ართობენ, არამედ მაშინ, როდესაც იგი სერიოზულად აკეთებს მის-

თვის საინტერესო საქმეს“ (კ. დ. უშინსკი).

რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის უშინსკის ეს სიტყვები ერთხელ კიდევ მიუთითებენ იმაზე, რომ შრომა არის ადამიანთა ბედნიერებისა და სიკეთის წყარო, მის პირველ „სამჭედლოს“ კი ოჯახი წარმოადგენს. შემდგომში, მშობლების უშუალო ყურადღებითა და ხელმძღვანელობით, იგი გრძელდება სკოლამდელ დაწესებულებებში, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლებში. მომავალი თაობის შრომით აღზრდას ადამიანის სიცოცხლის არც ერთ ეტაპზე არ ესმის წერტილი, არ თავდება და მიმდინარეობს განუწყვეტლივ, სახელმწიფოსა და საზოგადოების კონტროლის ქვეშ, პრაქტიკულ მუშაობაში, შრომით საქმიანობაში, რადგან მხოლოდ შრომაში ხდება ადამიანის გამოწრთობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებად ჩამოყალიბება. ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქის, საზოგადოების წევრის ღირსება განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ იმით, თუ რა როლს ასრულებს იგი ამ საზოგადოებაში, საზოგადოებრივ შრომაში. შრომაზეა დამოკიდებული ადამიანის ცხოვრების მატერიალური დონეც, ვინაიდან, ვინც კარგად შრომობს, კარგ ნაყოფსაც იჭკის.

შრომა ბედნიერების წყაროცაა. მისგან მომდინარეობს ყოველგვარი სიკეთე. ჩვენ ყველამ ვიცით, აღნიშნავს ა. მაკარენკო, თუ როგორ ბედნიერად და საამურად ცხოვრობენ ის ადამიანები, რომლებსაც ყველაფერი ეხერხებათ და ემარჯვებათ, ყველაფერი გამოუდით ხელიდან. ისინი, როგორც წესი, ტკბილ და მტკიცე ოჯახს ქმნიან, უსაქმური ადამიანების ცხოვრება კი მუდამ შფოთითა და უსიამოვნებით არის სავსე.

ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა შთავაგონოთ, რომ ყოველი დიდი შემოქმედის, სახელოვანი ადამიანის გამარჯვების საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ თავდადებულ შრომაშია. მის გარეშე სულ მცირე მიღწევებზეც კი ზედმეტია ლაპარაკი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ, მშობლებს, აღმზრდელებს, უფროსი თაობის წარმომადგენლებს ხშირად „გვავიწყდება“ ჩავუნერგოთ აღსაზრდელებს, რომ შრომასთანაა დაკავშირებული ცხოვრებისეული მოვლენების ინტერესი, მოვალეობის გრძნობა,

სილამაზის, სიკეთისა და ბედნიერების შეგრძნების უნარი; „გვავიწყდება“, რომ ახალგაზრდას დღეს, ისე რიგორც არასოდეს, სჭირდება გაერკვიოს ცხოვრების რთულ სიტუაციაში, სურს გაიგოს, როგორ შეიძლება გახდეს ბედნიერი. ამ საკითხებზე იშვიათად ტარდება ახალგაზრდებთან საუბარი სკოლაში, ოჯახში და მთელ საზოგადოებაში. სწორედ ამიტომაა, რომ ახალგაზრდების ერთი ნაწილი გაურბის სოფელს, არასწორად ირჩევს პროფესიას ან საერთოდ თავს არიდებს შრომას და მუქთახორობს, სჩადის დანაშაულს და ა.შ.

შრომის სიყვარული, მშრომელი ადამიანის პატივისცემა ბავშვს უნდა ჩაენერგოს ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში. სამი წლის ბავშვიც კი ავლენს სურვილს რაღაც აკეთოს. „ჩემით“, „მე თვითონ“, — აცხადებს იგი, მაგრამ მშობლები არ ანებებენ. არა მარტო სკოლამდელებს, არამედ გაცილებით უფროსებსაც თვითონ ბანენ ხელ-პირს, აცმევენ, აჭმევენ, ულაგებენ საწოლს, შემდეგ კი უკვირთ, საიდან გამოვიდა მათი შვილი ასეთი ‘ხარმაცი და უქნარა.

ზოგ ოჯახში ბავშვებს საერთოდ არაფერს ავალებენ, ნიავსაც კი არ აკარებენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ზოგიერთ დედას არ მოსწონს სხვისი ნახელავი, ყველაფერს „თავის გემოზე“ აკეთებს, ზოგს კი ბავშვები ეცოდება. ერთიც საზიანოა და მეორეც, რადგან ასეთ შემთხვევაში ბავშვები ეჩვევიან უსაქმურობას, პატივს არ სცემენ შრომას, არ უფრთხილდებიან შრომის პროდუქტებს, არ იციან, როგორ „მოკლან“ თავისუფალი დრო. ერთი სიტყვით, მოკლებული არიან საკუთარი ‘შრომით გამოწვეულ სიხარულს. სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო ხანებში მოგვიმრავლდნენ ჩრდილის მოყვარულნი, ადვილად მოხვეჭის, სარფიანი სამსახურის მაძიებელნი, რაც ძვირად უჯდება ქვეყანას, ერს. „ხატს ბევრ სანთელს ნუ აუნთებ, თავი წმინდანი ეგონება,“ — უთქვამს ბრძენკაცს და ეს აღზრდის დროსაც უნდა გვახსოვდეს. როცა ბავშვს ზედმეტად თავს ვევლებით, ექმნება შთაბეჭდილება, რომ იგი რაღაც განსაკუთრებულს წარმოადგენს, სხვებზე უკეთესია და ამიტომაც ყველაფერი ეპატიება. როგორც ყოველი წამალი გადიდებული დო-

ზით შეიძლება საწამლავად იქცეს, ასევე ზედმეტი ყურადღებითა და განუსაზღვრელი პატიებით შეიძლება მტრად ვექცეთ იმას, ვისთვისაც ნამდვილად სიკეთე გვსურს.

ერთხელ ა. ს. მაკარენკოსთან რჩევა-დარიგებისათვის მივიდნენ 15 წლის ვაჟის მშობლები, რომელიც მათ არ უჯერებდა. მაკარენკომ გულდასმით მოუსმინა ორივეს და შემდეგ დედას ჰკითხა:

„— თქვენ თქვენი შვილის ლოგინს ალაგებთ?..

— ყოველთვის.

— არასოდეს არ მოგსვლიათ აზრად, რომ შესთავაზოთ მას, თვითონ დაალაგოს ლოგინი?

ახლა მამას ვეკითხები:

— თქვენ კი თქვენს ვაჟს უწმენდთ ფეხსაცმელებს?

— ვუწმენდ.

და მე ვეუბნები:

— ნახევამდის და მეტი არავისთან არ მიხვიდეთ: დასხედით ბულვარში, რომელიმე წყნარ სკამზე, მოიგონეთ, რას აკეთებდით შვილისათვის, და თქვენს თავს ჰკითხეთ, ვინ არის დამნაშავე, რომ თქვენი შვილი ასეთი გამოვიდა და პასუხსაც იპოვით და თქვენი ვაჟის გამოსწორების გზებსაც“.

თუ კარგად დავუკვირდებით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, უფრო ღრმად ჩავიხედავთ მასში, ადვილად შევამჩნევთ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, ქურდები, ნარკოტიკის მოყვარულნი, ლოთები და ა.შ., მეტწილად, იმათი შვილები არიან, ვინც გამოირჩევა მდიდრული და ეგოისტური ცხოვრებისაკენ მისწრაფებით, ახალ-ახალი მოდებისაკენ გამოდევნებით და ვინც პატარაობიდანვე არ აჩვევს ბავშვებს საოჯახო შრომას, ოჯახურ საქმიანობაში ქალის შესაბამისად მონაწილეობას, ვინც ბავშვის სურვილების მორად არის ქცეული, თავზე ეელება და ყველა მოთხოვნას უსრულებს.

უნდა ვერიდოთ მეორე უკიდურესობასაც — საოჯახო საქმეებით ბავშვის გადატვირთვას. ესეც საზიანოა, მაგრამ ახალგაზრდა, რომელიც საშუალო სკოლას ამთავრებს და სიმწიფის ატესტატს იღებს, მომწიფებული უნ-

და იყოს როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად, ამასთან, იგი მზად უნდა იყოს შრომისათვის.

ბავშვთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის ფიზიკურ შრომაში ხელს უწყობს მათ ყოველმხრივ განვითარებას. შრომის პროცესში ბავშვებს უყალიბდებათ ‘ხნეობრივი თვისებები: ნებისყოფა, დისციპლინიანობა, ყურადღება, საგნებისადმი სათუთი დამოკიდებულება, შრომისა და მშრომელი ადამიანებისადმი პატივისცემა.

ბავშვებში შრომისადმი სიყვარულის გამომუშავებაში დიდ როლს ასრულებს შრომითი წარმატებებით გამოწვეული სიხარულის განცდა. ეს სიხარული ორმაგდება, როცა ბავშვებს უხდებათ გარკვეული, თუნდაც სულ მცირე სიძნელეების გადალახვა, მაგრამ მშობლების „წყალობით“ ზოგიერთი ბავშვი ამ ბედნიერებას მოკლებულია, ისე ამთავრებს საშუალო სკოლას, რომ ერთხელაც არ უხდება დაბრკოლების გადალახვა. ასეთი ადამიანი შეუძლებელია ბედნიერი იყოს, რადგან მისთვის არ არსებობს ძნელად მისაწვდომის მიღწევით გამოწვეული სიხარული და კმაყოფილება, მისთვის უცნობია ის, რასაც ადამიანი შრომის პროცესში და შრომის შედეგად განიცდის. ბავშვი უნდა მივიდეს იმის გაგებამდე, რომ საკუთარი შრომის ნაყოფი ყველაზე ტკბილი და ძვირფასია, რომ კაცს მხოლოდ ალალი შრომით მონაგარი შეერგება.

მშობლებმა კარგად უნდა შეიგნონ, რომ შვილის ბედნიერება დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად ადრეულ ასაკში ჩააბამენ მას შესაფერის შრომით საქმიანობაში და რამდენად ჩაუნერგავენ ოჯახისადმი, საზოგადოებისადმი ვალდებულების გრძნობას, სურვილს — საკუთარი შრომით გაიკვლიოს ცხოვრების გზა. იშვიათი როდია, როცა განსასჯელის სკამზე ვხედავთ ახალგაზრდას, რომელიც თითქოს ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო. ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი მას აკლდა ყველაზე მთავარი — კეთილშობილური მიზნები, მორალი, რომელიც ადამიანს ძირითადად ერთობლივ, საზოგადოებრივ შრომაში უმუშავდება და უყალიბდება.

შრომითი აღზრდა ოჯახში იწყება თვითმომსახურებით, „იმ დღიდან, როცა ბავშვი ისწავლის კოვზის ხელ-

ში დაჭერას და თეფშიდან დამოუკიდებლად საჭმლის მიღებას“ (ვ. სუხომლინსკი). მაგრამ შრომა ადვილი არ უნდა იყოს, რადგან ბავშვმა პატარაობიდანვე უნდა ისწავლოს წინააღმდეგობის დაძლევა, დაბრკოლებათა გადალახვა. სწორედ ამაში მდგომარეობს შრომის აღმზრდელობითი დანიშნულება, მისი გავლენა ბავშვის ზნეობრივ სრულყოფაზე. ამიტომ მშობლები უნდა ცდილობდნენ, რომ მათ შვილებს პატარაობიდანვე უხდებოდეთ ამა თუ იმ წინააღმდეგობის დამოუკიდებლად დაძლევა, ოღონდ საჭიროა სიძნელეთა ისეთი დონის მონახვა, რომ შრომა ბავშვისათვის მისაწვდომიც იყოს და ზნეობრივი აღზრდის ფუნქციასაც ასრულებდეს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში კომენსკის, როცა წერდა: „ბავშვები ყოველთვის რაიმეთი არიან გართულნი, ვინაიდან მათ მჩქეფარე სისხლს მშვიდად ყოფნა არ შეუძლია. ეს მეტად სასარგებლოა. ამიტომ არამც თუ ხელი არ უნდა შეეშალოთ ამაში, არამედ უნდა მიეცეთ ზომები, რომ მათ ყოველთვის ჰქონდეთ რაიმე გასაკეთებელი. დაე, ბავშვები იყვნენ ის ჭიანჭველები, რომლებიც გამუდმებით ფუსფუსებენ: რაიმეს მიაგორებენ, მიაქვთ, მიათრევენ, აწყობენ, აქეთ-იქეთ ალაგებენ; მხოლოდ საჭიროა დაეხმაროთ ბავშვებს, რომ ყოველივე, რაც ხდება, ხდებოდეს გონივრულად“.

5-6 წლის ბავშვს შეუძლია უფროსების დაუხმარებლად ჩაიცვას, გაიხადოს, ხელ-პირი დაიბანოს, თავისი სამეცადინო კუთხე წესრიგში მოიყვანოს, სათამაშოები დაალაგოს, შინაური ცხოველები და ფრინველები გამოკვებოს და ა.შ.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვს შეიძლება დაევალოს ყვავილების მორწყვა ოთახში, ავეჯიდან და ფანჯრის რაფებიდან მტვრის გადაწმენდა, სუფრის გაშლა-ალაგება, თავის ტანსაცმელზე აწყვეტილი ღილის მიკერება, ოთახისა და ეზოს დალაგება-დასუფთავება, წყლისა და დაჭრილი შეშის მოტანა, სიმინდისა და ლობიოს დაფშვნა, ნათესების მორწყვა, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდა და მრავალი სხვა. დილით საწოლი, ჯარისკაცივით, ბიჭმაც თეითონ უნდა გაასწოროს და გოგონა-

მაც. ამ შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე საქმე კეთდება: ახალგაზრდა სხეულსაც ავარჯიშებს და სულსაც, ეჩვევა შრომას, დისციპლინასა და წესრიგს, სიფაქიზესა და პასუხისმგებლობას.

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ბავშვი თავისი ხელით გაკეთებულ სათამაშოს უფრო უფრთხილდება, ვიდრე ნაჩუქარსა და ნაყიდს. ასევე არავის არ მისცემს იგი უფლებას დაანაგვიანოს და გააჭუჭყიანოს მის მიერ დაგვილ-დასუფთავებული ოთახი. ამიტომ თუ გვინდა ოთახში წესრიგისა და სისუფთავის შენარჩუნება, ბავშვი ხშირად უნდა დავსაქმოთ, უნდა ჩავაბათ საოჯახო საქმეების შესრულებაში და მისი გასაკეთებელი საქმე არასოდეს ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ.

საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვები კი უნდა ჩავაბათ ყოველგვარი საოჯახო საქმის შესრულებაში, უნდა შევაჩვიოთ საერთო შრომაში მონაწილეობას, ურთიერთდახმარებას. ამ გზით მათ უჩნდებათ ოჯახის წევრთა წინაშე მოვალეობის გრძნობა, რომელიც შემდეგ, მათთან სწორი აღმზრდელობითი მუშაობის პირობებში, გადაიზრდება თავისი კუთხისა და ქვეყნის, ბოლოს კი, მთელი საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობად.

ბავშვების მთელი საქმიანობა ოჯახში უნდა სრულდებოდეს მშობლების ზედამხედველობითა და კონტროლით. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ბავშვს ბოლომდე მიჰყავდეს დაწყებული საქმე. არასოდეს არ უნდა გავკიცხოთ ბავშვი დავალების ცუდად შესრულებისათვის, არამედ უნდა ავუხსნათ, რომ სამუშაო არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული და მოითხოვს გადაკეთებას, შესწორებას ან ხელახლა შესრულებას, რაც თვითონ ბავშვმა უნდა გააკეთოს და არა მშობელმა. ბევრი ჩვენგანი ყოფილა ალბათ ასეთი ფაქტის მოწმე: დედა შვილს რაღაც საქმის შესრულებას ავალებს. ბავშვს იგი თითქოს არ ესმის, „ფეხს ითრევს", არ სურს დავალების შესრულება. დედა კი არ ეშვება. მაშინ ბავშვი უგულოდ ჰკიდებს საქმეს ხელს და, გაკეთების ნაცვლად, რაღაცას აფუჭებს ან ცუდად ასრულებს დავალებას, განაწყენებული დედა კი ართმევს შვილს საქმეს ხელიდან და თვითონ იწყებს მის შე-

სრულებას, ნაცვლად იმისა, რომ უჩვენოს მისი შესრულების გზა და დაარწმუნოს იგი ამის აუცილებლობაში.

ისე, როგორც ნებისმიერი აღზრდისას, შრომითი აღზრდის დროსაც უნდა გაითვალისწინოთ ბავშვის როგორც ასაკობრივი, ისე ინდივიდუალური თავისებურებანი. არასოდეს არ უნდა მოეთხოვოთ ბავშვს ისეთი საქმის შესრულება, რაც მის ძალებსა და შესაძლებლობებს აღემატება.

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო შრომას. ბალ-ბოსტანში მუშაობა ეხმარება ბავშვებს უფრო ღრმად გაიცნონ ბუნების კანონზომიერებანი და სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში. აშკარად ცდებიან ის მშობლები, რომლებიც არიდებენ ბავშვებს ფიზიკურ შრომას; ცდილობენ, აცალონ შვილებს ბავშვობა, შეარგონ ცხოვრება. ხშირად გაიგონებთ მშობლებისაგან — ჯერ პატარაა, გაიზრდება და შრომას მერეც მოესწრებაო. ასეთ მშობელს ავიწყდება, რომ ახალგაზრდების შრომას, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აკისრია. შრომისმოყვარე ადამიანმა კარგად იცის დროის ფასი, იცის, როგორ გამოიყენოს თავისუფალი დრო. ასეთი პიროვნება ყოველთვის ხალისიანია და სხვასაც ფენს თავის კარგ განწყობილებას.

აკაკი წერეთელს შრომითი აღზრდის ყველაზე საიმედო კერად სოფელი და გლეხკაცის ოჯახი მიაჩნდა, სადაც „კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში თუ ტყეში“ და იქ ღერიან ოფლს „ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავშვი რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს. ხეთი ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხელა და

სხვანი, ასე რომ ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი“, — დასძენს მწერალი.

მიწას დაშორებულ, ქალაქში გაზრდილ ბავშვს შრომას ვერ შეაყვარებ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს სოფლელ ბავშვებსაც დაქვეითებული აქვთ მიწისა და შრომის სიყვარული. ამის მიზეზი კი თვით მშობლები არიან. ზოგიერთი მათგანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვს არიდებს ყოველგვარ საქმეს, იმის შიშით, ვაითუ სწავლაში ხელი შეეშალოს, დაიღალოს, გაციცდეს, რაიმე იტკინოს ან გაუჭირდესო. ასეთ მშობელს ავიწყდება, რომ იმ ბავშვისაგან, რომელსაც ცხოვრებაში არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია და გაჭირვება არ უნახავს, ნამდვილი ადამიანი არ დადგება.

სწავლაც ხომ იგივე შრომაა, გონებრივი შრომა, მაგრამ მეცადინეობა ბავშვებს არ ათავისუფლებს საოჯახო საქმეებისგან. ბავშვს პატარაობიდანვე უნდა შეეყვაროთ შრომა, წიგნი, დავალებისა და ყოველგვარი საქმის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულება.დღეში ორი-სამი სააოით, ზოგჯერ მეტითაც, საოჯახო საქმეებით დატვირთვა არა თუ ხელს უშლის ბავშვს სწავლაში, არამედ, პირიქით, ეხმარება, რადგან ფიზიკური შრომის დროს იგი გონებრივად ისვენებს და შემდეგ წიგნზე მუშაობა უადვილდება.

მაგონდება ჩემი და ჩემი თანატოლების ბავშვობა. იგი დიდი სამამულო ომისა და მის შემდგომ პერიოდში მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე მშობლებს ყანა-ბაღჩაში დავყავდით, ზოგჯერ ორი საათის სავალ გზაზეც კი. იქ, შეიძლება, ბევრ რამეს ვერ ვაკეთებდით, მაგრამ შრომაში დაქანცულ მშობლებს წყაროს ცივ წყალს მოვურბებინებდით, ზოგჯერ თოხსა და ბარსაც მივეძალებოდით და ასე ვსწავლობდით შრომასა და ცხოვრებას. მეზობლები ზოგჯერ საყვედურობდნენ მამაჩემს — ამ სიშორეზე ასე პატარა ბავშვი რატომ მიგყავს, არ ჯობია, შინ დატოვო და ეზოში თანატოლებთან ერთად ითამაშოსო, რაზედაც მამაჩემი პასუხობდა: შინ რომ დავტოვო, შეიძლება მეზობლის ბოსტანში გადაძვრეს და კიტრი ან ხილი მოიპაროს, და რაკი ქურდობა შერჩება, რადგან მეზობელი ამაზე გან-

გაშს არ ატეხავს, შემდეგ უფრო დიდ რამეს მოიპარავს და ქურდი დადგება, ყანაში კი ცხოვრებას ისწავლისო.

ასე ბავშვობიდან მოყოლებული, თოხი და ბარი ჩვენი მუდმივი თანამგზავრი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის სწავლაში. მაშასადამე, ფიზიკური შრომისაგან მოზარდის მთლიანად გათავისუფლება დაუშვებელია. მას სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ვისაც ყველაფერი იოლად და მზამზარეულად მოსდის, ვისაც ლუკმა პურისათვის ოფლი არ დაუღვრია, იგი ვერასოდეს გაიგებს ამ ლუკმა პურისა და შრომის ჭეშმარიტ ფასს. ამიტომ, თუ შვილის სიკეთე გვსურს, ნუ შევიცოდებთ, გავიმეტოთ იგი ძნელი და „მაკი სამუშაოსათვის". ამით დიდ სარგებლობას მოეუტანთ როგორც თვითონ მას, ისე საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც.

1985 წლის აგვისტო

ვიზრუნოთ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობისათვის

უკან დარჩა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების მღელვარე წუთები, უძილო ღამეები. ის, ვინც წლების განმავლობაში უქმად არ კარგავდა არც ერთ წუთს, დღედაღამ წიგნი ეჭირა ხელში, წერდა, კითხულობდა, გულმოდგინედ ეუფლებოდა ცოდნას, — სტუდენტი გახდა. მაგრამ ასეთი ბედი ყველას როდი ხვდა. უმრავლესობა უმაღლესი სასწავლებლის გარეთ დარჩა. და ეს არცაა გასაკვირი. უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველი ძალიან ბევრია, ყველას მიღება კი შეუძლებელია, და ეს არცაა საჭირო. ამიტომაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები იღებენ მხოლოდ უკეთესთა შორის უკეთესებს, იმათ, ვინც ნამდვილად საამისოდაა მოწოდებული, ვისაც უსაზღვროდ უყვარს წიგნი.

იბადება კითხვა: სად წავიდნენ ისინი, ვინც უმაღლესი სასწავლებლის გარეთ დარჩა? — ფაბრიკებში,

ქარხნებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში; უნდა ჩაებან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, რათა გამოადგნენ საკუთარ თავსაც და საზოგადოებასაც. ოცდაოდე წლის ჯან-ღონით საესე ახალგაზრდის უქმად დატოვება დანაშაულია. ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც მკლავშიც ძალა აქვს და თვალიც უჭრის, რაღაც თავისი ძალის შესაფერისი საქმე უნდა აკეთოს, საკუთარი შრომით უნდა იცხოვროს. დატოვეთ უსაქმოდ იგი და მალე დარწმუნდებით, როგორი გამოესწორებელი შეცდომა დაუშვით. ამ ბიჭს არ ეცოდინება, რა გააკეთოს. იმ მეგობრებს, რომლებმაც თავისი გზა იპოვეს ცხოვრებაში, მისთვის უკვე აღარ ეცლებათ. მას დაეუფლება მოწყენილობა და მეტი რა გზა ექნება — „გასართობი" უნდა გამონახოს, დადგეს ძმა-ბიჭებში, ათვალიერეროს გამვლელ-გამომვლელი, ილაზღანდაროს და ბოლოს, აქედან დანაშაულის ჩადენამდე ერთი ნაბიჯიღაა.

მე ვიცნობ ერთ ახალგაზრდა კაცს, საკმაოდ განათლებულს. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს აჭარის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში მასწავლებლად მუშაობდა. შემდეგ მიატოვა სკოლაც, ამხანაგებიც, თავისი სოფელიც, ჩამოვიდა ქალაქში და მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდა. საღამოს კი ხან ერთ ნათესავს მიადგებოდა ღამის გასათევად, ხან მეორეს. იმ დროს, როცა მისი ამხანაგები შრომობდნენ, იღვწოდნენ, ოფლს ღვრიდნენ, იგი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ხან საკოლმეურნეო მოედანზე გამოჩნდებოდა, ხან ზღვისპირას, ხან მთავარ ფოსტასთან იყო ბოძივით აყუდებული, ხან კი კინოთეატრში ამოყოფდა თავს, მაგრამ ვერსად ვერ ისვენებდა, ვერ პოულობდა ადგილს.

მშობლების, ნათესავების, აღმზრდელ-მასწავლებლების, ტოლ-მეგობრების რჩევით ეს ახალგაზრდა ოჯახს მოეკიდა და კვლავ შეუდგა თავისი პროფესიით მუშაობას. დღეს იგი საუკეთესო პედაგოგი და მამაა. ასეთად იგი აქცია საზოგადოების საკეთილდღეო შრომამ. შრომა ნებისმიერ ქვეყანაში პატიოსნების, დიდების, სახელისა და გმირობის საქმეა. შრომა ყველა სიკეთისა და ბედნიერების წყაროა.

შვილების მომავალზე ზრუნვა ყველა მშობლის ვალია, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ოჯახში ბავშვის მომავალი მხოლოდ უმაღლესი განათლების მიღებით განისაზღვრება. ზოგჯერ გვაეიწყდება, რომ უმაღლესი განათლება უნდა მიიღოს მხოლოდ იმან, ვინც საამისოდაა მოწოდებული. ზოგიერთი მშობელი კი ფიქრობს: ჯერ ბავშვმა უნდა დაისვენოს, გაიარ-გამოიაროს, დრო გაატაროს, შრომას მერეც მოესწრებაო, და ანგარიშს არ უწევს იმას, რომ უქმად გატარებული ყოველი წუთი სამარცხვინოა და წარუშლელ ლაქად რჩება ადამიანის ცხოვრებაში. მუდამ უნდა გვახსოვდეს ნიკოლოზ ოსტროვსკის სიტყვები: „ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასია სიცოცხლე. იგი მას მხოლოდ ერთხელ ეძლევა, და ისე უნდა იცხოვრო, რომ წვავედ არ გტკიოდეს გული უმიზნოდ გატარებული წლებისათვის, რომ არ გწვავდეს სირცხვილი უსინდისო და წვრილმანი წარსულისათვის“.

ᲗᲔᲛᲝᲥᲛᲣᲚᲘᲓᲐᲜ გამომდინარე, მშობლებმა, სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაასაქმონ კონკურსგარეშე დარჩენილი ახალგაზრდები. ამაში გადამწყვეტი სიტყვა მაინც მშობლებს ეკუთვნით. ამიტომ ერთხელ კიდევ შეგახსენებთ, პატივცემულო მშობლებო, არ გაუწიოთ დათვური საქმსახური შვილებს, „გაიმეტეთ“, გაუშვით ისინი „შაე სამუშაოზე“. ამით თქვენს ოჯახსაც არგებთ, შვილ შვილსაც და საზოადოებასაც.

1974 წლის ოქტომბერი

ᲘᲡ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲡᲐ...

ყველაზე ძნელი, რთული, ყველაზე
სასიხარულო ვალი ყოველი კაცისა –
შვილების აღზრდაა.

ვ. სუხომლინსკი

შვილი!.. რამდენი რამაა ჩაქსოვილი ამ ერთ სიტყვაში! წარმოვთქვამთ ამ სიტყვას და თვალწინ დაგვიდგება უძილო ღამეები, მრავალი წლის ფიქრი და ოც-

ნება, დარდი და ვარამი, რამეთუ უდიდესი ‘ბრალმა, გარჯა და ჯაფა სჭირდება ბავშვის მოვლას, მის დაცვას ათასნაირი სენისა და ჭირისაგან, უმწეო ჩვილს ყოველი ფეხის ნაბიჯ’ზე რომ თან სდევს.

შვილი ყოველ მშობელს უყვარს, რანაირიც უნდა იყოს იგი, — ჯანმრთელი თუ ავადმყოფი, ლამა’ხი თუ უშნო, ნიჭიერი თუ უნიჭო, ჭკვიანი თუ სულელი, — მ’ხადაა უკასნასკნელი ლუკმა გაიმეტოს მისთვის. ადამიანი კი არა, ნადირიც შესტრფის თავის ნაშიერს და ხ’ირად სიცოცხლეს სწირავს მისთვის, ტყვიასაც კი არ ერიდება, ოღონდ იხსნას იგი.

ასე რომ არ იყოს, კაცობრიობა ალბათ დიდი ხანია გადაშენდებოდა და ცხოველთა სამყაროც მოისპობოდა.

ეს კი იმის დასტურია, რომ შვილის გაჩენა და გაზრდა როგორც ადამიანის, ისე ყველა სულიერი არსების უშ’უალო მოვალეობა და ზნეობრივი მოთხოვნილებაა.

მაგრამ შვილის გაზრდა სხვაა და აღზრდა სხვა. სამწ’უხაროდ, ბევრი მშობელი ვერავინ’არ განსხვავებას ვერ ხედავს ამ ორ სიტყვას შორის და თავის მშობლიურ მოვალეობას შვილის მარტოოდენ გაზრდითა და მატერიალ’ური უზრუნველყოფით ამოწ’ურავს. ყოველმა მ’შობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სიტყვა „გაზრდა“ შვილის ბიოლოგიურ არსებობას გ’ულისხმობს, „აღზრდა“ კი — მის მომზადებას ცხოვრებისათვის და ქვეყნის სასახელო ადამიანად ჩამოყალიბებას.

მე არ ვეკუთვნი უფროსი თაობის იმ წარმომადგენელთა კატეგორიას, რომლებსაც არაფერი მოსწონთ ჩვენი ახალგაზრდებისა და როგორც კი მათი რაიმე უზნეო მოქმედების მოწმე ხდებიან, მაშინვე იწყებენ მათ ლანძღვა-გინებას.

არა, ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს. ისინი ჩვენზე უკეთესები არიან. ეს მათ არაერთხელ დაამტკიცეს. ასე რომ არ იყოს, ამაო იქნებოდა ერისა და ქვეყნის წინსვლა-განვითარებაზე ფიქრი. მაგრამ ისიც ხომ კარგად ვიცით, რომ მათ შორის ბევრი ცუდიც ურევია. აი, რა არის ჩვენი საფიქრალი და სადარდებელი. სწორედ ამან აგვაღებინა კალამი ხელში.

ახლა კელავ ჩვენი წერილის შესავალში დასმულ სასაკითხს დავუბრუნდეთ და ვუპასუხოთ კითხვას: რისთვის გვიყვარს ჩვენი შვილები?

– როგორ თუ რისთვის, – შეიძლება იკითხოს მავანმა, – ყველაზე კი უყვარს თავისი ბახალა და რა გასაკვირია, რომ ადამიანს თავისი შვილი უყვარდეს.

არა, ძვირფასო მკითხველო, მე მოგახსენებთ არა ბრმა, გრძნობამორეულ სიყვარულზე, არამედ სიბრძნის შუქით განათებულ მშობლიურ სიყვარულსა და მოვალეობაზე, იმ უწმინდეს და უდიდეს გრძნობაზე, რომელიც აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს ამქვეყნად ჩვენს არსებობას.

ამ სიყვარულის საიდუმლოება კი იმაშია, რომ შვილები ჩვენი იმედი და მომავალია, ისინი ჩვენი გვარისა და სიცოცხლის გამგრძელებლები არიან. მათ საქმიანობაში ფრთას ისხამს ჩვენი აუხდენელი ოცნებები. ამიტომაც ამბობდა დიდი ილია: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა". მაგრამ ეს იმის უფლებას როდი გვაძლევს, რომ ცხოველური სიყვარულის დონემდე დავეშვათ და ყველაფერზე თვალი დავხუჭოთ, ვაპატიოთ შვილს ის, რასაც სხვას არ ვაპატიებთ. სიყვარულიც არის და სიყვარულიც. გადაჭარბებულ, თავდავიწყებულ სიყვარულს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ყოველ მშობელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მშობლიური სიყვარული, განსაკუთრებით კი დედობრივი სიყვარული, წამალიც არის და საწამლავიც. დედას იმდენი თბილი გრძნობა და შვილის სიყვარულის უნარი გააჩნია, რომ ოც და მეტ შვილს ეყოფა. და თუ იგი მთელ ამ გრძნობას ერთ შვილს მოახმარს, ეს იქნება შვილზე გადიდებული დოზით მიწოდებული წამალი, რომელიც ხშირად საწამლავად იქცევა.

ზოგიერთი მშობელი ფიქრობს: „მათ ასაკში ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაკლდა, დაე, ჩვენს შვილებს ჰქონდეთ ნათელი, ბედნიერი ბავშვობა". მშობლებს, რომლებიც ამ კრედოთი არიან შეიარაღებული, მზე და მთვარე ამოსდით თავიანთ შვილებზე – ზედმეტად ეფერებიან, თავს ევლებიან, ყველა მოთხოვნას უსრულებენ. უქმნიან უზრუნველ ცხოვრებას, მათგან სამაგიერო სამსახურს

კი არ მოითხოვენ. ასე ექმნება ბავშვს ყალბი წარმოდგენა თავის თავზე, ჰგონია, რომ იგი რაღაც განსაკუთრებული, სხვებისაგან გამორჩეულია და ამიტომაც მის წინაშე ყველა ქედს უნდა იხრიდეს, მის სურვილს უყოყმანოდ ასრულებდეს. ასეთ ბავშვს ეჩვენება, რომ მამა და დედა იმიტომ არსებობენ, რომ მას ემსახურონ, და თუ თვითონ მათ წინაშე ვალშია, ვერ წარმოუდგენია.

ზოგიერთ ოჯახში ადგილი აქვს მშობლების მიერ შვილების ე. წ. დესპოტურ სიყვარულს, როცა „სიყვარულის ულუფა" გაიცემა გუნება-განწყობილების მიხედვით: თუ მშობლები კარგ ხასიათზე არიან, მაშინ ბავშვს ყველაფრის უფლება აქვს, იმისაც კი რომ ბებიას ან ბაბუას დაარტყას, მუშტი მოუღეროს, ენა გამოუყოს და ა.შ., ხოლო თუ უგუნებოდ არიან, მაშინ ისინი ბავშვის მწამებლებად გვევლინებიან. ამიტომაც ასე დაუინებით გვაფრთხილებს დიდი რუსი მწერალი და ექიმი ანტონ ჩეხოვი: „ბავშვები წმინდანები და უბიწონი არიან. ისინი ბანდიტებსა და ავაზაკებსაც ანგელოზები გამოსდით... არ შეიძლება, ისინი თოჯინებად ვაქციოთ იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზე ვართ: ხან ნაზად ვეალერსოთ და ხან ცოფიანივით თავს რისხვა დავატეხოთ. სჯობს სულ არ გიყვარდეს, ვიდრე გიყვარდეს დესპოტური სიყვარულით".

შვილისადმი ასეთი არაგონივრული, ბრმა სიყვარულის მწარე ნაყოფი მარტო მშობლების ხვედრი რიდია. ეს რომ ასე ყოფილიყო, ამას როგორმე მოითმენდა კაცი. თუმცა, მშობლების პოზიციებიდან თუ ვიმსჯელებთ, ამის მოთმენა არც ისე ადვილია. მაგრამ საქმე გაცილებით რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ადამიანი, რომელსაც ბავშვობიდანვე ასწავლეს მხოლოდ სხვისგან მიიღოს, თვითონ კი სამაგიერო არაფერი გასცეს, საეჭვოა, რომ გახდეს მოსიყვარულე ქმარი ან მამა, ერთგული, უანგარო მეგობარი, სამშობლოს ღირსეული შვილი. ამიტომაც გვასწავლის ქართული ანდაზა: „შვილი მტრულად გაზარდე და მოყვარედ გამოგადგება".

ეს რომ ასე არ მოხდეს, როგორც ვასილ სუხომლინსკი გვირჩევს, ბავშვში პატარაობიდანვე უნდა აღვზარდოთ სურვილის კულტურა. იმ დროიდან, როდესაც

პატარას უკვე შეუძლია აღიქვას და რეაგირება მოახდინოს მშობლების სიტყვებსა და მოქმედებაზე, იგი უნდა შეეჩვიოთ სიტყვას „არ შეიძლება“. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვს ყველაფერი ავუკრძალოთ. ცნობილია, რომ ბავშვები, რომლებსაც ყველაფერს უკრძალავენ, იზრდებიან უინიციატივონი და გულჩათხრობილნი, არ ძალუძთ ემოციების გამოხატვა. ამიტომ ყოველთვის უნდა ეუცადოთ; რომ ბავშვმა არა მარტო გაიგოს აკრძალვის მიზეზი, არამედ იგრძნოს კიდეც, გაუჩნდეს ამის შესახებ საკუთარი აზრი, შოაბეჭდილება. იგი ‘ნ’ის გამო, ბრმად კი არ უნდა დაემორჩილოს მშობლების „არ შეიძლებას“, არამედ უნდა შეიგნოს, რომ ეს უფროსების ჭირვეულობა არ არის და ნამდვილად ასეა საჭირო.

სურვილის კულტურის აღზრდის გარეშე ბავშვის მოთხოვნა განუწყვეტლივ იზრდება როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. მალე მას უკვე აღარ დააკმაყოფილებს სხვადასხვა სათამაშო, მოისურვებს საათს, ფოტოაპარატს, ველოსიპედს, მაგნიტოფონს, მოდურ ტანსაცმელს, ჯიბის ფულს — კინოსათვის, თეატრისათვის, რესტორანისათვის და ასე დაუსრულებლივ.

‘ოგიერთი მშობელი, შვილი რომ „არ დაეჩაგროს“, „წელ’ხე ფეხს იდგამს“, „ტყავში ძვრება“ და ყველა მოთხოვნას უსრულებს, უქმნის უზრუნველ ცხოვრებას — უტოვებს კეთილმოწყობილ, თანამედროვე დგამ-ავეჯით გაწყობილ ბინას, აგარაკს, მანქანას და ა.შ., რითაც შვილს დათვურ სამსახურს უწევს, რომელმაც არ შეიძლეია არ გამოიღოს თავისი მწარე ნაყოფი.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ ტიპურ მაგალითს, რომელიც, ეფიქრობთ, ჭკვის სასწავლი იქნება ‘ოგიერთებისათვის. ოჯახს სამი გოგონას შემდეგ ნანატრი ვაჟიშვილი შეეძინა. პატარას გამორჩეულად ზრდიდნენ, ანებივრებდნენ, აღმერთებდნენ, ცდილობდნენ არაფერი ‘ოეკლოთ მისთვის. რა უნდა ენატრა, რომ არ შეესრულებინათ. მის გასაკეთებელს ყოველთვის დები აკეთებდნენ. ასე იქცა იგი ფუქსავატ, ეგოისტ არსებად. საშუალო სკოლის რის ვაი-ვაგლახით დამთავრების შემდეგ ბედი უმაღლეს სასწავლებელ’ში სცადა, მაგრამ

პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა. ბიჭის წარუმატებლობა მშობლებმა მის უიღბლობას და თავიანთ გამოუცდელობას მიაწერეს, რომ მთელი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, ფეხზე ვერ დააყენეს ნათესაობა, მეგობრები და ნაცნობის ნაცნობები. მაგრამ, არა უშავს, ეს გაკვეთილი იყოს მომავლისათვის. მომავალში კი ბავშვმა კარგად უნდა დაისვენოს, რეპეტიტორებთან იაროს, იმეცადინოს... მაგრამ იმეცადინებს კი? არა მგონია. იგი მაშინ არ მეცადინაობდა, როცა ყოველდღიურად მასწავლებლის გამოძახებას და ამხანაგების წინაშე გაწითლებას ელოდა და ნუთუ ახლა იმეცადინებს, როცა „სიმწიფის ატესტატი“ უკვე ხელში აქვს?

ასეც მოხდა. მიუხედავად ამისა, მამამ მაინც ყველა ღონე იხმარა, როგორც თვითონ ამბობდა, მისი წონა ფული დახარჯა და შვილს უმაღლეს სასწავლებელში უკრა თავი, მაგრამ ჩვენთან, საქართველოში კი არა, რუსეთში. მშობლები ხშირად უგზავნიდნენ შვილს ფულს, სურსათ-სანოვაგეს, ხშირად აკითხავდნენ ინსტიტუტში, განსაკუთრებით მაშინ, როცა სესიები იწყებოდა. მაგრამ ამან ვერ უშველა მათ შვილს. წერილმანი ხულიგნობისა და თავაშვებული ცხოვრებისათვის იგი რამდენიმეჯერ მოხვდა მილიციის სამორიგეოსთან არსებულ გამოსაფხიზლებელში, შემდეგ კი სისხლის სამართლის დანაშაულისათვის 5 წელი მიუსაჯეს.

ასე ჩაიარა მშობლების სათაყვანო შვილის ახალგაზრდობამ.

თუ შვილის სიკეთე გვინდა, პატარაობიდანვე უნდა შევაჩვიოთ მისი ძალისა და ასაკის შესაფერის შრომას, რადგან „ბავშვი ბედნიერია არა მაშინ, როცა არეთობენ, არამედ მაშინ, როდესაც იგი სერიოზულად აკეთებს მისთვის საინტერესო საქმეს“ (კ. დ. უშინსკი).

ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა ჩავაგონოთ, რომ ყოველი დიდი შემოქმედის, ხელოვანის გამარჯვების საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ თავდადებულ შრომაშია. მის გარეშე სულ მცირე მიღწევებზეც კი ზედმეტია ლაპარაკი.

შრომის სიყვარული, მშრომელი ადამიანის პატივისცემა ბავშვს უნდა ჩაენერგოს ჯერ კიდევ სკოლამდელ

ასაკში. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგ ოჯახში ბავშვებს საერთოდ არაფერს ავალებენ, ნიავსაც კი არ აკარებენ. ასეთი მშობლები შვილებს, როგორც წესი, წყალში შესვლას უკრძალავენ დახრჩობის შიშით, ველოსიპედს არ აკარებენ იმ მოტივით, რომ შეიძლება გადმოვარდეს და რაიმე იტკინოს. მათ ავიწყდებათ, ან ივიწყებენ იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ ხშირად იმ ბავშვისაგან, რომელსაც ცხოვრებაში არაფითარი გაჭირვება არ უნახავს, ნამდვილი, ჭეშმარიტი მოქალაქე ვერ დადგება.

ზოგიერთ ოჯახში გავრცელებული ზედმეტი მეურვეობის სურათი კარგად დაგვიხატა მწერალმა ალექსეი ტოლსტოიმ თავის შესანიშნავ მოთხრობაში „ნიკიტას ბავშვობა“.

დედა შვილს ეუბნება: „— ...გთხოვ, ახლოსაც არ გაეკარო გაუხედნავ ცხენებს, — და მან მუდარით შეხედა ვასილი ნიკიტინს. — ვასია, შენ მაინც დამიჭირე მხარი... ყოველიფე იმით დამთავრდება, რომ ხელ-ფეხს დაიმტვრევს და ის იქნება...

— ძალიან კარგი, — უპასუხა ვასილი ნიკიტიჩმა, — აუკრძალე ცხენზე შეჯდომა, აუკრძალე, საერთოდ, ფეხით სიარული — ხომ შეიძლება სიარულის დროსაც ცხვირი გაიტეხოს, — ადექი და ქილაში ჩასვი, ბამბაში ჩაფუთნე და მუზეუმში გაგზავნე...

— ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი, — უპასუხა დედამ, — ამ ზაფხულს ალბათ ერთი საათი არ მექნება მოსვენება...

— საშა, შეიგნე, რომ ბიჭი უკვე ათი წლისაა.

— ოჰ, ეს სულ ერთია...

— მაპატიე, თუ შეიძლება, მაგრამ მე სრულებითაც არ მინდა, რომ მისგან რომელიღაც ცინგლიანი მაკარონოვიჩი გამოვიდეს“.

სამწუხაროდ, ყველა ოჯახის მეთაური როდი იქცევა ასე. ალბათ ამის გამოა, რომ უკანასკნელ წლებში მოგვიმრავლდნენ შვილებზე ავადმყოფურად მეურვე, მოკანკალე დედები, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მშობლიურ კერას არ მოაცილონ, კალთიდან არ მოიშორონ თავიანთი ზრდადასრულებული შვილებიც კი.

ერთხელ ტროლეიბუსში მეათეკლასელ გოგონათა ასეთ საუბარს შევესწარი, – წერს ა. ო. პინტი:

– ეს, გოგოებო, სიამოვნებით წავიდოდი სადმე შორს, შორს...

– მერე, რა გიშლის ხელს? აი, ატესტატს მიიღებ და, თუ გინდა, კამჩატკაზე წადი...

– ვინ მიშლის? რა თქმა უნდა, ჩემი დედიკო. სანამ ცოცხალი ვარ, არსად გაგიშვებო, მეუბნება. ახალგაზრდა ხარ, ცხოვრებას არ იცნობ; სიძნელეებზე გაზეთებში კითხვაა ადვილი, აი, ნამდვილად რომ წააწყდები მათ, მერე სხვანაირად ალაპარაკდებიო".

შევეკითხოთ ასეთ დედებს, როგორ ცხოვრობდნენ ისინი ოცი წლის ასაკში, მათაც ასე მეურვეობდნენ მშობლები?

– რას ბრძანებთ, განცვიფრდება ბევრი მათგანი. შაშინ სულ სხვა დრო იყოო.

და მოგიყვებიან, როგორ მუშაობდნენ დიუდადამ ჩარხთან, დაზგასთან, ფერმაში თუ კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებში, სიმინდის ყანებში თუ ჩაის პლანტაციებში, შვილებს კი საამისოდ ვერ იმეტებენ.

ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში " გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნამოგზაურები ჟურნალისტების პესკოვისა და სტრელნიკოვის ნარკვევები.

ერთხელ ისინი კაფე-ბარში შესულან. აქ მათ მომსახურებია მოხდელილი გარეგნობის, ასე 18-19 წლის ქალიშვილი. იგი აღმოჩნდა ადგილობრივი შტატის მილიონერი გუბერნატორის შვილი, რომელიც ზაფხულის არდადეგების პერიოდში დროებით ოფიციანტად მუშაობდა, რათა ინსტიტუტში სწავლის ფული დაეგროვებინა. ამას აკეთებდა იგი არა იმიტომ, რომ საკუთარ მამასთან ნაჩხუბარი, ანდა სახლიდან გამოქცეული იყო, არამედ მას კარგად ესმოდა, რომ იგი სრულწლოვანია და მოვალეა იშრომოს და საკუთარი შრომის ხარჯზე იცხოვროს.

ჩვენში 18 წლის ქალიშვილი კი არა, ბევრი უმაღლესდამთავრებული შვილიც კი პენსიონერი მშობლების ხელის შემყურეა, რადგან მისი რაიონში სამუშაოდ გა-

გზაენა. ქალაქს „მოწყეეტა“ ბევრი ოჯახის უსაშველო ტრაგედიად არის ქცეული. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიშველიებთ მწერალ ნოდარ დუმბაძეს:

„ამ რამდენიმე წლის წინათ, შუაღამისას, უსაზღვროდ შეშფოთებულმა ნაცნობებმა დამირეკეს და მთხოვეს:

— გვიშველე, ჩვენს ბიჭს რაიონში ანაწილებენ, თბილისში დაატოვებინე როგორმე, თორემ სოფელში დაგვეღუპება და მერე ჩვენც არ ვიცოცხლებთ თავს...

ის „ბიჭი“ მაშინ 27 წლისა იყო, ახლა 35 წლისაა, თბილისში ცხოვრობს, ცოლშვილიანია და უმუშევარი.

— ვის კმაყოფაზეა?! — მკითხავთ თქვენ.

რა თქმა უნდა, პენსიონერი მშობლების კმაყოფაზე.

— თავმოყვარეობა არა აქვს? — ისევ მკითხავთ თქვენ.

— როგორ არა, აკი მირეკავს კიდევაც დროდადრო და მთხოვს ცალყბად, მეყო უსაქმოდ ყოფნა, მიშოვე რამე, ჩემი შესაფერი სამუშაო ქალაქის ცენტრში და ნუ ჩააყოლებ ამ მოხუცებს ჩემს ჯავრს საფლავშიო“.

დღეს პენსიონერი მშობლების ხარჯზე ცხოვრება ირონიულად აღიქმება, რადგან ის პენსია, რასაც ისინი იღებენ, პურის ფულადაც არ ჰყოფნით და სხვას რაში წაადგება, მაგრამ მაშინ ეს, ასე თუ ისე, შესაძლებელი იყო.

აი, სწორედ ზემოთ დასახელებული დედების მსგავსნი გამონახავენ ხოლმე თავიანთი შვილებისათვის ცნობებს არარსებულ დაავადებათა შესახებ, როცა მათი კლასი სიმინდის თუ კარტოფილის მოსავლის ასაღებად მიდის, რამდენიმე წლის შემდეგ კი ისინი ინსტიტუტის კარებს აატალახებენ და შეეცდებიან, კურსდამთავრებულთა გამანაწილებელ კომისიას დაუმტკიცონ, რომ მათი ქალიშვილი მძიმედ ავადაა და აუცილებლად მშობლების ფრთას ამოფარებული უნდა დარჩეს. ამის გამოა, რომ ჩვენი ქვეყნის ბევრ მაღალმთიან სოფელში უამრავი ავადმყოფი ამაოდ ელოდება ექიმს, მაშინ როცა ისინი დიდ ქალაქებში უსაქმურად დაეხეტებიან და მცირეწლოვანი ბავშვიეთ მშობლებს შეჰყურებენ ხელში.

ჩვენი წერილის მიზანი იყო, ფართო საზოგადოებისათვის, მეტადრე მშობლებისათვის, გვეჩვენებინა მოზარდი თაობის საოჯახო აღზრდაში არსებული ნაკლოვანებანი, რადგანს, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, დანახვა ნაკლისა მის სანახევროდ გამოსწორებას ნიშნავს. და თუ ასეა, ამაოდ არ აგვიღია კალამი ხელში.

1993 წლის ნოემბერი

მშობლები და მოზარდი

ეზოში პატარების ჟრიამულია. ვაჟები ფეხბურთის თამაშით არიან გართულნი, ჯოგონები კი კლასობანას თამაშობენ. ამ დროს მესამე სართულის ფანჯრიდან ისმის ერთ-ერთი „ფეხბურთელის" დედის ხმა:

— თამაზ, ამოდი, გაკვეთილებს მიხედე!

— ახლავე, დედა!

— ვის ვეუბნები მე?!

— ახლავე, რა!

— თამაზ, არ გესმის?!

— ჰა, მოვდივარ, მოვდივარ! — იძახის ბიჭი და თვალებაცრემლებული ბუზღუნით მიდის.

ალბათ ბევრი ჩვენგანი ყოფილა ასეთი დიალოგის მოწმე. ხშირ შემთხვევაში, ამ დროს უგულებელყოფილია ბავშვისადმი ელემენტარული ნდობა და პატივისცემა. მშობლების ძირითადი მიზანია, რადაც უნდა დაუჯდეთ, მიაღწიონ ბავშვის მორჩილებას. სანამ ბავშვი პატარაა, მშობლები ხშირად ამას აღწევენ, მაგრამ როცა იგი წამოიზრდება, იწყებს ჯიუტობას, ურჩობას. სწორედ ამ დროს გვესმის მშობლების ბუზღუნი:

— რა მოხდა, ვერ გამიგია, რამ შეცვალა ეს ბიჭი ასე. ადრე ყოველთვის დამჯერი იყო.

— მართლაც, რა მოხდა, რატომ შეიცვალა ბიჭი?

ამის მიზეზი მოზარდისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ,რასაც ქართული ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა აკადემიკოსმა დიმიტრი უზნაძემ „აღზრდის ძირითადი ტრაგედია" უწოდა.

ხშირად მშობლები ანგარიშს არ ვუწევთ ბავშვის ასაკს, მის სურვილებს, ინტერესს, მიდრეკილებებს, მის ყოველდღიურ საქმიანობას ვზომავთ „საკუთარი არშინით“ და კატეგო-რიულად მოვითხოვთ, აკეთოს ის, რაც ჩვენ გვინდა: ითამაშოს იმდენ ხანს. რამდენ ხანსაც ჩვენ გვინდა; ჩა-იცვას ისე, როგორც ჩვენ გვინდა; იმეგობროს იმ ბავ-შვებთან, ვისთანაც ჩვენ გვინდა და კიდევ ვინ მო-ივლის, რამდენი რამ გვინდა ჩვენ!

ასე და ამგვარად, ყველაფერი ჩვენ გვინდა, ჩვენს შვილებს კი არაფერს ვეკითხებით: რა სურთ, რა აინტე-რესებთ, რა უყვართ, რა არ უყვართ და ა.შ. სწორედ აქ ჩნდება ბზარი ჩვენსა და ჩვენს შვილებს შორის, რაც ზოგჯერ დიდ „ნაპრალად“ იქცევა და ჩვენი აღზრდის პედაგოგიური ეფექტი ნულამდე დადის.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ეპი-ზოდი ანტონ მაკარენკოს ცხოვრებიდან. ერთ-ერთმა დე-დამ მაკარენკოს შესჩივლა, რომ მისი ბიჭი არსად ჩერ-დება, ყველა სკოლიდან გამორბის. — დეფექტურ ბავ-შვთა სკოლაშიც მყავდა, — ეუბნება იგი მაკარენკოს, — საგანგებო რეჟიმის სკოლაშიც, სატყეო სკოლაშიც, შემდეგ სანატორიუმში, ფსიქიატრულ საავადმყოფოში, შინსახკომის კოლონიაში, არსად არ მოიცადა და გამო-იქცა. ახლა ტანსაცმელი გავხადე და დაეუმალე. ზის შინ საცვლების ამარა და არსად ვუშვებ. არ ვიცი, რა ვუყო, 14 წლისაა და ვფიქრობ შეგირდად მოგაბაროთ ქარხანაში.

ა. მაკარენკო დედას ეკითხება:

„— ქალაქგარეთ მასთან ერთად როდისმე ყოფილ-ხართ სასეირნოდ?

— არა.

— ცირკში თუ ყოფილხართ?

— არც ერთხელ.

— კინოში?

— არც ერთხელ.

— რაიმე გიჩუქებიათ?

— ღირსი არ არის, არ იმსახურებს.

— მაშ, რას მოითხოვთ მისგან?

— იქნებ სჯობდეს, რომ ბიძასთან გავგზავნო ქ. ის-

ტრაში.

აქ უკვე ველარ მოვითმინე, — ამბობს მაკარენკო. — „შეიბრალეთ უბედური ბავშვი. მთელი ნერვები აგიშლიათ მისთვის. ჯანმრთელი ნერვების პატრონი კაციც კი ვერ აიტანს ათი კოლექტივის გამოცვლას რაღაც ხუთი წლის განმავლობაში“.

ასეთ ვითარებაში რომელ ჰუმანიზმზე, რომელ კაცთმოყვარეობის აღზრდაზე შეიძლება ლაპარაკი. ცხადია, ასეთი ბიჭი უხეში, გულჩათხრობილი და თავნება გამოვა.

პირველ ხანებში, როცა ბავშვი პატარაა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ შესწევს, იგი ასეთ დამოკიდებულებას ითმენს და ჩვენც კმაყოფილი ვართ — მიგვაჩნია, რომ აღზრდა სწორად მიმდინარეობს. შემდეგ კი, როცა იგი წამოიზრდება და საკუთარ ძალას იგრძნობს, იწყებს „ანგარიშსწორებას“: უხეშობს, კატეგორიულ უარს აცხადებს ამა თუ იმ დავალებებზე და ა.შ. ეს ხდება ე.წ. გარდამავალ ასაკში, რომელსაც ზოგიერთები ძნელ, კრიტიკულ ასაკსაც უწოდებენ. მანამდე მოზარდი ნიადაგს სინჯავს და შეუმჩნევლად დგამს პირველ ნაბიჯებს დამოუკიდებლობისაკენ, ერთ მშვენიერ დღეს კი (თუ შეიძლება ასეთ დღეს მშვენიერი ეწოდოს) იგი გვიმხედრდება, რაც ჩვენთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ნიშნავს. სწორედ ამ დროს ვიძახით: — არ ვიცი, რაშია საქმე, შეილს ველარა ეცნობ, რამ გადარია ეს ბიჭი!

მართლაც, რა მოხდა? რატომაა, რომ ბავშვები მშობლების კეთილშობილურ განზრახვას ეწინააღმდეგებიან? რატომაა, რომ ცდილობენ, თავი აარიდონ ჩვენს სამართლიან მოთხოვნას ან რჩევა-დარიგებას?

ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხი არ არსებობს. შეუძლებელია ყველა შემთხვევისათვის ერთნაირი რეცეპტის გამოწერა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ბავშვს, უეჭველად, გააჩნია წინააღმდეგობის საფუძველი. ეს არის სურვილი — გვიჩვენოს საკუთარი ძალა, დამოუკიდებლობა. ეს სურვილი, მეტნაკლებად, გააჩნია ნებისმიერი ასაკის ბავშვს და, მათ შორის, უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვსაც კი, რომელიც ხშირად მიმარ-

თავს დედას: „მაცალე“, „ჩემით“, „მე თვითონ“ და ა.შ. მაგრამ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა მაინც ყველაზე მეტად გარდამავალი ასაკის ბავშვისათვისაა დამახასიათებელი. ამ ასაკში მოზარდებს ყველაზე მეტად უვითარდებათ პრესტიჟის მოთხოვნილება, საკუთარი თავის ღირსების გრძნობა, რაც ჩვენგან მოითხოვს მისდამი ნდობას, პატივისცემას, მისი ღირსების აღიარება-დაფასებას. თუ აქამდე ისინი ბრმად ემორჩილებოდნენ მშობლებს, აღმზრდელებს,ახლა ილაშქრებენ მათდამი მინური მორჩილების წინააღმდეგ და ცდილობენ, თავი დააღწიონ მათ „არტახებს“, მშობლები კი ამის უფლებას არ აძლევენ. ისინი მოზარდს ისევე ისე უყურებენ და ექცევიან, როგორც ბავშვობის ასაკში. როცა მოზარდი მშობლების ასეთ მოქმედებას წინ აღუდგება, ეს უკანასკნელნი ხშირად მიმართავენ ადმინისტრაციულ ზომებს და შვილს აიძულებენ, ისევ წინანდელ ბავშვურ მდგომარეობას დაუბრუნდეს, რაც იწვევს მოზარდის თავმოყვარეობის, მისი ღირსების შელახვას.

ასეთი მშობლები, როგორც წესი, დარწმუნებული არიან საკუთარ უცოდველობაში, თავი ყოველთვის მართალი ჰგონიათ და შვილებისაგან მოითხოვენ მათი ნებისადმი უეჭველმანო დამორჩილებას, ბავშვების ბუნებრივ გრძნობებსა და მოთხოვნილებებს კი ანგარიშს არ უწევენ. თუ ასეთ მოქმედებას სისტემატიური ხასიათი აქვს, მშობლებსა და შვილებს შორის წარმოიქმნება „გაუგებრობის კედელი“ — შვილი მშობლის ნათქვამს გონებით აღარ აღიქვამს და თანდათან უყალიბდება საკუთარი თავის დაცვის რეაქცია. ეს არ მოხდება, თუ მშობელი მოერიდება შვილის სშირ და უსაფუძვლო გაკიცხვას, თითის ქნევით ლაპარაკს და „ნოტაციების“ კითხვას.

იძულება, ძალდატანება, განსაკუთრებით მოზარდებში, კლავს ნდობას, ხელს უწყობს აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის სიდის ჩატეხვას, რომლის მთლიანობა ესოდენ საჭირო და აუცილებელია აღმზრდელობით მუშაობაში. ამის ძირითადი მიზეზია ის, აღნიშნავს პროფესორი შალვა ჩხარტიშვილი, რომ მოზარდს თავის თავზე და შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს და გაცილებით მეტ უფლებებს, თავისუფ-

ლებასა და დამოუკიდებლობას მოითხოვს, ვიდრე ეს მას სინამდვილეში ეკუთვნის, ხოლო მეორე მხრივ, მშობლები მის ძალებს ნაკლებად აფასებენ და მოზარდს იმდენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობასაც კი არ აძლევენ, რამდენსაც იგი ფაქტობრივად იმსახურებს. ადმზრდელი ცდილობს ჩამოაყალიბოს აღზრდის მიზნით გაითვალისწინებული პიროვნება და ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ მოზარდი უკვე პიროვნებაა, რომელსაც თავისი საფიქრალ-საზრუნავი აქვს. ბავშვი ჩვენს სფეროში კი არ უნდა გადმოვიყვანოთ, გვასწავლის ცნობილი რუსი ქირურგი და პედაგოგი ნ. ი. პიროგოვი, „არამედ ჩვენ უნდა გადავიდეთ მის სულიერ სამყაროში". მხოლოდ მაშინ მიიღებს იგი ჩვენს რჩევას და დარიგებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი გარდუვალია.

იმ ოჯახებში, სადაც კარგად ესმით პიროვნებისადმი ნდობისა და პატივისცემის დიდი ძალა, უყოყმანოდ არ მოითხოვენ მოზარდისაგან სიტყვაშეუბრუნებელ მოქმედებას, მორჩილებას, რასაც ხშირად სულიერი პასიურობისაკენ მივყავართ. ისინი პატივს სცემენ ბავშვის პიროვნებას, ანგარიშს უწევენ მის აზრს, შეხედულებებს, საუბრობენ მასთან როგორც ტოლი-ტოლთან, რაც გამოიხატება მისდამი მიმართვაში: „შენ როგორ ფიქრობ?" „როგორია შენი აზრი ამ საკითხზე?" და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას ბავშვს შეუძლია მშობლების საწინააღმდეგო აზრის გამოთქმაც, მაგრამ ამისათვის მას არავინ დასჯის. უმრავლეს ოჯახებში კი პირიქით ხდება: ბავშვს უკრძალავენ საკუთარი აზრის გამოთქმას. და თუ მაინც თქვა რაიმე განსხვავებული, მშობლები აჩერებენ: „გაჩუმდი, შენ ამ ქვეყნის რა გაგებია!" — მიმართავენ ისინი თავიანთ 13-14 წლის შვილს და ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ იგი უკვე პატარა არაა. ასე შეურაცხყოფენ ისინი ბავშვის პირად ღირსებას და ისიც იწყებს ჯიუტობას, საკუთარი „მე"-ს წარმოჩენას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გაიზრდება უინიციატივო, უნებისყოფო ადამიანად.

ზოგიერთი მშობელი ჩივის: „ჩემს ბიჭს ისეთი დამყოლი ხასიათი აქვს, რომ რასაც ეტყვიან, იმას აკეთებს.

მეშინია, არ მოექცეს ცუდი ბიჭების გავლენის ქვეშ". ასეთი მშობლები არ ფიქრობენ იმაზე, რომ ამაში თვით მაი მიუძღვით ბრალი, თვითონ აქცევს იგი ასეთად.

ვასილ სუხომლინსკი წერდა: „თუ ბავშვს მხოლოდ შეკავებით მოვარიდებთ საძრახის საქციელს, იგი სკოლიდან გამოვა უნებისყოფო ადამიანი. ბავშვი ისე უნდა ვაწაროთ ცხოვრების გზაზე, რომ თავისი ცხოვრების საპასუხისმგებლო, გადამწყვეტი ნაბიჯები მან თვითონ გადადგას უფროსებისა და კოლექტივის ზეგავლენით, მაგრამ სავსებით დამოუკიდებლად, ისე, რომ თავის თავში გრძნობდეს სიძნელეთა გადალახვისათვის აუცილებელ ძალებს".

ბავშვებისადმი ნდობის შესახებ მასწავლებლის მისამართით ნათქვამი ეს სიტყვები მოზრდილებად და სავსებით მშობლებსაც ეხება.

1995 წლის დეკემბერი

ოქროზე ძვირფასი

პური!.. რამდენი რამაა ნათქვამი ამ ერთი სიტყვით! პური ქვეყნისა და ხალხის სიმდიდრის ნიშანია, ჩვენი სიცოცხლისა და არსებობის საშუალებაა. ის უამრავი ადამიანის შრომისა და ჯაფის ნაყოფია, მიწის მეშიდან დაწყებული, საბაზით დამთავრებული. ამიტომაც თვალისჩინივით უნდა მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ მას.

ქართველი კაცი ოდითგანვე მოწიწებითა და პატივისცემით ეპყრობოდა პურს. ამიტომაც დამკვიდრდა ჩვენს მეტყველებაში პურთან დაკავშირებული ცნებები: „პურ-მარილი", „პურის ჭამა", „პურადი", „პურმარილიანი კაცი", „პურ-ღვინო" და ა.შ.

პურისადმი ჩვენი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა კარგადაა გადმოცემული ასევე ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში. ერთ-ერთ მათგანში ეკითხულობთ:

„პურო, შენა ხარ ქებული,
გაქვს კარგი საძირკველია,
უშენოდ სახლი არ ვარგა,
შენა ხარ მასპინძელია!"

ძველი აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის:

„სანამ არ მოგშივდება, პურის საჭმელად არ დაჯდე — პურზე ძვირფასი არაფერია!“

„სანამ ხელს არ დაიბან, პურის საჭმელად არ დაჯდე — პურზე სუფთა არაფერია!“

„სანამ ქუდს არ მოიხდი, პურის საჭმელად არ დაჯდე — პურზე პატივსაცემი არაფერია!“

დიახ, პური ჩვენი არსებობის ძირითადი საშუალებაა, ყველა დანარჩენი კი ზედსართავი, ზედ მისაყოლებელია. პური ჩვენი ძალა, ჩვენი სიმდიდრე და ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი ნიშანია. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი ესმის ეს. ბევრმა არ იცის ან არ სურს გაიგოს, თუ რა სიძნელესთანაა დაკავშირებული პურის მოყვანა, რომ იგი მხვნელ-მთესველთა თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია. ამიტომ მას ყაირათიანად ხმარება სჭირდება. მაგრამ ვისაც ყანაში პურის აღებაზე არ უმუშავია, ვისაც თონესთან სახე ნაკვერჩხალივით არ აწითლებია, ვისაც ომიანობის შიმშილი არ ვანუცდია, პურის ტალონები არ დაუკარგავს, ვინც ბლოკადაში არ მოხვედრილა, მან არ იცის პურის ყადრი და არც მისი ჭეშმარიტი ღირებულება.

ლენინგრადის ბლოკადის დროს მუშებს დღეში 250 გრამი პური ეძლეოდათ, მოსამსახურეებსა და ბავშვებს კი ამის ნახევარი —125 გრამი, რომელიც 80 პროცენტამდე ბალახს, ნახერხს, ქატოს და სხვა ნაერთს შეიცავდა.

დაღესტანში ერთ-ერთი ძველი საფლავის ქვაზე წერია: „წყეულიმც იყოს ის, ვინც გირვანქა პური ოქროზე გაცვალა“.

ძალზე ბრძნული და მეტად ღრმააზროვანი სიტყვებია, რომლებმაც არ შეიძლება არ ჩაგაფიქროს და აგაღელვოს. მაგრამ ვაი, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობა ყველას არ ესმის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, რომლებსაც არავითარი გაჭირვება არ უნახავთ ცხოვრებაში.

ერთხელ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში სტუდენტ-პრაქტიკანტებს მივაკითხე. დიდი შესვენება იყო. მოსწავლეები ჭიანჭველებივით ფუსფუსებდნენ დერეფანში. უცებ ჩემ წინ რაღაცამ გაისრიალა. კარგად დავა-

კვირდი (დერეფანში ოდნავ ბნელოდა) და თვალებს არ დავუჯერე: ეს იყო მრგვალი ნამცხვარი, რომელიც, ჩვეულებრივ, სასკოლო ბუფეტებში იყიდება. მოსწავლეები ნამცხვრით ფეხბურთს თამაშობდნენ.

ეს რომ პირველი შემოხვევა ყოფილიყო, შეიძლება, არც კი აგველო კალამი ხელში. თუმცა პირველი შემოხვევისთანავე უნდა ჩამოვკრათ განგაშის ზარები, თორემ შემდეგ, როგორც იტყვიან, გვიანღა იქნება თითზე კბენანი. სამწუხაროდ, ანალოგიურ ფაქტებს სხვა სკოლებშიც შევხვედრიეართ და უნებლიეთ ცნობილი ქართველი მწერლის მიხეილ კვესელავას „ას ერგასის დღის“ ერთი ეპიზოდი გამხსენებია. მარკოვი, რომელსაც ლენინგრადის ბლოკადის დროს ცოლ-შვილი შიმშილით დაეხოცა, ავტორს ეუბნება: „ზოგჯერ მინდა ყველაფერი დავივიწყო, ცხოვრების დინებას მივყვე, კიდეც ვიცინო, კიდეც ვიტირო, ხანდახან არაყსაც მივეძალო, მაგრამ რომ მომაგონდება ჩემი პატარა შვილი, ლენინგრად'ში, შიმშილით სიკვდილის წინ დედას რომ ეუბნებოდა, თურმე, მალე მამიკო მოვა და დიდ, დიდ პურს მოიტანსო... გულ-ღვიძლი გადამიტრიალდება და ისევ წყალალმა ვიწყებ ცურვას“.

არ შეიძლება ამ სიტყვებმა სულის სიღრმემდე არ შეგძრას. ჩვენი შვილები კი დღეს იმდენად განებიერებული არიან, რომ ზოგჯერ პურის ნაწარმით თავს იქცევენ და აკიწყდებათ, რომ პურზე ძვირფასი, ადამიანის გარდა, არაფერია ამქვეყნად.

ზოგჯერ სტუდენტებთან მომჭირნეობასა და ყაირათიანობაზე რომ ვსაუბრობთ, ზოგიერთი მათგანი ირონიულად გაიღიმებს და ჩაილაპარაკებს, ახლა სხვა დროა, ომი ხომ არაა. მართალია, ახლა ომი არაა, მაგრამ ყველაფერს, რაც ადამიანის არსებობისათვის აუცილებელია, განსაკუთრებით კი პურს, მომჭირნეობით ხარჯვა უნდა. ხომ გაგვიგონიათ, ზღვა კოვზით დაიღლიაო. ამიტომაც სწორად მოიქცა გაზეთ „აჭარის“ რედაქცია, როცა პურისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების საკითხს კიდევ ერთხელ მიაპყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება. მხედველობაში გვაქვს გივი თურმანიძის წერილი „წელში გავიმართოთ, სხეისი დასა-

მადლებელი არ გვქონდეს", რომელიც მიმდინარე წლის პირველ ნომერში დაისტამბა.

პურისადმი ყაირათიან დამოკიდებულებაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა, მაგრამ კვლავ და კვლავ საჭიროა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. ალბათ ძნელია დავასახელოთ კვების რომელიმე სხვა პროდუქტი, რომლის დამზადებაზე ესოდენ დიდი შრომა იხარჯებოდეს და, ამასთან, ასე დაუზოგავად და უყაირათოდ მოიხმარებოდეს.

ჯერ კიდევ მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფრინველებსა და პირუტყვს გამომცხვარი პურით კვებავენ. ეს განსაკუთრებით ჩვენს რესპუბლიკას ეხება. საქართველოს, შეიძლება თამამად ითქვას, პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში პურის როგორც მოხმარებაში, ისე მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში. გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ეს მაჩვენებელი ქალაქ თბილისში, მოსკოვთან შედარებით, სამჯერ და ოთხჯერ მეტია. ასეა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც. გამოდის, რომ ჩვენ, ჩვენივე დაუდევრობით, ყოველწლიურად მილიონობით მანეთს ნაგვის ყუთში ვყრით. ამას ვაკეთებთ მაშინ, როცა ჩვენს რესპუბლიკას ეკონომიკურად ძალზე უჭირს და სხვისი ხელის შემყურე ვართ. ყოველმა ჩვენგანმა დღეში თითო ლუკმა, დაახლოებით ათი გრამი პური რომ გადააგდოს, ეს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით 50 ათასი ტონა გამომცხვარი პურის განადგურებას ნიშნავს. ლუკმას კი არა, ზოგიერთი უგუნური მთელ პურს ისე მოისვრის სანაგვეში, რომ ერთხელაც არ ჩაუფიქრდება თავის საქციელს. ასეთებს დაუნდობლად უნდა ვებრძოდეთ ყველა — დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც. საყოველთაო ომი უნდა გამოვუცხადოთ ყველას, ვინც ერის საუნჯეს ასე უყაირათოდ და დაუდევრად ეპყრობა.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით პური ნადგურდება სადღესასწაულო დღეებში. ამ დროს ჩვეულებრივზე მეტ პურს ვყიდულობთ, რაც გაუთვალისწინებელი სტუმრის მოლოდინით არის გამოწვეული. ასეთი სტუმარი ხშირად არ მოდის და მისთვის განკუთვნილი პურიც

ძველდება და საჭმელად უვარგისი ხდება. ახლა ჩვენს ქორწილებს, ქელეხებს, წვეულებებსა და ბანკეტებს არ იკითხავთ? მათი დასრულების შემდეგ მასპინძელს ხშირად გროვად რჩება და უძველდება დიდძალი დაჭრილი პური.

რამდენჯერ უთქვამთ ჩემთვის: – რა მოგვივიდა, შე კაი კაცო, ომი რა ხანია დამთავრდა, შენ კი ისევ ომისდროინდელი დამშეული კაცის ფსიქოლოგიით ცხოვრობ, ლუკმა პურის გადაგდებას ვერ ურიგდები, როცა კილოგრამი თეთრი პური ექვსი შაური ღირსო, წერს მწერალი აკაკი გეწაძე და დასძენს:

„– არა, მეგობრებო, ჩემთვის პური ის არ ღირს, დახლზე შემოდებულს რომ ფასი ადევს. მე იმ ფასის მიღმა ვხედავ ადამიანებს, სიცხესა თუ ყინვა-ყიამეთში ღია ცისქვეშ რომ შრომობენ და ყოველი ლუკმა პურისათვის მწარე ოფლს ღვრიან. ჩემთვის პურის ნამდვილი ფასი ის კი არ არის, რაც მაღაზიაში ღირს, არამედ, რა სიცოცხლეც, რა ჯან-ღონეც არის დახარჯული იმ პურის მოსაყვანად, ადამიანის რა ოფლი, მზის რა სითბო, წვიმისა თუ მიწის რა მადლი დაიხარჯა მის მოსაყვანად. ამ გარჯა-შრომის ფასი ადევს პურს ჩემთვის მუდამ. ასე რომ, ჩემი დამოკიდებულება პურისადმი მარტო ომისდროინდელი მშიერი წლების ფსიქოლოგიის ნაშთი როდია ჩემში შემორჩენილი, იგი უფრო ადრინდელია და... ამავე დროს დღევანდელიც არის“.

დიახ, ეს ასეა. „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაარჩენდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“. ამიტომაც საჭიროა ბავშვებს პატარაობიდანვე ჩავუნერგოთ პურისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების ჩვევა. მართალია, უკანასკნელ წლებში პურის სარეალიზაციო ფასი საგრძნობლად გაიზარდა, რამაც შეამცირა მისდამი უდიერად დამოკიდებულების შემთხვევები, მაგრამ მხოლოდ შეამცირა. სამწუხაროდ, კელავ ვხდებით ანალოგიურ შემთხვევებს. სწორედ ამიტომ დაიწერა ეს წერილი.

პურისადმი სათუთი, ყაირათიანი დამოკიდებულება ხალხს ყოველთვის ადამიანობის საზომად მიაჩნდა. მშრომელი კაცი, ვინც კარგად იცის პურის ყადრი, იცის, რამდენი გარჯა, შრომა და ჯაფაა საჭირო თითო-

ეული კილოგრამი პურის წარმოებისათვის, მის ნამცეცსაც ფეხს არ დაადგამს. რამდენჯერ გვინახავს, სანში შესული კაცი ქუჩაში დაგდებულ პურს რომ დაინახავს, დაიხრება, აიღებს, ხელს გადაუსვამს, რამდენიმეჯერ შეუბერავს და სადმე მაღალ ადგილზე შემოდებს. პურისადმი ასეთი დამოკიდებულება ყოველივე ჩვენგანს ბავშვობიდანვე აქვს შთაგონებული და შესისხლხორცებული. მახსოვს, ბავშვობაში მშობლები გვაფრთხილებდნენ, მჭადის თუ პურის ფუნჩხს ფეხს ნუ დადგამთ, ცოდვაა. ბებიაჩემი კეცის მჭადს რომ გატეხდა, ცალ ხელს ქვევიდან შეუშვერდა, რომ ნამცეცები სუფრაზე არ დაცვენილიყო. ასე სიძუნწის გამო კი არ იქცეოდა, არამედ ასეთი მოქმედება მასაც ბავშვობიდან, თავისი მშობლებისაგან ჰქონდა ჩაგონებული და შეთვისებული.

დიახ, პურისა თუ სხვა პროდუქტებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების უნარს აღზრდა სჭირდება, რაშიც გადამწყვეტ როლს მშობლები ასრულებენ. საამისოდ ოჯახში უნდა იგრძნობოდეს პურის კულტი და მისდამი თაყვანისცემის საუკეთესო მაგალითს, უპირველეს ყოვლისა, თვით მშობლები უნდა იძლეოდნენ, რადგან მაგალითი აღზრდის საუკეთესო საშუალებაა.

1992 წლის თებერვალი

მეტი ყურადღება აღზრდასა და აღზრდის მეცნიერებას

საზოგადოების ისტორიული განვითარების ყველა პერიოდში მხოლოდ ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ ჰქონდა გადაწყვეტილი მომავალი თაობის აღზრდის პრობლემა. ამაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნე არისტოტელე. ციცერონის აზრით კი, „მთელი სახელმწიფოს დედაბოძს ახალგაზრდობის სწორი აღზრდა შეადგენს“. თუ როგორი იქნებიან ჩვენი ბავშვები — კეთილნი თუ ბოროტნი, სასარგებლონი თუ უსარგებლო-

ნი, განათლებულნი თუ უმეცარნი, ამაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის მომავალი. ამიტომაა, რომ მოზარდი თაობის აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა უძველესი დროიდან დღემდე, ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში. სწავლებასთან შედარებით, აღზრდა როული იყო ყველა დროსა და ეპოქაში, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში კიდევ უფრო გართულდა და სკოლასთან ერთად, თითოეული საალმზრდელო დაწესებულების, ოჯახის, მთელი საზოგადოების უპირველეს მოვალეობად და ერთ-ერთ საპატიო ამოცანად იქცა.

მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი ი. ა. კომენსკი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ „მომავალი საუკუნე სწორედ ისეთი იქნება, როგორებიც იქნებიან მისთვის აღზრდილი მომავალი მოქალაქეები". მათ აღზრდაზე იქნება დამოკიდებული „ადამიანთა საქმეების გამოსწორება დედამიწაზე" ნათქვამის საილუსტრაციოდ ი. ა. კომენსკი იშველიებს ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნის პლატონის სიტყვებს: „ადამიანი არის ყველაზე უფრო თვინიერი, ღვთაებრივი არსება, თუ იგი მოშინაურებულია ჭეშმარიტი აღზრდით: და თუ მას აღზრდა არ მიუღია, ან ყალბი აღზრდა მიიღო, მაშინ ის არის ყველაზე უყრო ველური იმ ცხოველთა შორის, რომლებსაც დედამიწა წარმოშობს".

ადამიანის ამ „მოშინაურებაში" გადამწყვეტი როლი აღზრდას ენიჭება. ამიტომაც აღნიშნავს გამოჩენილი ფრანგი მწერალი და პედაგოგი ჟან-ჟაკ რუსო: „თუ როგორი იქნება მცენარე, მოვლაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ადამიანი – აღზრდაზე". დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ბესარიონ ბელინსკი კი წერს: „აღზრდა დიდი საქმეა: ის წყვეტს ადამიანის ბედს" მისი აზრით, არ არსებობს ისეთი ცუდი კაცი, რომელიც კარგმა აღზრდამ უკეთეს ადამიანად არ აქციოს.

ყოველ ჩვენგანს კარგად უნდა ესმოდეს, რომ უსულგულო, უზნეო, უმადური ახალგაზრდობა ერის არსებობას ვერ გაახანგრძლივებს და სიცოცხლეს ვერ შეუნარჩუნებს. ამიტომ ჩვენი საზოგადოება განუწყვეტლივ

უნდა ზრუნავდეს მოზარდი თაობის მორალურ სრულყოფაზე, მისი ზნეობის გასპეტაკებასა და ამაღლებაზე. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...ადამიანი არა მარტო პურით ცოცხალ არს; სხვაც რამ არის საჭირო და ეს სხვა ზნეობაა. ზნეობრივი ქონებაც ისეთი აუცილებლობაა ერის მკვიდრად ფეხზე დგომისათვის და ხანგრძლივ ადამიანურ ცხოვრებისათვის, როგორც არსებითი პური“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოზარდ თაობაში მაღალზნეობრივი თვისებების ჩანერგვა-განვითარება ოჯახის, სკოლისა და მთელი საზოგადოებრივობის უპირველესი ამოცანაა.

დიდი ხნის წინათ, როდესაც ერთმა სახელმწიფომ მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ომი მოიგო, მისმა მეთაურმა მადლობა გადაუხადა არა მხედართმთავრებს და ჯარისკაცებს, არამედ მასწავლებელს, აღმზრდელებს, რადგან ქვეყნის აწმყოცა და მომავალიც იმასვა დამოკიდებული, თუ როგორი თაობა იზრდება დღეს, რა სულიერი საგზლითა და ფიზიკური მზნეობით აღჭურვილ ახალგაზრდობას გაუშვებს ცხოვრების ძველ გზაზე სკოლა. ამიტომ საზოგადოებისათვის სრულიადაც არ არის სულერთი, მოზარდისაგან რა გაჩოვა — ჰატიოსანი მშრომელი თუ ბოროტების მსახური, სამშობლოს ღირსეული შვილი თუ მისი შემარცხვენელ.

ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდის უაღრესად რთული და საპატიო ამოცანა ჩვენს ქვეყანაში დაკისრებული აქვს სკოლას. იგი მოწოდებულია შეაირაღოს მოზარდი თაობა თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, გამოუმუშაოს მეცნიერული მსოფლმხედველობა, ჩაუნერგოს ადამიანების სიყვარული და ჰატივისცემა. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მარტო სკოლა ვერ გადაწყვეტს მასზე დაკისრებულ ამოცანებს, თუ მასთან მჭიდრო კავშირში არ იქნება ოჯახი, სადაც ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს და რომელიც მისი უახლოესი და უპირველესი გარემოა. ამიტომ ოჯახი და ბავშვთა აღზრდა ყოველთვის იყო და არის ერისა და ქვეყნის უპირველესი საზრუნავი.

იმასე. თუ რა მიმართულებას მისცემენ მშობლები შვილების აღზრდას, დიდად იქნება დამოკიდებული მათი შემდგომი ცხოვრების ბედი, ერისა და ქვეყნისადმი მათი სამსახური. ის თვისებები, რასაც მოზარდი ოჯახში მშობლების უშუალო ხელმძღვანელობით იძენს, ხშირ შემთხვევაში, საგზლად მიჰყვება მას მთელი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაცაა ოჯახი სახელმწიფოს პირველადი უჯრედი და დასაყრდენი, მისი წინსვლა-განვითარების აუცილებელი პირობა. ოჯახის სიმტკიცე ნიშნავს საზოგადოების სიმტკიცეს, სიძლიერეს, მისი განვითარების საფუძველს. როგორიცაა ოჯახი, ისეთივეა სოფელი, ქალაქი, ქვეყანა, საზოგადოება. თითოეული მოქალაქის, თითოეული მშობლის ავკარგიანობაზე მსჯელობენ იმის მიხედვით, თუ როგორი შვილი აღუზარდა მან სამშობლოს, რას წარმოადგენს მისი აღზრდილი საზოგადოებისათვის, ქვეყნისათვის.

აქედან გამომდინარე, ყოველი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლოს პედაგოგიკას — აღზრდის მეცნიერებას, რადგან ყველა ექიმი, იურისტი, ინჟინერი და პედაგოგი ვერ გამოვა, კარგი დედა და მამა კი ყველა უნდა იყოს (ვ. სუხომლინსკი). ეს თითოეული ჩვენგანის უპირველესი და უკეთილშობილესი მისიაა. „შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა, — წერდა დიდი ილია, — უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა“, რომელსაც, მისი აზრით, ყველაფერი უნდა შევწიროთ, ყველაფერი უნდა შევალიოთ. „ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — არიგებს ბრძენი ილია მშობლებს, — აი, რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რასაც მამა-შვილობას ეძახიან“.

ამრიგად, მამობა და დედობა ადამიანის უდიდესი ღირსება და ყრიად საპატიო მოვალეობაა. ჩვენი ბავშვები არა მარტო ჩვენი შვილები და ჩვენი გვარის გამგრძელებლები არიან, არამედ ისინი, როგორც მომავალი მოქალაქენი, ჩვენი საზოგადოებისა და მთელი ერის განუყრელ წევრებსაც წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ყველა მშობელს რიდი აქვს ეს შეგნებული. ზოგიერთი მათ-

განი შვილის აღზრდა-განათლებას მხოლოდ სკოლას ანდობს და მის ცუდ საქციელსაც სკოლას აბრალებს. ზოგიერთი მშობელი კი აცხადებს: ბავშვი ჩემია და როგორც მინდა, ისე აღვზრდი, სხვისი რა საქმეაო.

მშობელთა ერთი ნაწილი ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს აღზრდასა და გაზრდას შორის და თავის მშობლიურ მოვალეობას შვილის მარტოოდენ გაზრდითა და მატერიალური უზრუნველყოფით ამოწურავს. ყოველმა მშობელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სიტყვა „გაზრდა“ შვილის ბიოლოგიურ არსებობას გულისხმობს, „აღზრდა“ კი — მის მომზადებას ცხოვრებისათვის და ქვეყნის სასახელო ადამიანად ჩამოყალიბებას. ერთი ბიოლოგიური მოვლენაა, მეორე სოციალური, საზოგადოებრივი. საზოგადოებისაგან იზოლირებული ბავშვი პიროვნებად ვერ იქცევა. ამიტომაც ამბობდა ბ. ბელინსკი: „ადამიანს ქმნის ბუნება, მაგრამ განავითარებს და აყალიბებს საზოგადოება“. როცა აღნიშნული კატეგორიის მშობლებთან მათი შვილების სწავლაზე ჩამოვარდება საუბარი, ისინი მაშინვე მოგახლიან: „რა ექნა, ბატონო, მე ვაჭმევ, ვასმევ, ვაცვამ, ვახურავ, დავჯდეს და ისწავლოს“. ასეთია უეიცი და გაუნათლებელი მშობლების პასუხი. ასეთები კი, სამწუხაროდ, არც თუ ისე ცოტანი არიან. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ უკანასკნელ ხანებში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა მშობელთა პედაგოგიზაციას, მათი პედაგოგიური კულტურის ამაღლებას. ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამ მიზნით, შექმნილი იყო მშობელთა სახალხო უნივერსიტეტები, სადაც იკითხებოდა ლექცია-მოხსენებები ბავშვთა და მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე, ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა აღნიშნულ თემებზე წერილები, მოწინავე გამოცდილების ამსახველი მასალები და სხვ. დღეს კი ეს საკითხი სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული.

ახლა სკოლებშიც შევიხედოთ. დღეს ჩვენი სკოლა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებადაა ქცეული. რაც შეეხება აღზრდას, იგი თითქოს სკოლის ფუნქციებში არ შედის. ბევრ მათგანში მოსწავლეთა შორის არ ტარდება არავითარი აღმზრდელობითი ღონისძიება

– კონფერენციები, დილა-საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, ექსკურსიები და სხვ. ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელი ისე წარმართავს აღმზრდელობითი მუშაობას, რომ საამისოდ წინასწარ შედგენილი და დირექციის მიერ დამტკიცებული გეგმაც კი არ გააჩნია. ხშირად ესა თუ ის ღონისძიება მოსწავლეთა შორის ტარდება ლონისძიებისათვის „და არა კაცის გაადამიანებისათვის“ (ი. ჭავჭავაძე). ცხადია, ასეთ ღონისძიებას სასურველი შედეგი არ მოსდევს.

მოსწავლეთა აღზრდას ნაკლები ყურადღება ექცევა ცალკეული საგნების სწავლების პროცესშიც. მასწავლებელთა დიდი ნაწილი კმაყოფილდება მხოლოდ ახალი მასალის გადაცემით, ხოლო რაც შეეხება ამ მასალის მოსწავლეთა აღზრდის მიზნით გამოყენებას, ანუ აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის განხორციელებას, ეს მათ მეორეხარისხოვან ან, უკიდურეს შემთხვევაში, კლასის ხელმძღვანელთა საქმედ მიაჩნიათ. ასე ზრდის სკოლა ე.წ. „განათლებულ უზრდელებს“. იან ამოს კომენსკი პიროვნებას, რომელსაც ცოდნა, განათლება აქვს, მაგრამ აღზრდა აკლია, „განათლებულ უზრდელს“ უწოდებს, ეასილ სუხომლინსკი კი „განათლებულ ველურს“, რომელიც, მისი აზრით, „ასჯერ უფრო საშიშია, ვიდრე გაუნათლებელი“. ტყუილა როდი ამბობს დ. გურამიშვილი: უწვრთნელი ძაღლი სჯობია, უწვრთნელი შვილის ყოლასაო.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს სკოლასა და ოჯახს შორის, კლასის ხელმძღვანელსა და მშობელს შორის, ვინაიდან აღზრდა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, იმ აღმზრდელობით ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსაც მთელი საზოგადოებრიობა ახორციელებს, და თუ ამ ერთიობლიობის რომელიმე რგოლში გულგრილი დამოკიდებულება დამკვიდრდა, საბოლოო შედეგიც არასახარბიელო იქნება. ამის დასტურია უკანასკნელ ხანებში ჩვენს ქვეყანაში (და არა მარტო ჩვენში) მცირეწლოვან დამნაშავეთა მომრავლება: გახშირდა მკვლელობა, ქურდობა, ყაჩაღობა, ნარკომანია, პროსტიტუცია და

სხვა მძიმე დანაშაულობანი. ზრდადასრულებულ ადამიანთა დანაშაულებრივ ქმედებებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო მიმდინარე 2007 წლის გაზაფხულზე საქართველოში 8 მცირეწლოვანმა ამდენივე თანატოლი სიცოცხლეს გამოასალმა. ყოველივე ამის აღმოფხვრა სკოლას არ ძალუძს. „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამისა და მისი რეალიზაციის გეგმის" მიხედვით, ამის ძირითადი მიზეზია იმ ჯაჭვის გაწყვეტა, რომელსაც „სკოლა, ოჯახი და საზოგადოება" ერქვა. ამიტომ დღევანდელი სკოლის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მშობლებთან და მთელ საზოგადოებასთან იმ მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის აღდგენა, რაც მათ შორის ადრე არსებობდა. „დროა, მშობლებმაც და მასწავლებლებმაც ღრმად შეიგნონ, – წერდა ვ. სუხომლინსკი, – რომ არც სკოლას ოჯახის გარეშე და არც ოჯახს სკოლის გარეშე არ შეუძლია თავი გააროვას ადამიანის ჩამოყალიბების უსათუოეს და ურთულეს ამოცანას. ჯერჯერობით კი გამოდის, რომ ოჯახიცა და სკოლაც ზრდიან ბავშვებს ისე, როგორც მათ ესმით". ამიტომ საჭიროა გამოინახოს სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობისა და მათ მიერ მოსწავლეებისადმი ერთიანი მოთხოვნების ეფექტური გზები და საშუალებანი, რაზეც დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი და თითოეული ოჯახის კეთილდღეობა.

აღზრდის მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც უმაღლეს სასწავლებელში გვაქვს. დეკანატებსა და დეპარტამენტებს თითქმის არავითარი კავშირ-ურთიერთობა არა აქვთ მოწინავე და აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტთა მშობლებთან. თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში სამხედრო ნაწილიდან მშობლებს უგზავნიდნენ მადლობის ბარათებს შვილის კარგად აღზრდისათვის, აღმზრდელობითი მუშაობის ეს ნაცადი ფორმა უმაღლეს სასწავლებელში რატომ არის უგულებელყოფილი? ხშირად უნდა გამოვიძახოთ ისეთი მშობლები, რომელთა შვილები „გამოირჩევიან" თავიანთი უდისციპლინობითა და დაბალი აკადემიური მოსწრებით. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმა სკოლაში რომ გაკვეთილია და უმაღლეს სასწავლებელში – ლექცია-სემინარული მუშაობა, ყველასათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ვაი, რომ ეს ბევრ ჩვენს სტუდენტს ჯერ კიდევ არაა აქვს შეგნებული. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ სტუდენტთა ერთი ნაწილი ლექციასემინარულ მეცადინეობებზე დასწრების ნაცვლად ქუჩაში დასეირნობს ან დროს კაფე-ბარში ატარებს. ზოგიერთი სტუდენტი კი ისე ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, რომ ბიბლიოთეკაში ერთხელაც არ შესულა. სარგებლობს თუ არა ყველა სტუდენტი ბიბლიოთეკით, ამის გაგება და შემოწმება დაინტერესებულ პირს არ გაუჭირდება.

ბოლო დროს სტუდენტთა აღზრდის დონე იმანაც დასცა, რომ აღზრდის მეცნიერება – პედაგოგიკა მხოლოდ პედაგოგიურ ფაკულტეტებზე იკითხება, მაშინ, როცა მისი ცოდნა ნებისმიერი დარგის სპეციალისტისათვისაა აუცილებელი. განა პედაგოგიკის ცოდნა არ სჭირდება მომავალ იურისტს, ექიმსა თუ ეკონომისტს ან მომავალმა მეცნიერ მუშაკმა – ფიზიკოსმა, ქიმიკოსმა, ისტორიკოსმა თუ ლიტერატორმა არ უნდა იცოდეს პედაგოგიკა?

ადრე უმაღლეს სასწავლებელში დაშვებული იყო პრორექტორის შტატი აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, შექმნილი იყო სტუდენტთა ზნეობრივი აღზრდის კომისია, რომელიც გარკვეულ საღმზრდელო ღონისძიებებს ატარებდა. დღეს კი ყოველივე ეს მივიწყებულია. აღზრდა წინ უნდა უსწრებდეს სწავლა-განათლებას და უნდა წარმოადგენდეს მის საფუძველს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, სიტყვა „აღზრდა“ ხმარებიდან თითქმის ამოვარდა. იგი შემორჩა მხოლოდ იმათ მეხსიერებას, ვისაც სჯეროდა და სჯერა აღზრდის უდიდესი გამაკეთილშობილებელი ძალისა, ვისაც აღზრდა მიაჩნია არა მარტო თავის პროფესიულ, არამედ მორალურ მოვალეობად და მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. გვახსენდება ბესარიონ ბელინსკის სიტყვები: „აღზრდა! ის ყველგანაა, საითაც კი გაი-

ხედავთ, და ის არსად არ არის, საითაც კი მიმოიხედავთ“.

მუდამ უნდა გვახსოვდეს კ. დ. უშინსკის სიტყვების მნიშვნელობა: „...მოვა დრო, თუმცა, შესაძლოა, არც ისე მალე, როცა ჩვენი შთამომავალნი გაკვირვებით მოიგონებენ, თუ რა დიდხანს უგულებელყოფდით აღზრდას და რამდენი ტანჯვა გამოვიარეთ ამ დაუდევრობის გამო“.

დიდი კლასიკოსი პედაგოგის ეს სიტყვები ყურად უნდა იღოს ყველა იმან, ვინც მოზარდი თაობის აღზრდის ურთულეს და უკეთილშობილეს საქმეს ემსახურება.

2007 წლის თებერვალი

ჰუმანიზმის ძალა

ყოველი ეპოქისა და ქვეყნის ხალხისათვის ძვირფასი და ახლობელია მეტადრე იმ მწერალთა სახელები, ვინც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ეროვნული გრძნობის განმტკიცებასა და მშობელი ხალხის სამსახურს შეალია, ვინც ქადაგებდა სიკეთეს, ჰუმანიზმს, ხალხთა შორის ძმობასა და მეგობრობას. და თუ მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ამ მხრივ ვინმეს მშობელი ხალხის წინაშე ვალმოხდილად შეუძლია ჩათვალოს თავი, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ნოდარ დუმბაძე. ქართველ მწერალთაგან იშვიათად თუ რგებია ვინმეს ისეთი აღიარება და დაფასება, როგორც ნოდარ დუმბაძეს ხვდა წილად. მისი წიგნები ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სამაგიდო წიგნებადაა ქცეული და „გაუთავებელი კითხვით იკრიცება“ (გ. გვერდწითელი). მწერლის შემოქმედების ეს დიდი მაგნიტური ძალა უნდა ეეძიოთ მის გმირთა ღრმაადამიანურობასა და კაცთმოყვარეობაში, სიყვარულსა და სიკეთეში, ხალას იუმორსა და ნათელი მომავლისადმი ღრმა რწმენაში.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა ლაიტმოტივია ახალგაზრდობის სულიერ-ზნეობრივი აღზრდის პრობლემები,

იმ მორალური კრიტერიუმების გამომუშავება, რომელიც ადამიანს ბოლომდე გაჰყვება ხოლმე. დიდ მწერალს ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის აღზრდა მიაჩნდა „ყოველდღიური ზრუნვის, უმაღლეს დონეზე შესწავლის, სრულყოფის, გონიერების თვალით განჭვრეტისა და საყოველთაო საქმედ“, ნომერ პირველ გადაუდებელ პრობლემად. მწერალს მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი მოზარდი თაობის ბედზე, მის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე.

ნოდარ დუმბაძემ კარგად იცის, რომ ახალგაზრდობის სულიერ-ზნეობრივი აღზრდა მარტო მორალური სენტენციებით არ შეიძლება. ამასთან ერთად, საჭიროა მშობლების, უფროსების, აღმზრდელების დადებითი პირადი მაგალითი. ამიტომაც წერს იგი: „და რადგან ხალხის სულიერი აღზრდა, სულის სისპეტაკე და სიწმინდე ბევრად არის დამოკიდებული მწერლობაზე, ჩვენ, მწერლებს, არანაკლები ზრუნვა მოგვიწევს საკუთარი სულის სიწმინდისა და სისპეტაკის სრულყოფისათვის“.

მწერლის მთელი შემოქმედება ჰუმანიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის ნათელი შუქით არის გაბრწყინებული, რაც თავად ავტორის შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს. აი, რას წერს მასზე მისი სიყრმის მეგობარი და კოლეგა არჩილ სულაკაური: „ბედით, ხასიათით, ცხოვრების წესით ნოდარის მხატვრული ქმნილებები ძალზე გვანან თავად ნოდარს — მათ შემოქმედს... ისინი ადვილად იკელევენ გზას მკითხველის გულისაკენ, ხიბლავენ, აჯადოებენ და ნუსხავენ ადამიანებს, ირგვლივ ფოიერვერკივით აფრქვევენ სიხარულსა და სიკეთეს. ისევე, როგორც ნოდარს, მის ნაწარმოებებსაც ახასიათებს ექსპანსიური, დამპყრობლური თვისებები, იოლად არღვევენ სახელმწიფო საზღვრებს, იპყრობენ ქვეყნებსა და ხალხებს, ოღონდ ეს ექსპანსია ადამიანის სულიერ სფეროს მოიცავს და ამღენად იგი სიკეთით ურთიერთგამდიდრებული დიდი კულტურული აქტია“.

ნოდარ დუმბაძის აზრით, ვისაც საქმე აქვს ადამიანებთან, მან წინასწარ კარგად უნდა გაიცნოს ისინი, გაიგოს მათი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხა-

რეები და ამის შემდეგ დაამყაროს მათთან ურთიერთობა. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს: „ადამიანი ფრესკა არ არის, ...რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს, როგორც ქანდაკებას ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება“.

ხელმძღვანელობს რა ამ პრინციპით, ნ. დუმბაძე ცდილობს, ყოველ ადამიანში, როგორი გადაგვარებულიც უნდა იყოს ის, მონახოს რაიმე დადებითი, ადამიანური, გვიჩვენოს იგი იმ კუთხიდან, საიდანაც ყველაზე კარგად მოჩანს. მას არ სჯერა ადამიანის სულის უიმედო გახრწნისა. ამიტომაც ის ქურდსა და კაცისმკვლელშიც კი ადამიანურ გრძნობებს ქექავს და პოულობს კიდეც. ამიტომაცაა, რომ მათ მიმართ მკითხველს სიბრალულის გრძნობაც კი ებადება. ასეთებია ლიმონა და ტიგრანა რომანში „თეთრი ბაირაღები“. ლიმონა ქურდია, ტიგრანა კი — კაცისმკვლელი. ორივეს მართლმსაჯულება თავისას მიუზღავს, მაგრამ მწერალი ამით არ კმაყოფილდება. იგი უფრო ღრმად იხედება თითოეული მათგანის სულში და პოულობს ადამიანობის იმ რაციონალურ მარცვალს, რომელიც არ შეიძლება არ გააჩნდეს ნებისმიერ ადამიანს. როცა ლიმონა შემთხვევით გაიგებს, რომ მისი დის თანაკურსელის მამას ძარცვავდა, იგი ნაძარცვს უკან აბრუნებს და ქურდობაზე ხელს იღებს, ტიგრანა კი ეხვეწება ძია ისიდორეს, იმ შენი ნაბიჭვარი სიძის მკვლელობა მე დამაბრალეო. „...მე ეკისრულობ მაგის სიკვდილს, მაგის ოხერი დედაც ვაცირე, მე დამაბრალე, ძია ისიდორე, შენი ჭირიმე, ჩემთვის სულ ერთია, გინდ ერთი მომიკლავს და გინდ ორი... ოღონდ შენ თქვი სასამართლოზე, რომ მე მოვკალი, გესმის, ძია ისიდორე, ოღონდ შენ თქვი!“

დიდმა მწერალმა ომიდან გამოქცეული, დეზერტირი დათიკო ბრიგადირიც („მე ვხედავ მზეს“) არ გასწირა მთლიანად და მასშიც იპოვა ადამიანობის მარცვალი. როცა ადიდებულ მდინარეს მიჰქონდა ულამაზესი სულისა და უკეთილშობილესი გულის გოგონა — ხატია და მდინარეში „ფეხის შედგმას ვერავინ ბედავდა“, მის ბობოქარ ტალღებს დათიკო შეება და გოგონა და-

ხრჩობას გადაარჩინა. მანამდე მას ყოველთვის მგელი-ვით ტყისკენ ეჭირა თვალი, ახლა კი (ხატიას გადარ-ჩენის შემდეგ) იგი სოფლისკენ მიმავალ გ'ხას გაუყვა, თუმცა მიდიოდა და არ იცოდა, სად, რადგან სოფელმა იგი არ მიიღო. ამით მწერალს სურს გვითხრას, რომ არის დანაშაული, რომელსაც შენდობა და შეწყალება არა აქვს.

მოთხრობაში „დედა" ნ. დუმბაძე თვით ფსკერამდე დაშვებულ პერსონაჟმიც კი პოულობს ადამიანურობის ნაპერწკალს, იმ ღვთაებრივ სხივს, რომელიც, ნაღვერ-დლის მსგავსად, გმირის სულის სიღრმეშია შემორჩენი-ლი. მწერლის თვალი სწორედ ამ სხივს უტრიალებს ირგვლივ, რამეთუ მისთვის იგი პიროვნების ამქვეყნად მობრუნების იმედის ნაპერწკალია.

ასეთი კეთილი გულის ადამიანი იყო ნოდარ დუმბა-ძე. ამიტომაც მისი გმირები მასავით ყოვლისმიმტევებ-ლები არიან. ეს ყველაზე მეტად ჩანს რომან „მზიანი ღამის" მთავარი პერსონაჟის თეიმურაზ (თემო) ბარამი-ძის სასიათში. მისი გული, მიუხედავად თავს დამტყდა-რი და გადატანილი არაერთი უბედურებისა, სიკეთითა და ადამიანების სიყვარულით არის სავსე. ყოველ ადამი-ანში იგი მხოლოდ დადებითს ეძებს და არ სურს დაინა-ხოს ზოგიერთი მათგანის მანკიერი მხარეები, მათ შო-რის, ბოროტებაც კი. დედის არაერთი შეგონების მიუხე-დავად, რომ კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტე-ბაცაო, იგი იყიწყებს ბოროტებას და მკაცრად ისჯება. თემო სრულ ნდობას უცხადებს თავისი კარის მეზო-ბელს, შინსახკომის მუშაკ აბიბო თოდრიას, კაცს, რო-მელმაც ერთხელ უკვე კინაღამ დაღუპა მისი ოჯახი, და მას ციხიდან გამოქცეული მეგობრის რამაზ კორსაველ-ის, მეტსახელად „თავერას", დახსნას სთხოვს, მაგრამ ტყუვდება და ისევ ისჯება — აბიბო დახსნის ნაცვლად თავერას გასცემს და ამ უკანასკნელს ისევ ციხე'ში უკ-რავენ თავს. ამის შემდეგ თემო შურისძიების გრძნობით ივსება და აბიბოს მოკვლასაც კი ფიქრობს, მაგრამ ერთ დღეს, როცა იგი სადარბაზოში მომაკვდავ აბიბოს პოუ-ლობს, მას მხსნელად ეელინება. „ზურგზე მოვიკიდე და მესამე სართულზე ავიყვანე, დავაწვინე კართან, ჯიბეები

მოვუსხრიკე, გასაღები ვიპოვე, კარი გავაღე და მის სამუშაო ოთახში ნოხგადაფარებული ტახტზე დავაწვინე, საკინძე გავუხსენი, ქამარი შევხსენი და ფეხზე გავხადე.

აბიბო იწვა ჩემს წინ და კვდებოდა. კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილს ვნატრობდი, კაცი, რომელმაც სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა, და ამ კაცის სული ახლა ჩემს ხელში იყო".

მიუხედავად ამისა, თემურ ბარამიძეს არ ძალუძს შურისძიება, რადგან მასში სიყვარულის დიდი ძალაა დაგუბებული. ამიტომ იყო, რომ მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა, წყალი დაალევინა, ფანჯრები გამოაღო, ოთახი გაანიავა და შემდეგ მომაკვდავს მთელი ღამე უთია. თანდათან იგი სიძულვილისაგან დაიცალა და აბიბოსადმი სიბრალულით აივსო, ამ უკანასკნელმა კი მისი ხელი დაიჭირა, კოცნა დაუწყო და შებღალა:

„— მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! — მე ხმას არ ვიღებდი, — ამბობს თემო.

— მაშინ, შომკალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო?

— მე მკვლელი არა ვარ, ძია აბიბო! — აბიბო მიყურებდა თავისი გამჭირვალე ლურჯი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დავინახე რაღაც და ეს რაღაც ცრემლი იყო — აბიბო ტიროდა".

ნოდარ დუმბაძის გმირები ადამიანების სიყვარულს გამოხატავენ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საქმით. ისინი არიან ძლიერი ნებისყოფის და დიდი გულის ადამიანები.

ჭეშმარიტი ჰუმანიზმის, უანგარო სიკეთისა და ქართული სტუმართმოყვარეობის საუკეთესო მაგალითია სოფლელი კაცის ბაბილო ვაშაყმაძის საქციელი რომანში „მე ვხედავ მზეს". მასში ერთი ასეთი ეპიზოდია: ხატია და სოსოია მეზობელ სოფელში ტანსაცმლის სიმინდზე გადასაცვლელად მიდიან. ომის მძიმე, მშიერი წლებია. ქეყანას უჭირს და უჭირს ბაბილოსაც, მაგრამ იგი ბავშვებს ღაჭეს გაათევინებს და დილით უსასყიდლოდ აძლევს მთელ ტომარა სიმინდს. სოსოიას ნათქვამზე — მე მათხოვარი არა ვარო, ბაბილო ასე პასუხობს: „— რაო, რა მითხარი?.. მათხოვარიო?.. რაღაც ორი კეკალი სიმინდი მისცეს კაცმა კაცს, მათხოვრობაა

მაგი? არ გცოდნია შენ რაა მათხოვარი“...

ნოდარ დუმბაძემ კარგად იცის, რომ კაცი იმედით, ხვალინდელი დღის სიხარულით ცოცხლობს. ამის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია. ამიტომ იგი არ უქრობს იმედის ამ შუქს თავის გმირებს

„– დღეს ჩვენი ფოსტალიონი იყო ჩვენთან, გერასიმეს ბიჭის დაღუპვის ცნობა მოიტანა. მე ვერ ვეტყვი, შენ უთხარიო, მითხრა, – თქვა ილარიონმა...

– მერე, უთხარი გერასიმეს? – ვკითხე მე, – ამბობს ზურიკელა.

– შენ ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო, კაცი ყოველდღე ელოდება ბიჭის დაბრუნებას და ახლა რომ ეს ამბავი უთხრა, ხომ დაინყრა ოჯახი! – შემომიტია ილიკომ...

– აბა რას აპირებ?

– რას ვაპირებ? – მკითხა ილარიონმა და უბეში ხელი ჩაიყო, მერე იქიდან დაბეჭდილი ქაღალდი ამოიღო, უყურა, უყურა და უცებ ბუხარში შეაგდო. ალი ავარდა და ილარიონის სახე გაანათა, მას ლოყაზე ორი კურცხალი ეკიდა.

– ამას ვაპირებ, ჩემო ბიძია, თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალია, გამოჩნდება, თუ არა და ელოდოს მამამისი, კაცი იმედით ცოცხლობს“.

ნოდარ დუმბაძის გმირებისათვის დამახასიათებელია ირგვლივ მყოფთათვის სიკეთის ფრქვევა, გაჭირვებულთათვის ხელის გაშართვა. ამიტომაც ნატრობს სოსოია: „რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს, მაშინ ჩვენ, ვინც ცას ვუყურებთ, დავინახავდით ერთმანეთს... დავინახავდით, ვის უჭირს ამ ქვეყანაზე, ვის ულხინს, მერე დალხინებულები წავიდოდნენ გაჭირვებულებთან და მიეხმარებოდნენ“...

რომელი ერთი მაგალითი გავიხსენოთ! განა გმირობის ტოლფასი არაა ბებია ოლღას, ილიკოსა და ილარიონის საქციელი? როცა ისინი გაიგებენ, რომ თანასოფლელები ჯარისკაცებისათვის საჩუქრებს აგროვებენ, მაშინვე დაფაცურდებიან და თუ რამ კარგი გააჩნიათ, არ იშურებენ. „– მე რა სიკეთე მაბადია ამ ქვეყანაზე, არაფერი, – ამბობს ილიკო. – ერთი ნაბადი მაქვს და აგერაა აყუდებული კარებთან, ადექი, ზურიკელა და შე-

მოიტანე ოთახში... ჩემისთანა ხრონცმა ბერიკაცმა თუ არ ატარა მაგი, არ დაიქცევა ქვეყანა. მე, ჩემო ბიძია, ამ დაბაიმბულითაც იოლად გაეალ, აწი საცაა ვაზაფხულ-დება.

გარეთ გავედი და თითქმის ახალი შავი ნაბადი ოთახში შემოვიტანე. ეს ის ნაბადი იყო, ილიკოს რომ საბნად ეხურა, სიცოცხლეს ერჩია და ილარიონს არ ათხოვა ქორწილში. — ვამიფუჭებო".

ილარიონი გარეთ გავარდა. არ გასულა ხუთი წუთი და მან „კარები შემოაღო, მერე მივიდა ოთახის კუთ-ხეში და ილიკოს ნაბდის გვერდით ახალთახალი, ჯერ ჩაუცმელი ჩექმები დააწყო".

იმ საღამოს ოლღა ბებიამ ზურიკელა დააწვინა და თეითონაც დაწვა დასაძინებლად, მაგრამ 'შემდეგ ჩუმად წამოდგა, ტანზე ჩაიცვა, სასოუმლის მხრიდან ლეიბი გამოარღვია, ბღუჯა-ბღუჯა მატყლი გამოაძრო და მის ჩეჩვას შეუდგა. „ლოგინზე წამოვჯექი, — ამბობ[illegible] ზური-კელა, — დიდხანს ვუცქერდი ბებიას და თვალებ'ზე ცრემლმომდგარი ეფიქრობდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი ჯარისკაცი, რომლისთვისაც ბებიამ სითბო მოიკლო და მისი მოხუცი სხეულით გამთბარი მატყლით ახლა, ამ თეთრი 'სამთრის ცივ ღამეში წინდას უქსოვდა.

აკაკი ბაქრაძის აზრით, „მოხუცმა ქალმა, რომლის-თეისაც სითბოს სიცოცხლის ფასი აქვს, თავისი თავი გაიმეტა და უცნობ ჯარისკაცს უბრალო წინდა კი არა, საკუთარი სხეულის სითბო აჩუქა... ილიკოს ნაბადი, ილარიონის ჩექმები და ბებია ოლღას ლეიბიდან გამო-ღებული მატყლით მოქსოვილი წინდები ის გაკვეთილე-ბია, რომელთა მეოხებითაც ზურიკელა კაცურ კაცობას სწავლობდა"

ზნეობის ასეთ გაკვეთილებს კიდევ მრავალჯერ ჩაუ-ტარებენ ზურიკელას ოლღა ბებია, ილიკო და ილარიო-ნი. ისინი თითის ქნევითა და დიდაქტიკური დარიგებე-ბით კი არ აბეზრებენ თავს მოზარდს, არამედ საკუთა-რი პირადი მაგალითით ზრდიან.

ზურიკელამ სოფლის სკოლა დაამთავრა და უმაღ-ლეს სასწავლებელ'ში მოსაწყობად გეზი თბილისისაკენ აიღო. მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს რკინიგ'ზის სადგუ-

რამდე წაეყვანა სთხოვა. აი, იგი უკვე სადგურშია. მგზავრობის ფული უნდა გადაეხადოს მძღოლს, მაგრამ მისი ამოღება არ გინდა?! „როგორც იქნა მივაგენი გამოკერებულ ჯიბეს. – ამბობს ზურიკელა. – ცალი ხელით შარვალს ვქაჩავდი ზევით, მეორეთი კი ჯიბის თავს დაეუწეე მორღვეეა. ის-ის იყო, ფული უნდა ამომეღო და მძღოლისათვის გადამეთვალა, რომ მანქანის გუგუნი გავიგონე. სანამ გონს მოვიდოდი, მძღოლმა გარს შემოიარა და ცხვირწინ დამიმუხრუჭა. კაბინიდან ყურებამდე გალიმებული, გაწითლებული თავი გამოყო, ფაფახი თავზე ჩამოიფხატა და სიცილით მითხრა:

– გეყოფა, ჩაიცვი აწი! – მერე ერთი კიდევ დააცემინა ცხვირი მანქანას და გაქანდა“, ხვანჯარგახსნილი ზურიკელა კი იქვე დატოვა. ომის დროს მანეთიც დიდი ფული იყო. ასე დაულოცა შორეული გზა უცნობმა მძღოლმა ზურიკელას და კიდევ ერთი ზნეობის გაკვეთილი ჩაუტარა.

ზურიკელა უკვე თბილისშია, დეიდა მართასთან მდგმურადაა. ილარიონი არ ივიწყებს მისი დაბადების დღეს, თბილისში ჩადის, შვიდას მანეთსა და ბებიას წერილს გადასცემს და ზნეობის კიდევ ერთ გაკვეთილს უტარებს ზურიკელას. ასე თანდათანობით მცირდება გზა „მარადისობის კანონის“ არსში გარკვევამდე, კანონისა, რომელსაც შემდეგ ბაჩანა რამიშვილი აღმოაჩენს. ამ კანონის ლაიტმოტივია ადამიანების სიყვარული. მწერალი მას ასე აყალიბებს: „ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“...

მარადისობის კანონის შეცნობაში ზურიკელას დეიდა მართას დაშაქრული ჩაი და შუაღამისას მის საძებრად ქუჩა-ქუჩა სირბილიც დაეხმარა. ერთხელ ღამით ზურიკელას შეაგვიანდა და იგი მილიციის სამორიგეოში წააბრძანეს. „უცებ სამორიგეოს კარი გაიღო და

შიგ გიჟივით დეიდა მართა შემოვიდა, — ამბობს ზურიკელა, — გაკვირვებული მორიგე ფეხზე წამოიჭრა და დაფეთებულ დეიდა მართას ჰკითხა:

— დეიდა მართა, რა მოხდა, ამ შუადამეზე აქ რამ მოგიყვანა?

— ბიჭი დაშეკარგა, შვილო... ჩემი მდგმური ბიჭი, ზურიკო ვაშალომიძე, წავიდა და აღარ მოვიდა, მთელი საავადმყოფოები მოვირბინე, მთელი მილიციელები შეეწრიალე, ვერსად ვნახე...

მე ვიჯექი კუთხეში, თვალებზე ქუდჩამოფხატული, ვუსმენდი ამ სათნო დედაკაცს, ვუსმენდი და მიხაროდა, რომ დამეძებდა მე, მე ვიღაც უცხოსა და გადამთიელს... ისე როგორც მე დავეძებდი ხოლმე სოფლის კუპრ ღამეში გაბნეულ ბოჩოლას"

აი, ასეთი სიყვარული განსაზღვრავს ნ. დუმბაძის პერსონაჟთა დამოკიდებულებას ერთმანეთისა და მოყლენებისადმი. მწერლის შემოქმედებაში იგი ყველაფრის საფუძველთა საფუძველია. ზურიკელას აღზრდილობის საზომიც ესაა. ამ ნიშნით აფასებენ მას ბებია, ილიკო და ილარიონი. სიყვარულის მაგალითს კი ისინი თავად აძლევენ შეგირდს, რადგან მათ ერთი დღეც არ უცხოვრიათ ერთმანეთისა და სიყვარულის გარეშე, ერთად იზიარებენ ჭირსაც და ლხინსაც. სწორედ ეს სიყვარული აკავშირებს მათ ერთმანეთთან, სოფელთან, მეზობლებთან, მიწასთან. ბებიასა და შვილიშვილს შორის სიყვარული გასაკვირი არაა, მაგრამ ილიკოსა და ილარიონსაც რომ თავდავიწყებით უყვართ ზურიკელა? ამიტომაც სიკვდილის წინ ბებია თავისთან იხმობს მეგობრებს და ზურიკელას ეუბნება: „— ამათ ხომ უყურებ, ილარიონს და ილიკოს, არ დაკარგო, ნენა, ეს ორი კაცი, შენზე ამოსდით მზე და მთვარე, ყველაფერი დაუჯერე. ამათ რომ სიკეთე აქვთ შენთვის გაკეთებული, იმას შენ ვერ გადაუხდი და ნურც დაპირდები. ისე გიყვარდეს, როგორც მაგათ უყვარხარ!"

ამრიგად, ბებია შვილიშვილს ილიკოსა და ილარიონისადმი მხოლოდ სიყვარულს სთხოვს, რამეთუ სიკეთის მისხალ-მისხალ აწონვა და გადახდა თავად სიკეთეს არ ეკადრება. გარდა ამისა, სიყვარულიც ხომ იგივე სიკე-

თეა.

და მაინც, საიდან გაჩნდა ასეთი სიყვარული? რა იყო ის პირველი ბიძგი, რომელმაც მეზობლებს შორის „სიყვარულის ქარბორბალა დაატრიალა?“ (მ. სოსელია). ეს იყო ზნეობრივი „ვალი“, თანადგომა ჭირში მყოფი მოყვასისა და მეზობლისადმი, რითაც ამაყობს ყოველი ჭეშმარიტი ქართველი. ამიტომაც ამბობს ძია ისიდორე რომანში „თეთრი ბაირაღები“: „— უამრავი ნაკლის მიუხედავად, ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწვავდა, კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს“.

გულწრფელი, უანგარო სიყვარულის ნიმუშია ასევე რომანში „მარადისობის კანონი“ ბაჩანა რამიშვილისა და მისი მეგობრების — ვერელი ბიჭების დამოკიდებულება გიჟი მარგოსადმი. როგორც კი შეიტყვეს მარგოს ავადმყოფობა, მაშინვე მასთან გაჩნდნენ. „სიცხიანი მარგო ლოგინში წრიალებდა, — ამბობს მწერალი. — ბიჭები რომ დაინახა, განცვიფრდა, ჯერ იდაყვებზე წამოიწია, მერე თავი ბალიშზე გადააგდო და ცრემლი წასკდა. ბოლოს სიცილი აუვარდა, ნერვული და ბედნიერი სიცილი.

— თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, განა არ ვიცოდი, რომ მნახავდით, ცოტა დაიშალეთ, მწკრივში ნუ დგეხართ, თორემ პანაშვიდი მგონია... თქვენ შემოგევლოთ გიჟი მარგოს ჯანი“...

ბიჭებმა მარგოს იმ უბანში ცნობილი ექიმი, პროფესორი ეგნატე ჯიქია მოუყვანეს, მაგრამ ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და თავი უიმედოდ ჩარგო ხელებში. ერთერთმა ბიჭმა პროფესორს ჩუმად ფული ჩაუცურა ჯიბეში, მაგრამ მან იგი უკანვე ამოიღო, საკუთარი დასტა თუმნიანებიც დაუმატა და ოთახიდან გარეთ გავიდა.

მეორე დღეს ბაჩანა რამიშვილს გამოცდა ჰქონდა, მაგრამ სუსტად ხარ მომზადებულიო, უთხრა პროფესორმა.

— ავად ვიყავიო, იცრუა ბაჩანამ.

„— ავად კი არ იყავი, რამიშვილო, იმ გიჟის კუბოს მისდევდი გუშინ დიდი ჭირისუფალივით, შენ გგონია, ვერ დაგინახე? — უთხრა პროფესორმა.

ბაჩანა წამოდგა და წასვლა დააპირა, სსვა დროს მოვალო, მაგრამ პროფესორმა შეაჩერა და ჰკითხა: მარგო შენი რამე ხომ არ იყოო.

— და იყო ჩემი! — ისევ იცრუა ბაჩანამ.

პროფესორმა თვალი თვალში გაუყარა. ბაჩანამ ვერ გაუძლო მის მზერას და თავი დახარა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ პროფესორმა მატრიკული დახურა და ბაჩახას გადააწოდა. ბაჩანამ იგი ჯიბეში ჩაიდო. და დერეფანში გავიდა, ისე, რომ არავის შეკითხვაზე პასუხი არ გაუცია, რა მიიღო. უნივერსიტეტის ბაღში მან მატრიკული გადაშალა და თვალებს არ დაუჯერა — მის მატრიკულში ხუთიანი ეწერა. „ეს იყო პირველი ხუთიანი, რომელიც ბაჩანამ მიიღო თავისი სიცოცხლის მანძილზე", — ამბობს მწერალი. ცოტა ხნის შემდეგ მან კვლავ გადაშალა მატრიკული, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, რადგან თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

იგივე შეიძლება ითქვას კოლმეურნეობის კერძის გამგის — გლახუნა ქერქაძის („მარადისობის კანონი") საქციელზე. როცა იგი გაიგებს, რომ ბაჩანა ჭლექით არის დაავადებული და ამიტომ სთხოვს ზაფხულში ფერმის საქონელთან ერთად მთაში წაყვანას, ბიჭს გულში ჩაიკრავს და ეტყვის: „— რა ვქნა ახლა მე, რომ გამიცივდე იმ ტყე-ღრეში და თოვლ-ჭყაპში, რომ მომიკვდე, რა ვუთხრა ისედაც გაუბედურებულ ბებიაშენს, რა ვქნა, შენ მოგიკვდეს გლახუნა ბიძია, მთაში და ტყეში კი არა, შენ ახლა ბამბაში და ბუმბულში ეჭირდება შენახვა და მოვლა მუმიასავით.

— არ გამაწბილო, გლახუნა ბიძია! — ამოუჯდა გული ბაჩანას და ორთავე ხელი წელზე შემოხვია გლახუნა ქერქაძეს პატარა ბავშვივით.

— არა, ბიძია, არა, შენ შემოგევლოს გლახუნას თავი, სიკვდილს გაუწბილებიხარ, უბეში გაგზრდი, ბიძია, თხის რძით გაგზრდი, მახარე, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, ნიავს არ გაგაკარებ, სუ, ბიძია, სუ, ისე გაგხდი ორ თვეში, სამწლიან ბუღას კისერს უგრიხავდე, გაჩერდი აწი, შე მამაძაღლო, კი მოვერევით მაგ სატკივარს მე და შენ, ორი კაცი ერთად სიკვდილს კი არა, ღმერთს წააქცევს თუ დაეტაკა, გაჩერდი აწი, მე შენ გეუბნები"..

„ბაჩანა დიდი ხანია გაჩერებული იყო და აღარ ტიროდა. – დასძენს მწერალი, – მაგრამ ახლა გლეხუნა ქერქაძე ტირიდა ბავშვივით და კაცი არ იყო მისი გამნერებელი“.

ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობის უკეთილშობილესი ბუნებაა წარმოჩენილი მოთხრობაში „ბოშები“. გურიის ერთ-ერთ სოფელ ‘ხენობანში ბოშები დაბანაკდნენ. წასვლისას მათ რაღაცები ხელს გააყოლეს. ჩოხატაურში ისინი მილიციამ დააკავა და ზენობნელები იხმო, თქვენი საქონელი ამოიცანითო, მაგრამ ლეკარსი ბერეკიანმა უარყო ბოშების ქურდობის ფაქტი და ყველაფერი საჩუქრად გამოაცხადა.

„განცვიფრებული ბოშები ხან ჩვენ გვიყურებდნენ და ხან მილიციის უფროსს, – ამბობს მწერალი, – გრძნობდნენ, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა მათ გარშემო, მაგრამ როგორ და რა – ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ“.

ამ ამბის შემდეგ ბოშებს მეთაური გამოეყო და ლეკარსი ბერეკიანს მკერდზე ემთხვია. შემდეგ ისინი ველური ყიჟინითა და მათრახების ტკაცუნით გაუდგნენ თავიანთ გზას.

ასეთი ძმობის მაგალითებით ნ. დუმბაძე გვიჩვენებს, თუ როგორ უადვილდება ადამიანს მძიმე სულიერი მდგომარეობის გადატანა, როცა ერთის წუხილი მეორის წუხილიცაა, როცა ერთის დარდს მეორეც იზიარებს და ერთად ცდილობენ ამ დარდის თავიდან აშორებას.

გზად მიმავალმა სოსოიამ და ანატოლიმ („მე ვხედავ მზეს“) შემთხვევით შენიშნეს, რომ დიდი თოვლი სადაცაა ქვეშ მოიქცევდა ლუკაია ფოცხი’შვილის სახლს. შენიშნეს და დაუკითხავად შევიდნენ ეზოში, გადმოთოვლეს სახლის სახურავი, მოხუცებს ომში დაკარგული ერთადერთი ვაჟიშვილის დაბრუნების იმედი ჩაუსახეს და წავიდნენ.

ადამიანის გულწრფელ სიყვარულს გვიხატავს მწერალი ასევე მოთხრობაში „კუკარაჩა“. კუკარაჩა უბნის მილიციელის – გოგი თუშურაშვილის მეტსახელია. ასე მას კანის ფერის გამო ეძახიან. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ წესრიგი დაამყაროს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე. განსაკუთრებით თვალს არ აშორებს მო-

ზარდებს — თამაზსა და მის მეგობრებს, რათა რაიმე ხიფათს არ წააწყდნენ და განსასჯელის სკამზე არ აღმოჩნდნენ. ამას კუკარაჩა მათი სიყვარულით აკეთებს. თამაზის დედას, ქალბატონ ანიკოს, იგი ეუბნება: „— ...თქვენ რომ ბრძანეთ, კუდში დასდევ ჩემს თამაზსო, ასე მიხდება ხშირად ჯაშუშივით ბავშვების კუდში დევნა... მაგრამ რა ვქნა? ყველაფერს მათი სიყვარულით ვაკეთებ, თორემ ჩემისთანა ყანის მუშას ან მჭედელს მთავრობა სად იშოვის“.

ამიტომაცაა, რომ კუკარაჩამ იმთავითვე დაიმსახურა ნაცნობთა სიყვარული და პატივისცემა. მისმა სიკვდილმა ყველას დაწყვიტა გული, განსაკუთრებით კი თამაზსა და ანიკოს.

სასამართლო პროცესიდან, სადაც კუკარაჩას მკვლელ მურტალოს საკითხი ირჩეოდა, შინ დაბრუნებული თამაზი დედას ეუბნება, რომ დღეს ინგამ მურტალოს შვიდი ტყვია დაახალა და შვიდივე ააცდინაო. — შვიდი ტყვია ააცდინა? — გაოცებით ეკითხება დედა თამაზს. „მე თავი დავუქნიე თანხმობის- ნიშნად და ვიგრძენი, ეროი ხმამაღალი ტირილი სიცოცხლეს ერჩია დედას, მაგრამ უსაშველოდ ამაყი ქალი იყო დედაჩემი და უზომოდ თავდაჭერილი.

მე გული ყელში მომებჯინა. ისევ ჩავუდე თავი კალთაში და ავტირდი ჩუმად, ჩემთვის, შემდეგ კი ხმამაღლა. დედას არც უცდია ჩემი გაჩერება და დაწყნარება. იგი მხოლოდ თავზე მეფერებოდა თბილი ხელით და მე მივხვდი, რომ ორივეს მაგივრად ვტიროდი“.

ადამიანის სიყვარული ნოდარ დუმბაძის იუმორშიც კარგად ჩანს. მისი გმირები შემკული არიან თბილი, ხალხური იუმორით, რომელიც გამორიცხავს სარკაზმს. ეს არის რაღაც სიმწარესთან გაზავებული, ცრემლნარევი სიცილი, როცა ტირილს სიცილი ცვლის და სიცილს ტირილი. მასში ჩანს ხალხის გულისტკივილიცა და სიხარულიც, ცხოვრების უკმაყოფილებაც და უკეთესი მერმისის იმედიც. მაგრამ ამ სიცილის მთავარი დანიშნულება მაინც „სიკეთისათვის კარის გაღებაა“ (გ. ასათიანი). ამიტომაც უყვარს ყველას ნოდარ დუმბაძის გმირებიცა და მათი შემოქმედიც.

რომანში „მე, ბაბია, ილიკო და ილარიონი“ არის ასეთი ეპიზოდი: როცა ოპერაციის შემდეგ ილარიონი ქალაქიდან სოფელში ბრუნდება, იგი ცდილობს ილარიონს დაუმალოს, რომ ცალი თვალი მასაც არა აქვს, რადგან ილიკოს მუდამ „ბრუციანს“ უძახდა და ახლა თვითონაც „ბრუციანი“ გახდა. ილიკო დიდხანს იკატუნებს თავს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ შინ მიმავალი ეზოდან მაინც მიაძახებს: „– ილარიონ!.. თვალის ჩაღება არ დაგავიწყდეს ამელამ ჭიქაში!.. ისე ბედი მაქვსო, შენ უნდა თქვა, ნადირობა ქე გიყვარს და თვალის დახუჭვა აღარ დაგჭირდება აწი, იარე და ხოცე რაც ამ სოფელში ძაღლებია. არ გაუშვა არც ერთი.

– ილიკო ჩიგოგიძე, ცოდვა არ ჩამადენიო! – იკივლა ილარიონმა და ჭიშკრისაკენ გამოქანდა.

– არ მომეკარო, ილარიონა შევარდნაძე, თორემ ჩაგიტეხავ მაგ შუშის თვალს და მდიე მერე კუდში!..“

ილარიონი დაქანცულივით უხმოდ ჩამოჯდა კიბეზე. ილიკო გვერდით მიუჯდა, თუთუნი მიაწოდა და უთხრა: „– ერთი სიკვდილი გავათავე, რომ გავიგე... მე და შენ რამ გაგვყო, ბერიკაცო, შენი თვალის დაფსება ჩემი თვალის დაფსებაა, მაგრამ მაინც ვიციგნე, არ მეგონა, თუ გეწყინებოდა. შენც კი მიძახი ბრუციანს, მარა ხომ არ მწყინს მე? ცალთვალა იყო, შე უპატრონო, კუტუსოვი, მარა დედამიწის გულში რა იდვა იმას ხედავდა. რა მოსდა, ერთი თვალი, შე გლახა, მაგი კი არა, ორივე თვალი რომ დაგვეფსოს, რა დაგვკარგავს, ჩავკიდებთ ერთმანეთს ხელს და ვიყლით ამ დუნიაზე. ვერ ვიყლით და აგი ბიჭი გვათრევს...

ილარიონი წამოდგა და ოთახში შევიდა. მალე იგი ისევ დაბრუნდა და ილიკოს მიმართა:

„– აგი ტარანია, კარგია ღომზე და ადესაზე!

– ძალიან გემრიელია. – თქვა ილიკომ.

– შენ ჩამოგიტანე! – თქვა ილარიონმა.

– ვიცოდი, რომ ჩამომიტანდი. – თქვა ილიკომ. მერე გამოართვა შეხვეული, ადგა და წავიდა.

– მოიცა, გაგაცილებ! – უთხრა ილარიონმა.

– კარგი, გამაცილე. – უთხრა ილიკომ. ისინი ერთად გამოვიდნენ ეზოდან და გაყვნენ შუკას“.

ეს ეპიზოდი გვხიბლავს ადამიანის სულის სიღრმეებით, მისი გულის სითბოთი და ენერგიის დიდი ძალით. ეს ენერგია დამუხტულია ადამიანისადმი სიკეთითა და სიყვარულით, რომელიც ყოველგვარ წყვდიადს გაანათებს.

ცნობილი რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი წერს: „ყოველთვის ვუყურებდი ამ სცენას და ყოველთვის ვაკვირდებოდი მაყურებელს (იგი ლაპარაკობს სპექტაკლზე – ნ. ბ.), ტიროდა ყველა. განა ამ წუთას არ იცინოდნენ! და მაყურებლები კი არა, ვტიროდით ჩვენც, ვინც კულისებში ვიდექით. ეს ძალიან იშვიათად ხდება“...

ნოდარ დუმბაძის ჰუმანიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მის უკანასკნელ რომანში „მარადისობის კანონი“. მასში ავტორი გადადის მებრძოლ, ქმედით ჰუმანიზმზე. რომანის მთავარი გმირი ბაჩანა რამიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოაჩენს მარადისობის მაღალზნეობრივ კანონს, რომელიც უარყოფს ყოვლისმიმტევებლობას, ბოროტებასთან კომპრომისს და თანაარსებობას. თუ მანამდე ნ. დუმბაძის გმირები გვერდს უვლიდნენ და თვალს არიდებდნენ ბოროტებას, ახლა ისინი, სიკეთის ძიებასთან ერთად, დაუნდობლად ებრძვიან მას. რომანის ყველა ეპიზოდი სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას ემსახურება. მწერლის სამოქმედო პროგრამაა ფაუსტური ჭეშმარიტება: „სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსია მხოლოდ ის, ვინც ყოველდღიურად იბრძვის მის მოსაპოვებლად“.

ბაჩანა რამიშვილმა, თეიმურაზ ბარამიძისაგან განსხვავებით, კარგად იცის, რომ ბოროტებას მიტევება კი არა, ამოძირკვა უნდა. მისი მოთმენა და მშვიდად ცქერა მხოლოდ ხელოვნური გულის პატრონს თუ შეუძლია, სიყვარულით სავსე ადამიანური გულისათვის კი ამის ატანა შეუძლებელია. ამიტომაც ეუბნება პროფესორი ბაჩანას: „– დიახ... თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ“...

ეს რომ სიმართლეა, ამის მაგალითები რომანში მრავლადაა.

ბაჩანა რამიშვილს ორი საფიცარი, ორი ღმერთი ჰყავდა ამქვეყნად – ბაბუა ლომკაცა და მწყემსი გლახუ-

ნა ქერქაძე. ეს უკანასკნელი დეზერტირმა და ტყეში ყაჩაღად გაეარდნილმა მანუჩარა კიკვაძემ მოუკლა. ორივე მათგანი სპეტაკი სულის ადამიანები არიან. მათგან ისწავლა ბაჩანამ სიყვარულიცა და სიძულვილიც — მოყვასის სიყვარული და მტრის სიძულვილი. ბაჩანას სიყვარული და თანადგომა, სხვათა ჭირისა და ლხინის თანაზიარობა ჩვეულებრივ მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული, მაგრამ მას ხელი ოდნავადაც არ აკანკალებია, როცა იგი სიცოცხლეს ასალმებდა მანუჩარა კიკვაძეს, უდანაშაულო კაცის მკვლელსა და სამშობლოს მოღალატეს.

სიკეთისა და სიყვარულის სახელით ბაჩანას გული კიდევ მრავალჯერ ამხედრდება. როცა იგი ინფარქტგადატანილი საავადმყოფოში წევს, ღამის ქოთანს დაამსხვრევს თავსე ნუგზარ დარახველიძეს, ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკის თამბაქოს დამზადების უფროსს, მილიონობით მანეთს რომ იჯიბავს და ერთადერთ ღმერთად ფული გაუხდია. ბაჩანას ასეთ საქციელს მამა იორამიც მოწონებით ხვდება.

ასეთივე ვერაგი და გაიძვერაა სანდრო მაღლაფერიძე, ბეწვეულის საწარმოო კომბინატის მმართველი, შემდგომში ერთ-ერთი რესტორნის დირექტორი. მწერალი ღრმად გვახედებს ამ სოციალური „ვირთხების“ ბილწ სულში და მათ მიმართ სიძულვილისა და შურისძიების გრძნობით გვავსებს.

ნოდარ დუმბაძის ჰუმანიზმი ფართო და მრავალმხრივია. იგი თავის თავში აერთიანებს არა მარტო ადამიანების, არამედ ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარულს. გავიხსენოთ ავთო ჯაყელის საქციელი რომანში „ნუ გეშინია, დედა!“ იგი დათვის ბელს, რომელსაც სამხედრო ნაწილში ზრდიდნენ, გამოართმევს უფროსს, თითქოსდა ზოოპარკში ჩასაბარებლად, და ტყეში უშვებს.

ცხოველებისადმი ასეთივე სიბრალულია გამოხატული მოთხრობებში „კუკურა“, „ძაღლი“, „კორიდა“ და სხვა.

კორიდა სხვათათვის თავის გასართობი ადგილი, ცირკი და სანახაობაა, ქართველი კაცისათვის კი იგი შემაძრწუნებელი, თავზარდამცემი ტრაგედიაა. ასე წარ-

მოგვიდგენს ნოდარ დუმბაძე მას მოთხრობაში „კორიდა“. „...და ბოლოს გამოელია ილაჯიც, ხერხიც, ღონეც ხარს, დაიშრიტა. დადგა, თავი ჩაღუნა და მიწას დააშტერდა. ერთხანს ასე უყურა, მერე სიმწრით ჩაბღავლა გაოგნებულმა.

– რა იქნა ერთი საათის წინ სისხლით, ჯანით, ღონითა და სიცოცხლით სავსე ჩემი სხეული, რა უყავით?

მაშინ ამოიღო დაშნა დომინგინიმ და ხარის წინ დადგა.

ახლა მის პირდაპირ, თითქოს შეუცვალესო, თეორის ნაცვლად, წითელი ხარი იდგა...

წინ ჩემი წითელი ხარი იდგა, ჩვენი მარჩენალი, ჩვენი დამპურებელი, ჩვენი დამსახლებელი, ქედ და მუხლდალოცვილი შვინდა...

...და ახლა ეს ჩემი მარჩენალი. მშრომელი, შეილივით გაზრდილი და ერთგული შვინდა უნდა მოკლა წამებით, ღალატით, მიპარვითა და უნამუსოდ“

მოთხრობაში „კუკურა“ სიღარიბისაგან გატანჯული ბიჭი გადაიფიქრებს ძროხის გაყიდვას, როცა გაიგებს, რომ მყიდველი მის დაკვლას აპირებს, „ძაღლის“ მთავარი მოქმედი პირი გოგიტა კი ნაცვლად იმისა, რომ მოკლას ძაღლი, როგორც ცოფიანი, მას არ ჰკლაეს და უშვებს.

ძაღლის დიდი სიყვარულია გამოხატული ასევე რომანში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. კურდღელზე ნადირობისას ილარიონს საკუთარი ძაღლი შემოაკვდება. ზურიკელა და ილარიონი „ტრაგიკულად დაღუპულ“ მურადას ჭადრის ძირში მარხავენ და ქელეხსაც უხდიან. პურის ჭამის დროს მურადას საფლავს სიმონა მეწისქვილის ძაღლი – მურადას დედა მიუახლოვდება და ცოტა მოშორებით ჩამოჯდება. ასე იქცევა კიდევ ოთხი ძაღლი. „– მატრონას თავგასიებული ძაღლი რატომ არ მოვიდა ნეტავი? – იკითხა ილარიონმა.

– ემდუროდა მურადას, შარშან ვაჩხუბე და დაკბინა მურადამ, – ამბობს ზურიკელა.

– ასეთ დროს მდურება ვინ გაიგონა, ფუი, შევარცხვინე მაგის ძაღლობა, კაცი არ ყოფილა მაგი და გული არ ჰქონია! – თქვა ილარიონმა და გადააფურთხა“

კარგი იქნებოდა, ძალლის მისამართით გამოთქმულ ამ საყვედურს ადამიანებიც რომ არ ივიწყებდნენ!

როგორც დავინახეთ, ნოდარ დუმბაძე მხოლოდ იმაზე წერს, რაც საკუთარი თვალით უნახავს და განუცდია, რომლის უშუალო მოწმე და მონაწილეც თავად ყოფილა, მაგრამ ყველაფერს ნატურალისტურად კი არ გვიხატავს, არამედ წერს ისე, როგორც ეს სინამდვილეში უნდა იყოს. თავისი პერსონაჟების პროტოტიპებს იგი თვითონ კი არ ქმნიდა, არამედ ცხოვრების წიაღში პოულობდა, მაგრამ მათ ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა და ისე უბრუნებდა მკითხველს. თვით რეალური ცხოვრებიდან არიან აღებული ილიკო ჩიგოგიძე და ილარიონ შევარდნაძე, აკაკი დეედარიანი და ტიგრან გულოიანი (ტიგრან გულოიანის პროტოტიპის შესახებ იხ. გაზ. „კვირის პალიტრა", 2001 წლის 19-25 თებერვალი, აკაკი დეედარიანის /ლიმონას/ შესახებ კი – იგივე გაზეთი, 2001 წლის 12-18 მარტი), ჭიჭიკო გოგოლი და სხვები, ხოლო ზურიკელა ვაშალომიძე, სოსოია მამალაძე, თეიმურაზ ბარამიძე, ავთო ჯაყელი, ზაზა ნაკაშიძე და ბაჩანა რამიშვილი თავად მწერლის პროტოტიპები არიან. მათთვის არაფერი ზოგადადამიანური უცხო არ არის, მაგრამ ისინი, ამავე დროს, არიან ქართველები, მრავალგვარი ისეთი ნიშნებით, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი ქართველისათვისაა დამახასიათებელი. რეალისტი მწერალი ყველას და ყველაფერს სიკეთის თვალით ზომავდა და აფასებდა. ადამიანობის, კაცობის სხვა საზომი მისთვის არ არსებობდა. ასეთი იყო სინამდვილისადმი დამოკიდებულების მისეული პრინციპი. ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ და მოქმედებენ.

2001 წლის აპრილი

სენტ-ეკზიუპერი ადამიანის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შესახებ

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი იყო გამოჩენილი ფრანგი მწერალი და მფრინავი. იგი დაიბადა 1900 წლის 29 ივნისს, ქალაქ ლიონში. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ეკზიუპერი მფრინავი ხდება და მუშაობას იწყებს სპეციალობის მიხედვით, გადააქვს ფოსტა ჯერ ტულუზა-კასაბლანკის, შემდეგ კასაბლანკა-დაკარის ხაზზე, 1944 წლის 31 ივლისს კი ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულების დროს იგი დაიღუპა.

წერა ანტუანმა დაიწყო ადრეულ ასაკში, მაგრამ პირველ ხანებში იგი წერდა თავის გასართობად, მეტწილად ლექსებს, და აზრადაც არ მოსდიოდა მწერალი გამხდარიყო, მაგრამ 1926 წელს, როცა გამოქვეყნდა მისი პატარა მოთხრობა „მფრინავი", გადაწყვიტა სერიოზულად მოეკიდა კალმისათვის ხელი.

1929 წელს გამოდის ეკზიუპერის პირველი წიგნი „სამხრეთის ფოსტა", შემდეგ მას მოჰყვა „ღამის ფრენა", „ადამიანთა მიწა", „სამხედრო მფრინავი" და ბოლოს, „პატარა უფლისწული". 1939 წელს ეკზიუპერის „ადამიანთა მიწას" საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ „რომანის დიდი პრემია" მიანიჭა. პრემიით აღინიშნა ასევე მისი „ღამის ფრენა".

სენტ-ეკზიუპერის ყველა ნაწარმოებში საუბარია დაკისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობაზე. იგი ყველგან და ყოველთვის ლაპარაკობს საზოგადოებაში ადამიანის მაღალ დანიშნულებაზე და იმ კეთილშობილური თვისებების აღზრდაზე, რომლითაც უნდა იყოს შემკული ნებისმიერი ადამიანი. მისი ძირითადი დებულებაა: „იყო ადამიანი — ნიშნავს, გრძნობდე პასუხისმგებლობას". ესაა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი, ოჯახისადმი, ცოლ-შვილისადმი, კოლექტივის თითოეული წევრისადმი.

პასუხისმგებლობის გრძნობა ამაღლებს ეკზიუპერის გმირებს, აჰყავს ისინი მაღალ სიმაღლეზე და აქცევს

ნამდვილ ადამიანებად. ასეთი ნამდვილი ადამიანია თავად მწერალი და მისი ნაწარმოებების ყველა პერსონაჟი. რა არ დატრიალდა ეკზიუპერის თვალწინ, რისი მომსწრე და მნახველი არ გახდა ცხოვრებაში, მაგრამ მისი სიკეთით სავსე ბული ოდნავადაც არ შეცვლილა, ბოლომდე დარჩა თავისი საქმისა და ადამიანების მოყვარული.

ეკზიუპერის მთელი შემოქმედების დედააზრია ადამიანის არსის შეცნობა, შეცნობა იმ საუკეთესო თვისებებისა, რაც ადამიანს ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე მაღლა აყენებს და ჰომო საპიენსად (გონიერი ადამიანი) აქცევს. თავის მოთხრობებში მწერალი აგვიწერს მფრინავთა ხიფათით სავსე ცხოვრებას, უმღერის მამაც და თავდადებულ ადამიანებს, უბრალოდ და გულში ჩამწედომად მოგვითხრობს ცხოვრების აზრზე, იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საერთოდ ადამიანი.

ეკზიუპერის აზრით, ადამიანი არის უმაღლესი ღირებულება ყველა სხვა ღირებულებათა შორის. მაგრამ ყველა როდი იმსახურებს ამ სახელს. ჭეშმარიტი ადამიანი მხოლოდ ის არის, ვინც ზრუნავს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ სხვებზეც, საზოგადოების თითოეულ წევრზე, რადგან „ჩვენ ყველანი ერთი და იგივე პლანეტით ჩიყვქანებით სივრცეში, ...ერთი და იგივე ხომალდის ეკიპაჟი ვართ". ყოველი ჩვენგანი ადამიანთა ერთობის, მთელი საზოგადოების შემადგენელი ნაწილები ვართ და უერთმანეთოდ არსებობა არ შეგვიძლია. ამიტომ ყველას ვალია ერთმანეთზე ზრუნვა. შენ ისევე უნდა იზრუნო ჩემზე, როგორც მე შენზე. მოვალეობის გრძნობა აძლევს ჩვენს ცხოვრებას შინაარსსა და მიზანდასახულობას, ასპეტაკებს, ალამაზებს, აკეთილშობილებს თითოეულ ჩვენგანს. მხოლოდ მასში პოვებს ადამიანი ნამდვილ ბედნიერებას. პიროვნების ავტორიტეტის საზომიც სამშობლოსა და ხალხის წინაშე მოვალეობასა და პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული, რასაც ადამიანი ძირითადად თავისი საქმიანობით გამოხატავს. ამიტომ ოდითგანვე ორი სიტყვა – ადამიანი და მოვალეობა – ისეა ერთმანეთში ჩაწნულ-ჩახლართული, რომ უერთმანეთოდ არც ერთი არ ფასობს.

ჰოვალეობა და პასუხისმგებლობა, აი ის, რაც ამკობს და ალამაზებს ყოველ ჭეშმარიტ ადამიანს. ამიტომაც ებრძვიან ეკზიუპერის გმირები უაზრო სიკვდილს. „იყო ადამიანი, – წერს იგი, – ნიშნავს, გრძნობდე პასუხისმგებლობას; გრძნობდე სირცხვილს თავსდატეხილი უბედურების გამო, რომელიც თითქოს არც არის შენზე დამოკიდებული; ამაყობდე ყოველი გამარჯვებით, რომელიც შენმა ამხანაგებმა მოიპოვეს; გჯეროდეს, რომ შენი ჰიტანილი აგურით შენც შეგაქვს წვლილი ქვეყნის შენებაში“.

მოყვასისადმი ზრუნვა და მისთვის თავდადება ყოველი ჩვენგანის უპირველესი ადამიანური ვალია. ამიტომაც ამბობს მწერალი: „მერმოზმა მოიხადა თავისი ვალი და განისვენა, მსგავსად იმ მომკელისა, რომელმაც გულმოდგინედ შეკრა უკანასკნელი ძნა და იქვე, მინდორში მიიძინა“. ასეთი ადამიანები თავიანთი სიკვდილით უკვდავყოფენ და განადიდებენ ადამიანს. მიტომ ყოველი ადამიანი უნდა ზრუნავდეს საკუთარი სახელის უკვდავყოფაზე. ის, ვინც ცხოვრების აზრს მხოლოდ თავის გაროობასა და დროსტარებაში ხედავს, ფაქტობრივად ადამიანი არ არის. ზოგიერთი ჩვენგანი კი მხოლოდ საკუთარ სხეულზე ზრუნავს და ოდნავადაც არ ფიქრობს სულზე. ჩვენ მეტისმეტად „დიდ ყურადღებას ვუთმობთ ჩვენს სხეულს, – წერს ეკზიუპერი. – ...მონდომებით ვმოსავთ მას, ვბანთ, ვუვლით, ვპარსავთ, ვასმევთ და ვაჭმევთ. ჩვენ სხეული შინაურ ცხოველად ვაქციეთ. თერძთან, ექიმთან და ქირურგთან დაგვყავს იგი. მასთან ერთად ვიტანჯებით, მასთან ერთად ვტირით, მასთან ერთად გვიყვარს“.

ეკზიუპერის საჭართლიანი მტკიცებით, სხეული კი არა, სული უნდა გავიხადოთ ზრუნვისა და ყურადღების საგნად. ყოველმა ჭეშმარიტმა ადამიანმა უნდა შეძლოს საკუთარ სხეულზე მაღლა დგომა, ზოგ შემთხვევაში კი საკუთარ ბიოლოგიურ არსებობაზეც უარი უნდა თქვას და თავისი სიცოცხლე სხვას ანაცვალოს. აი, სწორედ ამაშია ზნეობრივი სიწმინდე, ზნეობრივი საქციელი და სულის უკვდავება. ვინც მხოლოდ სხეულს ემსახურება და სულზე არ ფიქრობს, მალე დარწმუნდება თავისი

მოქმედების უსაფუძვლობაში. როცა ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანის, ვთქვათ შვილის, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგება, მაშინ სულაც არ ეფიქრობთ სხეულზე და მაშინვე ვწირავთ მას შვილის სიცოცხლეს – დაუყოვნებლად ვეშვებით მდინარეში, მაშინაც კი, როცა ცურვა არ ვიცით და ვცდილობთ, ვიხსნათ იგი განსაცდელისაგან, ვვარდებით ალმოდებულ სახლში, რათა იგი დაწვას გადავარჩინოთ და ა.შ.

ეს აზრი ეკზიუპერმა ასე ჩამოაყალიბა: „შენი შვილი ხანძარში ალმოჩნდა? – შენ გადაარჩენ მას! ვერავინ ვერ დაგაკავებს! ცეცხლი გედება? – მიგიფურთხებია! თუ საჭირო გახდა, შენი სხეულის ნაფლეთებს შესწირავ და უცებ ხვდები, რომ სრულებითაც არ გყვარებია ის, რაც ასეთი მნიშვნელოვანი გეჩვენებოდა. და შენ მზადა ხარ გასწირო შენი ხელი, ოღონდ კი გაუწოდო იგი მას, ვისაც შენი დახმარება სჭირდება“.

ასეთ ადამიანს, ეკზიუპერის აზრით, ვერავინ დაიმორჩილებს მის „სხეულზე ძალადობის მუქარით“. იგი გმირია, უშიშარი რაინდი. „შენ მტრის სიკვდილი ხარ, – მიმართავს ასეთ კაცს ავტორი. – შენ შვილის გადარჩენა ხარ... შენ ცელი შენს თავს მტრის სიკვდილზე, შვილის გადარჩენაზე, ავადმყოფის განკურნებაზე და შენს ალმოსენაზე – თუ გამომგონებელი ხარ“.

ამრიგად, სხეული კი არა, სული, მისი სიწმინდე და სილამაზე უნდა იქცეს ჩვენი ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების საგნად. ცხოვრების აზრი სულის სილამაზით ტკბობაშია. მხოლოდ ასეთ ადამიანს ძალუძს, გარდაქმნას სამყარო, სახე უცვალოს მას.

ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ ეკზიუპერი ქადაგებდა სიცოცხლის არად ჩაგდებას. პირიქით, მისი გმირები ყოველნაირად იბრძვიან სიცოცხლის გადასარჩენად, განსაკუთრებით ებრძვიან უაზრო სიკვდილს, როცა იგი სხვისი სიცოცხლის გადარჩენას არ ემსახურება. ამასთან, „საჭიროა, რომ ის, რისთვისაც კვდებიან, სიკვდილად ღირდეს.“ ამიტომაც ამბობს მწერალი: „თავის გაწირვა მშვენიერია, როდესაც სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად კვდები, როდესაც ცეცხლში შედიხარ, რომ მეზობლის სახლი ხანძარს გადაარჩინო.

ზნეობრივად სრულყოფილმა ადამიანმა მაშინაც კი არ უნდა შეწყვიტოს ბრძოლა, ფარ-ხმალი არ უნდა დაყაროს, როცა თითქოსდა სიკეთილი გარდუვალია და თავის დახსნის არავითარი შანსი არ არსებობს. თვითმფრინავის ავარიის შედეგად ეკსიუპერი და მისი მექანიკოსი პრევო უდაბნოში უწყლოდ და ულუკმაპუროდ რჩებიან და გადარჩენის არაკითარი შანსი არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი ბედს არ ურიგდებიან, სიკეთილს არ ნებდებიან და გზას განაგრძობენ. „– მარტო რომ ვიყო ქვეყანაზე, – ამბობს პრევო, – დავწეებოდი და აღარც გავინძრეოდი". მაგრამ პრევო არ დაწვა. არ დაწვა ეკზიუპერიც, რადგან ორივე ფიქრობდა იმაზე, „ვისაც გული უკვდება ამ საშინელი შეცდომის გამო".

კიდევ უფრო საოცარი პიროვნებაა ანრი გიომე. მისი ცხოვრება სულის სიმტკიცის, შეუპოვრობისა და ეიუკაცური შემართების საუკეთესო მაგალითია. მან გადაიტანა ის, „რასაც ვერ გადაიტანდა ვერც ერთი პირუტყვი".

ორმოცგრადუსიან ყინვაში ანრი გიომეს საწყალი გამოელია და თვითმფრინავი რის ვაი-ვაგლახით უკაცრიელ ადგილას დასვა, რომელიც დაჯდომისას გადაბრუნდა. „თვითმფრინავიდან გამოვძვერი თუ არა, – უყვება იგი მეგობრებს, – ქარიშხალმა ძირს დამცა. წამოვდექი, მაგრამ კვლავ ძირს დამცა ქარიშხალმა. იძულებული გავხდი, თვითმფრინავის ქვეშ შევცოცებულიყავი და თოელში საფარი ამომეთხარა, ხემოდან ფოსტით საკვლ ტომრები გადავიხურე და ორი დღე-ღამე ლოდინში გავატარე. მერე, როცა ქარიშხალი ჩადგა, გზას გავუდექი და ხუთი დღე და ოთხი ღამე ვიარე".

ბუნების წინააღმდეგ გამართულ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან გამარჯვებით დაბრუნებულ გიომეს ეკზიუპერი ასე მიმართავს: „...როცა ფისმენდი, მე ვხედავდი, როგორ მიდიოდი ორმოცგრადუსიან ყინვაში მშიერი, უალპენშტოკოდ, უთოკოდ მიხოხავდი მაღალმთიან უღელტეხილებზე, მიცოცავდი ციცაბო კლდეებზე და დახეთქილი ქუსლებიდან, მუხლებიდან, ხელებიდან სისხლი გდიოდა. თანდათანობით კარგავდი სისხლს, ძალას, გონებას და მაინც მიდიოდი წინ ჭიანჭველასავით

შეუპოვრად, წყდებოდი კლდეს და ისევ ადიოდი ზედ, უკან ბრუნდებოდი, რომ გადაულახავი დაბრკოლებისთვის გარს მოგეელო, ფერდობებით მიხოხავდი მწვერვალისაკენ, რომლის იქით არაფერი იყო, გარდა უფსკრულისა. თავს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდი, რადგან ერთხელ მიწოლილი ვეღარც ადგებოდი თოვლის საწოლიდან".

ორი-სამი დღის სიარულის შემდეგ გიომე მხოლოდ ძილზე ოცნებობდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ერთი წუთით შესვენებაც კი სიკვდილს მოასწავებდა. ამიტომ იგი შეუჩერებლივ მიდიოდა და სხვაგვარად არც შეეძლო მოქცეულიყო, რადგან პასუხისმგებლობისა და მოვალეობის მაღალი გრძნობა ამის საშუალებას არ აძლევდა. იგი ფიქრობდა არა საკუთარ თავზე, არამედ ცოლზე, ამხანაგებზე და, საერთოდ, იმ ადამიანებზე, რომლებთანაც ათასი ძაფი აკავშირებდა. „ცოლს, თუკი მას სჯერა, რომ ცოცხალი ვარ, – ფიქრობდა იგი, – სჯერა, რომ მივალ, ამხანაგებს სჯერათ, რომ მივალ. ისინი მენდობიან მე და არამზადა უნდა ვიყო, რომ გავჩერდე!".

და არც გაჩერებულა. როგორც თვითონ ამბობს, „ხუთი დღე და ოთხი ღამე" იარა თოვლში დაღლილ-დაქანცულმა და მშიერ-მწყურვალმა, რომ ცოტათი მაინც მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც მის გვამს ადვილად იპოვნიდნენ და მუშაობის დროს დაღუპული პილოტის ცოლს პენსიას დაუნიშნავდნენ.

ასეთი „დიდი გულისა და ფართო პორიზონტის" ადამიანი იყო გიომე. იგი ვაჟკაცურად და წარბშეუხრელად ებრძოდა სიკვდილს, ებრძოდა ქარსა და ყინვას, დარსა და ავდარს, მთებსა და კლდეებს, ზღვებსა და ქვიშას, რათა პირნათლად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა, მოეხადა ადამიანური ვალი. აი, რას ამბობს მის შესახებ ეკზიუპერი: „მისი სულის სიდიადე პასუხისმგებლობის შეგრძნებაში მდგომარეობს. პასუხისმგებლობისა საკუთარი თავის, მინდობილი ფოსტის, ამხანაგების გამო, ამხანაგების, რომელთაც მისი იმედი აქვთ, რომელთა მწუხარება და სიხარული მასზეა დამოკიდებული. იგი მდგომარეობს პასუხისმგებლობის შეგნე-

ბაში იმ ახლისათვის, რაც შენდება იქ, ცოცხლებთან, რასაც უნდა შეეხოს მისი ხელიც; თუნდაც სულ მცირედი პასუხისმგებლობისა ადამიანთა მომავლისათვის იმდენად, რამდენადაც მათი მომავალი მის წყლილზეც არის დამოკიდებული".

მოვალეობის მაღალი გრძნობა და ადამიანებისადმი გულწრფელი სიყვარული გამსჭვალავს ეკზიუპერის ყველა ნაწარმოებს. მისთვის მთავარია ადამიანთა სიყვარული, მაგრამ ისეთი სიყვარული, რომელიც ყველა ადამიანს ერთ სიბრტყეზე განიხილავს და გამორიცხავს მათ განსხვავებას ეროვნული, რელიგიური, პოლიტიკური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. მწერლის აზრით, ასეთი „სიყვარული ნიშნავს არა ერთმანეთის ყურებას, არამედ ყურებას ერთად და ერთი მიმართულებით. ამხანაგები მხოლოდ ისინი არიან, რომელნიც ერთ ბაგირს ეჭიდებიან, საერთო ძალით ადიან მწვერვალზე და ამგვარად აღწევენ ურთიერთსიახლოვეს".

სწორედ ასეთი ერთობლივი შრომა და ურთიერთსიახლოვეა ადამიანებს რომ აძლიერებს, აკეთილშობილებს და ცხოველებზე მაღლა აყენებს. ანტომაც ამბობს დიდი მწერალი: „ყოველი ხელობის სიდიადე, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი აერთიანებს ადამიანებს. არსებობს ერთადერთი ნამდვილი ღირებულება და ეს ადამიანთა ურთიერთობაა".

ასეთი ურთიერთობა ადამიანებს შორის მყარდება თავისუფალი, შემოქმედებითი შრომის პროცესში. ისეთი შრომა კი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ აზრს და პიროვნებას არ აკავშირებს ადამიანებთან, ეკზიუპერის აზრით, არის იძულებითი, მონური შრომა.

შრომის პროცესში ადამიანთა ურთიერთობას ეკზიუპერი საფუძვლად უდებს ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემას, თანადგომას, რომელიც გულისხმობს „პასუხისმგებლობას ყველას მაგიერ და ყველას — თითოეულის მაგიერ"

ამრიგად, ადამიანი საზოგადოების წევრია და უნდა ემორჩილებოდეს ამ საზოგადოებაში არსებულ კანონებს. საზოგადოებისაგან იზოლირებული, „განცალკევებული პიროვნება არ არსებობს. ის, ვინც საკუთარ თავს

საზოგადოებისაგან განაცალკევებს, – წერს ეკზიუპერი, – ზიანს აყენებს მას. ის, ვინც დარდიანია, სხვასაც ადარდიანებს".

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს კოლექტივის წევრებთან ნორმალური ადამიანური ურთიერთობის დამყარებას, რაც დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე. სადაც ასეთი სიყვარული და პატივისცემა არაა, პიროვნებას ეუფლება სასოწარკვეთა და ცხოვრებაზე გულაცრუება, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ ადამიანისათვის უფრო მნიშვნელოვანია სულიერი კეთილდღეობა, ვიდრე მატერიალური, რადგან „მდიდრებიც ტირიან". ამიტომაცაა, რომ ეკზიუპერი თავისი შემოქმედებით ცდილობს ადამიანთა ურთიერთდაახლოებას და ებრძვის ყოველივე იმას, რაც მათ გაუცხოებასა და დაშორებას იწვევს. მწერლის დევიზია: „ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი", რადგან, მისი აზრით, „ყველაზე მთავარი ხშირად ღიმილია. ღიმილით უხდიან ვალს, ღიმილით აჯილდოებენ, ღიმილით უბრუნებენ სიცოცხლეს. ზოგიერთი ღიმილის გულისათვის თავს გასწირავ".

რიგორც დავინახეთ, ეკზიუპერის ჰუმანიზმი უსაზღვროა. იგი ყველგან და ყოველთვის ლაპარაკობს ადამიანის სიყვარულსა და მის წინაშე მოვალეობაზე, რომელიც გამორიცხავს ანგარებას, საკუთარი, პირადი გამორჩენით მოქმედებას. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს მწერალი, „ადამიანებს ავიწყდებათ, რომ სიცოცხლე ყველგან – აქაც და სხვაგანაც – ფუფუნებაა, და რომ ადამიანის ფეხქვეშ მიწა არასოდეს არ არის ღრმა და მყარი". ამიტომ, სანამ ცოცხალი ვართ, სიკეთეს უნდა ვემსახუროთ, რომ სიკვდილის წინ „სირცხვილი არ გვწვავდეს უსინდისო და წვრილმანი წარსულისათვის" (ნ. ოსტროვსკი).

2000 წლის იანვარი

პედაგოგი, აღმზრდელი, შემოქმედი

ქედის რაიონის ინტელიგენციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, სოფელ გეგელიძეების საბაზო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ღირსების მედლის კავალერს, აჭარის დამასახურებულ მასწავლებელ მურმან კეკელიძეს ახლახან დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. 80 წელი მცირე ასაკი როდია, მგრამ ვინც კარგად იცნობს ბატონ მურმანს, მის უდიდეს შრომისმოყვარეობას, ენერგიულობას, დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას, ერთგვარად ეჭვიც კი შეეპარება ამ ასაკის რეალობაში.

საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების გზა განელო მურმან კეკელიძემ. იგი დაიბადა 1923 წლის 16 ივლისს, ქედის რაიონის მაღალმთიან სოფელ გეგელიძეებში. აქ გაატარა მან თავისი უდარდელი ბავშვობა, აქვე ეზიარა იგი ბუნებისა და ადამიანების სიყვარულს, განიცადა შრომის სიკეთე და მისი ხიბლი. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება, შემდეგ დაამთავრა ცხმორისის შვიდწლიანი სკოლა და ქედის საშუალო სკოლაში განაგრძო სწავლა. 1940 წელს აღნიშნული სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ინიშნება სოფელ აბუქეთის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად და აქ იღებს პირველ პედაგოგიურ ნათლობას. ერთხანს იგი პარტიის ქედის რაიკომშიც მუშაობს, შემდეგ კვლავ პედაგოგიურ სარბიელს უბრუნდება და მუშაობას იწყებს თავისივე სოფელ გეგელიძეების დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. პატარების ცოდნის წყურვილით ანთებულმა თვალებმა ახალგაზრდა პედაგოგს უსაზღვროდ შეაყვარა არჩეული პროფესია, მაგრამ უმაღლესი განათლების მიღებაზე ფიქრი არ ასვენებდა და არც მოისვენა, სანამ 1967 წელს დაუსწრებლად არ დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მას შემდეგ იგი გეგელიძეების არასრულ საშუალო სკოლაში მოხარდებს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარულს უნერგავს.

ბატონი მურმანის პიროვნებაში საოცრად შერწყმულია განსწავლულობა, პრინციპულობა, დაკისრებული მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობა და სიყვარული, ორგანიზატორული ნიჭი, გულისხმიერება და თავმდაბლობა. ამასთან ერთად, იგი მეტად მომთხოვნი პედაგოგია როგორც მოსწავლეების, ისე საკუთარი თავის მიმართ. ამ მომთხოვნელობას საფუძვლად უდევს ბავშვების გულწრფელი სიყვარული და მათი მომავლის ღრმა რწმენა.

მურმან კეკელიძის მიერ გადაცემული პირველი გაკვეთილის შემდეგ 63 წელი გავიდა. ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი უძილო ღამე გაატარა ნორჩებზე ფიქრში, რამდენი მათგანისათვის გაუნაწილებია საკუთარი გულის სითბო. მხოლოდ ჭეშმარიტ პედაგოგს ძალუძს ჩაწვდეს ბავშვის ბუნებას, მის სულიერ სამყაროს, გახდეს აღსაზრდელის მესაიდუმლე, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე. სწორედ ასეთი პედაგოგია მურმან კეკელიძე. ამიტომაცაა, რომ იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ყველა იმ ადამიანში, ვინც კი მას იცნობს და ვისაც მასთან საქმიანი ურთიერთობა აქვს.

მურმან კეკელიძე მოუსვენარი, დაუცხრომელი ბუნების კაცია, არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეულით, ყოველთვის ბავშვების გულისაკენ მიმავალი გზების ძიებაშია. მისი აზრით, პედაგოგიურ მუშაობაში წარმატების მოსაპოვებლად მარტო ბავშვების სიყვარული არაა საკმარისი. ამასთან ერთად, უნდა შეგეძლოს მათი ინტელექტუალური ძალების ამოქმედება, მიძინებული გონების გამოღვიძება და შრომით საქმიანობაში ჩართვა.

ამ რწმენით განვლო ამაგდარმა პედაგოგმა თავისი ცხოვრება. ამასვე ჩააგონებს იგი ახალბედა, დამწყებ პედაგოგებს, რომლებსაც უშურველად უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას.

— რა აზრისა ხართ პედაგოგის პროფესიაზე? — ვეკითხებით ბატონ მურმანს.

— თავდაპირველად, აღნიშნავს იგი, პედაგოგობაზე არ მიოცნებია, ეს შემდეგ გადავწყვიტე და არც შეუმცდარვარ. პედაგოგის პროფესიაზე უფრო საპატიო პროფესია მე არ მეგულება. სადაც კი მიხვალ, ყველგან

შენი აღზრდილები გხვდებიან, გიხარია, რომ მათ დაფრთიანებასა და დაკეალიანებაში შენი წელილიც არის.

დღეს მურმან კეკელიძის აღზრდილთა შორის შეხვდებით სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს — პედაგოგებს, ინჟინრებს, ექიმებს, აგრონომებს, ეკონომისტებს, იურისტებს, მეცნიერ-მუშაკებს და ა.შ.

— რა მიგაჩნიათ მასწავლებლის ავტორიტეტის წინაპირობად? — კვლავ ვეკითხებით ბატონ მურმანს.

— მასწავლებელს ავტორიტეტს ვერავინ შეუქმნის, ავტორიტეტი თავად უნდა შეიქმნა. ნამდვილი პედაგოგი სხვა პროფესიის ადამინებისაგან უნდა გამოირჩეოდეს თავისი ქცევით, კულტურით, განათლებით, ცოდნის მაღალი დონით, პროფესიის სიყვარულით, სამართლიანი მომთხოვნელობითა და, რაც მთავარია, პატიოსნებითა და ბავშვების უსაზღვრო სიყვარულით. ამის გარეშე მასწავლებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

— როცა მასწავლებლის ცოდნაზე ვლაპარაკობთ, დასძენს მურმან კეკელიძე, მხედველობაში გვაქვს მის მიერ არა მარტო იმ საგნების ცოდნა, რომლის საფუძვლებსაც იგი ასწავლის, არამედ სხვა საგნებისაც. ამასთან, მასწავლებელმა თავისი საგანი უნდა იცოდეს, არა პროგრამის ფარგლებში, არამედ გაცილებით ღრმად და საფუძვლიანად. იგი მუდამ უნდა იყოს სიახლის კურსში, ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრებას. ამას მასწავლებელი მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ იგი არ დაიეიწყებს საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას: „სხვას რომ ასწავლო, თვით უნდა სწავლობდე“.

მურმან კეკელიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოა. იგი არაერთხელ იყო არჩეული სასოფლო საბჭოს დეპუტატად, პრესის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებს როგორც მეთოდური ხასიათის წერილებს, ისე მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს — ჩანახატებს, მოთხრობებს, ლეგენდებს: არის ორი წიგნის ავტორი. „შუქი გეგელიძეებში“ — ასე ჰქვია მის პირველ წიგნს, რომლის ერთ-ერთი რეცენზენტი ამ სტრიქონების ავტორიცაა. მასში საუბარია სოფელ გეგელიძეებში პირველი ქართული სკოლის გახსნასა და მასთან დაკავშირებულ

სიძნელეებზე, ხოლო ახლახან გამოსული მეორე წიგნი „არწივების საბუდარი“ მოგვითხრობს სოფლის შემდგომ კულტურულ ცხოვრებასა და მიღწევებზე. მასში შესულია ასევე მოთხრობა „არწივების საბუდარი“, რომელიც აბუსერისძე ტბელის დაბადების 800 წლისთავს ეძღვნება და გადაგვიშლის ჩვენი ისტორიული წარსულის ერთ საამაყო ფურცელს.

სოფელ გეგელიძეებში თუ მის ფარგლებს გარეთ არც ერი სასიკეთო საქმე არ გაკეთებულა მურმან კეკელიძის აქტიური მონაწილეობისა და ძალისხმევის გარეშე. არაერთი წლის ჯაფა და ენერგია შეალია ბატონმა მურმანმა გომის მთის იალაღებზე სამანქანე გზის გაყვანას. 1985 წელს ამ გზის მშენებლობა რატომღაც შეჩერდა. როცა ბატონი მურმანი ადგილზე ვერაფერს გახდა, მან წერილით მიმართა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ ამაოდ. შემდეგ იგი ამ საქმეზე არაერთხელ ჩავიდა თბილისში. ყოველთვის თბილი სიტყვებითა და დაპირებებით ისტუმრებდნენ, საქმეს კი სასიკეთო პირი არ უჩანდა. ბოლოს მან ვეტერანთა სახელით მიმართა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას და, როგორც იქნა, საქმე ადგილიდან დაიძრა — 18-კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მშენებლობა განახლდა და მალე დასრულდა.

მურმან კეკელიძემ ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო გეგელიძეების სკოლის ახალი კაპიტალური შენობის აგებში, სოფელში შინმოუსვლელთა ხეივნის გაშენებასა და მისი საზეიმოდ გახსნის ორგანიზაციაში.

ღვაწლმოსილ პედაგოგს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა სათანადოდ დაუფასდა: 1981 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, გასულ წელს კი გადაეცა „ღირსების მედალი“. გარდა ამისა. იგი დაჯილდოებულია მედლით 1941-1945 წლებში მამაცური შრომისათვის და აჭარისა და საქართველოს განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით.

მურმან კეკელიძეზე წერილი სრულყოფილი არ იქნება, თუ არაფერს ვიტყვით მის ლამაზ ოჯახზე. 5 ვაჟიშვილი აღუსარდეს სამშობლოს ბატონმა მურმანმა და

მისმა მეუღლემ ზელიხე ხალვაშმა. ხუთივე უმაღლესი განათლებითაა და ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული. მათგან ბატონ მურმანს 28 შვილიშვილი და 9 შვილთაშვილი ჰყავს. როცა ისინი ერთად თავს მოიყრიან ბაბუს ოჯახში, სახლი დიდ, ფუტკრებით მოზუზუნე სკას ემსგავსება. მურმანს გული წყდება იმის გამო, რომ ყოველივე ამას მისი მეუღლე, ქალბატონი ზელიხე, ვერ ხედავს. იგი 1989 წელს ტრაგიკულად დაიღუპა. და აი, უკვე 13 წელია ბატონი მურმანი მარტოდმარტო ეწვევა ცხოვრების ჭაპანს, მაგრამ სულით არასოდეს დაცემულა. მუდამ სწამდა და ასულდგმულებდა მომავლის დიდი იმედი, დღევანდელი მთავრობის კი არაფერი სჯერა, რომელიც ცრუ დაპირებებით კვებავს ხალხს.

ბატონ მურმან კეკელიძეს გულს უკლავს ასევე ის, რომ დავკარგეთ ეროვნული ფასეულობანი, ახლანდელი ახალგაზრდობა არაფრად აგდებს ელემენტარულ ზნეობრივ წესებსა და ნორმებს, დაიკარგა უფროსებისადმი რიდი და პატივისცემა, შეიბღალა ქართველი ქალის ღირსება და პატიოსნება, რომლითაც იგი ადრე თავს იწონებდა, მოდად იქცა ყოველივე უცხოურისადმი ბრმად მიბაძვა. ამაში ბრალი ჩვენ, უფროსებსაც მიგვიძღვის, ამბობს იგი. საყოველთაოდ ცნობილია მშობლების პირადი მაგალითის როლი ბავშვთა აღზრდაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენგანი ამას ივიწყებს. მაგალითად, რა სიკეთეს უნდა ველოდეთ იმ ოჯახისაგან, რომელშიც ქმარი ცოლს ატყუებს, ცოლი — ქმარს, ორივე ერთად კი — შვილებს.

— ისე არ გამოგოთ, ამბობს ბატონი მურმანი, რომ ახალგაზრდებზე საერთოდ ხელჩაქნეული ვიყო. არა, ღმერთმა დამიფაროს. მე მჯერა ჩვენი ახალგაზრდობისა, მაგრამ მას დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება. ალბათ ასე დიდხანს არ გაგრძელდება. მჯერა, რომ საქართველო თავს დააღწევს კრიზისულ მდგომარეობას და ცხოვრება გაჯანსაღდება როგორც მატერიალურად, ისე მორალურად, მაგრამ ამას ალბათ მე ვერ მოვესწრები, ისე კი ძალიან მინდა, რომ მოვესწრო, დასძენს ჩვენი საუბრის დასასრულს ბატონი მურმანი.

ღმერთმა კიდევ დიდხანს გაცოცხლოთ, ბატონო

მურმან და მოგასწროთ ყოველივე იმ სასიკეთო ძვრებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, უეჭველია, მოხდება. კაცი იმედით ცოცხლობს. ეს იმედი კი ღმერთმა ნუ მოგიშალოთ.

2003 წლის მაისი

„არაჩვეულებრივი ზნეობრივი სილამაზის ადამიანი“

ეს სათაური დიდ უკრაინელ პედაგოგ ვასილ სუხომლინსკის დავესესხეთ. ასე უწოდებდა იგი ცნობილ პოლონელ მწერალს, პედიატრსა და პედაგოგს იანუშ კორჩაკს (ჰენრიკ გოლდშმიტი). დიდი სამამულო ომის წლებში კორჩაკი იყო ყარშავის ობოლ ბავშვთა აღმზრდელი. ფაშისტებმა მისი აღსაზრდელები ტრებლინკის ღუმელების „გასახურებლად“ გასწირეს, თვითონ მას კი შესთავაზეს სიცოცხლე ან ბავშვებთან ერთად სიკვდილი, რასედაც მან უპასუხა: – მე სინდისით არ ვვაჭრობო და ვაუკაცურად შეეგება სიკვდილს ნებაყოფლობით შევიდა გაზის კამერაში ყველაზე ჰატარა აღსაზრდელით ხელში. ეს მოხდა 1942 წლის 5 აგვისტოს.

ორი წლის შემდეგ, კერძოდ, 1945 წლის იანვრის დამდეგს, იანუშ კორჩაკის გმირობა გაიმეორა ყარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა და არქიმანდრიტმა, ეროვნებით ქართველმა, გრიგოლ რომანოზის ძე ფერაძემ, რომელმაც თავისი ლამაზი სიცოცხლე ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში დაასრულა.

კამერაში იგი თავისი სურვილით შევიდა ერთ-ერთი მრავალშვილიანი მამის ნაცვლად, რომელთან ერთადაც საკანში იჯდა. – შენ დიდი ოჯახი გაქვს: ცოლი, ხუთი შვილი, უთხრა გრიგოლ ფერაძემ მას, ომი დასასრულს უახლოვდება. მაშასადამე, სიცოცხლე უნდა გაიხანგრძლივო, რათა შეხვდე მათ, უნდა იცოცხლო მათთვის. მე კი... შენს მაგივრად მოვკვდები მათი მოშავლისათვის.

გაზის კამერაში ნებაყოფლობით შესვლიდან ხუთი წუთის შემდეგ ფერაძის ფერფლიც შეერია პოლონელე-

ბისა და ებრაელების, რუსებისა და უკრაინელების, ბელორუსებისა და ბულგარელების, ინგლისელებისა და ფრანგების — ოსვენციმში დაღუპულ სამ მილიონზე მეტი ადამიანის ფერფლს. სიკვდილის შემდეგ მამა გრიგოლი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ვინ იყო გრიგოლ ფერაძე?

გ. ფერაძე იყო პოეტი და ფილოსოფოსი, თეოლოგი და ლინგვისტი, ეთნოგრაფი და პუბლიცისტი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი, არქეოლოგი და პედაგოგი.

დაიბადა იგი 1899 წლის 18, ძველი სტილით 31 აგვისტოს, გორის მაზრის სოფელ საქაშეთში (პოლონური წყაროებით — სილნაღის მაზრის სოფელ ბაკურციხეში, 13 სექტემბერს). მამამისი რომანოზი იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა. დაუმთავრებია გორის სემინარია, სადაც ვაჟა-ფშაველასთან ერთად სწავლობდა და მასთან მეგობრობდა. იქნებ ამანაც განაპირობა ის, რომ პატარა გრიგოლმა ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში ხელი მიჰყო ლექსების წერას, რომელსაც იგი შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაშიც განაგრძობდა. ლექსებს გრიგოლი აქვეყნებდა ჟურნალებში „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ (1918 წ.) გრიგოლ ფერაძე ერთხანს მუშაობს მასწავლებლად სოფლებში ხანდაკსა და მანავაში, მაგრამ მალე პედაგოგიურ მოღვაწეობას თავს ანებებს და ისევ დედაქალაქში ბრუნდება. აქ იგი სოციალ-დემოკრატების წრეში ტრიალებდა და მათ იდეებს იზიარებდა, ილაშქრებდა მცირეერიცხოვანი ერების მიმართ ძალადობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ პერიოდში გრიგოლი გაეცნო და დაუახლოვდა მასზე ასაკით ბევრად უფროსს, დიდ მეცნიერ ნიკო მარს. მისი რჩევით გრიგოლმა სწავლა განაგრძო ახლად გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, 1921 წელს კი არტურ ლაისტისა და კორნელი კეკელიძის რეკომენდაციით იგი ცოდნის გასაღრმავებლად გერმანიაში მიემგზავრება და ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე აგრძელებს სწავლას, რომლის დამთავრების შემდეგაც, გარკვეული მიზეზების გა-

მო, სამშობლოში არ დაბრუნებულა.

1926 წელს გრიგოლ ფერაძეს ნაშრომისათვის „მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში“ მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და გახდა პრივატ დოცენტი.

გერმანული ენის გარდა, იგი სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, ძველ და ახალ ბერძნულ, ლათინურ, ებრაულ, სომხურ, სპარსულ, არაბულ, სირიულ და სხვა ენებს. ამიტომაც იყო, რომ მას ლექციების წასაკითხად იწვევდნენ ავსტრიის, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების ქალაქებში, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს საქართველოსა და სომხეთის ლიტერატურასა და ისტორიაზე. მისი ლექციები ყველგან მოწონებით სარგებლობდა და პრესა დადებითად აფასებდა.

1929 წელს გრიგოლი ნაცისტებმა დააპატიმრეს. გათავისუფლების შემდეგ მას გერმანიაში არ დაუდგომებია და ინგლისში გადავიდა, სადაც იგი ლექციებს კითხულობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში ქართული სასულიერო მწერლობისა და ბიბლიის შესახებ. შემდეგ ის მიიწვიეს პოლონეთში და ვარშავის უნივერსიტეტის პატროლოგიის კათედრა ჩააბარეს.

საზღვარგარეთ მან რამდენიმე მონოგრაფია, სტატია და გამოკვლევა გამოაქვეყნა ქართველოლოგიის დარგში, რომელთა შორის აღსანიშნავია: „პესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები უორდროპის კოლექციიდან“, „ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები“, „ძველი ქრისტიანული ლიტერატურა ქართულ თარგმანებში“, „ბიბლიის ქართული თარგმანის საკითხისათვის“, „ძველი საეკლესიო მწერლობის პრობლემა“, „ბიზანტიამდელი ქართული ლიტერატურის საკითხისათვის“, „ქართველი ბერები და მონაზვნები პალესტინაში“, „ქართული ელემენტების გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე“ და სხვა. საზღვარგარეთ იგი ფართო პროპაგანდას უწევდა ქართულ ლიტერატურას, განსაკუთრებით კი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას, რომელსაც თანამედროვეობის უდიდეს პოეტად თვლიდა.

გრიგოლ ფერაძის დიდი დამსახურებაა ბერძნული

საპატრიარქოს ბიბლიოთეკებში 162 ძველქართული ხელნაწერის აღმოჩენა და დამუშავება. მან მიაკვლია გრიგოლ ბაკურიანის ძის პეტრიწონის ტიპიკონს. ათონზე შეიძინა 15 ქართული ხელნაწერი, ხოლო პოლონეთის მართლმადიდებლურ მონასტრებში გამოავლინა საქართველოს ადრეული და შუა საუკუნეების ისტორიასთან დაკავშირებული დიდძალი პალეოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა. იგი იყო ჟურნალების „ჯვარი ვაზისა“ და „პატროლოჟინის“ (პოლონურ ენაზე) დამაარსებელი და რედაქტორი. მან ძველბერძნულიდან თარგმნა „ქებათა ქება“, ქართულიდან ინგლისურად კი – კორნელი კეკელიძის გამოცემა „შობის განჩინება“, გამოიკვლია „უცხოელი ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ და სხვა.

საზღვარგარეთ გრიგოლ ფერაძეს მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა ისეთ დიდ მეცნიერებთან და მწერლებთან, როგორიც იყვნენ: პეტერსი, გერჰარდტი, ბაუმშტარკი, ელუარი, მეჩისლავ იასტრონი. აგრეთვე ქართველი ემიგრანტები – ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, მიხაკო წერეთელი, რაფიელ ივანიცკი-ინგილო, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი გვაზავა, კალისტრატე სალია და სხვები. მან დიდი დახმარება გაუწია ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოდან გატანილი ეროვნული განძის შენახვასა და გადარჩენაში, შემდეგ კი საქართველოში ჩამოტანაში.

მეორე მსოფლიო ომმა გრიგოლ ფერაძეს პოლონეთში მოუსწრო. ამ დროს იგი იყო ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი და არქიმანდრიტი. ფაშისტებმა გრიგოგოლი დააპატიმრეს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ვარშავის უნივერსიტეტის შენობაზე მიმაგრებულ მემორიალურ დაფაზე, გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ პროფესორ-მასწავლებლების გვარებთან ერთად, გრიგოლ ფერაძის გვარიცაა ამოტვიფრული.

გრიგოლ ფერაძე ქართველი მკითხველისათვის თითქმის სრულიად უცნობია, რადგან ყოფილ საბჭოთა კავშირში ყოველნაირად ცდილობდნენ მისი სახელის

დისკრედიტაციასა და მიჩქმალვას. იმის გამო, რომ იგი საბლეარგარეთ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ლამის ქვეყნის მოღალატედ იყო გამოცხადებული. არადა, მას ქართული, ეროვნული საქმის გადა არაფერი უკეთებია. ამაზე მეტყველებენ მისი ნაშრომები.

იმისათვის, რომ ქართველი მკითხველი უკეთ გაეცნოს გრიგოლ ფერაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, საჭიროა მასზე შეიქმნას მონოგრაფია, კინოფილმი, დაიდგას სპექტაკლი და მასმედიის საშუალებით ფართოდ გაშუქდეს მისი ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. ეს იქნება ჩვენი მომავალი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად ჩამოყალიბების საუკეთესო საშუალება.

1999 წლის ივნისი

სიკეთით სავსე გული

თქვენ არ გესმით ჩემი, იმიტომ,
რომ მხოლოდ ყურებით მისმენთ, მე
კი მინდა, რომ გულითაც მისმინოთ.
ა. ჩეხოვი

ქართულ ენაზე გამოვიდა და წიგნის მაღაზიების თაროებიდან მაშინვე გაქრა ცნობილი იტალიელი მწერლის ედმონდო დე ამიჩისის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი „გული“, რომელიც თარგმნა მარიამ ჭავჭანიძემ.

ეს წიგნი ავტორმა ასი წლის წინათ დაწერა, მაგრამ მას ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამიტომაც იგი დღემდე გაუნელებელი ინტერესით იკითხება. მას კითხულობენ სკოლაშიც და ოჯახშიც, მასწავლებლებიც და მშობლებიც. „გული“ თარგმნილია მსოფლიოს ოცდაათამდე ენაზე. რუსულად იგი რამდენიმეჯერ გამოიცა, ქართულ ენაზე კი მეორედ გამოდის.

„გული“ ასახავს იტალიელი ბავშვების ცხოვრებას, მათ მძიმე მდგომარეობას, მოგვითხრობს პატარების აღზრდაზე სკოლასა და ოჯახში. იგი დაწერილია მოსწავ-

ლის დღიურების ფორმით, რასაც ზოგჯერ მშობლების წერილები და მასწავლებლების მონათხრობი ენაცვლება.

მწერალმა შეძლო ეპოვა გზა ნორჩი მკითხველის გულისაკენ. წიგნი დაწერილია სადა, ბავშვებისათვის გასაგები ენით. იგი ასწავლის მოზარდებს ადამიანების სიყვარულს, მათ დაფასებასა და პატივისცემას. ავტორი თავის გმირს, და მასთან ერთად მკითხველს, ცოცხალი მაგალითებით უჩვენებს, რომ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასია ადამიანის ზნეობრივი თვისებები, ყველაზე დიდი განძი საკუთარი გულის სითბოა. ყველაზე ძვირად ფასობს კეთილშობილება, პატიოსნება, სიმართლე, მოვალეობის გრძნობა, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, ამხანაგისა და მეგობრის გამტანობა. ადამიანმა თავისი არსებობით სიხარული უნდა მიანიჭოს და ბედნიერება მოუტანოს მის გარშემო მყოფ ადამიანებს, გაუთბოს გული და ამქვეყნიური ცხოვრების სიცივე-სილამაზე განაცდევინოს მათ.

ასეთია ამ ნაწარმოების ლაიტმოტივი. მაგრამ ავტორი ამ თვისებებზე ყურადღებას ამახვილებს არა განყენებული დარიგებებით, მორალური სენტენციებით, არამედ ცოცხალი, სკოლისა და ოჯახის ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითებით. მწერალი თავის გმირს – პატარა ენრიკოს ახვედრებს ბავშვებს, მოზრდილებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და მათი ქცევის მაგალითზე ასწავლის, როგორ მოიქცეს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ბავშვის ნორჩ და სიკეთით სავსე გულზე, ჩააფიქროს იგი თავის მოვალეობაზე.

ენრიკო შეძლებული ოჯახის შვილია. მშობლებს სერთ მასში „კეთილი გრძნობების“ გაღვივება,. ასწავლიან ამხანაგებისადმი და, საერთოდ, ადამიანებისადმი პუმანურ დამოკიდებულებას. გარდაცვლილია ხსოვნის დღეს დედა არიგებს შვილს, არ დაივიწყოს ის მასწავლებლები, რომლებმაც თავიანთი ცოდნა, ენერგია და გამოცდილება მოახმარეს მოსწავლეთა აღზრდას, პატარა ბავშვებს; ექიმები, რომლებმაც ჭლექიანი ბავშვების მკურნალობას შესწირეს თავი, თვითონაც დაავადდნენ

და დაიღუპნენ; ადამიანები, რომლებიც უდიდესი საფრთხისა და შიმშილის წუთებში ბავშვებს უთმობდნენ მაშველ რგოლსა და პერის ბოლო ლუკმას, უკანასკნელ თოკს ხანძრისაგან თავის დასაცავად და მაინც ბედნიერი იყვნენ, რადგან მსხვერპლად ეწირებოდნენ მოზარდის სიცოცხლეს.

„— უთვალავია, ენრიკო, ასეთი მიცვალებულების რიცხვი, — მიმართავს დედა შვილს, — ყოველ სასაფლაოზე დამარხულია ასობით გმირი და თითოეული მათგანის საფლავის ქვაზე შეიძლება დაწერილიყო ბავშვის სახელი, რომლის გადარჩენასაც მსხვერპლად შეეწირა ახალგაზრდობის სიხარული, მშვიდი სიბერე, პირადი სიყვარული, ფიქრები, მთელი სიცოცხლე“.

ენრიკოს მამამ კარგად იცის, რომ ადამიანების სიყვარული, უწინარეს ყოელისა, ოჯახში, დედის სიყვარულიდან იწყება. ამიტომ იგი ასე არიგებს შვილს: „ეჰ, ენრიკო, გაფრთხილდი! დედის სიყვარული ყველაზე წმინდაა ადამიანისათვის. ვაი მას, ვინც გაბედავს და ამ სიყვარულს ფეხით გათელავს... ადამიანებიდან ყველაზე ზნედაცემული ის არის, ვინც დედას გულს ატკენს და შეურაცხყოფს, ასეთი ადამიანი პირუტყვის მსგავსია“.

დედაც არ რჩება ვალში. იგიც უნერგავს ენრიკოს მამის სიყვარულსა და მისდამი პატივისცემის გრძნობას. ერთხელ, როცა ენრიკომ უხეშად უპასუხა მამას, დედამ უთხრა: „ყოველლოვის, როცა კი მამის შენიშვნაზე უნებლიეთ უხეში სიტყვა წამოგცდება, იფიქრე, რომ დადგება დღე, როცა იგი საწოლთან მოგიხმობს და გეტყვის: ენრიკო, სამუდამოდ გემშვიდობებიო!

უკანასკნელად რომ გაიგონებ მის ხმას, შემდეგ კი ოთახში მარტოდ დარჩები, მწარედ აქვითინდები. მის წიგნებს რომ დაინახავ, რომელებსაც ის ვერასოდეს გადაშლის, მაშინ ეს ყველაფერი ჩაგაფიქრებს, ნაღველი მოგაწვება და გაკვირვებით გაიფიქრებ: „როგორ შემეძლო ასე მოექცეოდი მამაჩემსო“...

ახლავე, ახლავე გასწი, ჩემო შვილო, მამაშენთან, გვერდით ოთახში ხის და მუშაობს. ფეხაკრეფით მიუახლოვდი, მუხლებზე თავი დაადე და პატიება სთხოვე“.

აი, ასე უნდა იქცეოდეს ოჯახის ყველა უფროსი წევ-

რი, უნდა უნერგავდეს პატარას, უწინარეს ყოვლისა, მშობლებისა და შემდგომ ნებისმიერი ადამიანის სიყვარულს.

მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება ენრიკოს მშობლების ზნეობრივი დარიგებანი. ენრიკოსთან ერთად სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენებიდან გამოსული ბავშვები: ღარიბი, მაგრამ დიდსულოვანი გარონე, ქვისმთლელის ვაჟი — ანტონიო, მეტსახელად „აგურას“ რომ ეძახიან, შეშის გამყიდველის შვილი ლორეტი და ღარიბი მჭედლის ვაჟი — პრეკოსი. მათთან ერთად სწავლობენ მდიდართა შვილებიც: კარლო ნობისი, ქედმაღლურად რომ უყურებს ღარიბთა შვილებს და დერეფანი, რომელიც, მართალია, მდიდართა წრიდანაა, მაგრამ მუდამ მზადაა დაეხმაროს ამხანაგებს და დაიცვას სუსტები.

მშობლები ხელს უწყობენ ენრიკოს მეგობრობას ღარიბთა შვილებთან, ასწავლიან მათ სიყვარულს. მამა ეუბნება ენრიკოს: „შენ მხოლოდ მათთან ურთიერთობით შეიძლება გაიცნო ისინი, გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, გაიცნო შენი სამშობლოც კი“.

სკოლაში მეცადინეობა, გაკვეთილების შემდეგ თამაში და სეირნობა აახლოებს ბავშვებს ერთმანეთთან, განამტკიცებს მათ მეგობრულ გრძნობას, ასწავლის ერთმანეთისადმი დახმარებას და ხელს უწყობს უარყოფითი თვისებების აღმოფხვრას.

მშობლები უნერგავენ ენრიკოს სკოლისა და მასწავლებლების სიყვარულს. „სკოლა, — ეს იგივე დედაა, — ეუბნება მას დედა. — მან შენ მიგიღო, როცა ლაპარაკს ძლივს ახერხებდი, ახლა კი მიბრუნებს შენს თავს გაზრდილს, ძლიერს, კარგს, შრომისმოყვარეს. არასოდეს დაივიწყო, შვილო, სკოლა!“

ასე უნდა იქცეოდეს ყოველი მშობელი, თუ მას შვილისათვის სიკეთე სურს. მაგრამ ვაი, რომ ყველა ასე არ იქცევა.

საერთოდ, ენრიკოს ოჯახს მწერალი გვიხატავს, როგორც იდეალურს. აქ მუდამ სუფევს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთსიყვარული და პატივისცემა. შვილის აღზრდის საკითხში მშობლები მოქმედებენ შეთანხმებუ-

ლად, წინასწარ გააზრებულად. ამასთან, ისინი არ იფარგლებიან მხოლოდ რჩევა-დარიგებებით, ცდილობენ ენრიკოს ურჩევნიან პირადი მაგალითი, რეალური ცხოვრება. დედას თან მიჰყავს ვაჟი, როცა სხვენზე თაეშეფარებულ ღარიბ ქალთან დასახმარებლად მიდის. მამას კი ენრიკო მიჰყავს მუშათა საღამოს სკოლაში, რათა შვილს მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა და უკეთესად სწავლის სურვილი გაუღვიეოს. მასვე მიჰყავს ენრიკო თავისი მასწავლებლის სანახავად, რომელმაც სამოცი წელი იმუშავა სკოლაში და ხანგძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის მეედლით დააჯილდოვეს. ამით მამას სურს აღუძრას შვილს მასწავლებლისადმი სიყვარული და პატივისცემა.

ნაწარმოებში ბავშვები უმოქმედო, პასიურ არსებად როდი წარმოგვიდგებიან, მათ მინიჭებული აქვთ დამოუკიდებლობაც. ისინი თავიანთი ქცევითა და მოქმედებით კეთილმყოფელ გავლენას ახდენენ ოჯახზე, მშობლებზე. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ეპიზოდი იტალიელ ღარიბთა ცხოვრებიდან. პრეკოსის მამა, პროფესიით მჭედელი, ხშირად თვრება და შვილს სცემს, მაგრამ თავმოყვარე ბიჭი ამას არავის არ აგრძნობინებს სკოლაში, კვლავინდებურად განაგრძობს ბეჯითად მეცადინეობას. როცა მას კარგი სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის მედალს აძლევენ, ეს ისე იმოქმედებს მამაზე, რომ იგი ლოთობას თავს ანებებს, სამუშაოს უბრუნდება და ოჯახი ახლებურად იწყებს ცხოვრებას.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: ქალაქ გენუადან 13 წლის ბიჭი ამერიკაში ჩადის დაკარგული დედის საძებრად. იგი განიცდის შიშს, შიმშილს, არ ერიდება არავითარ გასაჭირს, წარმატებით ძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და პოულობს დედას. ასეთი მოქმედებით იგი მშვიდობასა და ბედნიერებას უბრუნებს ოჯახს.

ხნეობრივი მოქმედების ჭეშმარიტი მაგალითია მამაცი სარდინიელი მედოლის საქციელი, რომელიც ალყაში მოქცეულ იტალიელ ჯარისკაცებს გადაარჩენს საკუთარი ფეხის ფასად; ანდა, პატარა ნეაპოლელი ბიჭის მოქმედება, რომელიც მაშინაც კი თავს ევლება მძიმე ავადმყოფს, როცა გაიგებს, რომ იგი მისი მამა არაა.

ასეთი კეთილშობილური მაგალითებით აღვივებენ მა- მასწავლებლები და მშობლები ბავშვებში მაღალზნეობ-რივ გრძნობებს. მწერალი კარგად იცნობს მოზარდის ბუნებას და ისეთ მაგალითებს გვთავაზობს, რომლებიც ღრმად წვდება ბავშვის სულს და ხელს უწყობს სიკეთის მარცვლის გაღვივებას მასში.

„გული“ თავიდან ბოლომდე ბავშვების ღრმა სიყვა-რულით არის გამსჭვალული. „საკმარისი არ არის, რომ ბავშვი არ ტიროდეს, – ამბობს ამისისი, – ისე უნდა გა-ვაკეთოთ, რომ იგი იღიმებოდეს“. ზემოაღნიშნული წიგ-ნით მწერალმა წარმატებით შეასრულა ეს ამოცანა.

1987 წლის ოქტომბერი

წიგნი, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს

არიან ადამიანები, რომელთა სახელსა და ნაღვაწს დრო და ეამი ვერაფერს აკლებს. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო ი'სრდება მათდამი სიყვარული და მათთან განშორების სიმძიმე. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, აწ გარდაცვლილი, წიგნის მოყვარულთა მსოფლიო კონგრესის წევრი, საქართველოს წიგნის მო-ყვარულთა საზოგადოების ბიბლიოფილთა საბჭოს თავ-მჯდომარე, სერგეი ესენინის საზოგადოება „რადუნიცას“ წევრი, მსოფლიო რანგის ბიბლიოფილი, მკვლევარი, ესეისტი, პოეტი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე მამია ხარაზი.

უდავოდ დიდია მამია ხარაზის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. პროფესიით ინჟინერ-მშენებელი იყო, მაგრამ მოწოდებით – პოეტი და ფილოლოგი, თუმცა თავისი პროფესიის მიხედვით თითქმის არასდროს უმუ-შავია, მაგრამ სადაც კი იმუშავა, ყველგან ნათელი კვა-ლი დატოვა. უკანასკნელ შეჭირვების ეამს იგი თამბა-ქოს საფერმენტაციო კომბინატს ედგა სათავეში. სწო-რედ აქ მუშაობისას გამოვლინდა მისი ჭეშმარიტი მამუ-

ლი'ვილობა. იგი მუდამ მხარში ედგა გაჭირვებულ ადამიანებს და თავისი გულის სითბოს უნაწილებდა, თავად კი ამით უსომოდ ბედნიერი იყო. ქველმოქმედება მისი შინაგანი მოთხოვნილება გახლდათ. ვაგლახ, რომ ყოველივე ეს ბოლომდე არ დასცალდა. გარდაიცვალა იგი თავისი 'შემოქმედებითი ნიჭის სრულყოფის პერიოდში, 1996 წლის 7 თებერვალს, როცა 60 წლის შესრულებას რამდენიმე თვე აკლდა.

მამია ხარაზი წინასწარ ემზადებოდა თურმე თავისი საიუბილეო თარიღის – 60 წლისთავის აღნიშნვისათვის, რომელიც მას 25 მაისს უსრულდებოდა. ამ დღეს სურდა სტუმრებთან ერთად თავისი უნიკალური ბიბლიოთეკის გახსნა, რომელმაც ახალ შენობაში დაიდო ბინა. მაგრამ ვაი, რომ არ დასცალდა. მისმა სიკეთით სავსე გულმა ვერ გაუძლო ამდენ დატვირთვას და სამუდამოდ დადუმდა.

ახლახან სააქციო საზოგადოება „გამომცემლობა აჭარამ" გამოსცა მამია ხარაზის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნი – „სიცოცხლე გრძელდება", რომლის ავტორია მისი ბიძაშვილი, ასევე პროფესიით ინჟინერი", შაქრო ხარაზი. წიგნი 'შედგება 9 თავისა და წინა და ბოლოსიტყვაობისაგან. პირველ თავში ავტორი მოგვითხრობს ხარაზების გვარის ნიჭიერ და გამოჩენილ ადამიანებზე და ასაბუთებს, რომ მამია ხარაზს ნიჭი შთამომავლობით მოსდგამდა, რადგან როგორც მისი მშობლები, ისე წინაპრები თავისი დროისათვის საკმაოდ ნიჭიერი და განათლებული ადამიანები ყოფილან.

შემდეგ წიგნის ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს მამია ხარაზის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს წიგნებისა და ადამიანებისადმი მის უსაზღვრო სიყვარულზე. აქვე ავტორი ეკვაცნობს მამია ხარაზს პრესის ფურცლებზე. ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როდის მოეღება ბოლო უკანასკნელ წლებში საქართველოში გამეფებულ უმეცრებას, შურს, სიძულვილს, ბეზღლობას, ღალატსა და მკვლელობებს, მამია ხარა'ხი პასუხობს: „მხოლოდ მაშინ, როცა თოთოეული ჩვენგანი

ერთხელ და სამუდამოდ შეიგნებს, გაიზიარებს და გაითავისებს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ ჩვენ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... აი, მხოლოდ მაშინ, ურთიერთშორის უბრალო წყენინებაც კი არ იარსებებს, მაგრამ ჩვენი აზროვნების ასეთ დონეზე ამაღლებას ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება“ (გვ. 255).

სრული ჭეშმარიტებაა, უკეთესად ვერ იტყვი.

პრესის ჰიმოხილვის შემდეგ ვეცნობით ხოგიერთი ავტორის მიერ მამიაზე სათანადო წარწერით ნაჩუქარ წიგნებს და შთაბეჭდილებათა წიგნში სხვადასხვა პროფესიისა და ეროვნების გამოჩენილ ადამიანთა მიერ გაკეთებულ ჩანაწერებს. აი, რას წერს ცნობილი ქართველი მწერალი და კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე: „სულიერი კულტურის უანგარო სიყვარულს შეუძლია ამგვარი ბიბლიოთეკის შექმნა. ამ სიყვარულში არის იმედი იმისა, რომ ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია არ დაშრეტილა და კიდევ მოახერხებს თავისი სათქმელის თქმას“... გაზეთ „პრავდის“ რედაქტორი, აკადემიკოსი ვიქტორ აფანასიევი კი წერს: „ბატონი მამია ხარაზის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უნიკალურია მსოფლიოში კერძო მფლობელობაში არსებულ ბიბლიოთეკებს შორის. მე ყველგან ხმამაღლა ვახსენებ მამია ხარაზის სახელს და ვამაყობ მასთან მეგობრობით. პირადად მან შემაყვარა საქართველო და ყველაფერი ქართული“. „მე მიმაჩნია, რომ ბატონი მამია ნამდვილი ხელოვანია, — წერს რობერტ ბარძიმაშვილი, — თითქმის შეუძლებელია ერთი სიცოცხლის მანძილზე გააკეთო ის, რაც ამ ადამიანმა გააკეთა. ზოგიერთებისათვის წიგნების შეგროვება სიმდიდრის დაგროვებას ნიშნავს. აბა დააკვირდით ბატონ მამიას, როგორ ეფერება თითოეულ წიგნს. თვალდახუჭული გადმოგიღებს ნებისმიერს, გადაგიშლის ნებისმიერ გვერდზე, წაგიკითხავს, შეგაყვარებს. თვალებში კი ცეცხლი უნია“...

ასეთი ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში ითხასამდეა, აღნიშნავს ნაშრომის ავტორი.

წიგნში ძალზე საინტერესოდ იკითხება მინიატურული მოთხრობები (დიახ, მოთხრობები — ასე ვუწოდებ მე მათ) მამია ხარაზის ცხოვრებიდან, რომლებსაც ვეცნო-

ბით სათაურში „ერთხელ“. აქ ძირითადად საუბარია მამია ხარაზის დიდ ნიჭზე, მოსწრებულ სიტყვა-პასუხზე, მის დიდ ავტორიტეტზე, გულკეთილობაზე, გამჭრიახობაზე, კურიოზულ შემთხვევებზე და სხვ.

ნაშრომში განხილულია ასევე მამია ხარაზის ზოგიერთი ლირიკული ლექსი და სონეტები, მოცემულია მის დასაფლავებაზე და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით ახლობლებისა და მეგობრების მიერ გაზეთებში გამოქვეყნებული თუ ზეპირად წარმოთქმული სიტყვები, რომელთა ავტორებია: ვახტანგ ხარაზი, რამაზ სურმანიძე, მამია ვარშანიძე, ზერაბ გორგილაძე, დავით თედორაძე, ემენ დავითაძე, შაქრო რომანაძე, ლიანა და მერაბ კილაძეები, ბიძინა მახარაძე, სულიკო ინაიშვილი, თავად წიგნის ავტორი და სხვები.

წიგნი დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით, საქმისადმი დიდი სიყვარულითა და რუდუნებით. იგი ძალზე საინტერესოდ იკითხება და დიდ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს. წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდობას ცხოვრების შეცნობაში, კერძოდ, იმაში, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სიკეთილის შემდეგ დატოვოს ამქვეყნად ნათელი კვალი და უკვდავებაში დაიდოს ბინა, თუ იგი სიცოცხლეში თავის უპირველეს ადამიანურ მოვალეობას პირნათლად შეასრულებს. ამიტომაც ამბობს თავის ერთ-ერთ ლექსში მამია ხარაზი: „თუ ცხოვრებაში შეასრულე შენი მისია, მაშინ სიკეთილი უკვდავების დასაწყისია“.

დიახ, ეს ასეა. მამია ხარაზის დარი ადამიანები ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც განაგრძობენ სიცოცხლეს, რადგან „ვინც მოიხადა ამ სოფლად ვალი, ის მკვდარიც ცოცხლობს, არ არის მკვდარი“ (ა. წერეთელი).

2004 წლის აპრილი

ერისა და ძვეყნის სამსახურში

დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ფრიდონ ხალვაშს. იგი სამწერლო ასპარეზზე დიდი სამამულო ომის წლებში გამოვიდა და იმთავითვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. მას შემდეგ განუწყვეტლივ ისმის მისი ომახიანი ხმა. საბჭოთა კავშირის გმირ ისრაფილ ჯინჭარაძეზე შექმნილმა მისმა ლექსმა საყოველთაო აღიარება პოვა. იგი, ისევე, როგორც ი. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე", გამოქვეყნებისთანავე სასიმღეროდ იქცა. ამ ლექსის ავტორის სახით ქართველმა საზოგადოებრიობამ გაიცნო მომავალი დიდი პოეტი.

და აი, მას შემდეგ მწერალი მუხლჩაუხრელი შრომობს და იღვწის, იბრძვის საქართველოს ერთიანობისათვის, მისი ერის კეთილდღეობისათვის. მან ერთ-ერთმა პირველმა დაანახა მთელ საქართველოს თავისი მშობლიური მხარისის — აჭარის სილამაზე და მის მკვიდრთა უდრეკი სული. ამასთან ერთად, მან-არც მთელი საქართველო და მის ფარგლებს გარეთ დარჩენილი თანამოძმეები დავიწყებია. და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი სასიკეთო საქმე უკეთებია. ჩვენს ცხოვრებაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი თუ მოვლენა, რომელსაც ამ დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მადლიანი კალამი არ შეხებოდეს. და ეს არცაა გასაკვირი. იგი ხომ სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სათავეში ედგა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებას. ამიტომაც იყო, რომ ახლახან საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონ ფრიდონს სხვა რომ არაფერი გაეკეთებია და მარტო ლექსები „გენაცვალე", „ბალადა მეჩონგურეზე", „ჭოროხის ხვაშიადი", „მე არ ვიქნები შენი სტუმარი", „მითხარ, როგორაა მემლექეთი", „ჯილდო" და მოთხრობები — „გაყოფა", „დათვის ხაფანგი", „ბიძაშვილი", „აღ-

მართი“ და სხვები დაეწერა, რომ არაფერი ვთქვათ მის რომანებზე, იგი ქართველ მწერალთა ოჯახში მაინც დაიმკვიდრებდა იმ ადგილს, რომელიც დღეს უჭირავს.

ჩემთვის, როგორც ქედის რაიონში დაბადებული და გაზრდილი კაცისათვის, უფრო ახლობელი და მიმზიდველია მისი ენა, წერის მანერა, სტილი. როცა მის პროზაულ ნაწარმოებებს ვკითხულობ, ჩემში ცოცხლდება აჭარის სოფლის მკვიდრთა ჭირ-ვარამი, მათი ბრძოლა ძველ, დრომოჭმულ ადათ-წესებთან, რამაც ჩემი ბავშვობის თვალწინ ჩაიარა. ვუსურვოთ ბატონ ფრიდონს კიდევ მრავალი წლის სიცოცხლე ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩემი სურვილი დიდი მწერლისადმი მინდა გამოვხატო პოეტური სტრიქონებით:

ასი მზე გულში გინთია,
ასი მზე დედის გულისა,
დღეს მე ვარ შენი მინდია,
შემფასებელი ხნულისა.
დღეს მე ვარ შენი მეხოტბე,
შენი ლექსის და ჯავარის...
სამშობლო უნდა გვიყვარდეს –
აი, რა არის მთავარი.
ამას გვასწავლი ყოველდღე
შენი ლექსებით, სიტყვითაც...
დანისლული გავქვს თვალები
ე მაგ ლექსების კითხვითა.
მაგრამ სული კი ნათდება,
როგორც ნათურით წყვდიადი,
ღმერთმა გვიმრავლოს შენსავით
ერისკაცები, დიადი.
იცოცხლე მრავალჯამიერ
ჩვენ გულის გასახარადა,
დე, გაისმოდეს შენი ხმა
ყველგან – მთასა და ბარადა...
ასი მზე გულსში გინთია,
ასი მზე დედის გულისა,
კვლავაც გეხილოს ასი მზე,
ასი მზე გაზაფხულისა.

1995 წლის ივლისი

სიყვარულის პოეტი

გამომცემლობა „საქართველომ“ მკითხველს მიაწოდა პოეტ შოთა ზოიძის ერთტომეული, რომელიც ავტორის დაბადების 50 წლისთავს ეძღვნება. მასში წარმოდგენილია პოეტის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები – დაწყებული სამოციანი წლებიდან და ჩვენი დღევანდელი შეჭირვებული დღეებით დამთავრებული, – რომლებიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. ეს კი საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ პოეტის შემოქმედებით გზას.

ერთტომეულში თავმოყრილი ლექსების ერთი ნაწილი სხვადასხვა დროს არის გამოქვეყნებული ქართულ პერიოდულ პრესასა და ავტორის კრებულებში, ნაწილი კი ახალია. პოეტის ყურადღების, სმენის, ხედვისა და აღქმის საგანია ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენები, კონკრეტული ფაქტები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ამქვეყნიურია, მაგრამ ბევრისათვის მაინც შეუმჩნეველ-ამოუცნობი ან სულ სხვაგვარად დანახული. ასეთი საგნები და თემები მრავალფეროვანია შოთა ზოიძის პოეზიაში, რაც მის მიერ თავისებურად გაგებული და გააზრებულია.

კრებულში წარმოდგენილი ყველა ლექსი დაწერილია მაღალპოეტური შთაგონებით. მასში ვერ ნახავთ უსაგნო, არაფრისმთქმელ მეტაფორას – ყველა მაოგანს თავისი განსაკუთრებული სათქმელი და ასრობრივი დატვირთვა აქვს. პოეტი გატაცებით გვიხატავს თავის მშობელ მხარეს, მის მადლიან მიწას, მშრომელი კაცის მკლავმოუღლელ მარჯვენას, მამის კოურიან ხელებს, ქალის ეშხსა და სილამაზეს; ქადაგებს ადამიანთა შორის სიყვარულს, ჭირისა და ლხინის თანაზიარობას.ეს არის პოეტის მრწამსი, ერის წუხილისა და სიხარულის გამოძახილი, რომელიც ცხოვრების შუაგულიდან მოდის.

პოეტს კარგად ესმის თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება. იგი გვერდს არ უვლის სოციალურ პრობლემებს, არც იმ ტკივილებს, რაც ესოდენ ჭარბად გვხვდება დღევანდელ საქართველოში. მის ლექსებში წინა პლანზეა ადამიანი, ადამიანი – მამულიშვილი, სამშობ-

ლოს ბედ-იღბალ'ზე ფიქრ'ში გაჭაღარავებული კაცი, თავისი მომავლის რწმენითა და იმედით.

შოთა ზოიძეს არ ახასიათებს კომპრომისი იმ მანკიერებებთან, რომელებიც ჩვენს გარ'შემო მყოფ ადამიანთა ერთი ნაწილის ქცევაში, მოქმედებასა და ხასიათში შეიმჩნევა. ასეთი ადამიანისათვის სულერთია საზოგადოებრივი ტკივილები, ყოველივე ის, რისთვისაც საზოგადოების საუკეთესო ნაწილი დაუცხრომლად იბრძვის და ისწრაფვის.

შოთა ზოიძე, უწინარეს ყოველისა, ლირიკოსი პოეტია. მისი ლექსები წყაროსავით სუფთა და ანკარაა, ნაკადულივით მოჩქეფს და გვხიბლავს ლირიზმით, უშუალობით, ა'ზრის სიცხადით, მოხდენილი რითმებითა და სხვა პოეტური აქსესუარებით. პოეტი, ჩვეულებრივ, ტრადიციულ, რითმიან ლექსს ეტანება, მაგრამ მისთვის არც ველიბრია უცხო. ამასთან, იგი ამჯობინებს ჯვარედინ რითმებს. ამიტომაც ასე ლაღად და თავისუფლად, ერთი ამოსუნთქვით იკითხება მისი ყველა ლექსი. პოეტი ლექსებში ცოცხლობს და სულდგმულობს. აკი თვითონაც ამბობს:

„ლექსია ჩემი სულის ყლორტები,
მ'ხეა თავდებად, ცაა თაედებად.
და თუ მოვკვდები, მა'შინ მოეკვდები,
როცა ოცნება გამითავდება".

ნუმც გათავებოდეს!

შოთა ზოიძის ხატი და საფიცარია სამშობლო, მამული. ეს თავისთავად არც ახალია და არც მარტოოდენ მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი. აქ მთავარია ის პოზიცია, საიდანაც უცქერი და აღიქვამ 'შენი სამშობლოს წ'არსულსა და აწმყოს, ჭვრეტ მის ნათელ მომავალს.

„მე ამ ლამაზი ოცნების იქით
მაქვს კიდევ უფრო კარგი ოცნება,
ავსებული ვარ მამულ'ზე ფიქრით,
ჩემი გაჩენის დღე და მოს'წრება", – ამბობს

პოეტი ოაეის ერთ-ერთ უსათაურო ლექსში.

სამ'შობლოს გარეთაც, მოსკოვ'ში მყოფი პოეტის გონება მხოლოდ მამულს დასტრიალებს: „ახლა არაეინ არ

მენატრება, ჩემი ლამაზი სამშობლოს გარდა“, — წერს იგი.

პოეტი გულწრფელია თავის გრძნობებში. მის ლექსებში არაფერია მოგონილი. ამიტომაც მამულისადმი მიმართული მისი სიტყვები ასე ბუნებრივად აღიქმება:

„ჩემთვის სამშობლო არის მთავარი
და არ მასვენებს ფიქრი იმისი,
სახელებს შორის მიყვარს თამარი,
ქალაქებს შორის მიყვარს თბილისი“.

პოეტი არც თავის მშობლიურ ქალაქ ბათუმს იკიწყებს. ბათუმის ღრმა სიყვარულია გადმოცემული. ამავე სახელწოდების ლექსში „ბათუმი“, რომელზეც შესანიშნავი მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ.

„ბათუმი, მისი ცა მიამიტი,
რაღაც ჯადო და რაღაც თილისმა...
მე ცოცხალი ვარ ქვეყნად იმიტომ,
რომ სიყვარულმა მომკლას იმისმა“.

შოთა ზოიძე მტკიცედ მისდევს დიდი ილიას შეგონებას — კაცი იმიტომ კი არ უნდა ცოცხლობდეს, რომ პური ჭამოს, არამედ იმისათვის ჭამს პურს, რომ იცოცხლოს და ქვეყნად სასიკეთო საქმე აკეთოს, ერს ემსახუროს. ერის სამსახური კი მან, უწინარეს ყოვლისა, პატიოსანი, თავდადებული შრომით უნდა გამოხატოს. ამიტომაცაა, რომ პოეტის მთელი სიცოცხლე და შემოქმედება ერისა და ქვეყნის სამსახურის, სიკეთისა და ზნეობის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ჭეშმარიტი გამოხატულებაა.

პოეტს არ ახასიათებს პესიმიზმი, გულგატეხილობა, მშობელ მიწიდან გაქცევის სურვილი. მან კარგად იცის, რომ ეს ცხოვრება წარმავალია, ბოლოს ყველა ჩვენგანი მიწად უნდა იქცეს, მაგრამ იგი მაინც მხნედ არის და ამჯობინებს ამ მიწაზე ორივე ფეხით მყარად დგომას. ლექსში „მიწა“, რომლითაც იხსნება ერთტომეული, იგი წერს:

ვიცი, მეც ბოლოს ვიქცევი მიწად,
ვიცი და მაინც მიწაზე ვდგავარ,
ვდგავარ და ვსახავ მომავლის მი'ხანს
და ზღვაზე გაჭრილ მეზღვაურს ვგავარ!

პოეტი აცოცხლებს სამშობლოსათვის „წამებულ რაინდებს“, მათ გმირულ წარსულსა და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ თავადაც არ დარჩება სამშობლოს წინაშე ვალში: „და მეც გადავიხდი ვალებს დიდგორით და კრწანისით“, — აცხადებს იგი. საერთოდ, შოთა ზოიძეს ძალზე აწუხებს მამულის ვალი. ეს მის ბევრ ლექსშია გაცხადებული.

სამშობლოსათვის „წამებულ რაინდთა“ გვერდით მის ლექსებში ხშირად გაისმის თამარის, რუსთაველის, ვაჟას, ილიას, აკაკისა და სხვათა სახელები, ვისგანაც უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული. პოეტმა იცის ჩვენი მარადიული სიწმინდეებისა და ღირებულებების მადლი და ყადრი.

შოთა ზოიძეს თვალი არასოდეს აურიდებია იმისათვის, რასაც პოეტი უსათუოდ უნდა ხედავდეს. მისი „ზიმაზე მეტად ფხიზელი“ თვალი ყველაფერს ხედავს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, „რაც მიწაზეა, ანდა მის ზევით“, რადგან მისი „ჰობია მღელვარე დროსთან კავშირი“. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ის სოციალურად ფხიზელი პოეტია, „რომელსაც ფართოდ აქეს გახსნილი სამყაროსათვის გული და სმენა, თავის არსებაში გაატარებს დროის ყველაზე მღელვარე მოვლენებს, იკრებს ტკივილებს, ბედნიერების წამებს, ყველაფერს, რასაც მდუღარე ცხოვრება ჰქვია“ (ჯ. ღვინჯილია). იგი არ იეიწყებს სახოგადოების არც დადებით და არც იმ უარყოფით, მანკიერ მხარეებს, რაც ხელს უშლის საქართველოს ცალკეული მხარის მკვიდრთა შორის ნორმალურ, ადამიანურ ურთიერთდამოკიდებულებას, საბოლოო ჯამში კი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას. ამის ერთერთი ნათელი მაგალითია ლექსი „შენს ქართველობას“. მასში გამოხატულია ავტორის დიდი გულისტკივილი იმის გამო, ეინც მის მშობლიურ მხარეს — აჭარას მავანმა „უსინდისოდ ჩირქი მოსცხო, ცილი დასწამა“, ეისაც ეჭვი შეაქვს აჭარის მკვიდრთა ჭეშმარიტ ქართველობასა და ერისკაცობაში.

„ახალდაბაში ტირის შენი ალადასტური,
წარბი შეუკრავს იზაბელას, სხვენზე გაყვანილს,
შენს ქართველობას არ სჭირდება ვინმეს დასტური,

შენს ქართველობას მოწიწებით უნდა თაყვანი“.

სამშობლოს სიყვარული, როგორც დავინახეთ, შოთა ზოიძის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მოტივია, მაგრამ მისთვის სხვა მოტივებიც არაა უცხო. ეს განსაკუთრებით მის სატრფიალო ლირიკას ეხება. იგი, უწინარეს ყოვლისა, სიყვარულის პოეტია, ქალისა და სილამაზის ჭეშმარიტი დამფასებელი და მეხოტბე, რაც მის არაერთ ლექსსა თუ კრებულში ჩანს. ერთ-ერთ ადრე გამოცემულ კრებულს პოეტმა „სიყვარულის ახსნა“ უწოდა. ამ კრებულის ანოტაციაში იგი წერს: „ჩემს ასალ ლექსებს „სიყვარულის ახსნა“ დავარქვი. ეს მარად უბერებელი გრძნობა ყოველთვის იყო მძაფრი ენებათა ღელვის სათავე, არც ჩვენი საუკუნეა ვამონაკლისი. კოსმოსური აფეთქებისა თუ არნახული სიჩქარის ეპოქაში ისევ პოეზიამ უნდა გაანელოს გულგრილობა, სიყვარულმა უნდა ჩაკლას ადამიანში კაენი და გააცოცხლოს რუსთაველი და სერვანტესი, პუშკანი და ბაირონი, ტოლსტოი და ჭაეჭავაძე, ბეთჰოვენი და ფალიაშვილი... ფიროსმანი და გუდიაშვილი“...

შოთა ზოიძის ერთტომეულში, როგორც კრიტიკოსი ჯანსულ ღვინჯილია აღნიშნავს, ლექსები წარმოდგენილია „სხვადასხვა კუთხითა და განზომილებით“. პოეტისათვის ყველაზე ამაღლებული, უფაქიზესი გრძნობაა სიყვარული, რომელიც მხოლოდ ადამიანთა მოდგმისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი ხელეწიფება ნამდვილი, ადამიანური სიყვარული. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. და ამ რჩეულთა შორის თავად შოთა ზოიძეც არის. პოეტმა კარგად იცის, რომ უსიყვარულოდ არაფერი არ არსებობს ამქვეყნად, სიყვარული ყველაფრის თავი და ბოლოა. ამიტომაც ასე თამამად აცხადებს: „სიყვარულმა ამაშენა, სიყვარულმა დამაქცია“. ან კიდევ: „ჩვენი დამბადებელია, ბოლოს ჩვენი დამმარხავი“.

შოთა ზოიძისათვის სიყვარული თითქმის ღმერთის ტოლფასია:

„და თუ ზოგჯერ სიყვარული სიყვარულზე მეტი არი,
მაშინ იგი ერთი არი და ის ერთი ღმერთი არი“.

ასევე გატაცებით ხატავს პოეტი ქალს — სილამაზის

სიმბოლოს. მისთვის ქალი სათაყვანო არსება, სალოცავი ხატია:

„ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა,
ჩემი რწმენა და რწმენის სასახლე,
მე გამოგძერწე ჩემი ნეკნიდან
და ჩემს სალოცავ ხატად დაგსახე“.

სიყვარულის თემაზე დაწერილ ლექსთა შორის გამოირჩევა: „სინანული“, „ნაპირზე იდგა ლამაზი ქალი“, „თამთა“, „პატარა გოგო მწერდა ბარათებს“, „სიყვარულის ახსნა“, „თეთრი ქალი“, „სიყვარულის ბარათი“ და ბევრი სხვა.

ცალკე განხილვასა და შეფასებას იმსახურებს ერთტომეულში წარმოდგენილი სონეტები. პოეტი ამ სპეციფიკურ ჟანრშიც თანამედროეობის მაღალი პოზიციებიდან წარმოგვიდგენს ქართველი კაცის საფიქრალსა და საწუხარს. სონეტების უმრავლესობა დაწერილია მაღალი პოეტური ოსტატობით, იკითხება საინტერესოდ და მიმზიდველად.

„უსანქციო სონეტებზე“ ძალიან ბევრი დაიწერა ლიტერატურულ პრესაში. ამ წიგნისათვის პოეტს სახელმწიფო პრემია მიენიჭა, რაც დიდი აღიარებაა.

სონეტებშიც პოეტის ფიქრი და ოცნება მშობლიურ მიწა-წყალს — საქართველოს დასტრიალებს:

„თუ მტკივა, ჩემი უბედური სამშობლო მტკივა,
თუ მეწვის, ჩემი მკერდდაჭრილი მამული მეწვის“, —

ამბობს იგი თავის ბოლო სონეტში და ჩვენც გვჯერა, რომ ეს ასეა. ამის დასტურია პოეტის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა, ერისადმი მისი სამსახური.

პოეტ შოთა ზოიძის ლექსების ერთტომეული დიდი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის. გვჯერა, იგი კვლავაც არაერთხელ გაახარებს პოეზიის მოყვარულთ თავისი გულში ჩამწვდომი ლექსებითა და პოემებით.

1996 წლის მარტი

ბავშვებზე და ბავშვებისათვის

> საბავშვო წიგნი იწერება აღზრდისათვის, აღზრდა კი დიდი საქმეა. ის წყვეტს ადამიანი ბედს.
>
> *ბ. ბელინსკი*

პოეტ გიორგი წალუქვაძეს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, და არა მარტო ქართველი მკითხველი. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ და სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ენებზე. იგი თვითონაც მთარგმნელია. ს. ესენინის, რ. გამზათოვისა და სხვა გამოჩენილი პოეტების ლექსთა საუკეთესო თარგმანებით ამდიდრებს ეროვნულ სულიერ საუნჯეს — ქართულ პოეზიას. და მაინც გიორგი სალუქვაძე თავისი პოეტური ბუნებით საბავშვო მწერალია. მისი პირველი საყმაწვილო ლექსების კრებული ამ სამი ათეული წლის წინათ გამოქვეყნდა და მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. მას შემდეგ პოეტმა საბავშვო ლექსების მრავალი კრებული გამოსცა, რომელთაგან აღსანიშნავია: „მშვიდობა უნდათ პატარებს“, „თოჯინების ნაამბობი“, „რა ხანია გათენდა“, „თეას წიგნი“ და სხვები.

პოეტი კვლავაც ნაყოფიერად განაგრძობს საბავშვო ლიტერატურის ჟანრში მოღვაწეობას და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. ამის დასტურია მისი მორიგი საბავშვო ლექსების კრებული „ჩიტის ბუდე“, რომელიც ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ დასტამბა.

გიორგი სალუქვაძე საბავშვო ლექსებსაც ცხოვრების კარნახით წერს. ამ სპეციფიკურ ჟანრსაც თანამედროვეობის მაღალი პოზიციებიდან უდგება და მიმზიდველად ასახავს ბავშვის ბუნებას და მის ინტერესებს.

ეს სამყარო კი, მოგეხსენებათ, ისე რთული და მრავალფეროვანია, რომ მასში ორიენტირება არც ისე ადვილია. ამიტომაც ამბობდა დიდი ვაჟა: „ნურავის ჰგონია ადვილი იყოს საბავშვო ლექსის და მოთხრობის დაწერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა, და თუ არ ღვთიური ნიჭით მირონცხებულს და სულით მდიდარს, არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი“. მაქსიმ გორკი კი

შენიშნაედა: „საბავშვო წიგნი ისევე უნდა იწერებოდეს, როგორც დიდებისათვის, ოღონდ უფრო უკეთესად“.

ყოველივე ზემოთქმული კარგად იცის გ. სალუქვაძემ და ცდილობს ღრმად ჩაწვდეს ბავშვის ბუნებას, მის ხასიათს, ინტერესსა და მისწრაფებებს.

კრებულში წარმოდგენილი ლექსების დიდი ნაწილი დაწერილია მაღალი პოეტური ოსტატობით, მიმზიდველად და საინტერესოდ, ბავშვის ბუნების გათვალისწინებით. ხმოვანთა და თანხმოვანთა შერჩევით პოეტი აღწევს ლექსის კეთილხმოვანებას, მუსიკალურ ჟერადობას.

„როცა სკოლიდან მზია მოვიდა,
ეკა ბებიას მზე ამოვიდა“, — ამბობს პოეტი. იგი მოხდენილად იყენებს პერსონიფიკაციასა და ჰიპერბოლიზაციას.

კრებულში შეტანილი ლექსების უმრავლესობა ნორჩების სულიერ და ზნეობრივ წრთობას, მათს ესთეტიკურ აღზრდას, კაცურ კაცად ჩამოყალიბებას ემსახურება. დიდაქტიკური იდეები მყვირალა ფრაზებით კი არაა წარმოდგენილი, არამედ ჩაქსოვილია თითოეული ლექსის შინაარსში, სახეთა სისტემაში. ნაოქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება ლექსები: „ბაბუა და შვილიშვილი“, „ყიგული“, „მეგობრები“, „ჩემო მასწავლებელო“, „ბუთხუნა“, „თოვლი და თოლიები“, „მერცხლის ბუდე“, „გულო!“ და სხვ.

ლექსში „ყიგული“ დაგმობილია იმ მშობლების საქციელი, რომლებიც შვილებს ანებივრებენ — პატარაობიდანვე უცხოურ ტანსაცმელს აცმევენ და სკოლაში მანქანით დაატარებენ. თუ რა მოსდევს მშობლის ასეთ უგუნურ მოქმედებას, ეს კარგადაა ნაჩვენები ზემოთ აღნიშნულ ლექსში:

„ავთანდილი სკოლაში
დადის მამის ყიგულით.
ერთ დროს წყნარი ბიჭუნა
ახლა გახდა დიდგული.
მხოლოდ ჯინსის შარვალი,
მხოლოდ ფირმის პერანგი,
გულში ამპარტაყნობა

შეეპარა ვერაგი
ყველამ სურგი აქცია,
არ ირეკენ თამაშში,
აღარც სეირნობაში,
აღარც არიფანაში“.

ბავშვის ბუნება კარგადაა დანახული ლექსებში: „გინდა დავაღამო?“, „სტაფილო“, „რა იქნება“, „ბიჭუნები“, „ვინ გიყვარს?“ და სხვ.

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“, – უთქვამს ბრძენ პოეტს. ადამიანის სულსა და გულს, უპირველეს ყოვლისა, საშობლოს სიყვარული უნდა დააჩნდეს და საშვილიშვილოდ გადაეცეს. ამაში კი უდიდესი როლის შესრულება შეუძლია საბავშვო ლიტერატურას. ამიტომაცაა, რომ ქართულ საბავშვო პოეზიაში (და არა მარტო ქართულში) პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსების ნაკადი ყოველთვის ძალუმად ეღერდა. ეს ტრადიცია დღეაც წარმატებით გრძელდება და მასში გარკვეული წვლილი გ. სალუქვაძესაც შეაქვს. ამ მხრივ სარეცენზიო კრებულის ლექსებიდან, როგორც დიდაქტიკური, ისე ვერსიფიკაციული თვალსაზრისით, გამოირჩევა დედისადმი მიძღვნილი ლექსი „შენ მასწავლე, დედა, ენა“;

„შენ მასწავლე – სიყვარული
და სიკეთე მენთოს გულში,
რომ ბოროტი არ ვასარო
სათაყვანო ჩემს მამულში,
შენ ამიდგი, დედა, ენა, –
შენ მასწავლე „დედაენა“.

პატარა ერთსტროფიან ლექსში, „ბებო ჩქარობს“ დახატულია ჩვეულებრივი სურათი, რომელიც არაერთხელ გვინახავს თითოეულ ჩვენგანს:

„ბებო ჩქარობს – სკოლიდან
ნიკოს მოსვლის დროა.
ნიკო მოდის ხალვათად,
ჩანთა ბებოს მოაქვს“.

აი, აქ სვამს ავტორი ამ ლექსში წერტილს, მაგრამ მკითხველისათვის ყველაფერი გასაგებია. მასში დაგმობილია ნიკოსა და მისთანების საქციელი. ნაჩვენებია,

რომ ყველამ თავისი ტვირთი თვითონ უნდა ზიდოს, წინაალმდეგ შემთხვევაში ისეთი ბავშვისაგან, რომელსაც ცხოვრებაში არავითარი გაჭირვება არ უნახავს, პატარაობიდანვე ოფლი არ მოუწურავს, სასახელო მამულიშვილი არ დადგება.

გიორგი სალუქვაძის საბავშვო ლექსების ახალი კრებული „ჩიტის ბუდე“ დიდ სიხარულს განაცდევინებს ნორჩ მკითხველებს. მასში ისინი ბევრ სასიკეთო და ჭკვის სასწავლს იპოვნიან.

1987 წლის სექტემბერი

„ეს წელიწადი“

„ეს წელიწადი“ — ასე ეწოდება პედაგოგ ოთარ ჭყონიას ლექსების კრებულს, რომელიც ახლახან მკითხველს მიაწოდა გამომცემლობა „აჭარამ“. კრებულში თავმოყრილი ლექსების ერთი ნაწილი დროდადრო იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში, უმეტესობა კი პირველად ქვეყნდება. ისინი დაწერილია ცხოვრების კარნახით. თითოეულ მათგანს წითელ ზოლად გასდევს მოქალაქეობრივი პათოსი, ხალხურ პოეზიასთან სიახლოვე და რეალისტური, ცხოვრებისეული თემებისადმი ერთგულება. ავტორი მთელი გულით გრძნობს ეპოქის მძლავრ მავკისცემას, ფხიზელი თვალით ხედავს და გვიხატავს ჩვენი ცხოვრების შუქ-ჩრდილებს. მართალია, ყველა ლექსი ერთნაირი სიძლიერის არ არის როგორც შინაარსობრივი, ისე პოეტური არქიტექტონიკის თვალსაზრისით, მაგრამ ყველა მათგანს მაინც ერთი საერთო აქვს — ესაა ავტორის გულწრფელობა. იგი გატაცებით უმღერის მშობელ მხარეს, მის მადლიან მიწასა და ზერმუხტოვან ველ-მინდვრებს, შრომისმოყვარე ხალხს; ქადაგებს ჰუმანიზმს, ძმობას, ერთობას, ჭირისა და ლხინის თანაზიარობას. პოეტს კარგად ესმის თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება. მის ლირიკულ ლექსებში წინა პლანზეა ადამიანი, ადამიანი — მოქალაქე, სამშობლოს ბედ-იღბალზე ფიქრით გატაცებული. იგი გვერდს არ უვლის სოციალურ თემებს, არც იმ ტკივილებს, რაც

ესოდენ ჭარბად გვხვდება დღეანდელ საქართველოში. პოეტს არ ახასიათებს კომპრომისი იმ მანკიერებებთან, რომლებიც ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანთა ერთი ნაწილის მოქმედებაში, ზნეობასა და ხასიათში მეღაყნდება და რომლის წინააღმდეგაც დაუცხრომლად იბრძვის ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი. საზოგადოების ამ საუკეთესო ნაწილში ოთარ ჭყონიაც შედის. ამიტომაც ვერ ურიგდება იგი უზნეო და გულგრილ ადამიანებს.

ავტორმა კარგად იცის, რომ ყოველმა ჩვენგანმა ერისა და ქვეყნის სამსახური, უწინარეს ყოვლისა, პატიოსანი, თაედადებული შრომით უნდა გამოხატოს, რადგან, მისი აზრით, „ვინც სხვის ნაოფლარს ითვისებს და ვისაც მუქთა ჩეევია, ასეთი ადამიანი, მერწმუნეთ, ხალხის მტერია“ („ადამიანი“).

ამავე ლექსში ავტორი გვეუბნება, რომ ადამიანი არის ყველა ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე ძვირფასი კაპიტალი ამქვეყნად და მას და მის სახელს ყველგან და ყოველთვის გაფრთხილება სჭირდება. „მუდამ ეცადე, გახსოვდეს, რომ იყო ადამიანი!“ — ასე მთავრდება ეს ლექსი და უმალ ჩვენს მეხსიერებაში ასოცირდება მამია გურიელის სიტყვები: „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“.

პოეტი ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ „სწავლის და შრომის გარეშე ვერ მიხვალ სიბრძნის წყაროსთან“. ამიტომაც ასე თავგამოდებით მოუწოდებს იგი მომავალ თაობას პატიოსანი, ალალმართალი შრომისაკენ, ერისა და ქვეყნისათვის სამსახურისაკენ.

შრომის სიყვარულზეა ლაპარაკი ლექსში „ირწმუნე შრომა“, ხოლო ლექსი „ჰერი“ შრომის ნამდვილი ჰიმნია. ეს ლექსი არა მარტო შინაარსით, არამედ თავისი მუსიკალობითა და რიტმულობით ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია კრებულის ლექსებიდან. მასში ავტორი მოუწოდებს ახალგაზრდებს სამშობლოს საკეთილდღეო შრომისაკენ. აღნიშნავს, რომ მან თავისი ვალი უკვე მოიხადა ერისა და ქვეყნის წინაშე და ახლა ახალგაზრდების ჯერია:

„შვილო, რაღა გადარდებს
დგება შენი ჯერიო.

შენს ალალბედს უმღერე,
ჰერი, ბიჭო, ჰერიო!
მე მამული დავქარგე,
აწ შენგანაც ველიო.
ნუ შეარცხვენ სამშობლოს,
ჰერი, ბიჭო, ჰერიო!"

ავტორი არც თავის ვალმოხდილ წინაპრებს ივიწყებს, ხშირად მიმართავს ჩვენი ერის შორეულ წარსულს, გულისტკივილით გვიხატავს ჩვენი მრავალტანჯული, მრავალჭირგადანახადი სამშობლოს სვე-ბედს, იმ ადამიანებს, ვინც არაერთხელ იხსნა სამშობლო განსაცდელისაგან და ავად თუ კარგად ჩვენამდე მოიტანა იგი:

„თქვენი ჭირიმე პაპანო,
ვარ თქვენით თუ ვარ ზარდასრული.
დგას მაგ თქვენს დაღლილ გულმკერდზე
აწმყო, მყობადი, წარსული", — წერს იგი.

ერთმანეთის გაუტანლობა, ლანძღვა-გინება, მიცვალებულის აუგად მოხსენიება და სხვა მავნე ჩვევებია დაგმობილი ლექსებში „ცალ-ცალკე ყველა კარგნი ვართ", „ცუდი გვაქვს წესი" და სხვა. ავტორი გვაფრთხილებს, რომ ბოროტება, შური არავის შერჩება და ბოლოს და ბოლოს დადგება ჩვენი განკითხვის ჟამი — „ხვალ ყველაფრისთვის მოგვთხოვენ პასუხს".

ოთარ ჭყონიას ლექსების ერთ-ერთი მთავარი თემაა მამულის, მშობელი ქვეყნის მიწა-წყლის სიყვარული. მან კარგად იცის, რომ იყო პოეტი — ნიშნავს იყო პატრიოტი, მაგრამ მთავარია ის პოზიცია, საიდანაც უცქერი და აღიქვამ სამშობლოს წარსულსა და აწმყოს, ჭვრეტ მის მომავალს.

ამ მიმართულებით ოთარ ჭყონიას ლექსებში არაფერია მოგონილი. იგი გულწრფელია თავის გრძნობებში. ამიტომაც აღიქმება ასე ბუნებრივად მამულისადმი მიძღვნილი მისი ლექსები.

„ეროგულება-ძმობაში ყველას შეეჯიბრები,
შენი დოვლათ-ბარაქის შემოქმედი ვიქნები,
თუ საჭირო იქნება, კიდეც შეგიწირები,
ჩემი რჯული და რწმენა იყავი და იქნები".

ზოგიერთ ლექსში ო. ჭყონია ახერხებს ტრადიცი-

ულ თემას ორგინალური თვალთახედვით მიუდგეს. და სათქმელს თავისებური ელფერი მისცეს. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება მისი ერთი პატარა ლექსი, რომელსაც „ნაკადული" ჰქვია.

„არ ვარ წყალუხვი მდინარე,
მთები არ მკვებავს ჭაღარა.
კორდიდან ჩამონადენი
ნაკადული ვარ პატარა.
არც დიდი ძალის მქონე ვარ,
არც ტალღის შემწევს თამაში.
ღღედაღამ ჩემი სიმღერით
მოვედინები ჭალაში".

კრებულში თავმოყრილ კარგ ლექსებთან ერთად, გვხვდება თემატიკურად და შინაარსობრივი თვალსაზრისით გაუმართავი, ვერსიფიკაციული ხერხებით მეტად მარტივი, რითმსა და ტონალობას მოკლებული ლექსებიც. და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მათი აეტორი პროფესიონალი პოეტი არ გახლავთ. ამასთან, ეს მისი ლექსების პირველი კრებულია და მომავალში, იმედი უნდა ვიქონიოთ, იგი კიდევ უფრო უკეთესი ლექსებით გაგვახარებს.

1993 წლის 12 ოქტომბერი

ეს გზა ტაძრამდე არ მიგვიყვანს

ძალზე რთული ვითარებაა დღევანდელ საქართველოში. ერთდროულად მოგვეძალა ეთნოკონფლიქტები, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, დემოგრაფიული და სხვა პრობლემები, რომელთა გადაჭრა ერის დიდ ძალისხმევასა და ერთიანობას მოითხოვს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ იგრძნობა. 9 აპრილის ტრაგედიამ თითქოსდა გააერთიანა ქართველი ხალხი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი ისევ ერთმანეთის ქიშპობასა და ლანძღვა-გინებაში ვართ, რასაც უფსკრულისაკენ მივყავართ. დემოკრატია, საჯაროობა, სიტყვის თავისუფლება, ცხადია, დიდი მონაპოვარია, მაგრამ იგი ერთმანეთისა და წარსულის სალანძღავად კი

არა. ზეპოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადასაჭრელად უნდა გამოიყენოთ. ამ პრობლემების გადაჭრაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ტელევიზიასა და პრესას, მაგრამ ქართულ ენაზე გამომავალი ჟურნალ-გაზეთები, დემოკრატიაა და, ყველაფერს ბეჭდავენ ხელაღებით. ჩვენი აზრით, გაზეთს თუ ჟურნალს სარედაქციო კოლეგია იმიტომ ჰყავს, რომ კარგად შეისწავლოს და დასაბეჭდად არ მისცეს გზა ისეთ წერილს, რომელსაც, ზიანის გარდა, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ერისა და ქვეყნისათვის. მაგრამ ვაი, რომ ეს ბევრს არ ესმის, ან არ სურს, გაიგოს. ამიტომაც იყო, რომ ამ რამდენიმე წლის წინ მწერალი გ.ფანჯიკიძე გულისტკივილით წერდა: „დღეს, როცა „თავისუფლება“ მოვიპოვეთ, ბევრმა, განსაკუთრებით კი ჩვენმა პრესამ, ცუდად გაიგო ეს თავისუფლება. მე ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ, დღეს დამწყებ ჟურნალისტს, თავის პირველ წერილს რომ წერს, შეუძლია ლაფში ამოსვაროს თუნდაც ერის ყველაზე სახელოვანი შვილი. დაიკარგა უფროს-უმცროსობა, დაიკარგა ქალის პატივისცემა, დაიკარგა დამსახურება, დაიკარგა ელემენტარული თავაზიანობა!“.

იგივე შეიძლება ითქვას წარსულისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ. იგი უნდა შეფასდეს პირუთვნელად, მიუკერძოებლად და არა ისე, როგორც მას ახლა ვაფასებთ. ხშირად ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვვარდებით. ეს კი თავგზას უბნევს მკითხველს. მან არ იცის, რა გზას დაადგეს და ირჩევს იმ გზას, რომელიც მისთვის სასარგებლოა.

როგორც ყოველთვის, ამ საქმეშიც საჭიროა ყველა თაობის ერთსულოვნება, თანამშრომლობა, ერთმანეთისადმი ფრთხილი და სათუთი დამოკიდებულება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ იგრძნობა. ისტორიამ და დღეანდელობამ დაგვანახა ჩვენი ერთმანეთის გაუტანლობა და შერი. ამიტომაც ამბობს ერთგან პოეტი:

„რომ ვიძახოთ: ცოტანი ვართ!
ვაი-ვიში რას მოგემატებს,
ვინც ვართ, იგი უნდა ვიყოთ,
უნდა ვეკავდეთ ნამდვილ ქართველს.
ერთმანეთის მხარში დგომა,

გატანა და ძმობა გვმართებს“.

სრული ჭეშმარიტებაა! თორემ რა გამოდის, ერთმანეთის კრიტიკა, ლანძღვა-გინება, ლაფში ამოსვრა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გაზეთს ვერ ნახავ, რომ მასში რომელიმე პირის, განსაკუთრებით კი სახელგანოქმული ადამიანების მიმართ ლანძღვით სავსე წერილი არ იყოს. ჩვენ კრიტიკის წინააღმდეგი როდი ვართ, მაგრამ კრიტიკაც არის და კრიტიკაც. იგი პიროვნების ღირსების შემლახავი, შეურაცხმყოფელი და თავლაფდამსხმელი კი არ უნდა იყოს, არამედ იმ კრიტიკაშიც ჩვენი გულისტკივილი, კრიტიკის ობიექტისადმი ჰუმანური დამოკიდებულება, მისი პიროვნების პატივისცემა უნდა იგრძნობოდეს. პიროვნების შეურაცხმყოფელი კრიტიკა კი ყოველად გაუმართლებლად მიგვაჩნია. და ისიც დღეს, როცა საქართველოს, ისე როგორც არასოდეს, ყველაზე მეტად სჭირდება მის შვილთა ერთიანობა. რატომ ვიეიწყებთ ბრძნულ შეგონებას: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“

ცალკეულ პიროა გაუთავებელ ქიშპობასა და ერთმანეთის გაქიაქებას უკანასკნელ ხანს დაემატა ეროვნულ ძალთა გათიშულობაც. რა არის ამის მიზეზი? რატომაა, რომ ვერ ,,ვგუობთ განსხვავებულ აზრს? ყველა ხომ ერთნაირად, დაშტამპულად ვერ იაზროვნებს? სუთუ არ გვეყო, 70 წლის განმავლობაში ასე რომ ვფიქრობდით და ვმოქმედებდით? ყველა ჩვენგანის საფიქრალი და საზრუნავი ხომ ერთია – ვიხილოთ ეკონომიკურად ძლიერი, დამოუკიდებელი და აღორძინებული საქართველო.

ჩვენ საკმაოდ ბევრი გვყავს ნიჭიერი, განათლებული, ზნემაღალი, ზნეკეთილი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოსათვის ეს მაინც არ კმარა, და თუ სააპისოდ დროზე არ ვიზრუნეთ, შემდეგ ყველაფერი გვიან იქნება. მე, როგორც პედაგოგს, მაწუხებს ის, რომ ახალგაზრდობის საკმაოდ დიდ ნაწილს არ სურს სწავლა, ცოდნის შეძენა. ამიტომაცაა, რომ მათ ზოგჯერ არ იციან ისეთი რამ, რომლის არცოდნაც არავის ეპატიება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ იციან ქართულ ენაზე გამართული ლაპარა-

კი, წერა და კითხვა, აზრის გადმოცემა. რომ ჰკითხოთ, ყოველივე ქართული მათთვის საიაკვანოა. ასეთებს უნდა შეეგონებინოთ, რომ მამულიშვილური ვალის აღსრულება უსწავლელად, უშრომლად, ოფლის დაუღვრელად შეუძლებელია, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მხოლოდ საქმის მცოდნე, კომპეტენტური, განათლებული და მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები სჭირდება. მოვუსმინოთ, რას ამბობდა დიდი ილია ჯერ კიდევ ასი წლის წინ: „ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ“...

ჩვენ თავი მოგვწონს ჩვენი ქართველობით, იმით, რომ საშუალო და უმაღლესდამთავრებულთა პროცენტული მონაცემებით ეჭარბობთ არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს, არამედ ბევრ განვითარებულ ქვეყანასაც. მაგრამ, ამასთან, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მარტო ეს ვერაფერს გვიშველის უამრავი ცხოვრებისეული პრობლემის გადაწყვეტაში და რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მეტი ტექნიკოსი, კვალიფიციური მუშა-სპეციალისტი დასჭირდება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ცნობილ ქართველ მწერალ რევაზ ჯაფარიძეს, რომელიც ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინ წერდა: „ვისაც საქართველოს სოფლებისა და დაბა-ქალაქების მშენებლობებზე უვლია და საქმეც მოუსრულებია, ადვილად შენიშნავდა ერთ უცნაურ გარემოებას: ჩვენ თავზე საყრელი გვყავს მშენებელი ინჟინრები, არქიტექტორები, სხვადასხვა ვიწრო სპეციალობის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები, მაგრამ თითქმის არა გვყავს ისინი, ვინც ყველა ამათი ხელმძღვანელობით უნდა მუშაობდეს, ვინც უშუალოდ უნდა აშენებდეს კედელს, ასხამდეს ბეტონს,

ადულაბებდეს ლითონის კონსტრუქციებს, ლესავდეს, ღებავდეს, აპირკეთებდეს ძველ და ახალ შენობებს. სად გაქრნენ ქართველი ხელოსნები, ოქრომჭედლები, მესაათეები, მკერავები, მეწაღეები, დურგლები, მჭედლები, ქვითხუროები, მეთუნეები, წყალსადენის ვამყვანები, თუნდაც ფანჯრის მინის ჩამსმელები და ათობით სხვა ხელობის ადამიანები, რომლებიც საქართველოს დედაქალაქის ძირითად მოსახლეობას და ერის ბერჯს შეადგენდნენ?... თუ ასე გაეაგრძელებთ, არ გაიყლის ორისამი ათეული წელიც, შეიძლება უფრო ცოტა დროც, რომ ქართველობა ძალისძალზე შეკოწიწებულ არისტოკრატიულ ზედაფენად იქცევა. იგი საგსებით მოსწყდება მაცოცხლებელ ნიადაგს, მიწას, ეროვნულ ფესვებს, სამშობლოს და გადაგვარების გზაზე დამდგარი ჰაერში გამოეკიდება".

ამ სიტყვების ჭეშმარიტება დღეს უკვე სახეზეა. თვალში საცემი გახდა ზნეობრივი დეფიციტიც. მოსარდი თაობის აღზრდაში რომ გარემოსა და უფროსების პირად მაგალითს გადამწყვეტი როლი ენიჭება. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ უკანასკნელ ხანს რატომღაც დავივიწყეთ ეს უდავო ჭეშმარიტება. რაკგან უფროსებმა ერთმანეთის პატივისცემა და მოკრძალება დავკარგეთ, ჩვენმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმაც იფიქრეს, ალბათ ასეა საჭიროო და წაიშალა უფროსებისადმი, განსაკუთრებით კი ქალისადმი, ის მოკრძალება, რიდი და პატივისცემა, რომლითაც გამოირჩეოდა ოდითგანვე ყოველი ჭეშმარიტი ქართველი. აი, რა მოვიმეკეთ იმ მაგალითებით, რომლებსაც ასე უხვად ვაწვდით ჩვენს მომავალ თაობას.

თუ არა ზნეობის დევალვაციით, სხვა რით შეიძლება აიხსნას ქართველი კაცის მიერ თავისი სისხლისა და ხორცის მიმართ დაუნდობელი სისასტიკე? ჩვენი შვილები ჩვენ თვალწინ ერთმანეთს ხოცავენ ისეთი გამეტებით, რომ ასე ჭეშმარიტი ადამიანი მტერსაც არ გასწირავს. გვეშინია გაზეთის გადაშლა, რომ რაიმე ახალი, შემზარავი და ტრაგიკული ამბავი არ გავიგოთ. ერთი ადამიანის მიერ მეორის აბუჩად აგდება, მისი სიცოცხლის ხელყოფა ჩვეულებრივ ამბად იქცა. ამდენი

განსრახ მკვლელობა, ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა საქართველოს ალბათ არ ახსოვს. ყოველივე ეს მარტო ზნეობრივი ნორმების დევალვაციით როდი აიხსნება. ამის მიზეზია ასევე სამართალდამცავი ორგანოების უპასუხისმგებლობა, სისუსტე და ამის შედეგად მოშვებულობა, განუკითხაობა. მართალია, საზოგადოებრიობაც უნდა მონაწილეობდეს ამ საქმეში, აქტიურად იბრძოდეს ყოველგვარი უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ, მაგრამ მთავარი მაინც სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაა. ისინი რომ მუდამ სამართლიანად იქცეოდნენ, კანონი რომ კანონობდეს და მის წინაშე ყველა თანაბრად აგებდეს პასუხს, მაშინ უთუოდ ბევრი რამ თავის ადგილზე დადგებოდა და ამდენი მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა აღარ იქნებოდა.

აქვე მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო. ესაა შრომისადმი დამოკიდებულება. მხედველობაში მაქვს ის, რომ ბევრი ჩვენგანი გადაეჩვია წესიერ შრომას, თავისი მოვალეობის მაღალ დონეზე შესრულებას. არადა, როგორ სჭირდება დღევანდელ საქართველოს პატიოსანი, შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანები. ილია ჭავჭავაძე სწორედ ამაში ხედავდა საქართველოს ხსნას, მის მომავალს. „ქეყანა ეხლა იმისია, – წერდა იგი, – ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა... დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცდელია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა“.

ვინც მთელი არსებით დაინტერესებულია საქართველოს ბედნიერი მომავლით, ის უნდა და ქმნიდეს უმაღლესი ხარისხის ეროვნულ პროდუქციას, მუშაობდეს კეთილსინდისიერად, თავდაუზოგავად, რათა ის პროდუქცია, რომელსაც ქართველი კაცის ხელი უშვებს, ყველა სტანდარტის დონეზე იდგეს და მსოფლიოს ბაზარზე კონკურენციის უნარი ჰქონდეს. უამისოდ ვერც სამეურნეო ანგარიში გვიშველის, ვერც თვითდაფინანსება და ვერც ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ნამდვილი პატრიოტი ის კი არ არის, ვინც სიტყვით ქადაგებს სამშობლოს სიყვარულს, არამედ ის, ვინც ნერგებს ახარებს, ფოლადს ადნობს, გაჰყავს გაუკვალავი გზები, ხნავს და თესავს – ქმნის მატერიალურ და

სულიერ დოვლათს.

ახლა გადავხედოთ საქმის ნამდვილ ვითარებას. რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში? უნდა აღინიშნოს, რომ ერთიან არასახარბიელო. კეთილსინდისიერმა შრომამ საზოგადოების თვალში ფასი დაკარგა. გლეხმა შეიძულა მიწა, მუშამ — ფაბრიკა-ქარხანა. ბევრი დირექტორი არ დირექტორობს, ექიმი არ ექიმობს, მასწავლებელი არ მასწავლებლობს. ჩვენს სასტუმროებში, საავადმყოფოებსა და დასასვენებელ სახლებში ისეთი მომსახურებაა, რომ უცხოელები სათოფეზეც არ გეეკარებიან.

მეტად დამაფიქრებელი ფაქტები იყო მოყვანილი გაზეთ „კომუნისტის" 1989 წლის 27 იანვრის ნომერში. წიოელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობას 20 ათასზე მეტი ცხვარი ჰყავს, რომელსაც 112 კაცი უვლის, მაგრამ აქედან მხოლოდ თხუთმეტია მკვიდრი მოსახლე. მეცხვარეობის ფერმაში 94 მკშაკიდან მხოლოდ თექვსმეტია ქართველი.

სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის კოლმეურნეობის 3 ათას ცხვარს 22 კაცი უვლის, რომელთაგან მხოლოდ ეროია ქართველი.

ანალოგიური ფაქტები ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში მოიძებნება, რასაც ღრმად დაფიქრება და განსჯა სჭირდება. თუ შენ ითაკილებ და არ დაიჭერ ხელში მწყემსის კომბალს, სხვა მოვა და ის დაიჭერს, ის დაიკავებს შენს ადგილს, შემდეგ კი შენს სამოსახლოსაც. ამის მაგალითები ბევრია.

ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა არ გააკეთებს, და თუ გააკეთებს, ის შენ არ გამოგადგება. ამასთან, ყველამ ის უნდა აკეთოს, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, რისი შემძლეც არის. ერისათვის სიკეთე მოაქვს მხოლოდ კომპეტენტურობას, საქმისადმი პროფესიულ მიდგომას და არა ნაჩქარევ, ამბიციებს აყოლილ გადაწყვეტილებებს.

ვინმემ ისე არ გამიგოს, თითქოს საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვიყო. ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ სურვილის აღსრულებას ხომ სათანადო პირობების შექმნა სჭირდება. ასეთ პი-

რობებს კი ჩვენ საზოგადოების საკეთილდღეო შრომაში ვხედავთ და არა ფუჭ ოცნებებსა და ლიტონ სიტყვებში. მარტო ლაპარაკით სოფელი არავის აუშენებია.

ვისაც საქართველოსა და მისი ხალხის სიკეთე სურს, ვინც დაინტერესებულია ერის ბედნიერი მომავლით, ყველაფერი უნდა იღონოს მისი კეთილდღეობისათვის. ამისათვის საჭიროა მუხლჩაუხრელი შრომა, გარჯა, ცოდნა და გამოცდილება. ყოველივე ეს გვჭირდება არა მარტო ჩვენი ეკონომიკის, არამედ ზნეობრივი გაჯანსაღებისათვისაც. დამოუკიდებელ საქართველოს მცოდნე კაცი უნდა, რაც ჭეშმარიტი სწავლით უნდა მოვიდეს; დამოუკიდებელ საქართველოს ხვავი და ბარაქა, დოვლათი უნდა, რაც შრომით უნდა მოვიდეს. ჩვენ ახლა დროის უქმად ფლანგვის უფლება არა გვაქვს — ერთმანეთს უნდა ამოვუდგეთ მხარში, მუყაითი შრომით გაეუხაროთ გული ჩვენს მოკეთეს და დავუვსოთ თვალი ყველა უმადურსა და მოშურნეს. სწორედ ამ გზით შეიძლება გავაჯანსაღოთ ჩვენი ეკონომიკა და მივაღწიოთ იმ სანუკვარ მიზანს, რომელსაც ერთიანი, აღორძინებული, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია.

1990 წლის ოქტომბერი

„ვიცინოთ თუ ვიტირეთ?"

„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით,
საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწები".
ზურაბ გორგილაძე

სათაური დიდ ილიას დავესესხეთ. ალბათ გახსოვს, მკითხველო, რასთან დაკავშირებით ამბობდა ამას ჩვენი სულიერი მამა. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ: 1876 წელს გორში გაიხსნა საოსტატო სემინარია, რომელიც მიზნად ისახავდა სახალხო სასწავლებლებისათვის მასწავლებელთა კადრების მომზადებას, მაგრამ შუაგულ ქართლში, როგორც ილია ბრძანებს, ქართულს არ ასწავლიდნენ. მაშინ როცა 50 მოსწავლიდან 31 ქართველი

იყო. თავი რომ გაემართლებინა, სემინარიის დირექტორს, აღნიშნავს ილია, „მოუწევია საშველად მეცნიერება, გამოუძებნია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიან". მისი გამოთვლით, დასძენს დიდი ილია, „სემინარიის მოწაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარტომობასაო; ამათ შორის რუსები არიანო ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, პოლაკები ორნი, ინგილონი ორნი, გურულნი ორნი, ფშაველი ორნი, აბხაზნი ორნი, უდინი ერთი, ჩერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. ამგვარად, — დაასკვნის დიდი მწერალი, — ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი — ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას... ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ თუ ვიტიროთ?"

ამას წერდა დიდი ილია 120 წლის წინ, იმ დროს, როცა მეფის მთავრობა დაპყრობილ ქვეყნებში გარუსების პოლიტიკას ატარებდა. ეს პოლიტიკა შენიღბულად საბჭოთა იმპერიის ხანაშიც გრძელდებოდა. ხშირად რუსულ ჟურნალ-გაზეთებში სვანებს, მეგრელებსა და აჭარლებს არაქართველ ტომებად თვლიდნენ და ილაშქრებდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ ქართულ ენას „თავს ახვევდა".

ამრიგად, ეს იყო წინათ, ახლა კი... დამოუკიდებელ საქართველოში აჭარლების არაქართველებად გამოცხადება მტრის წისქვილზე წყლის მიშვებას ნიშნავს.

ალბათ მიმიხვდი, ჩემო მკითხველო, რა გვაქვს მხედველობაში. რა და, გაზეთ „მაცნეს" ამასწინანდელი „დემოგრაფიული პროგნოზი 2035 წლამდე", რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველო დღევანდელი მდგომარეობით: მოსახლეობა — 5,57 მილიონი... აქედან 69 პროცენტი ქართველები, 9 პროცენტი — სომხები, 6 პროცენტი — რუსები, 6 პროცენტი — აჭარლები, 5 პროცენტი — აზერბაიჯანელები, 3 პროცენტი — ოსები, 2 პროცენტი — აფხაზები".

შეადარე, მკითხველო, როგორ ჰგავს ეს „პროგნოზი" იმას, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ არაქართველებად იმერლები, გურულები და ფშაველები არიან გამოცხადებული, აქ კი —

აჭარლები.

ეს არის პროვოკაციული გამოსტომა, რომელიც მიზნად ისახავს დედასაქართველოდან აჭარის ჩამოშორებას ან მის მკვიდრთა გაღიზიანებას. დღეს ასეთი „უცოდინარობა“ არავის ეპატიება და ისიც ქართველ კაცს, ყოველ შემოხვევაში, საქართველოში მცხოვრებს. თუმცა ასეთების მისამართით სიტყვა „ქართველი“ ზედმეტად გვეჩვენება, რადგან ის, ვინც ასეთ რამეს იკადრებს, ვაი-ქართველი და ერის მოღალატეა; იგი შეგნებულად „ამღვრევს წყალს“ და ამისათვის პასუხიც უნდა მოეთხოვოს.

ვისაც აჭარლები ქართველებად არ მიაჩნია, მან ქართველი ერის ისტორია არ იცის. აჭარა საქართველოს ერთიანობის ბურჯი და ქრისტიანობის აკვანია. სწორედ აქედან მოეფინა მთელ საქართველოს ქრისტიანული სარწმუნოება. ისევ ჩვენს ბრძენ ილიას მიეუგდოთ ყური: „უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვენ: ჩვენი სასიქადულო „ევეზვისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი ამ მხარის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს“.

ამას ამბობდა დიდი ილია აჭარის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი თურქთა უღელქვეშ გმინავდა. შენ კი, ძმობილო, აქაურ მკვიდრთ ქართველებად არ თვლი. თუ ერის სულიერი მამის სიტყვები არ გაკმაყოფილებს, ახლა მეორე დიდ ქართველს — ი. გოგებაშვილს მოვუსმინოთ: „მართალია, აჭარლებმა სარწმუნოება შეიცვალეს, მაგრამ ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად“.

დღეს აჭარის სოფლებსა და ქალაქებში შენდება ეკლესიები, აჭარლები ქრისტიანულად ინათლებიან და მა-

სიურად უბრუნდებიან მამაპაპისეულ სარწმუნოებას, მართლმადიდებლობას. ამის დაუნახაობა და მათი არაქართველებად გამოცხადება მკრეხელობაა.

ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ იტყვი, რომ აჭარლები ქართველები არ არიანო?! იტყვი და, ჯანდაბამდე გქონია გზა! აჭარლები კი, ჩვენი საყვარელი პოეტის ზურაბ გორგილაძისა არ იყოს, „საქართველოში ქართველობას არ ვიხვეწებით“.

1997 წლის მარტი

რაც ჩვენმა მტერმა ვერ გვიყო

საქართველოს ოდითგანვე გარს ეხვია ურიცხვი მტერი. ვინ, რომელი მომხვდური არ წეწდა და გლეჯდა ამ მართლაც ედემის მაგვარ ქვეყანას, ვის არ ხიბლავდა და იზიდავდა მისი წარმტაცი ბუნება – ცამღე აწვდილი მთები და აქოჩრილი ველ-მინდვრები, წყალუხვი მდინარეები და ზათქიანი ჩანჩქერები... ბევრჯერ დამდგარა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ მაინც არ ჩაუწყდა ბეწვის ხიდი და გადარჩა, არ აღიგავა პირისაგან მიწისა; ზოგჯერ ერთზე ათი მოდიოდა, მაგრამ მაინც არ გავიწირეთ – უფლის ნებით მაინც ვდგებოდით ფეხზე, ღვთის წყალობით მაინც ირწეოდა აკვნები ჩვენს ოჯახებში.

მომხვდურთა მთავარი მიზანი იყო საქართველოს ხელში ჩაგდება და შემდეგ ქართველთა ეროვნული სულის ჩაკვლა. ამ მიზანს ისახავდნენ არაბები, მონღოლები, სპარსელები, თურქ-სელჩუკები თუ სხვა ჯურის გადამთიელები, რომლებიც ჩვენს მიწა-წყალს ეპოტინებოდნენ, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, ქართული სული ვერ მოდრიკეს, ქართული სახელმწიფოებრიობა ვერ მოსპეს. ირანელთა მიერ მშობლიური მიწიდან აყრილი ქართველები დღემდე ინარჩუნებენ ფერეიდანში ქართულ ენას, ქართულ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს; თურქეთის მფლობელობაში დარჩენილი შავშეთის, ტაოკლარჯეთის, იმერხევისა თუ სხვა მხარეების ქართველე-

ბი დღესაც თავს „აბერჯენებად“, ანუ ქართველებად თვლიან.

1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა. ქართველი ხალხი იმედოვნებდა, რომ ამიერიდან ქვეყანა მოისვენებდა, შვებით ამოისუნთქავდა, მაგრამ მოტყუებდა.

მართალია, საქართველო გადაურჩა თურქეთისა და სპარსეთის მონობას, მაგრამ ახლა რუსეთმა დააღგა მას ქედზე კოლონიური მონობის უღელი, რასაც თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა, მაგრამ დამპყრობელთა ბასრი კლანჭებიდან თავის დახსნას ვერა და ვერ ახერხებდა.

პირველი, რაც მეფის რუსეთმა გააკეთა საქართველოს ხელში მყარად ჩასაგდებად, ის იყო, რომ მან დაანგრია ქართული სახელმწიფოებრიობა, გააუქმა სამეფო და მისი ტერიტორიები გუბერნიებად დაყო, ხოლო მეფის ყველა ახლობელი, ვისაც კი შეიძლება ეფიქრა ქართული ხელისუფლების აღდგენაზე, საქართველოდან რუსეთში გადაასახლა. იმავდროულად რუსეთის იმპერიამ იერიში მშობლიურ ენაზე მიიტანა. ამ მიზნით მან ქართულ სკოლებში ოფიციალურად გააუქმა მშობლიურ ენაზე სწავლება და მის ნაცვლად რუსული ენა გააბატონა. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე აფრთხილებდა საზოგადოებას: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვიმონა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევინარჩინეთ, საქოლავი არაეის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და სხვა ქართველი სამოციანელების, ჭეშმარიტი მამულიშვილების, თავდაუზოგავი შრომის შედეგად

ქართველობამ, მცირე ნაწილის გამოკლებით, შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ენაცა და ეროვნებაც.

1921 წელს საქართველოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკებმა. თბილისის თაყვანი აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. ბოლშევიკებიც, ისევე როგორც მეფის რუსეთი, აშკარად თუ ფარულად ცდილობდნენ ქართული ეროვნული სულის შერყევას. 1956 წლის მარტში მათ სისხლში ჩაახშეს ქართველი ახალგაზრდობის გამოსვლა, ახალგაზრდობისა, რომელიც ცდილობდა შელახული ეროვნული ღირსების დაცვას. მას მოჰყვა ეროვნული საჯარისო ფორმირებების დაშლა და ეროვნული ოფიცრებისა და გენერლების თადარიგში გაშვება. ცოტა ხნის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებში იწყეს რუსული წარმოშობის მეორე მდივნების დანიშნა და საწარმოდაწესებულებებში საქმის წარმოება შემოიღეს რუსულ ენაზე. გამოხდა ხანი და გამოცხადდა, რომ „რეალობად იქცა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი“ და სასურველია პასპორტში ეროვნების აღმნიშვნელ გრაფაში ჩაიწეროს ცნება – „სსრ კავშირის მოქალაქე“ ან უბრალოდ, „სსრკ მოქალაქე“, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ და კომუნისტებმა ახლა სხვა ხერხს მიმართეს – 1978 წელს მათ მოკავშირე რესპუბლიკების ენას „სახელმწიფო ენის“ სტატუსი წაართვეს და ყველა ენა მის თანაბრად გამოაცხადეს, მაგრამ საქართველოში ამის განხორციელება ვერ შეძლეს.

ასე და ამრიგად, როგორც იქნა, შევინარჩუნეთ ენაცა და ეროვნებაც. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კი საქართველო დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა – აღდგა მეფის რუსეთისა და შემდეგ კომუნისტების მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა. ქართველთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ეს სიხარულიც ნააღრევი გამოდგა. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში შეიარაღებულმა ქართველმა პუტჩისტებმა დაამხეს ზვიად გამსახურდიას კანონიერი მთავრობა და ძალასუფლება ხელში ჩაიგდეს. ახალმა მთავრობამაც დაიწყო ქართული ეროვნული ცნობიერების ხელყოფა. წინა მოწვევის პარლამენტმა

გააუქმა პასპორტსა და დაბადების მოწმობაში ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა. მთელი ოთხი წლის განმავლობაში ეროვნული ცნობიერების გადარჩენისათვის მებრძოლი ძალები პარლამენტში თითქმის ყველა სხდომაზე შეახსენებდნენ საკანონმდებლო ხელისუფლებას გაუქმებული ეროვნული სიმბოლოების აღდგენას, აპროტესტებდნენ რომ ი. ჭავჭავაძის ქვეყნის მოქალაქეს არც ერთ საბუთში ეროვნება არ უწერიაო, მაგრამ ისინი უძლური აღმოჩნდნენ გადაელახათ პარლამენტის იმ ძალების წინააღმდეგობა, რომლებსაც „ეროვნება – ქართველის" გაგონებაც კი არ სურთ.

აქამდე ყველაფერს საბჭოთა ხელისუფლებას ვაბრალებდით, დღეს კი რა ბედი გაგვიწყრა, რომ არ ვინდობთ არც ერთმანეთს და არც ჩვენს ენასა და ეროვნებას? რომ ეროვნულ ფასეულობათა უგულებელყოფა, ყველაფრის ხელაღებით უარყოფა და ყოველგვარი უცხოურის გაფეტიშება მოდად ვაქციეთ? ადრე, კომუნისტების ეპოქაშიც კი, ვამაყობდით ჩვენი ეროვნებით, ჩვენი ქართველობით და ამ გრძნობით ვზრდიდით ჩვენს შვილებსა და მოსწავლეებს, დღეს კი ჩვენი „კეთილისმსურველი" პარლამენტარების წყალობით დაბადებისა და პირადობის დამადასტურებელ მოწმობებში ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა საერთოდ არა გვაქს. ასე, დროთა განმავლობაში, ჩვენი ეროვნება თანდათან წაიშლება და უეროვნობო ხალხად გადავიქცევით, რასაც სულ მალე შეიძლება ენის დაკარგვა და ჩვენი გაქრობა მოჰყვეს.

თავი ვინ მოგჭრაო და – ძმამო, სწორედ ასეა ჩვენი საქმე. ის, რაც ვერ გააკეთეს ჩვენმა მტრებმა, ჩვენი ერის შვილებმა იკისრეს. მათ კარგად უწყიან, რომ ეროვნებადაკარგული და უსამშობლო ადამიანი ერთი და იგივეა. მას არასოდეს შეაწუხებს ქვეყნის ბედი, მისი ხალხის ჭირ-ვარამი. აი, რას წერს ამის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქართველი პროფესორი და პოეტი ქალბატონი დოდონა კიზირია: „ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს დაემუქრა რაღაც გარეშე საფრთხე და მას დასჭირდა საერთო მობილიზაცია. ვის იმედზე იქნება დღევანდელი ხელისუფ-

ლება? ვინ აიღებს ხელში იარაღს და იტყვის, მე დაეიცავ ჩემს ქვეყანას, ჩემს მთავრობას, ჩემს პრეზიდენტს? საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტი იტყვის ამას?"

აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენი ოპონენტები ამშველიებენ იმ არგუმენტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს პასპორტში ეროვნება არ უწერიათ. ჩვენ რომ იგი აღვადგინოთ, ამერიკელებს გავანაწყენებთ და ისინი ჰუმანიტარულ დახმარებას შეგვიწყვეტენო. და, ვინ იცის, კიდევ რას არ ჩმახავენ.

არა, ბატონებო, ასე არ ივარგებს, არ შეიძლება ყველაფერში უცხოელების ჭკუით სიარული და მათი ხელის შემყურედ ყოფნა. ჩვენი სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის აზრით, გაჭირვებიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზა მხოლოდ თავდადებული შრომა და გარჯაა, და ამ საქმეში, საკუთარი თავის ყარდა, ვერავინ გვიშველის, ვერავინ დაგვეხმარება. „კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, აცა, როდის რას მომაწვდიანო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნაქის, ღვთის გულისათვის, მიშველე რამეო, — წერს დიდი ილია, — იგი მთხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი. ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო... რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზედ დანდობილა და თითონ გულ-ხელი დაუკრეფია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა — იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად".

ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ისე აგვიბნია თავგზა, რომ ჩვენი „დაცემული ვინაობის" (ი. ჭაეჭავაძე) აღსადგენად არავის სცალია. არადა, სწორედ ახლაა ის დრო, როცა მთელს საქართველოში განგაშის ზარი უნდა შემოვკრათ და გავაღვიძოთ ეროვნული თვითშეგნების სული, თორემ შემდეგ ყველაფერი გვიან იქნება. „სხვა საგანი, ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს საქართველოს ახლანდელ შვილს, — წერდა სრულიად ახალგაზრდა ივანე მაჩაბელი, — ყველამ, ვისაც რამ შე-

უძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველი საქმე, ყოველი საგანი, რაც ჩვენს ცხოვრების მიმავლობაში, თავისით თუ სხვისით, აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენი ეროვნების საქმეს უნდა შეეურჩიოთ, ქვეშ დაეუყენოთ. სკოლა, ბანკია თუ თეატრი — ყველაფერს სულ მაგისკენ უნდა მოეუბრუნოთ თავი".

უპირველესი, რაც ჩვენი ცხოვრების ამ ეტაპზე უნდა მოვიმოქმედოთ, არის ეროვნულ ფასეულობათა დაცვა, რადგან მასში მეღავნდება ჩვენი ეროვნული სული, ჩვენი მყობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი დიდი კულტურისა და წარსულის მქონე ქვეყანა, როგორიცაა საქართველო, შეელიოს ერის უპირველეს ფასეულობებს, მაგრამ საამისოდ დროზე უნდა ვიზრუნოთ, თორემ შემდეგ, როგორც იტყვიან, გვიან იქნება თითზე კბენანი. ეს კარგად უნდა შეიგნოს ყველა იმან, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავალი.

2003 წლის ნოემბერი

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე მ., რჩეული ნაწერები, ბათუმი, 1973.
2. აირაპეტოვი ს., ჯანმრთელობა, ემოციები, სილამაზე, თბ., 1979.
3. ბავშვის აღზრდა ოჯახში (კრებული), თბ., „განათლება“, 1977.
4. ბანძელაძე გ., აღზრდის თავიდათავი, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1968, 18 აპრილი.
5. ბასილაძე ნ., ვ. ა. სუხომლინსკი – ჩვენი თანამედროვე, ბათუმი, 1990.
6. ბასილაძე ნ., ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვე, ბათუმი, 2000.
7. ბასილაძე ნ., ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური შეხედულებანი, ბათუმი, 1997.
8. ბასილაძე ნ., ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან, ბათუმი, 2007.
9. ბასილაძე ნ., ნოდარ დუმბაძის პედაგოგიკური შეხედულებანი, ბათუმი, 2003.
10. ბასილაძე ნ., ოჯახი და ბავშვის აღზრდა, ბათუმი, 1987.
11. ბასილაძე ნ., პედაგოგიკის საკითხები, ბათუმი, 1999.
12. ბელინსკი ბ., რჩეული პედ. თხზ., თბ., 1950.
13. ბერძენიშვილი მ., ოჯახის როლი ბავშვის აღზრდაში, ბათუმი, 1962.
14. ბოჭორიშვილი ვ., სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?! გაზ. „სახალხო განათლება“, 1971, 28 აპრ.
15. ბრძნული აზრების სამყაროში (კრებული), თბ., „ნაკადული“, 1967.
16. გამსახურდია ზ., ქართული ენა – სახელმწიფო ენაა, გაზ. „საქართველო“, 1989, 31 დეკემბერი.
17. გელოვანი ა., ცოტა რამ ქცევის კულტურაზე, თბ., „ცოდნა“, 1976.
18. გელოვანი მ., უბის წიგნაკიდან, თბ., 1964.
19. გეწაძე ა., წმინდა სათავე, თბ., „ცოდნა“, 1986.
20. გობრონიძე ა., ბავშვის ზნეობრივი აღზრდა ოჯახში, ბათუმი, 1974.
21. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზ., ტ. 2, თბ., 1990.

22. გოგებაშვილი ი., ბუნების კარი, თბ., 1976.
23. გოგებაშვილი ი., დედა ენა, II ნაწილი, თბ., 1976.
24. გულუა რ., მოზარდი თაობის შრომითი აღზრდა, თბ., „ცოდნა", 1978.
25. გულდამაშვილი ე., წიგნის სიყვარულის აღზრდა მოსწავლეებში, გაზ. „წიგნის სამყარო", 1982, 24 ნოემბ.
26. დავიდოვი რ., გაზის კამერიდან უკვდავებაში, გაზ. „კომუნისტი", 1990, 31 იანვარი.
27. დოღონაძე-შურღაია ი., დედავ, ისმინე! თბ., 1991.
28. ედმონდო დე ამიჩისი, გული, თბ., „ნაკადული", 1986.
29. ზოიძე ა., ქვეყნის სიჭაბუკე მისი მომავალია, ბათუმი, 1978.
30. თავდგირიძე ლ., ეკოლოგიური აღზრდის საკითხები, ბათუმი, 1997.
31. იოსელიანი ო., ენა – ერის სული, გაზ. „ლიტ. საქართველო", 1999, 16-23 აპრილი.
32. კაკაბაძე დ., მთავარია იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა. როგორ მივაღწიოთ მას? თბ., 1975.
33. კამჩიჩკი ი., ყოველდღიური ზრდილობა, თბ., „ცოდნა", 1979.
34. კვესელავა მ., ას ერგასის დღე, წიგნი I, „თემიდას თვალები", თბ., 1967.
35. კვესელავა მ., ას ერგასის დღე, წიგნი III, „ნემეზიდას მახვილი", თბ., 1974.
36. კომენსკი ი. ა., დიდი დიდაქტიკა, თბ., 1949.
37. კომენსკი ი. ა., რჩეული პედ თხზ., ტ. 2, თბ., 1958.
38. კუჭუხიძე შ., კარვისა ყრმისა აღმზრდელი, თბ., „განათლება", 1984.
39. კუჭუხიძე შ., კულტურული ყოფაქცევა ამშვენებს ადამიანს, თბ., „ცოდნა", 1976.
40. ლორთქიფანიძე დ., კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება, თბ., 1958.
41. ლორთქიფანიძე ნ., ჯიოკონდა, ტ. 1, თბ., 1958.
42. მაკარენკო ა. ს. თხზ., შვიდ ტომად, ტ. 4, თბ., 1973.
43. მაკარენკო ა. ს. პედაგოგიური პოემა, თბ., 1975.
44. მალაზონია შ., მამულიშვილური საქმე, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1990, №8.

45. მამუკელაშვილი ვ., ეროვნული კატასტროფა (კიტა ბუაჩიძე და დემოკრატია), „მწერლის გაზეთი“, 2005, 1-15 აპრილი, № 5.
46. მახვილაძე გ., გურამ ფანჯიკიძე ისევ ჩვენთანაა, „ახალი ქართული გაზეთი“, 1998, 17 ნოემბერი.
47. მგელაძე ნ., ათასი მოწმე, თბ., „ნაკადული“, 1977.
48. მგელაძე ნ., არ შეიძლება განზე იდგე, თბ., 1979.
49. მენაბდე ვ., აღზრდისა და სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., „განათლება“, 1973.
50. მიქაძე მ., მამული, შვილი, იმედი, გაზ. „კომუნისტი“, 1979, 24 თებერვალი.
51. მორუა ა., წიგნები, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1982, 22 ივლისი.
52. პეტრიაშვილი გ., ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1990, 23 თებერვალი.
53. პინტი ა. ო., თქვენოვის, მშობლებო, თბ., „განათლება“, 1976.
54. პედაგოგიკა, დ. ლორთქიფანიძის მთავარი რედაქციით, თბ., 1969.
55. რაფავა ა., ადამიანის ფაქტორი და თვითაღზრდა, თბ., 1987.
56. რუსო ჟან-ჟაკ, ემილი ანუ აღზრდის შესახებ, თბ., 1949.
57. სად ვცდებით, გაზ. „თბილისი“, 1991, 27 თებერვ.
58. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია (ი. ვ. გრებენიკოვის რედაქციით), თბ., 1986.
59. სარიშვილი ტ., მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის, ზრდილობისა და კულტურული ყოფაქცევის აღზრდა, თბ., „განათლება“, 1986.
60. სარიშვილი ტ., ზრდილობის ანბანი, თბ., „ცოდნა“, 1958.
61. სუხარებსკი ს., ღიმილი, განწყობილება, ჯანმრთელობა, თბ., 1967.
62. სუხომლინსკი ვ., მშობელთა პედაგოგიკა, თბ., „ცოდნა“, 1981.
63. სუხომლინსკი ვ., ქედუხრელთა ოჯახი, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1970, № 9.
64. სუხომლინსკი ვ., წერილები ვაჟიშვილს, ბათუმი, 1996.

65. ტოლსტოი ალ., ნიკიტას ბავშვობა, თბ., „ნაკადული“, 1961.
66. ტოლსტოი ლ., ანა კარენინა, თხზ., ტ. VIII, თბ., 1964.
67. უშინსკი კ. დ., რჩეული პედ. თხზ., თბ., 1974.
68. ფანჯიკიძე გ., გაზეთ „დროშის“ რედაქტორს, ბატონ სოსო სიმონიშვილს! გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1994, 28 ოქტომბერი.
69. ჩაჩავა კ., ნუ დაკარგავთ დედობის სიხარულს, გაზ, „კომუნისტი“, 1979, 12 მაისი.
70. ჩესტერფილდი, წერილები ჩემს ვაჟს, თბ., „ნაკადული“, 1977.
71. ჩხარტიშვილი შ., აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1074.
72. ცარციძე ი., ოჯახი, სამართალი, მორალი, თბ., 1981.
73. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი (შემდგენელი მ. ლებანიძე), თბ., 1984.
74. ჭავჭავაძე ი., პედაგოგიური თხზულებანი (პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), თბ., 1938.
75. ჯაფარიძე რ., ადამიანის მორჩილი ზღვა, თბ., „ნაკადული“, 1970.
76. ჯაფარიძე რ., დედაენა გვილებს კარებს, გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 1988, 23 მარტი.
77. ჯოხაძე გ., გაგიმარჯოს, ადამიანო! ჟურნ. „ჭოროხი“, 1975, № 3.
78. Белинский В. Г Избр. пед. соч., АПН РСФСР, М-Л., 1948.
79. Королева В. Не шутите с детским эгоизмом. – Семья и школа, 1966, № 12.
80.. Либединская Л. Педагогический диалог. – Лит. Россия, 1970, № 15.
81. Пирогов Н. И. Вопросы жизни. – Избр. пед. соч., М., 1953.
82. Сухомлинский В.А. Избр. произведения, т. 5, Киев, 1980.
83. Сухомлинский В.А. Разговор с молодым директором школы. – М., 1982.
84. Сухомлинский В.А. Родительская педагогика. – Избр. пед. сочинения, т. 3, М., 1981.
85. Толстой Л. Н. – Полн. собр. соч., т. 46, М-Л., ТХЛ, 1934.
86. Чехов А. П. Собр. соч., т. 11, М., 1963.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან---------- 3

მასწავლებელი---------- 5

პროცენტომანია და მასწავლებლის ავტორიტეტი---------- 9

ვიდრე გვიან არაა ---------- 13

სკოლის უპირველესი საზრუნავი---------- 16

ცოდნა რომ რწმენად ვაქციოთ---------- 24

ფორმალიზმი მეთოდური მუშაობის მტერია---------- 34

თვითაღზრდის როლი პიროვნების განვითარებაში---------- 38

ვენდოთ, მაგრამ შევამოწმოთ---------- 46

გავუფრთხილდეთ წიგნს – ცოდნის წყაროს---------- 50

ნუ ვიუხეშებთ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს---------- 57

სიტყვა წამალიცაა და საწამლავიც---------- 63

სიტყვა – კაცობის ნიშანი---------- 69

რა ენა წახდეს... ---------- 73

ო, ენავ ჩემო, ქართულო! ---------- 81

ჰუმანიზმის აღზრდა---------- 89

ეკოლოგიური აღზრდა---------- 99

ჩვენი მოსაზრებანი კადრების მომზადების საკითხზე- 104

ყველაზე ძვირფასი, მაგრამ დაუფასებელი---------- 111

ბავშვთა ოჯახური აღზრდის ზოგადი საფუძვლები---- 116

ბოროტების სათავე – არასწორი აღზრდა---------- 132

დედა ნახე, მამა ნახე... ---------- 139

რასაც დასთეს, მასვე მოიმკი---------- 147

ვადიდოთ ქალი – დედა! ---------- 151

გვახსოვდეს, რომ ვართ ადამიანი---------- 159
სიყვარული ოჯახიდან მოდის---------- 168
დისციპლინა ოჯახში იწყება---------- 173
კულტურული ჩვევების აღზრდა ოჯახში---------- 180
ეგოიზმის სათავე---------- 196
შრომითი აღზრდა ოჯახში---------- 203
ვიზრუნოთ ახალგაზრდების შრომითი მოწყობისათვის-213
ის ურჩევნია მამულსა... ---------- 215
მშობლები და მოზარდი---------- 224
ოქროზე ძვირფასი---------- 229
მეტი ყურადღება აღზრდასა და აღზრდის მეცნიერებას-234
ჰუმანიზმის ძალა---------- 242
სენტ-ეკზიუპერი ადამიანის მოვალეობისა და
პასუხისმგებლობის შესახებ---------- 260
პედაგოგი, აღმ'ზრდელი, შემოქმედი---------- 268
„არაჩვეულებრივი ზნეობრივი სილამაზის ადამიანი“--- 273
სიკეთით სავსე გული---------- 277
წიგნი, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს---------- 282
ერისა და ქვეყნის სამსახურში---------- 286
სიყვარულის პოეტი---------- 288
ბავშვებზე და პავშვებისათვის---------- 294
„ეს წელიწადი“---------- 297
ეს გზა ტაძრამდე არ მიგვიყვანს---------- 300
„ეიცინოთ თუ ვიტიროთ?“---------- 307
რაც ჩვენმა მტერმა ვერ გვიყო---------- 310
გამოყენებული ლიტერატურა---------- 316